

ზაზა აბზიანიძე

# ქართულ ოლიმპიადე და მის ირგვლივ



გამომცემლა ინტელექტი  
თარიღი 2019

რედაქტორები  
ზვიარ კვაჩაშველია  
გია ჯოსეპი

დამკაბადონებელი  
ისინი სტარგანოვა

გარეკანი  
ორგანიზაცია  
დიზაინი  
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-31-093-5

© ზაზა აბზიანიძე, 2019.  
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2019.

## სარჩევი

ავტორისაგან .....	5
დისშვილი და ბიძანი მისნი .....	9
ვის ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“?! .....	23
კითხვა „განთიადის“ შუქზე .....	47
ქართული ოლიმპის ვნებანი.....	59
ასი წლის წინათ.....	69
ეგზისტენციალური შიში* .....	85
დასალიერზე .....	93
გალაკტიონის სანთელი.....	111
მოუთვინიერებელი სიტყვა .....	121
ყოჩალ, ჯანა-ჯან! .....	135
ილუსტრაციები არარსებული რომანისათვის.....	141
„....აი, შედეგი!“.....	145
სონეტი, როგორც გვირგვინი .....	151
ფიქრები საპარადო სადარბაზოსთან .....	157
პოეზიად გარდასახული პროზა.....	169

---

\* ყველგან დაცულია ავტორისეული ორთოგრაფია.

დაკარგული იდენტობის ძიებაში.....	173
ორი ანა.....	189
პარალელური საკითხავი.....	193
ფატალური მინიშნებანი .....	201
სანთელი ენთო.....	211
„ნატვრის ხის“ ჩრდილქვეშ.....	225
სიტყვასთან მიახლების ტკბობა.....	235
გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან .....	241
„ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო...“ .....	245

## ავტორისაგან

ამ წიგნისათვის თავდაპირველად მინდოდა დამერქმია – „ტოტემი და ტაბუ ქართულ ლიტერატურაში“. სათაური, ცხადია, ფრონტის დავესესხე (მაპატიებს-მეთქი!). ვფიქრობ-დი, რომ აქ წამოჭრილი თემების ერთი ნაწილი ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სოციუმშა და ჩვენს ლიტერატურაში მართლაც ტაბუირებულად ითვლება, რადგან საკრალურ ოლიმპს და კერპებს ეხება. მაგრამ ცოტა ხნის მერე, ამ „ტაბუ-ტოტემში“ რაღაც „ონომასტიკური ფანდი“ მომეჩვენა და სათაურის პირვანდელ ვერსიას დავუბრუნდი – „ქართულ ოლიმპზე და მის ირგვლივ“. ასე აჯობებს, რადგან ყველაფერი, რაც კი აქ ხდება (მცირედი გამონაკლისის გარდა), ან ქართულ ოლიმპზეა, ან – მის მისადგომებთან. ოლონდ, აქვე ვიტყვი: თავში არ მომსვლია „ნომინირება“ დამეწყო – ჩემი ესსების პერსონაჟებს შორის, ვინ უფრო ახლოა „ოლიმპის კალთასთან“ და ვინ შორს. ამას დრო განსჯის...

ამ „ოლიმპიურმა ტოპოლოგიამ“ სრულიად ბუნებრივად განაპირობა წიგნის პირველი ნაწილის ტექსტების მიმდევრობაც: ვიწყებ წიკოლოზ ბარათაშვილით, მის ბიოგრაფიასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული პოლემიკური ციკლით (აქედან ყველაზე მძაფრი ესსე – „ვის ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი?!” დაწერისთანავე არ გამოვაქვეყნე და ამ წიგნისათვის „შემოვინახე!“); ამას მოსდევს „კითხვა „განთიადის“ შუქზე“ (აქ აკაკის პოეტური შედევრის ჩემეულ ინტერპრეტაციას გთავაზობთ); მერეა – „ქართული

ოლიმპის ვწებანი“ (ამ „ოლიმპიური ინტრიგის“ ცენტრში ვა-ჟა-ფშაველაა: აი, აქ კი იხილავთ „ტოტემსა და ტაბუს!“); „ასი წლის წინათ“ – დიდი რეალისტის, ნიკო ნიკოლაძის ერთ, მართლაც საბედისნერო ილუზიაზე მოგვითხრობს, რომლის გამოძახილი ჩვენს სინამდვილეშიც მნარედ ვიწვნიეთ; დაბოლოს, ციკლში – „გალაკტიონის გარშემო“ ორი ესსე – „ეგზისტენციალური შიში“ და „დასალიერზე“ – „თვითმკვ-ლელის დღიურის“ ხელახალი გადაკითხვის ცდაა, ხოლო „გალაკტიონის სანთელი“ – პოეტის, როგორც „საკრალურ წვრილმანთა ღმერთის“, წარმოსახვა...“

„გალაკტიონის სანთელი“ 2019 წლითაა დათარიღებული. შემდგომი ტექსტების მიმდევრობა, გადავწყვიტე ბოლოდან დამეწყო (ანუ – სწორედ ამ, 2019 წლით დათარიღებული ესსებით). ავტორებს ხშირად ემართებათ ხოლმე – თავისი ბოლო „ქმნილება“ ყველაზე მეტად მოსწონთ. არც მე ვარ გამონაკლისი. თუმცა, საბედნიეროდ, ეს „ეიფორია“ ერთ კვირაზე მეტს არ გრძელდება...

ამჯერად, როდესაც გამოსაცემად გამზადებული ჩემივე ბოლო წლების სტატიები გადავიკითხე, ახლა უკვე, როგორც კრიტიკოსმა და არა – სვებედნიერმა ავტორმა, სწორედ 2019 წლის ტექსტებში მენიშნა რამოდენიმე პასაჟი, თვისობრივად განსხვავებული ადრინდელი ესსეისტიკისაგან: დიდი ხნის წინ განცდილი, მაგრამ აქამდე არგამოთქმული ტყივილი. მოკლედ, ისეთი განცდა გამიჩნდა, როგორიც, ალბათ, გასაქცევად გამზადებულ ტუსალს აქვს, ბორკილის ბოლო მილიმეტრს რომ გადახერხავს.

ასეც ხომ ხდება: შენივე ტექსტში რაღაც ფრაზაზე დაფიქსირდები და სიმწრით გაიფიქრებ, რომ ამ ერთი წინა-დადების დასაწერად 80 წელი დაგჭირდა! ასე იცის საბჭოთა ბავშვობამ, როცა არც მშობლები არიან დისიდენტები და არც შენ ხარ პასიონარი...

აქ წერტილს დავსვამ. ავტობიოგრაფიულ უანრში გადასვლა ნამდვილად არ მიფიქრია. მკითხველის დასაკვალი-ანებლად კი, ვგონებ, სავსებით საკმარისი იყო ზემოთ მოყ-

ვანილი თემატური ჩამონათვალი. უფრო მეტი – ანუ ჩემივე ტექსტების ჩემეული ინტერპრეტაცია აქ ნამდვილად ზედ-მეტი იქნებოდა. კარგად მახსოვს ერთი დიდი ამერიკელის ბრძნული შეგონება: „...მერწმუნე, შენს ტექსტებში არ მოიძებნება ერთი მცირედი ნიშან-თვისებაც კი, რომელიც შენში არ არსებობდეს... თუ გაუხარელი ან შურიანი ხარ, თუ იმქვეყნიური ცხოვრებისა არ გვერა, ან ცინიკურად უყურებ ქალებს – ყველაფერი ეს იმითაც გამუღავნდება, რაც წერისას გამოტოვე, და იმითაც, რაც ჯერ არ დავინერია. არ არსებობს ისეთი ოინი, ისეთი ხერხი, ისეთი რეცეპტი, რომ შენს ნაწერში შენივე ნაკლი არ გამუღავნდეს“.

ზ. ა.



## დისეზილი და ბიძანი მისნი

(ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა გრიგოლ,  
ზაქარია და ილია ორბელიანებთან)

წარსულის მოვლენებისა თუ ეპიზოდების ხელახალი  
გადაფასების გზაზე შემდგარ მკვლევარს გამაფრთხილე-  
ბელ ნიშნად აესვეტება წარნერა თომას სტერნზ ელიოტის  
პარადოქსული ფრაზით: „აწმყო ცვლის წარსულს“. ამი-  
ტომაა, რომ, გარდასულ დროთა და კოლიზიათა წიაღში ინ-  
ტუიციურად წაგრძნობი ჭეშმარიტების დამადასტურებელ  
არგუმენტთა ძიებით გართულნი, შიშით ავხედავთ ხოლმე  
ამ წარნერას, თავს რომ არ დაგვემხოს უნებლიერ ძირგა-  
მოთხრილ რომელიმე ისტორიულ პლასტიან ერთად.

ეს სიფრთხილე გასაგებია, რადგან ჩვენი „ლიტერატუ-  
რული არქეოლოგიის“ ამჟამინდელი ობიექტი ძალზე დე-  
ლიკატურია: ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა დე-  
დამისის უმცროს ძმებთან – გრიგოლ, ზაქარია და ილია  
ორბელიანებთან – დღემდე პასუხგაუცემელი რამდენიმე  
კითხვით.

შევეცადოთ, მიუკერძოებლად ჩავწვდეთ ამ ურთიერთო-  
ბათა ლოგიკას: უფროს ბიძასთან, გრიგოლთან – დისშვილის  
პირველი, გიმნაზისტური, მოკრძალებული წერილებიდან  
– მისივე ფამილარულ, მენტორულ შეგონებებამდე, ხოლო  
თანმეზრდილ ილიასთან – არშემდგარი დუელიდან – „მერა-  
ნის“ მიძღვნამდე; მესამე, შუათანა ბიძასთან – ზაქარიასთან  
ნიკოლოზის გულითადი ურთიერთობა, როგორც ჩანს, დრა-  
მატული „ჩანართების“ გარეშე წარიმართა.

უმცროსი ბიძით დავიწყოთ: „**ილია ორბელიანი** (1814-1853) სწავლობდა ტფილისის გიმნაზიაში. 1834 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში (უნტერ-ოფიცრად). 1845 წელს ებოძა კაპიტანის ხარისხი; 1849 წელს – პოლკოვნიკის; 1852 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი. იპრძოდა დაღისტანსა და ჩეჩენეთში მთიელთა წინააღმდეგ. მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ სამხედრო ოპერაციებში. 1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა დაღისტნის იმამ შამილს და გამოიხსნა გენ. ადიუტანტმა მ. ზ. არლუთინსკი-დოლგორუკივამა. 1853 წელს, გენ. ლეიტ-ის ე.ი.ბებუთოვის (ბებუთაშვილის) ხელქვეით, იპრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბაშკადიკლართან, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა. დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიაში. ილია ორბელიანი დაქორწინებული იყო გიორგი XII-ის ძის, ილია ბატონიშვილის ასულ ბარბარეზე, “ – ასე წარუდგინა აკაკი განერელიამ მეითხველს ილია ორბელიანის ბიოგრაფიის ძირითადი ეტაპები. ბარათაშვილისეული „თავგანწირული მხედარი“ ოდენ პოეტური მეტაფორა როდია: საარაკო სიმამაცით ცნობილი მისი სახელი ჩაიწერა კავკასიური და ოსმალეთთან ომების ისტორიაში. მაგრამ ვერანაირი ნუსხა ვერ აღვინერთ ილია ორბელიანის ანუ „ილიკოს“ (როგორც მას ყველა, დიდი თუ პატარა, მიმართავდა) იმ ადამიანურ ხიბლს, რომლითაც ასე მოაჯადოვა თავისი ხელქვეითნი თუ ზემდგომნი (მეფისნაცვლის – მიხაილ ვორონცოვის ჩათვლით, რომელიც ილიას დაქორწინებაზეც კი ზრუნავდა).

ილია ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობის დასახასიათებლად კომპოზიტი – „**ბიძა-დისშვილი**“ ცოტა დამაბნეველია: ილიკო და ტატო ასაკით დიდად არ განსხვავდებიან, ერთად იზრდებიან („დიდედა ხორეშანის“ გარდაცვალების შემდეგ, ეფემიამ დაობლებული უმცროსი ძმა თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად და დედის მაგივრობას უწევდა მას), გიმნაზიაშიც ერთ კლასში სწავლობდნენ. ასე რომ, რეალურად, ილიკო ტატოს უფროსი ძმის როლს უფრო ასრულებს, ვინემ – ბიძათაგან უმცროსისა.

როგორ უნდა მოახერხო კაცმა, ამგვარი ადამიანი ისე გამოიყვანო წყობიდან, რომ დუელში გამოგინვიოს და, რადგან სასიკვდილოდ არ ემეტები, შენი შეძრნუნება მოინდომოს თუნდაც მხოლოდ ამ საბედისნერო რიტუალით. ყველაფერი პირიქით მოხდა: შეძრნუნებული აღმოჩნდა ილიკო, რადგან სროლის ხმაზე წაქცეული ტატოს დანახვისას, გაიფიქრა, რომ მართლა მოკლა დისმვილი (რაც, ბუნებრივია, არც განუზრახავს). თუ ცხადლივ წარმოისახავთ მთელ ამ მიზანსცენას – გაოგნებული ილიკოთი, ახარხარებული ბარათაშვილითა და მისი სეკუნდანტი მაღალაშვილით, ნამდვილად შეგეცოდებათ ილიკო, რომლის აბუჩად აგდებას ეს გამასხარავებაც მიემატა, და კიდევ ერთხელ დააფასებთ მის სულგრძელობას. აქ დროული იქნება ციტატა იონა მეუნარგიას მოგონებებიდან: „ნ. ბარათაშვილი მეგობრობდა ერთს მაღალაშვილს, რომელიც აგრეთვე ენამნარე და დამცინავი იყო. იგი ხშირად აჯავრებდა რაღაცაზე ილია ორბელიანს. ამ დაცინვაში ხანდახან ტატოც ნაეხმარებოდა ხოლმე მაღალაშვილს“.

დუელის პაროდიას, რომელიც, ისტორიკოს შალვა ჩხეტიას ვარაუდით, „1840 წლის ახლო დროით“ შედგა, გარკვეული შედეგებიც მოჰყვა: ვფიქრობ, სავსებით სწორი უნდა იყოს იაკობ ბალახაშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც – „ბარათაშვილსა და ილია ორბელიანის დუელის ამბავი გახმიანდა და პოეტს ნინადადება მისცეს, ვითომდა ავადმყოფობის მიზეზით, ეთხოვა სამსახურიდან დროებით განთავისუფლება“.

ეს – „კარიერას“ რაც შეეხება, მაგრამ იყო მეორე ასპექტიც – გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე – სამსახურებრივი შეფერხებანი. ვგონებ, მთელმა ამ ისტორიამ რაღაც უხილავი ბზარი მაინც დააჩნია ტატოს ურთიერთობას სამივე ბიძასთან („კლანის ღალატი“). არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამავე მიზეზით აიხსნება გრიგოლ ორბელიანის ერთგვარი ინერტულობა დისმვილის კარიერულ წინსვლასთან დაკავშირე-

ბით (რასაც ასე აყვედრის მას ტატო 1843 წლის აგვისტოში მიწერილ წერილში). ცხოვრებისეული ალღოთი უხვად დაჯილდოებულ გრიგოლს არანაირი გარანტია არ გააჩნია, რომ უცხო გარემოცვაში მისი „პროტეზე“ კიდევ რომელიმე თავმომწონე თვიცერს არ მიიყვანს ახლა უკვე ნამდვილ დუელამდე, და ისევ სჯობს (ორივესათვის), ტატომ ლევან მელიქიშვილის ან მამუკა ორბელიანის „ფრთებქვეშ“ იმსახუროს. ვინ იფიქრებდა, ეს სამსახური დუელზე საბედისწერო რომ აღმოჩნდებოდა...“

არა, ნამდვილად იყო რაღაც ბზარი. ისეთი, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი თუ გააქრობს. და სიკვდილმაც არ დააყვნა... აი, აქ კი, ამ ტრაგიკულ შუქზე მყაფიოდ გამოჩნდა, როგორ ჰყვარებიათ ენამნარე ტატო მის ბიძებს და როგორი ადგილი ეჭირა მათ ცხოვრებაში ბარათაშვილთა ოჯახს.

გავიხსენოთ ის დაზაფრული, ავისმომასწავებელი ცნობით განადგურებული ადამიანის ხმა, რომელიც მოისმის გრიგოლ ორბელიანის ილიასადმი თემირხანშურიდან 1845 წლის 12 ნოემბერს გაგზავნილი წერილიდან: „...თავის დღეში არ მოგინერია – ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელი ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? – უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსათვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავათმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირათ მითხვა, მაგრამ ასე მითხვა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. ახრ ეს დამალვა რა არის? – თუ მიხაკოს ჰსნერ, მე რაღა ვარ? – აქაურმა ცხოვრებამ, ძალლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ გარიაჩითა მიხაკოსთან. – თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სინრფოებით და მასუკან – რადგანაც შენთვის დიდი შრომაა – ნუდარ მოინერები, იყავ შენთვის მშვიდობიანად“.

29 ნოემბერს გრიგოლისადმი საპასუხო წერილში გულმოკლული ილია (რომელიც თვითონაც შეუძლოდა) უკვე აღარ უმალავს უფროს ძმას თავსდატეხილ უბედურებას: „ამ საწყლების, მელიტონის და იმის ცოლ-შვილის ყურე-

ბისათვის ვეღარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვვიშდები და აღარა მესმის რა. ჩვენი სიცოცხლე, ტატო გარდაიცვალა განჯას“ (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე 176).

„ორბელიანთა ოჯახის წევრთ განჯა ახლა სანუკვარ ადგილად მიაჩნდათ. ერთმანეთზე მიყოლებით ისინი ინიშნებიან განჯაში, რომელიც გადაიქცა მათთვის მწუხარების, მაგრამ სანუკვარ ადგილად...“ – წერდა მიხეილ ხელთუბნელი. ნიშანდობლივია, რომ უკვე 1845 წლის ბოლოს, გამოჯანმრთელებისთანავე, ილია ორბელიანს მიავლენენ განჯას (უთუოდ, თავისივე თხოვნით), სადაც ტატოს საფლავის მიხედვა უფრო ადარდებს, ვინემ – ყაჩაღების დევნა. სამგზავრო ჩანთაში კი ტატოს ლექსების ხელნაწერი კრებული უდევს...

ბარათაშვილის შუათანა ბიძას – **ზაქარია ორბელიანს** (1806-1847), ძმების მსგავსად, ზეალმავალი სამხედრო კარიერა ჰქონდა; რეპუტაციაც – ყოვლად შესატყვისი: ერთი პატარა „სისუსტისათვის“ თუ არ დავძრახავთ – სხვისი წერილების კითხვა უყვარდა. მისმა ამგვარმა ცნობისმოყვარეობამ ისე აღაშფოთა მანანა ორბელიანი, რომ, ზაქარიას შიშით, ერთხანს გრიგოლთან მეგობრული მიმოწერაც კი შეწყვიტა (იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის ბარათების კონა 155 [ბ]). ზაქარია ეტრფოდა ნინო ჭავჭავაძეს (ისევე, როგორც მისი უფროსი ძმა), თუმცა ნაკლებად გვაროვან, მაგრამ იშვიათი ადამიანური თვისებების მქონე ქეთევან ალექსი-მესხიშვილზე დაქორწინდა (ანჩისხატის დეკანოზის – დიმიტრის ასულზე; ეფემია და ზაალ ბარათაშვილების დიდი მცდელობით). ზაქარია 1847 წელს ემსხვერპლა დაღესტანში ქოლერის ეპიდემიას.

დისმვილის სახელი დროდადრო გამოჩნდება ხოლმე ზაქარიას მიმოწერაში: 1836 წლის 16 ივნისს იგი სხერს გრიგოლს კოვნოში: „Мелитону всё не здоровиться... Сын его Николай хороший малый... Не знаю, что дальше“ („მელითონი ყველა ჯიში გამოიდება... ისინი ნიკოლაი მარტო ბერძოლია... ვა ვიცი, რა მომავალი ისა...“).

სულ შეუძლოდ არის... მისი ვაჟი ნიკოლოზი კარგი ახალ-გაზრდაა... მერე რა იქნება, არ ვიცი“. საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე 176). ორი კვირის შემდეგ კი აუნყებს: „ტატო აქ იყო. ჩუმად იჩივლა ხელმწიფესთან არზითა თავის საქმეზედ“ (იმავე წყაროდან). რაზე იჩივლა ბარათა-შვილმა ხელმწიფესთან აქაურ ხელისუფალთა გვერდისავ-ლით, დღემდე არ ვიცით.

ზაქარიას წერილებში ტატო, როგორც წესი, გულთბილად მოიხსენიება, თუ შემთხვევით არ გადაანუდებით ფრაზას, ცოტა რომ გეხამუშებათ და ისევ იმ წყეულ „ბზარს“ რომ შეგახსენებთ: „*Поцелуй от меня племянника Тамо, дzonно та гვსავით დაძრება...*“ („დისშვილ ტატოს აკოცე ჩემგან“). ზაქარია ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი. 1843 წლის 8 თებერვალი. ხელნაწერთა ეროვნული ფონდის კოლექცია. ბარათების კონა 155 (ბ).

არა მგონია, პირველი ვიყო მკვლევართაგან, ვინც ეს წერილი არქივში წაიკითხა. მაგრამ აქ გულწრფელად უნდა ითქვას, რომ, ჩვენს „ბიოგრაფისთა“ დაუნერელი კანონის თანახმად, ეს ყურისმომჭრელი „თაგვსავით დაძრება“, ეტყობა, ჯობს, არქივშივე დარჩეს...

ბარათაშვილის „ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში“ ზაქარია სამად-სამი წერილის ადრესატია. თუმცა ერთი წერილის გადაკითხვაც საკმარისია, რომ ვიგრძნოთ, რაოდენ განდობილი და სათუთი დამოკიდებულება აკავშირებს ბიძასთან დისშვილს: „*საყვარელო ძმაო ზაქარია! – სწერს ნიკოლოზი ბიძამისს თბილისიდან დაღესტანში 1844 წ. 15 აპრილს, – რატომ ერთმანეთს წერილებს არ ვწერთ? უნდა გამოგიტყდე, ამ საკითხმა დამატიფიქრა. აქსიომაა, რომ შენ მიყვარხარ; წერა რომ არ მეზარება, ამას ამტკიცებს ჩემი სამსახურებრივი საქმიანობა. მაშ, რა მიზეზია? ჰოლოს მივხვდი: დაუდევრობა, საერთოდ ქართველთა თანდაყოლილი სისუსტე. სხვა, ძმაო, მიზეზი მე არ ვიცი და შენ განმიმარტე... ესეც კი არის, რა მოგწერო? შენმა წერ-*“

იღმა, რომელიც აღსავსეა სევდითა და დაღლილობის გრძნობით ცხოვრების აზვირთებული ნაკადისაგან, ღრმა გამოხმაურება პოვა ჩემს სულში, თუმცა ჩვენ ამისთვის სხვადასხვა მიზეზი ვგვაქვს. მე ძალიან ავად ვიყავი; ცოტა დააკლდა ილვისიოსის მინდვრებში არ გადავსახლდი. აქა-მდის არავითარი ავადმყოფობა არ ვიცოდი, ამიტომ მან რაღაც უცნაური გავლენა მოახდინა, შეიძლება, მთელს ჩემს სიცოცხლეზე. ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომ-ლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოვე-ლივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღა-ვსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი შეძლება მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებ-საც მათი გაუმაძლრობით და მშვიდად და მოსვენებით გა-ვატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას სადა ბუნების ნიაღში, რომელიც ეგზომ დიადი და ნარმტაცია ჩვენს სამ-შობლოში. გამომთელებისას ასეთი მნარე ფიქრებით ვი-ყავი შეპყრობილი, როდესაც შენი ნერილი მივიღე. აი, რატომ თანაგივრძნობდი შენ! ...შენი ნერილის შემდეგ მი-ვიღე გრიგოლის ნერილიც. რას მოინერებოდა? მიეცი მას თუგინდ ავგუსტუსის ტახტი, ის მთელს რომის იმპერიას კომიკური ხუმრობის საგნად აქცევდა. ხუმრობა და ხუმრო-ბა. უთუოდ ჯერ თავისი პოდპოლკოვნიკობა არ იცის“.

გენიშებათ, როგორი უბოროტო, მაგრამ ორაზროვა-ნი იუმორითაა აქ ნახსენები გრიგოლ ორბელიანი. სხვა-თა შორის, ზუსტად ისევე, როგორც თავის მხრივ, გრიგო-ლი მოიხსენიებს ტატოს: მაშინაც, როცა ის ზარმაცობს და ნერილებს უგვიანებს („ნიპრუა ჩვენი დისწული ხომ არ კადრულობს. *Мошенники!*“ (ანუ – „გაიძვერები!“), და მაში-ნაც, როცა მრავალსიტყვიან ნერილებს უგზავნის: „...ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყუ-რი დაუვდო თორებ აღარ გაათავებენ...“.

ყმანვილი დისჭვილისადმი ბიძის ალერსიანად-არასერი-ოზული მიმართება ინერციით გრძელდება ტატოს დავაჟკა-ცების შემდეგაც. ბარათაშვილის თანამედროვეთა მოგონე-

ბებზე დაყრდნობით, ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „გრიგოლ ორბელიანს ერთობ ჰუკარებია პატარა ნიკოლოზი: საკეთილ-შობილო სკოლიდან თითქმის ყოველდღე გრ. ორბელიანთან დადიოდა. დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც ახსოვთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა გრიგოლ ორბელიანთან“.

სრულიად ბუნებრივია, რომ გრიგოლისათვის განურჩეველი არ იქნებოდა მის თვალნინ გაზრდილი დისტვილის პრობლემები. 1835 წლის ზაფხულში რიგიდან გამოგზავნილ წერილში იგი ეკითხება ზაქარიას: „— რასა იქს ტატიკო, კიდევ კოჭლობს, თუ აღარა? და ან რას სწავლობს? ურჩიე მელიტონს, რომ ეცადოს სახელმწიფო კამაყოფაზედ იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში. — სამწუხარო, ძალზედ სამწუხარო იქნება, თუკი მისი გონებრივი შესაძლებლობები განუვითარებელი დარჩება. — ნეტავი გამოგზავნოს დერპტსკი უნივერსიტეტში, რომელიცა არის უპირველესი რუსეთში. — ძალიან ადვილია ამის აღსრულება, თუკი მელიტონი ჰქონებს ბარონს“.

დისტვილზე 13 წლით უფროსი დინჯი გრიგოლისათვის „მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი“ ნიკოლოზი (იონა მეუნარგიას დახასიათებით), უკვე დავაუკაცებულიც კი, რჩებოდა იმ „ნიპრუა დისტვად“, რომლისგანაც ბიძამისი რაიმე უცნაურ გამოხდომას უფრო ელოდა, ვინემ — გენიალურ ლექსებს. ეს არასერიოზული მიმართება, ვგონებ, ონომასტიკის სფეროს გასცდა. თუმცა, ამაზე შემდგომ...

თავის მხრივ, ტატო „გარდახვეწილ ძია გრიგორის“ მოწინებითა და აღფრთოვანებით უძღვნის ლექსს („ძია გ... სთან“), დროდადრო, თავის, შემდგომ უკვე შედევრებად აღიარებულ, ლექსებსაც უგზავნის (მის წერილებში ჩართულია „ვპოვე ტაძარი“, „მერანი“, „სულო ბოროტო“, „საფლავი მეფის ირაკლისა“...) და სულმოუთქმელად ელოდება პოეტი-ბიძის მსჯავრს. კონსტანტინე მამაცაშვილის გადმოცემით, „ყველაზე მეტი ზედ მოქმედება ჰქონდა იმაზედ ბიძას, ჩვენს პოეტს თ. გრიგორ დიმიტრის ძე ორბელიანს“.

მრავლისმეტყველია თვით ამ „ეპისტოლარული ეტიკეტის“ ევოლუციაც, რომლის მიხედვითაც, მკაფიო წარმოდგენა გვექმნება ბიძა-დისშვილის თანდათანობით დამეგობრების ეტაპებზე. რომანტიკოს ბიძა-დისშვილის არც ერთ თანამედროვეს არ გასჩენია სურვილი, მოეთხროთ მათ ამბივალენტურ ურთიერთმიმართებაზე, ამიტომ არარსებული ნარატივის მაგივრობა ერთგვარმა „ლიტერატურულმა კოლაჟმა“ უნდა გასწიოს. ძირითადი ფრაგმენტები აქ, რაღა თქმა უნდა, ბარათაშვილის იმ რამდენიმე წერილიდან იქნება ამოკრეფილი, რომელთა ადრესატიც მისი უფროსი ბიძა იყო. თავად გრიგოლ ორბელიანის ნიკოლოზისადმი მიწერილი არცერთი ბარათი არ შემორჩენილა, თუმცა გრიგოლის მდიდარი ეპისტოლარული მემკვიდრეობა მაინც იძლევა შესაძლებლობას, წარმოვისახოთ, თუ როგორი ადგილი ეჭირა მის ცხოვრებაში დისშვილს და რა პრობლემებს უქმნიდა მას – ცოცხალიც და სიკვდილს შემდგომაც...

ბარათაშვილის 1843 წლის აგვისტოში ბიძამისისათვის გაგზავნილი ის განაწყენებული წერილი გვახსენდება, რომელშიც ის გრიგოლ ორბელიანის ისე ფამილარულად და ისეთი შეუნილბავი ირონიით მიმართავს, რაც არასოდეს გაუბედავთ გრიგოლის უმცროს ძმებსაც კი: „საყვარელო ძმაო ვრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!

ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუნერლობისა თუ არა? ვისთანაც შეგნან მოწერილი წიგნი ნავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძლვის მეტი არა იყო რა. ჩემთან რომ ფარატინი გამოევეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი და, ხომ იცი, რომ სანუინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება.

საკურველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვძერდებიო, პპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მიჰსცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ

დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით!

ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მინვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ. გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარებისათვის დაბადებულიო, ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს. ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!

ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის, ეცადე, რომა რე[ნ]ენ-კამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის? ვიცი დაგავინყდა, მაგრამ არა, არ დაგვინყებია. ეს იმ სხეულების ბრალია, რომლისა გამოცქართველი თავისიანს არ გამოადგება... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განჰქვას გამიტრიზავებ: ემირობა მასხარად აიგდე და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ?..“.

ვგონებ, საკამათო არაა, რომ ჩვენ თვალნინაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტი არა მხოლოდ ბიძადისშვილის ურთიერთობათა გასაგებად, არამედ ბარათა-შვილის ფსიქოლოგიური პორტრეტის ნათელსაყოფადაც. აქ პირველი ნაწილი (ციტირებული) შეურაცხყოფილი ადამიანის პათეტიკური მონოლოგია, ხოლო მეორე, ამის საპირნოედ – თბილი, შინაურული და იუმორნარევი თხრობა „ქალაქურ ამბებზე“.

თითქმის ორი საუკუნის შემდეგ, ჩვენს გაუნელებელ ინტერესს იწვევს, რამდენად სამართლიანია ტატოს პრეტენზიები ბიძამისისადმი, და ხომ არ არის ამ წერილში მინიშნება პოეტის ერთ, უმთავრეს წყენაზე.

ერთხელაც გადავხედოთ 25 წლის ნიკოლოზის მიერ წარმოსახულ დრამატულ სურათს: იგი სულიერი მემკვიდრეა პოეტი ბიძისა, რომელიც უშვილძიროდ „ჰბერდება“ (ამ დროს 38 წლისაა!), მაგრამ ჯიუტად არ უნდა დაიჯეროს,

რომ „როდესაც თვითონ დაეცეს“, მისი ლექსები „ერსა შორის“ გაუღერდება მისგან ჯერაც დაუფასებელი „თავის მემკვიდრის შუამავლობით“. ამრიგად, გრიგოლი მაქსიმალურად უნდა იყოს დაინტერესებული ტატოს წარმატებით უკვე არა როგორც ბიძა, არამედ – როგორც ლიტერატორი. კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ: საფიქრებელია, რომ „მემკვიდრის“ მომავალი მისის გათვალისწინებით – „ღრე-კლდეს გამოყვანა და გაშლილს ადგილზე დგომა“ – ტატოს სამსახურებრივ კარიერაზე ზრუნვასთან ერთად, გულისხმობდა მისი ლიტერატურული რეპუტაციის განმტკიცებასაც.

რას აკეთებს ამ დროს გრიგოლი?! ხმას არ იღებს ტატოს ლექსებზე, მე-12 კლასის ფეხმტკივან ჩინოვნიკს კი ჰპირდება, რომ გაუშვებს დაღესტანში მე-19 ფეხოსანი დივიზიის მეთაურის, გენერალ რენენკამპფის განკარგულებაში. ეს ის პავლე რენენკამპფია, რომელზეც გრიგოლი დისშვილის წერილის მიღებამდე ერთი თვით ადრე თავის მფარველ სარდალს, გენერალ მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვს მისწერს: „კნიაზო, ნუ გამიწყრებით, და ეს ვერც სულით და ვერც სხეულით ვერ გამოდგება აქა. მეტად სუსტია ორივეში!“

ისე რომ, საფიქრებელია, გრიგოლმა იჩქარა ტატოს დაიმედება, და მერე, როდესაც ყველა გარემოება აწონ-დაწონა, საერთოდ გადაიფიქრა მისი დაღესტანში გაშვება; არც ისაა გამორიცხული, რომ მან მაინც მისწერა რენენკამპფს, მაგრამ უარი მიიღო და ეს ველარ გაუმხილა დისშვილს. ასეა თუ ისე, გრიგოლ ორბელიანს ნამდვილად არ ეთქმის საყვედური დისშვილის სამსახურებრივი კარიერისადმი უყურადღებობის გამო. აი, „ლიტერატურულ რეპუტაციას“ რაც ეხება, აქ რაღაც კითხვის ნიშნები ნამდვილად დაისმის: განა არის ყურისმომჭრელი ზემოთ ციტირებულ წერილში ნიკოლოზის გაღიზიანება გრიგოლის იუმორით: „ვისთანაც შენგან მონერილი წიგნი წავიკითხე, უკელასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა“. რა ხდება?! თვითონ მეგობრულ წრეში გატაცებით ოხუნჯობს თავის ახლობლებ-

ზეც (როგორც ვნახეთ, ზოგჯერ – თავშეუკავებლადაც) და შორებლებზეც. რა არის ასეთი უპატიებელი გრიგოლის „ეპისტოლარულ იუმორში“?! ისე მგონია, რომ ნიკოლოზი, რომელიღაც ახლობელთან წერილების თვალიერებისას (რაც სტუმრად ყოფნისას ტრადიციული რიტუალი იყო უურნალ-გაზეთების არარსებობის გამო), გადააწყდა გრიგოლის იუმორით ნათქვამ, მაგრამ აშკარად არაკომპლიმენტურ ეპითეტს თავისი (ან თავისი ლექსების) მისამართით, ეს ნართაულად აგრძნობინა კიდეც გრიგოლს და შემდგომ მისთვის არცერთი თავისი ლექსი აღარ გაუგზავნია. ასე რომ არ იყოს, სრულიად გაუგებარია, რა უნდა აიძულებდეს ახალგაზრდა კაცს, ჭუას ასწავლიდეს ცხოვრებისაგან გამობრძმედილ ბიძამისს (ამასთანავე, პოეტს), ვის როგორი წერილები მისწეროს?!

და აქვე – ერთი კითხვა, რომელსაც, როგორც წესი, თვალს არიდებენ ქართული რომანტიზმის მკვლევარნი: როგორ მოხდა, რომ გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც ასე გულმოკლულმა დაიტირა თავისი „ტატო“, მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში ბარათაშვილის პოეზიისადმი მიღვნილი ერთი სტრიქონიც კი არ გამოუქვეყნებია და პირად მიმოწერაშიც სიტყვა არ დაუძრავს დისშვილის მუზაზე?!

ამ უცნაური ფენომენის ასახსნელად მთლად დამაჯერებლად არ ჟღერს ზოგიერთი ჩვენი კოლეგის (იუზა ევგენიძე) მიერ მოხმობილი ერთადერთი არგუმენტი: ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, სიბერეში გრიგოლ ორბელიანს უარი უთქვამს მისთვის იუბილეს გადახდაზე და განუცხადებია: „თუ მაინცა და მაინც არ იშლიან, აგერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილი“. ძალზე გონიერი და რამდენადმე დემონსტრაციული პასუხია. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ გრიგოლს, სიტყვაზე, „დავითიანის“ ავტოგრაფი სდებოდა უჯრაში 30 წელი, და არც გამოქვეყნება მოეწადინებინა მისი, არც ორიოდე სიტყვის წამდლვარება...

და მაინც, რითი აიხსნება გრიგოლ ორბელიანის ეს უცნაური ინერტულობა: უყურადღებო ადამიანია თუ უინი-

ციატივო?! არც ერთი და არც მეორე. გრიგოლ ორბელიანის მთელი ბიოგრაფია ცხადყოფს, როგორი პათოსით აიტაცებდა იგი ამა თუ იმ კეთილისმყოფელ იდეას. ერთ-ერთი ბოლო მაგალითი მიხეილ საბინინის „საქართველოს სამოთხის“ შესანიშნავი გამოცემა იყო 1882 წელს.

ამიტომაც ერთადერთი ხინჯი, რაც გულში ჩარჩება ბა ბარათაშვილის გარემოცვის შემყურე მკვლევარს, ესაა პოეტის სიკვდილშემდგომი მიუსაფრობა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ტატო ყველამ დაიტირა, მაგრამ ახლობელთაგან მის შემოქმედებით მემკვიდრეობას მხოლოდ ლევან მელიქიშვილმა უპატრონა.

აյ მართებული იქნება, სწორედ ლევან მელიქიშვილის წერილიდან მოვიხმოთ ერთი ციტატა, მიხეილ ხელთუბნელის კომენტარებით: „იღიუ, აქაც გთხოვე და კიდევაც გთხოვ, საწყალი ტატოს ლექსები რომ გაქვს მანანას ქალისგან წაღებული, გამომიგზავნე, რჩება დაუბეჭდველი და ბედი ქართლისაც შეგ გაქვს. ფულებს კი აღარ ვგონებ, ეგენი მაინც გამომიგზავნე“, – სწერდა ის ილია ორბელიანს 1846 წლის 27 ივლისს განჯაში. გრ. ორბელიანსაც ასევე სთხოვდა, გაეგზავნა მისთვის, რაც კი ლექსები ჰქონდა ნ. ბარათაშვილისა და დაეწერა არა მარტო წინასიტყვაობა თხზულებათა კრებულისათვის, არამედ, ეპიტაფია ძეგლისათვის“.

როგორ აფიქრებს და აფორიაქებს ბარათაშვილის ბიოგრაფიის მკვლევარს ეს კითხვა: პოეტმა-ბიძამ მართლაც ვერ დაინახა და ვერც შეაფასა დისშვილის ტალანტი, თუ რაღაც თვითშენახვის ინსტინქტმა „დააბრმავა“ და აფიქრებინა, რომ, „ტატოს“ გენის აღიარებით, თავს დაემსობოდა მთელი თავისი პოეტური კარიერა... მარადიული გამოცანაა – როგორ და რაწამს გვამარცხებენ ჩვენივე დემონები...

რაღა თქმა უნდა, შეიძლებოდა ეს მტკივანი კითხვები ამჯერადაც მკვლევართა მომავალი თაობისათვის გადაგვემისამართებინა (როგორც ბევრი სხვა რამ), მაგრამ – როდემდე?!



## 30ს ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“?

„არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქვი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის ნაკითხვაზე, რასაკეირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დაგწერუ და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიცინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი გრიგოლ  
ორბელიანისადმი, 1842 წლის 2 მაისი

დაინტერესონ ახლა რიტორიკული კითხვები, – გაიფიქრებს ბარათაშვილოლოგის ნიუანსებში გაუთვითცნობიერებული მკითხველი. ვაი რომ, ეს რიტორიკული კითხვა არ არის, და ამაში თავად დარწმუნდებით: „...ამიერიდან შეგვიძლია თამამად ვთქვათ, „მერანი“ შთაგონებულია ალექსანდრე ბატონიშვილის პიროვნებით, მისი დაულალავი ბრძოლით სამშობლოს თავისუფლებისათვის“.

პარადოქსია, რომ ამ კატეგორიულ განცხადებას ამოიკითხავთ ისეთ სერიოზულ, 750-გვერდიან ნაშრომში, როგორიცაა ნინო ვახანიას XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, გათვლილი, ძირითადად, სტუდენტურ აუდიტორიაზე. რა

არგუმენტებს იშველიებს ავტორი იმ დეზორიენტირებული სტუდენტის დასაკუთალიანებლად, რომელმაც აქამდე იცოდა, რომ „მერანი“ ილია ორბელიანს ეძღვნებოდა?!

„პავლე ინგოროვას აზრით, ლექსის დაწერის მიზეზი უფრო ალექსანდრე პატონიშვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ილია ორბელიანი. პავლე ინგოროვას ეს მოხაზრება ჩვენს დროში გაახმოვანა როსტომ ჩხეიძემ, განამტკიცა ის მაგალითებით და ეჭვშეუვალი გახადა...“.

ლიტერატურის ასპარეზზე ავტორიტეტული მხარდაჭერა, თუნდაც ვირტუალური, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. აი, ჩვენს შემთხვევაშიც, ნახეთ, ვინ უმაგრებს ზურგს ნინო ვახანიას: XX საუკუნის ქართული ფილოლოგიის პატრიარქი, „გიორგი მერჩულეს“ ავტორი, პავლე ინგოროვა და მის გვერდით – როსტომ ჩხეიძე, ქართველ ლიტერატორთა საშუალო თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი, რომლის ბიოგრაფიულმა რომანებმაც ათასობით მკთხველს გააცნო და შეაცვარა ჩვენი დიდი წინაპრები, ხოლო მისი რედაქტორობით გამოსულმა ჟურნალმა „ჩვენმა მწერლობამ“ განუზომელი სამსახური გაუწია თანამედროვე ქართულ ლიტერატურას.

„ჩვენი მწერლობის“ ავტორთა შორის მეც ვიყავი და დღემდე მადლიერებითა და სითბოთი ვიხსენებ ჩვენს თანამშრომლობას. არ გამოვრიცხავ, შემდგომი გვერდების კითხვისას მკითხველი დაეჭვდეს ამ სიტყვების გულწრფელობაში; დაეჭვდეს, რადგან ჩვენს ცნობიერებაში მეგობართან თუ კეთილგანწყობილ კოლეგასთან საჯარო პოლემიკა არანაირად არ წყვილდება ადამიანურ სითბოსა და პატივისცემასთან. არისტოტელესეული – „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება – კიდევ უფრო დიდი მეგობარი“ – აფორიზმების კრებულებსლა შერჩა...

და მაინც, იმედი მაქვს, თუნდაც რამდენიმეს ამ მკითხველთაგან „ლიტერატურული ინტუიცია“ უკარნახებს, რომ შესაძლებელია, ადამიანმა ცხოვრება გაირთულოს და მართლაც საპატივცემულო კოლეგები გაანაწყენოს

საუკუნე-ნახევრის წინანდელი დრამების დიამეტრალურად განსხვავებული ინტერპრეტაციის გამო. იმ კეთილშობილ და ზეპატრიოტული მოტივებით ნაკარნახევ ინტერპრეტაციას ვგულისხმობ, რომლის ავტორიც ფანატიკური მონდომებით, „ლიტერატურული ფოტოშოპის“ გამოყენებით, ცდილობს, ნიკოლოზ ბარათაშვილი რომანტიზმის ეპოქის მერაბ კოსტავად წარმოგვიდგინოს.

ეს ფანატიზმიც ხომ გადამდები რაღაცაა, და აი, მეც „ზელირებულ იდეად“ მექცა მოქ. ნიკოლოზ ბარათაშვილის რეპუტაცია დავიცვა წარმოსახულ „ლიტერატურულ სასამართლოზე“, რადგან, რეალური მერაბ კოსტავასაგან განსხვავებით, ჩეხებისეული „ფოტოშოპის“ წყალობით, ვირტუალური ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი/ბიოგრაფია ერთობ ანტიპათიურად გამოიყურება. სწორედ ამ პათოსით ვუბრუნდები თხრობის ძირითად თემას.

არ ვიცი, რას იზამს ჩვენი სტუდენტი, რომელმაც უკვე ლამის ზეპირად იცის ამ ესსეს ეპიგრაფად გამოყენებული წერილი ნიკოლოზ ბარათაშვილისა „მერანის“ ადრესატის თაობაზე, მაგრამ პოეტის ბიოგრაფიის მკვლევარი უბრალოდ ვალდებულია, გაეცნოს როსტომ ჩხეიძის იმ „ეჭვშეუვალ“ არგუმენტებს, რომლებმაც, ავტორის ჩანაფიქრით, უნდა დაგვარწმუნოს, რომ ზემოხსენებული წერილი ბარათაშვილმა კონსპირაციული მოსაზრებით დაწერა.

ვრცელი ციტატის მოხმობა მომიწევს, სხვა გზა არ გვაქვს: „...ნამდვილად კონსპირაციული ხერხი უნდა ყოფილიყო. ეტყობა, ბარათაშვილს თავიდანვე ერჩია, ხმა ასე დაეყარა, თორემ ილია ორბელიანის დატყვევება ძალიან პატარა საბაბი, უფრო მეტიც: სრულიად შეუსაბამო საბაბი ჩანდა ამხელა შთაგონებისათვის: შინაგანად გაორებული, დაბნეული კაცის სახე – კაცის, ვინც თავისი მამულის დამპყრობთა მხარდამხარ იბრძოდა სხვისთვის თავისუფლების წასართმევად – განა ასეთი განზოგადებისათვის გამოდგებოდა? არა და არა, „მერანის“ უსაზღვრო არე და სული ასე ხომ ერთბაშად დაკინდებოდა. და რადგანაც

„მერანი“ ალექსანდრე ბატონიშვილს ეძღვნებოდა, სავსე-ბით გამართლებული ჩანს ის კონსპიროლოგიური ხერხიც და მოგვიანებით იმ ლექსის დაწერაც...“.

რომელი „იმ ლექსის“ – შემეცითხებით?! მირჩევნია, ისევ როსტომ ჩხეიძემ გიპასუხოთ: „....ის მეორე ლექსი „ომი საქართველოს [თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დალისტნისა და ჩეჩენელთა, წელსა 1844-სა, მძღვანველობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა]“, მოსალოდნელია, რომ პოეტის სხვა ლექსის გადასარჩენად გამოსდგომოდა. სახელდობრ, რომ-ლის? „მერანის“... სწორედ „მერანის“ გადასარჩენად“.

„მეორე ლექსის“ სათაური უკვე გასაგებია. ახლა გავარკვიოთ „პირველი“ ლექსი რომელილაა?

– „პირველია“ „საფლავი მეფის ორაკლისა“, რომელიც (ისევ როსტომ ჩხეიძეს ვუთმობ სიტყვას): „სრულიად ეწინააღმდეგებოდა „ბედი ქართლისას“ იდეურ კონცეფციას... მაგრამ აქ, ასე თუ ისე, მაინც შეიძლება გარკვეული ვარაუდების გამოთქმა. ბოლოსდაბოლოს, ეს კომპრომისი აიხსნებოდა იმით, რომ ბარათაშვილს, როგორც მეფე ერეკლეს შვილიშვილს, ამგვარი აპოლოგეტური დამოკიდებულება სახელოვანი და ტრაგიკული მეფისადმი ოჯახური წრიდან შეეთვისებინა (სხვათა შორის, კონსტანტინე გამსახურდია სწორედ ამ მიზეზით არ ანიჭებდა „საფლავი მეფის ორაკლისა“-ს რაიმე მნიშვნელობას); და როცა უშუალოდ მიმართავდა მის აჩრდილს, რა გასაკვირია, რომ მორიდებოდა მისი ამ პოლიტიკური ნაბიჯის მეაცრ შეფასებას...“.

აქვე განვუმარტავ მკითხველს, რომ ამ ფრაზის დასასრულში („მიმართავდა მის აჩრდილს...“ და ა.შ.) კონსტანტინე გამსახურდია კი არ იგულისხმება, არამედ პავლე ინგოროვა, რომლის სახელითაც ლაპარაკობს აქ ციტირებული ბიოგრაფიული რომანის („ბედი პავლე ინგოროვასი“) ავტორი. ისიც უნდა ითქვას (და ამას სამართლიანობის გრძნობა მკარნახობს და არა „პოლიტკორექტულობა“), რომ ვერცერთ სხვა ავტორთან ვერ იხილავთ ასე საგულდა-

გულოდ ამოკრეფილ და ამდენ საინტერესო დეტალს პავლე ინგოროვას ბიოგრაფიიდან.

უკიდეგანო წარმოსახვის მქონე პავლე ინგოროვას, ნიკო მარის მსგავსად, შეეძლო, იმ თავისი განსაცვიფრებელი ფილოლოგიური მიგნებების გვერდით რაიმე პარადოქსული ფრაზა წამოესროლა ან ისეთი ინტრიგის შემცველი სიუჟეტი შეეთხზა, რომლის რეალობისაც უფრო სჯეროდა, ვინემ – ნებისმიერი ისტორიული ფაქტის. თუმცა ზოგჯერ, ვგონებ, იგი მისტიფიკაციას გამიზნულად მიმართავდა. ეს – ისეთ შემთხვევაში, როცა, ისევ და ისევ ლიტერატურული ინტერესებიდან გამომდინარე, თვლიდა, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებას“. გულახდილად ვიტყვი, რომ ეს ექსპანსიურობა, უზომო განსწავლულობასთან ერთად, თავისებურ ხიბლს სძნდა ქართული ფილოლოგის ამ დონ-კიხოტს ფრთხებშეკვეცილი აკადემიკოს-გრანდების ფონზე... რადგან ნიკო მარი ვახსენეთ, ეგების, „მერანის“ მისეული ლაკონიური და ერთობ დამაფიქრებელი დახასიათებაც გაგვეხსენებინა: „მერანი“ – ესაა მონოლოგი კატასტროფის ზღურბლზე მდგარი ნაციისა.“

რაც უნდა სანდო იყოს ზეპირგადმოცემა, რომლის თანახმადაც, „მერანის“ ადრესატის დაკანონებულ ვერსიაში პირველი პავლე ინგოროვა დაეჭვდა, მას მაინც არასოდეს დაუწერია და დაუსაბუთებია, რომ ეს ლექსი ილია ორბელიანს არ ეძღვნებოდა. დიდი ფილოლოგის Alter ego-ს თქმით, არ დაუწერია იმიტომ, რომ „ალექსანდრე ბატონიშვილის ხსენება და, მითუმეტეს, იმის მტკიცება, „მერანი“ რუსთა წინააღმდეგ ამ დაუღალავი მებრძოლის სახითაა შთაგონებულიო, არანაკლებ საფრთხილო გახდება, ვიდრე თავის დროზე თვითონ ბარათაშვილი ფრთხილობდა...“.

აქ ასეთი კითხვა მებადება: ვთქვათ, 1938 წელს, თავისი ბიოგრაფიული წარკვევის პირველი პუბლიკაციისას, პავლე ინგოროვა არ ახსენებს ალექსანდრე ბატონიშვილს; „ფრთხილობს“ 1945 წელსაც – საიუბილეო გამოცემის წინასიტყვაობის წერისას, თუმცა ალექსანდრე ბატონიშვი-

ლის სახელი სულაც არაა ტაბუირებული; აი, 1969 წელს, როდესაც უკვე ცალკე მონოგრაფიად აქვეყნებს ამ ტექსტს – მაშინ რიღასი ეშინია?! ხომ ცხადზე ცხადია, რომ მაგიდაზე უდევს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბის“ XXII-ე ტომი (1961 წ.) შოთა ხანთაძის პუბლიკაციით „მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის“. ისიც ხომ ცხადია – ბოლომდე დარწმუნებული რომ ყოფილიყო თავის ვერსიაში, 1969 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში – „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ სიტყვასიტყვით არ გაიმეორებდა 30 წლის წინ დაწერილი ბიოგრაფიული ნარკვევის ტკივილიან ფინალს: „ნ. ბარათაშვილის გარდაცვალებიდან მეორე წელს პოეტის სამარხზე საფლავის ქვა გადააფარა მისმა სიყრმის მეგობარმა ილია ორბელიანმა, იმ ილიამ, რომელსაც პოეტმა უძღვნა თავისი „მერანი“.

როგორც ჩანს, პავლე ინგოროვა ერთხანს მართლაც გაიტაცა ლეკურ ფოლკლორში „მქროლავი მხედრის“ ანალოგიამ „მერანთან“ (საინტერესოა, რომ, ამასთანავე, იგი კატეგორიულად უარყოფდა „მერანის“ მეტონიმიურ კავშირს მიცევიჩის „ფარისის“ უდაბნოში გაჭრილ ბედუინთან).

პავლე ინგოროვას ამ ერთ-ერთი „გატაცების“ ისტორიაზე ოთარ ჩხეიძე მოგვითხრობს ვასილ ბარნოვისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანის კომენტარებში: „ერთი ლეკური თქმულების მიხედვით, მფრინავი ცხენი ჰყოლია ალექსანდრე ბატონიშვილსა, იმ ცხენით დაპქროდა, უცებ გაჩნდებოდა, სადაც საჭირო იყო, უცბადვე გაპქრებოდა, ღრუბლებს გაეკვროდა, გადაიელვებდა. მზის მიერ დალოცვისა და ზეცის მოვლენის სცენა „ისკანდერში“ ამ და ამდაგვარი თქმულებიდან უნდა მომდინარეობდეს. ესევე თქმულება უფრო ადრე ნიკოლოზ ბარათაშვილს გამოუენებია. გიორგი შატბერაშვილი გულისხმობდა, რომ „მერანის“ დაწერის საბაზი არ უნდა ყოფილიყო ილია ორბელიანის დატყვევება ლეკთა მიერა, – ილია ორბელიანი და მისი

დატყვევება შეუსაბამო საბაბია, ან ძალიან პატარა საბაბია „მერანის“ შთაგონებისთვისაა. „მერანი“ შთაგონებულია ალექსანდრე ბატონიშვილსა და მისი მფრინავი ცხენის ლეკური თქმულებისაგანაო. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ილია ორბელიანის დატყვევება კონსპირაციული მიზნით გაისაბაბაო. ვიორგი შატბერაშვილი სანდრო ახმეტელს იმოწმებდა, ეს თქმულება იმისგან ვიცი და კიდევაცა მთხოვა, პიესა დამენერა ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებაო. თხოვნა თხოვნად დარჩა, ისე აირია ჩვენი ცხოვრებაო. როგორც ირკვევა, სანდრო ახმეტელისათვის პავლე ინგოროვას უნდა მიეწოდებინოს ეს ლეკური თქმულებაცა და პიესის დადგმის იდეაცა“.

ახლა უკვე ჩვენც შეგვიძლია, „არიადნეს ძაფი“ დავძებნოთ ამ ლაბირინთიდან თავდასალწევად. მაშ ასე: **პავლე ინგოროვამ** გაანდო ეს იდეა სანდრო ახმეტელს; სანდრო ახმეტელმა – ვიორგი შატბერაშვილს; ვიორგი შატბერა-შვილმა – ოთარ ჩხეიძეს; ოთარ ჩხეიძემ – თავის ვაჟს, როსტომს; **როსტომ ჩხეიძემ** – ნინო ვახანიას და **ნინო ვახანიამ** – ამდენი ავტორიტეტული სახელის წერილებული გაოგნებულს სტუდენტს, რომელსაც, ქვის გული უნდა გქონდეს, რომ არ შეეშველო ასეთს შეჭირვებაში.

არ მინდა, ყურადღებიდან გამომრჩეს კიდევ ერთი გარემოება: ამ ჩამონათვალში ძალზე მრავლისმეტყველია უანრების მონაცვლეობა: დასაწყისი (ინგოროვა-ახმეტელი-შატბერაშვილი) **ზეპირსიტყვაობაა;** შემდგომ, ოთარ ჩხეიძესთან – უკვე ამ ფოლკლორული სიუჟეტის პირველი დოკუმენტური **ჩანაწერი** (ვგულისხმობ ზემოთ ციტირებულ კომენტარებს წიგნში – „რომანი და ისტორია“); როსტომ ჩხეიძესთან ამ დოკუმენტურ მონათხრობს, ფაქტობრივად, უკვე **მხატვრული პროზა** ენაცვლება, როცა ავტორისეული წარმოსახვა პრაქტიკულად შეუზღუდავია (თან თხრობის სტილიც ხომ თავისებური აქვს!), დაბოლოს – ნინო ვახანიას მონოგრაფია, პირიქით, ყოვლად მოწერიგებული აკადემიური ნაშრომის უანრშია შესრულებუ-

ლი და „მერანის“ ადრესატის მეტამორფოზებს მკითხველს უკვე დადგენილი და აპრობირებული მეცნიერული თეზის სახით აწვდის.

გულწრფელად რომ ვთქვა, სწორედ ეს „აკადემიური წარდგენა“ იყო ბოლო წვეთი, რომელმაც გადამაწყვეტინა შეკამათება იმ ადამიანებთან, რომელთაგან უფროსებს პირადად ყიცნობდი (ახმეტელის გამოკლებით) და მათი სახელები დღესაც ჩემთვის ყველაზე კეთილშობილ, ზნეობრივ თუ პროფესიულ თვისებებს განასახიერებს; უმცროსებთან კი, როგორც ვთქვი, ხანგრძლივი ლიტერატურული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა მაკავშირებს. ეს წმინდა ადამიანური ფაქტორი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მაპრკოლებდა, მაგრამ, ბარათაშვილის საიუბილეო წელს, მის ბიოგრაფიასთან მიბრუნებულს, რაღაც უკმარობის გრძნობა გამიჩნდა: თითქოს, უნებლიერ ვმონაწილეობ აპსურდულ სპექტაკლში, როცა ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ დუმან და ელოდებიან „ბ-ნ გოდოს“, რომელიც მათ სათქმელს გაახმოვანებს!

ერთი წუთით მეც მივბაძავ ჩემს კოლეგა-ოპონენტებს და „პავლე ინგოროვას მაგივრად“ მოგიყვებით, თუ რატომ აღარ გასდია დიდმა მეცნიერმა თავის „ლიტერატურულ კაპრიზს“.

**დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო:** დავუშვათ და, პავლე ინგოროვას როსტომ ჩხეიძის კატეგორიულობით დაეწერა, რომ „თავგანწირული მხედარი“ (ერთ-ერთ ავტოგრაფში თავდაპირველად ასე იყო დასათაურებული ეს უსათაურო ლექსი) ალექსანდრე ბატონიშვილს ეძღვნება. თუ ასეა, მაშინ ვინ ყოფილა სინამდვილეში ჩვენი „ფენომენალური ყრმა“?! იანუსი, რომელიც ვერ იტანს რუსულ მუნდირში გამოწყობილ ოფიცრობას და მალულად შავჩოხიან ალექსანდრე ბატონიშვილს ეთაყვანება; ამასთანავე, უნდა, ახლობლების თვალშიც „კარგ ბიჭად“ გამოჩნდეს და საჯაროდ თუ ეპისტოლეებში აცხადებს – ლექსი ილიკოს ვუძღვენიო: ატყუებს დედ-მამას; ატყუებს

თავის ბიძებს – იმ პოეტ ბიძასაც, რომლის აზრიც თავის ლექსებზე ასე უძვირს, და საბედისწერო ხაროში გამომწყვდეულ, თანშეზრდილ ილიკოსაც; ატყუებს თავის უახლოეს მეომარ მეგობრებს; ატყუებს და ცრემლს აღვრევინებს იმ თავის დობილებს (აღბათ, უნდა დამეწერა – ადებილებს) და სიმპათიებს, ვისთანაც მათ სალონებში თუ მიმოწერისას ამდენს ლაპარაკობს სინრფელის, სულიერი სიახლოვისა და განდობის ბედნიერებაზე...

და ახლა ვიკითხოთ: რისთვის აკეთებს ამას?! იმისათვის, რომ „ფრთხილობს“. ანუ?! ამ წინწკლებს თუ მოვაშორებთ, არ უნდა, რამე შარში გაეხვიოს, რადგან სიყმაწვილეში უკვე იწვნია „როზენის როზგები“. ამ დროს – ლექსს უძღვნის ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც მთელი ცხოვრება, თავისი პოლიტიკური იდეალიზმის გამო, სიკვდილს ეთამაშება, გამაოგნებელ რისკზე მიდის და ისე, როგორც არავინ, ასახიერებს ქართული ხასიათის ფენომენს (უფრო დაწვრილებით იხ. ეთერ ორჯონიქიძის „ალექსანდრე ბატონიშვილი“, სერიაში – „ქართული ფენომენი“ ზ. აბზიანიძის რედაქციით. თბ., 2013 წ.).

ამგვარი ფანატიკური თავგანწირვის ფონზე ისეთი დეტალიც კი გეხამუშება, როგორიც უკვე ხანდაზმული ალექსანდრე ორბელიანის პოლიტიკაზე ლაპარაკისას ოთახის ჩაბნელება და დარაბების დახურვაა (რაც აკაკის ნაამბობით ვიცით), და რაღა უნდა ითქვას ახალგაზრდა, ატაცებულ რომანტიკოს პოეტზე („მერანის“ ავტორზე!), რომელიც, რაღაც ეფემერული საფრთხის გამო, თავმოყვარეობას კარგავს – ერთს ფიქრობს, მეორეს ლაპარაკობს და მესამეს აკეთებს?!

ეს „აბსურდის თეატრი“ ამით არ მთავრდება: თურმებარათაშვილი შიშობს, ვაითუ როზენის მსტოვარი ჩასწვდეს „მერანის“ ჭეშმარიტი ადრესატის ვინაობას (რაც, როგორც გვარნმუნებენ, 150 წლის განმავლობაში ვერ შეძლო ქართულმა კრიტიკამ); შიშობს, მიუხედავად იმისა, რომ ლექსი არ დაბეჭდილა, რადგან „ქართული პრესა, რომელმაც

ფეხი აიდგა 1832 წელს, დასაწყისშივე ჩაკლეს და ვიდრე 1852 წლამდე ქართული პერიოდული გამომცემლობა აღარ განახლებულა. საზოგადოებრივი ცხოვრების მოდუნება იქამდე მიდიოდა, რომ ამ თხუთმეტი-ოცი წლის მანძილზე არა თუ პრესა არ არსებობდა, საერთოდ ქართული წიგნი იშვიათად იბეჭდებოდა“ (პავლე ინგოროვა) ლექსების ხელნაწერი ასლები თითზე ჩამოსათვლელია (ესეც პავლე ინგოროვასაგან ვიცით) და, რაც მთავარია, თავისი „საიდუმლო“ პოეტს არცერთი ახლობლისათვის არ გაუნდვია.

ყველაფერი ეს ხდება 1842-1844 წნ. შუალედში: ტფილისის ქუჩებში ამპარტავნულად დასეირნობენ 10 წლის წინ „მამულის გამოხსნისათვის“ შემართული ექს-შეთქმულნი, ან ნაპატიებნი და პატივდებულნი. რატომაა ასე საგანგაშო იმავ ტფილისის რომელიმე სალონში ათი კაცისათვის წაკითხული „მერანი“?! ვითომ რა საფრთხე უკარგავს მოსვენებას ავტორს და თვითგადარჩენისათვის აუცილებელ ზომებზე ანყებინებს ფიქრს?! (ეს იმდენად ირაციონალურია, რომ უკვე **მასტიგოფობიას** ჰგავს – სასჯელის პანიკურ შიშს). როსტომ ჩერიძის თქმით, „**ალიბისათვის**“ ბარათაშვილი პრევენციულ ზომებს მიმართავს და წერს ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირის-პირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა, მძღვანველობასა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის ძის ორბელიანისა“. როგორც გვახსოვს, ასეთივე „დეზავუირების“ ფუნქციას ასრულებს ქართული რომანტიზმის კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ნიმუში – „**საფლავი მეფის ირაკლისა**“ (ეს ლექსი თურმე „ბედი ქართლისას“ საპირნონედ დაიწერა).

ვიდრე შემდეგ თემაზე გადავინაცვლებდეთ, ჩვენს მკითხველს ვურჩევდი, თუ ბარათაშვილის ამ ორი ლექსით აღძრულ კითხვებზე გაწონასწორებული პასუხი აინტერესებს, გაეცნოს მერაბ ღალანიძის ესსეს – „რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „**საფლავი მეფის ირაკლისა**“ ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ

კრებულში „ქართული რომანტიზმი“ (ზ. აბზიანიძის რედ., თბ., 2012 წ.).

ახლა ჩვენ თვალწინ რესტავრირებული სურათის ისტორიულ კონტექსტს გადავხედოთ. გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ მონიგრაფიაში ჩვენი განსვენებული კოლეგა, იუზა ევგენიძე ზუსტად მიგვანიშნებდა იმ „ოპტიკურ ცთო-მილებაზე“ რომელიც ახასიათებს დღევანდელი კრიტერიუმებით წარსულის მოვლენათა შეფასებას: „ახლა, შორიდან რომანტიკულად მოჩანს თავისუფლებისათვის მებრძოლი პატარა დაღესტნის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; ამ ფონზე ლომბულად და გმირად იღანდება სახე შა-მილისა და ზოგიერთის თვალში ანტიპათიურად ვამოიყურება რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური, შამილისა და მის ნაიბთა რისხვა გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ ვა-სათვალისწინებელია შემდეგი: შამილის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ – ეს იყო დიდი დაღესტნის პანისლამური იდე-ით შეპყრობილი ფანატიკოსის ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავდა კავკასიაში ყოველგვარი ქრისტიანული ელემენ-ტის მოსპობას და ქართველი ხალხის სხვა წესსა და რჯულ-ზე გადასვლას“.

რაც შეეხება კავკასიური სოლიდარობის თემას, ეს კი-დევ უფრო გვიანდელი მოვლენაა და ორგანულად უკავშირ-დება ალექსანდრე ყაზბეგის სახელს (უფრო დანვრილებით იხ. ჩვენი ესსე „უცნობი ყაზბეგი“ ლიტერატურის ინსტი-ტუტის მიერ გამოცემულ კრებულში „ნაცნობი და უცნობი ყაზბეგი“. თბ., 2019). ამიტომაც ილია ორბელიანი, ვითარც: „შინაგანად გაორებული, დაბნეული კაცის სახე – კაცის, ვინც თავისი მამულის დამპყრობთა მხარდამხარ იბრძო-და სხვისთვის თავისუფლების წასართმევად“, ასეთად, უკიდურეს შემთხვევაში, შეეძლო აღექვა სწორედ ალე-ქსანდრე ყაზბეგს, მაგრამ არამც და არამც – ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის ყურთასმენასაც ბავშვობიდანვე ჩაესმოდა: „ლექთა განალაგეს საქართველო“, და თავისი კანცელარიის ულიმლამო კედლებში გამოკეტილს, ვგონებ,

შურდა კიდეც ილიკოსი თუ ლევან მელიქიშვილის მხედრული წარმატებებისა. ჩვენ კარგად გვახსოვს ჭაბუკი ტატოს ნატვრა: „ჩემი სურვილი იყო ჯარის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდე...“. თუმცა, უკვე მონიფულ ასაკშიც კი, იგი მშფოთვარე კავკასიაში მიიღტვოდა და გრიგოლ ორბელიანს 1843 წელს მიწერილ ბარათში ვერ პატიობდა ერთადერთი თხოვნის („რენენკამფთან დამანიშვნინეო!“) არშესრულებას. შეგახსენებთ, ეს გენერალი რენენკამფი დალესტანში დისლოცირებული დივიზიის მეთაური რომ იყო და არა რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოების თავკაცი...

ასე რომ, ამ სიტუაციაში თუკი ვინმე არის „შინაგანად გაორებული“ – ეს თვითონ ბარათაშვილია და არა ილია ორბელიანი, რომელმაც, არაერთი მისი ქართველი თანამებრძოლის მსგავსად, სიცოცხლის ფასად შეასრულა თავისი მხედრული ვალი იმ რწმენით, რომ დალესტნისა და ოსმალეთის დამარცხება საქართველოს საზღვრებთან წარმოქმნილ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში მისივე სამშობლოს გადარჩენის სანინდარი იყო.

ზემონათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, ორიოდე ისტორიული ექსკურსი შეგვეშველება. ჯერ – ერთი ვრცელი ამონანერი ზაზა აბაშიძის, მიხეილ ბახტაძისა და ოთარ ჯანელიძის კაპიტალური ნაშრომიდან „საქართველო და ქართველები“: „1854 წლის 4 ივნისს გაიმართა ჩილოქის ცხობილი ბრძოლა. ოსმალთა ჯარი 35 ათასამდე მებრძოლს მოითვლიდა, რუს-ქართველთა შენაერთები გაცილებით ნაკლები იყო. გადამწყვეტი გამოდგა მამაცაშვილის მეომრების წარმატება საარტილერიო დაპირისპირებაში და ცხენოსანი რაზმების საფლანგო იერიშები (ვიცე-პოლკოვნიკი კონსტანტინე მამაცაშვილის სიყრმის მეგობარი იყო – ზ.ა.)... ოსმალებმა მარცხი განიცადეს ბაიაზეთთან, და იძულებულნი გახდნენ, ეს ქალაქიც დაეთმოთ. ასეთ ვითარებაში მონინააღმდეგის ზურგში გააქტიურდნენ ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები.

დაღესტნელი მიურიდები შამილის წინამძღოლობით მოულოდნელად კახეთში შეიქრნებ. აიკლეს სოფლები, აანიოკეს მოსახლეობა, გაძარცვეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის, დავითის ოჯახი, რომლის ტრაგიკული თავგადასავალი დეტალურად აღნერა თავადაც ტყვეობაში მყოფმა ფრანგმა აღმზრდელმა ანა დრანსემ. კახეთზე ლაშქრობისათვის სულთანმა შამილს მარშლის წოდება უბოძა. თბილისის აღების შემთხვევაში მას კავკასიის მეფის ტიტულსაც პირდებოდნენ, მაგრამ შამილის წინააღმდეგ იარაღი აისხეს კახელებმა, მათ გვერდით ამოუდგნენ რუსთა რაზმებიც და მომხდურნი უკუაქციეს“. აქვე შეგვიძლია დავუმატოთ: გენერალ გრიგოლ ორბელიანის სარდლობით.

ახლა – ციტატა დონალდ რეიფელდის „საქართველოს ისტორიიდან“: „....ბოლოს და ბოლოს, საშინელი მსხვერპლის ფასად, ყარსი აღებულ იქნა... როდესაც 1856 წლის გაზაფხულზე ხელი მოეწერა პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებას, ყარსი ძვირფასი სანინდარი აღმოჩნდა: ყარსის გამოსასყიდად თურქეთმა რუსეთს დაუთმო შავიზლვიპირეთის ქალაქები ფოთიდან სოხუმამდე და უარი თქვა პრეტენზიებზე გურიასთან, სამეგრელოსა და აფხაზეთთან დაკავშირებით“.

არ მინდა გამოგვრჩეს, რომ შამილის მიერ წარსხმულ ტყვეთა შორის იყვნენ: ნინო მელიტონის ას. ბარათაშვილი, ნიკოლოზის და, აგრეთვე ბარბარე ორბელიანი, ილიას ქვრივი ანუ ნიკოლოზის ბიცოლა. და სწორედ ყარსის ციხის კედლებთან (ახლა უკვე რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წ.წ. ომში) საარაკო ვაჟუაცობა გამოიჩინა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის ვაჟმა – პოლკოვნიკმა ივანე მელიქიშვილმა, რომელიც იქ განიგმირა კიდეც.

„მერანის“ ადრესატი ე.ნ. „ყირიმის ომის“ დროს დაიღუპა, ბაშკადიკლართან (ახალციხესა და ყარსს შორის), სადაც ქართველ გრენადერთა პოლკს სარდლობდა. მისი გმირბა კი მისმა თანამედროვე რუსმა სამხედრო ისტორიკოსმა აღნერა: „19 წოებერს ბაშკადიკლართან ორბელიანი თა-

ვის გრენადერებს ლეგა ცხენზე ამხედრებული წარუძღვა უმთავრესი თურქული საარტილერიო ბატარეის ასაღებად. შეტევის დასაწყისშივე ტყვიამ ხელში გაუარა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, უნაგირზე ისე შემოუტრიალდა თავის ცხენოსნებს და დასჭება: „აბა, ვაჟკაცურად მივეჭრათ, გრენადერებო!“. ამ დროს მეორე ტყვიამ ბეჭი გაუხვრიტა და გულთან შეჩერდა. იგი ალექსანდრეპოლში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა 1853 წლის 8 დეკემბერს. სიკვდილის ნინ მან თავისი პოლკის ნატყვიარი ალამი მოითხოვა და ეამბორა. სამხედრო ისტორიკოსთა შეფასებით, ეს იყო ადამიანი „ბრწყინვალე სიმამაცისა“.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: რუსეთ-ოსმალეთის სამი ომი (1828-1829, 1853-1856 და 1877-1878 წწ. – 35.000 ქართველი მოლაშერის მონანილეობით) რომ არა, საქართველოს რუკას დღეს აბსოლუტურად განსხვავებული კონფიგურაცია ექნებოდა (უფრო დაწვრილებით ამ თემაზე იხ. მერაბ ვაჩინაძისა და ვახტანგ გურულის მონოგრაფია – „ამასიდან ყარსამდე“, თბ., 2007 წ.).

როგორც ვხედავთ, აქ მოხმობილ ისტორიულ ეპიზოდებზე თხრობაც კი, თითქოს განგებ, ისევ და ისევ ბარათაშვილის გარშემო ტრიალებს, და არა მარტო იმიტომ, რომ ამ დრამატულ კოლიზიათა პერსონაჟები მისი უახლოესი ადამიანები არიან. კიდევ იმიტომაც, რომ ყოველივე, რაზედაც ყვებოდნენ ზემოთ ციტირებული ისტორიკოსები, კიდევ ერთხელ ამართლებს ბარათაშვილის ჯარისკაცობის იმ დაუოკებელ სურვილს, რომელიც, სკეპტიკურმა თვალთახედვამ, შესაძლოა, მამაკაცური კომპლექსების რეალზაციისა და თვითდამკვიდრების გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ სურვილს გადააბრალოს.

ბარათაშვილისდროინდელ ქართველ საზოგადოებაში სამხედრო კარიერა, პრესტიუსისა და მატერიალური დამოუკიდებლობის გარდა, ქართული ისტორიული ინტერესების დაცვასთან ასოცირდებოდა („მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ლალადისია!“ – გრიგოლ ორბელი-

ანი). თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი სავსებით იზიარებდა ამ მიმართებას.

ბარათაშვილის ბიოგრაფიის „კონსპიროლოგიური“ მეთოდით კვლევა ამ ოცი წლის წინათაც უცდიათ, მაგრამ არცერთი ოპონენტი არ გამოჩენილა, თქვენი მონა-მორჩილის ჩათვლით... ავტორი ჩემი კოლეგა გახლდათ – დიდი ქართველი მწერლის ქალიშვილი და რომანტიზმის პრობლემების ლვანლმოსილი მკვლევარი. საკმარისი მიზეზებია?! ერთსაც დაგსძენ: ბარათაშვილისა არ ვიცი, მაგრამ მე აქ ნახსენები მასტიგოფობია ნამდვილად მჭირს (ლატენტური ფორმით...). გულწრფელად რომ ვთქვა, ახლაც დუშილს ვარჩევდი, დღევანდელი სათქმელის სახვალიოდ გადადებას ჩემს ასაკში უკვე პროფესიულ არაკეთილსინდისიერებად რომ არ ვთვლიდე.

მოკლედ, ნიკოლოზ ბარათაშვილის 150 წლისთავის აღსანიშნავად, გაზეთმა „კალმასობამ“ მთელი ნომერი (1997 წ. 13) დაუთმო ამ თარიღს, და სწორედ აქ დაიბეჭდა პროფესორ მანანა კაკაბაძის ზემოთ ნახსენები გამოკვლევა – „დუელი“. სტატიის ავტორს მოჰყავს პრაქტიკულად მთელი მასალა, რაც კი მოიპოვება ბარათაშვილის ამ ოდიოზური დუელის შესახებ, და ასკვნის: „მოყვანილი მასალიდან ნათელი ხდება, რომ ბარათაშვილსა და მის გულუბრყვილობიდას საგანგებოდ აქეზებდა ერთმანეთზე ვინმე მატინოვი, ვფიქრობთ, სპეციალური მისით მოგზავნილი პოეტან სამეცნიეროდ, მისთვის ხიფათის მოსატანად.

...ეს უბედურება მაშინ თავიდან ააცილა პოეტს მისმა მეგობარმა, ლევან მელიქიშვილმა, რომელმაც, თვით ბარათაშვილთან შეთანხმებით, მატინოვისაგან დამალვით, ყალბად დატენა დამბაჩები და გადაარჩინა სიკვდილს ბიძა-ძმისშვილი (უნდა იყოს: „დისშვილი“ -ზ.ა., თუმცა, ეს, უბრალოდ, კალმის წაცდენაა). როგორც ცნობილია, ლერმონტოვს არ ჰყავდა ასეთი მეგობარი, რომელიც მას იხსნიდა აშკარა მკვლელობისაგან, ეს დუელი მოხდა 1841 წლის

შემოდგომაზე (იაკობ ბალახაშვილის არგუმენტირებული ვერსიით – „არა უგვიანეს 1840 წლის 21 მარტისა“ – ზ.ა.), ხოლო ლერმონტოვის დუელი მოხდა 1841 წლის 15 (27) ივლისს პიატიგორსკში<sup>1</sup>.

ონომასტიკაც კი ამ კონსპიროლოგიური ვერსიის სასარგებლოდ მუშაობს: „ნიკოლოზ პირველის ხელისუფლება[მ], [რომელიც] ვერ იტანდა ცოცხალ გენიოსებს,“ პიატიგორსკში მიავლინა გადამდგარი მაიორი ნიკოლოზ მარტინოვი, ხოლო თბილისში – „საპიორის აფიცერი“ მატინოვი, რომელიც „...დროებით, სპეციალური დავალებით მოვლენილი ყოფილა აქ შავი საქმისათვის... დუელის საქმე ისე იყო მონაბეჭდილი, რომ მას წინ არაფერი უნდა დადგომოდა. შერჩეული იყო კადრებიც, ილია ორბელიანი, შესანიშნავი ვაჟკაცი, გამოცდილი მეომარი და ბრნყინვალე მსროლელი. მის ტყვიას, ცხადია, მსხვერპლი ვერ გადაურჩებოდა, ისიც გათვლილი იყო, რომ ბარათაშვილი, თუკი დუელი სწორად ჩატარდებოდა, არავითარ შემთხვევაში არ ესროდა თავის ბიძას, მისი ტყვია აუცილებლად ჰაერში წავიდოდა, ხოლო წყენისაგან გონიერდაკარგული ბიძა თავის დისნულს შიგ გულში დაუმიზნებდა და მოარტყამდა ტყვიას. ეს ყველაფერი ასე უნდა მომხდარიყო. “ სიტყვასიტყვით მეორდება სცენარი ლერმონტოვ-მარტინოვის დუელისა, რომელშიც სადუელო კოდექსი არ დარღვეულა, მაგრამ, ის, რაღა თქმაუნდა, ნამდვილ მკვლელობად აღიქმება.

გაზეთ „კალმასოპაში“ გამოქვეყნებული „დუელის“ დეტაქტიური სიუჟეტი, ალბათ, დამაჯერებელი იქნებოდა, თუ შევთანხმდებოდით, რომ ნიკოლოზ I ფხიზლად ადევნებდა თვალს ბარათაშვილის შემოქმედებას, ხოლო საიდუმლო პოლიციის შეფი – ალექსანდრე ბენკენდორფი – პოეტის თითოეულ ნაბიჯს. ზუსტად ისევე, როგორც ეს პუშკინისა და ლერმონტოვის შემთხვევაში იყო.

ამ დაეჭვების პასუხად, დარწმუნებული ვარ, ქ-ნი მანანა, „ალიბის“ სახით, ისევ და ისევ დიდი პავლე ინგოროვას მონოგრაფიის მეორე თავს („პოეტი და მეფე-ტირანი“)

გადაგვიშლის, საიდანაც ვიგებთ ნიკოლოზ I-ის 1837 წელს საქართველოში ვიზიტის დროინდელ ამბებს: „11 ოქტომბერს თბილისის თავად-აზნაურობამ გაუმართა მას [იმპერატორს] დიდი ბალი“ (აქ იყო, იმპერატორი მაკვი ორბელიანით რომ მოიხიბლა, ზ.ა.). აქვე, ამ მეჯლისზე „ნიკოლოზ I-მა ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოარჩია იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაზრდობაში და მას თავისი „ორდინარეცი“ შეარქვა“. აქვე მითითებულია ამ „გამორჩევის“ მიზეზიც: „ნ. ბარათაშვილი, ჩანს, მართლაც მშვენიერი, საგანგებოდ მოხდენილი ყმანვილი კაცი ყოფილა, რომ იმპერატორს ასე გამოურჩევია...“ მყითხველი გაიგებს იმასაც, რომ პოეტი მასპინძელთა შორის აღმოჩნდა, რამეთუ: „მელიტონ ბარათაშვილი, როგორც რუსულის კარვი მცოდნე, იყო პირადი თარჯიმანი ნიკოლოზ I-სა“. შემდგომ ამისა ტატო დაჯილდოვდა „ნიკოლოზ I-ის მიერ „უმაღლესად“ ბოძებული სამახსოვრო მედლით... ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი ახლო ურთიერთობაში იყო იმპერატორთან მისი საქართველოში ყოფნის დროს“. აქვე (ეს საყურადღებოა!) ნახსენებია „მეორე პოეტი, ასევე ნიკოლოზ I-ის მიერ „უმაღლესად“ ბოძებულ კამერ-იუნკერის მუნდირში, – პუშკინი, მოკლული 1837 წელს“.

**ერთი ჩანართი:** ისე მგონია, ბარათაშვილზე დღეს დაწერილ წიგნში „ტირანი“ აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, ოღონდ სახეცვლილი ჰიპოსტასით: „პოეტი და მამა-ტირანი“, სადაც, ფრანც კაფუას მამისათვის მიწერილი ცნობილი წერილის მოხმობით, ვიზიტისავთ, როგორ დგანან ერთმანეთის პირისპირ – „ანჩხლი, მჭყივანა, მყვირალა, თავის სახლის დამამწარებელი“, როზგებმომარჯვებული შელიტონ და მისი გაფითორებული პოეტი-ვაჟი იმ პროლონგირებულ დუელში, რომელსაც ჩვენში „მამა-შვილური სიამტკბილობა“ ჰქვია.

**განვაგრძობ:** „ახლო ურთიერთობათა“ არგუმენტებს დამაჯერებლობა ნამდვილად აკლდა: ნიკოლოზ I-ის მიერ ბარათაშვილისათვის „ორდინარცობის“ შეთავაზება ამბიციური ბარბარე ვეზირიშვილის შეთხზული სიუჟეტია – მის

იმუშამინდელ ოცნებათა მანიფესტაცია. მის გარდა ეს ფაქტი არავის უხსენებია და ვერც ახსენებდა, რადგან „ორდინარეცი“ მხოლოდ სამხედრო ჩინი შეიძლებოდა ყოფილიყო და იმპერატორისგან ამ საკურიერო ფუნქციის ოდიოზური შეთავაზება სამოქალაქო პირისათვის იქ დამსწრე ახალგაზრდა ოფიცრებს შეურაცხყოფდა. რაც შეეხება „რჩეულთათვის განკუთვნილ“ სამახსოვრო მედალს, იმპერატორის კავკასიაში ვიზიტისას ეს მედალი 2847 პირს დაურიგდა (გარდა ამისა, საინტერესოა, რომ ამ 2847 პირს შორის არჩნს მელიტონ ბარათაშვილი (იხ. ინტერნეტსაიტი „Награды императорской России 1702-1917 г.г.“).

ასე იყო თუ ისე, „ახლო ურთიერთობანი“ პოეტსა და იმპერატორს შორის თურმე მტრობაში გადასულა ბარათაშვილის „პოლიტიკური რადიკალიზმისა“ გამო, რის შედეგადაც: „...სრულიად უეჭველია, რომ ბ. ბარათაშვილი უნდა გამხდარიყო და გამხდარა კიდეც ცარისტული ხელისუფლების მეთვალყურეობის საგანი“. ხოლო ცოტა ხანში, „1844 წელს... თვიმპურობელობას უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს ბარათაშვილის მოსპობა“.

ვაი რომ, არც ამ დრამატული სცენარის დამადასტურებელი ისტორიული საბუთები მოიპოვება. ისიც გასათვალი-სწინებელია, რომ ნიკოლოზ I-ის იმპერიის ბიუროკრატიული პედანტიზმის (ამ ფენომენის თაობაზე კარგად წერს მარტინ დე კიუსტინი) წყალობით, ისტორიკოსებმა (და განსაკუთრებით – პროფ. შალვა ჩხეტიაშ, რომელმაც საგულ-დგულოდ მოიძია არქივებში ნიკოლოზ ბარათაშვილთან დაკავშირებული უმნიშვნელო დოკუმენტებიც კი) კარგად იცოდნენ, თუ ვის უთვალთვალებდნენ ხელისუფალნი 1832 წლის შეთქმულების ყოფილ წევრთაგან და მათი გარემოცვიდან. ნიკოლოზ ბარათაშვილი მათ შორის ნამდვილად არ ყოფილა..

ისიც საინტერესოა, რომ რომ „ბიოგრაფიული ნარკვევის“ 1938 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში, „მითოსქმნადობის“ თვალსაზრისით, ყველა ძირითადი კონცეპტი სახეზეა,

მაგრამ მაინც მოზომილია (ახლა ამბობენ – „სატესტო რე-ჟიმშია“) და, მაგალითად, თუ წერია, რომ ბარათაშვილი იყო „ცარისტული ხელისუფლების მუდმივი მეთვალყურეობის საგანი“ – წერტილია დასმული. რადგან თავის დროზე ამ მტკიცებას არანაირი რეაქცია არ მოჰყვა (ეს გასაგები-ცაა – მკვლევრის ოპონენტი ხელისუფლებასთან დამსმენი გამოვიდოდა), პავლე ინგოროვა ამ სიუჟეტმა აშკარად გაიტაცა: 1945 წლის კრებულის წინათქმაშიც და კიდევ უფრო – 1969 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში დრამატულად გაგრძელდა „კონსპიროლოგიური დისკურსი“. ეს უკვე აშკარად იყო „ხელოვნება – ხელოვნებისათვის“, რადგან გარეთ შედარებით „ვეგეტარიანული ხანა“ იდგა და დიდი პოეტის სახელს აღარაფერი ემუქრებოდა...

„ვარიაციები პუშკინ-ლერმონტოვ-ბარათაშვილის თე-მაზე“ აშკარად „ლიტერატურული ფანტასტიკის“ უანრს მიეკუთვნება. ახლა „ფსიქოლოგიური დრამის“ უანრში გა-დანაცვლება მოგვინევს, რადგან „მერანის“ ადრესატის პრობლემას უნდა დავუბრუნდეთ: ისე მგონია, უფროსი თაობის ნარმომადგენლები „ალექსანდრე ბატონიშვილის ვერსიის“ რომანტიზმით მოიხიბლნენ, თუმცა (იმ ფსიქო-ლოგიური გარემოებების გათვალისწინებით, რომლებზეც ვწერდი პავლე ინგოროვასთან დაკავშირებით) ამჯობინეს, სასაუბრო უანრს არ გასცილებოდნენ.

მაგრამ, რაც უფრო უმცროსია თაობა, მით უფრო კატე-გორიულია. უფროსები ვარაუდობენ – უმცროსები ამტ-კიცებენ! ეს „კატეგორიულობაც“ ადვილი ასახსნელია: თუ კათოლიციზმში არსებობს დოგმატი რომის პაპის უც-დომლობის (“Infallibilitas”) შესახებ, კულტურაშიც ხომ არის ასეთი ფენომენი – „გურუს“ ქარიზმა, ნიცშე იქნება ეს თუ როდენი. უმცროსი ზურგგამაგრებულია უფროსის ავტორიტეტით. ამიტომაა, რომ „იერარქიული კიბის“ პირ-ველ საფეხურზე აღმოჩენილი ნინო ვახანია უფრო კატე-გორიულია, ვიდრე – „ზემდგომნი“; ან კიდევ: ნიკოლოზ ბარათაშვილის „პირადი წერილების“ (თბ., 2015) კომენტი-

რეპისას ავტორიტეტებით დამფრთხალი მაია ცერცვაძე კი ახსენებს ბარათაშვილის ლექსის ადრესატს, მაგრამ იქვე, ყოველგვარი რემარკების გარეშე, „მაკომპრომეტირებელი“ ნერილის კომენტირებისას მკითხველის დამაბნეველ მთელ გვერდს უთმობს „ინგოროვასეულ“ ვერსიას.

ერთია, როცა მოძღვრის ქარიზმით ჰიპნოტიზებული შეგირდები მანტრასავით უცვლელად იმეორებენ „გურუს“ აჩემებულ თეზას, მაგრამ კიდევ უარესია, როცა თავისთავად რომანტიკულ იდეას ისეთი „არგუმენტებით“ ასაბუთებენ, რომლებიც ნამდვილად არ მატებს ღირსებას ბარათაშვილის სახელს.

ეს „არგუმენტები“ ჩვენი ისტორიული ძნელებედობით აიხსნება: დიდი ქართველი მნერალი დიდი მოღვაწეც უნდა იყოს და, სასურველია – წმინდანიც! ანუ: ჯოისი და პარნელი ერთად. ხოლო თუ არ არის – ასეთად უნდა ვაქციოთ! ესაა ქართული კულტურის „კატეგორიული იმპერატივი“, რომელიც განსხვავებულ ისტორიულ ეტაპებზე განსხვავებული ფორმით ვლინდება.

ჩვენს სინამდვილეში როგორ გამოვლინდა, უკვე ვნახეთ. ახლა დავინტერესდეთ, თუ რატომ დასჭირდა დიდ პავლე ინგოროვას „პატარა ეშმაკობა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის უკვდავსაყოფად?! როგორი იყო სინამდვილეში მისი ზეამოცანა?!

გიორგი ლეონიძის შვილიშვილის, ისტორიკოს გიორგი ქავთარაძის საოჯახო არქივში ინახება გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გადაღებული ფოტო, რომელზეც გიორგი ლეონიძე და პავლე ინგოროვა მთანმინდის პანთეონში არიან აღბეჭდილნი. არ გამიკვირდება, რომ ორი დიდი ქართველი მთანმინდაზე ბარათაშვილის „მესამე საფლავის“ ადგილის შესარჩევად იყვნენ ასულნი. არც ის გამიკვირდება, რომ სწორედ გოგლა ყოფილიყო ინსპირატორი 1938 წელს პავლე ინგოროვას ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული ნარკვევის დაწერისა, რათა მისი გამქვეყნება უურნალ „მნათობში“ (9,10) დამთხვეოდა პოეტის გადმოსვენებას მთანმინდაზე 1938 წლის 15 ოქტომბერს. ეს

პუბლიკაცია, სავარაუდოდ, გამიზნული იყო ერთგვარ „იდე-ოლოგიურ დასაბუთებად“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქარ-თულ ოლიმპზე სამარადჟამოდ დამკვიდრებისა. დღეს ძნე-ლი დასაჯერებელია, რომ ეს დასაბუთება სჭირდებოდა არა მხოლოდ იმდროინდელ ხელისუფლებას, არამედ მთელ ჩვენს იმდროინდელ საზოგადოებასაც და, აი, რატომ: ილიასა და აკაკის ფეხნომენმა „პოეტის“ ცნება განუყრელად დაუკავში-რა საზოგადოებრივ ასპარეზს. ხომ ყველას გვახსოვს ილიას პათეტიკური წამოძახილი: „ღმერთთან მისთვის ვლაპარა-კობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. უკვე საკულტო წანარმოე-ბად ქცეულ „პოეტში“ გაცხადებული „კრედიტ“ უნივერსალუ-რი აღმოჩნდა. იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც ვერ დადგებოდა ილიასა და აკაკის გვერდით, თუ ჰეროიკულ პიროვნებად და თანამედროვეთა „აზრთა მპყრობელად“ არ წარმოჩნდებოდა.

„რესპუბლიკის ხელმძღვანელობაზე“ რაღა უნდა ითქ-ვას: ამათვის „დიდი პოეტი“ ჯერ კიდევ არ იყო საკმარი-სი არგუმენტი და „უკვდავების კანდიდატის“ საკითხი ისევე რუტინულად განიხილებოდა, როგორც ნებისმიერი პარტი-ული დაწინაურება. ტრაგიკული, სასოწარკვეთილი, თუნაც გენიალური რომანტიკოსი დიდად სასურველი პერსონა არ იყო... აი, თუკი ბარათაშვილი თავისი დროის პროგრე-სული მოძრაობის სულისჩამდგმელად, ნიკოლოზ I-ისა და მისი რეჟიმის მტრად და, საბოლოოდ, ამ პოლიტიკური და-პირისპირების მსხვერპლად წარმოჩნდებოდა – ეს პრინცი-პულად ცვლიდა სურათს. პავლე ინგოროვასა და მის თა-ნამოაზრეთა მცდელობით, ასეც მოხდა, და უკვე 1945 წელს ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავი სახელ-მწიფო დონეზე აღინიშნა. გარდა ოფიციოზური ღონისძიე-ბებისა, ეს კეთილისმყოფლად დაემჩნა ბარათაშვილის თხზულებათა გამოცემის დონესაც და, განსაკუთრებით, უცხო ენებზე თარგმანის ორგანიზებასაც: თუ 1937 წლის „ლიტერატურულ გაზეთში“ (№17) აღინიშნული იყო, რომ „განსაკუთრებით სუსტადაა თარგმნილი ნ. ბარათაშვილის

ლექსები“, 1945 წელს ბარათაშვილის ლირიკის რუსულ ენაზე პასტერნაკისეული ბრნყინვალე თარგმანი ერთ-გვარ ინსპირაციად იქცა დიდი ქართველი რომანტიკოსის შემოქმედების მსოფლიო ასპარეზზე წარმოსაჩენად.

როგორც ჩანს, პავლე ინგოროვამ ზუსტად გათვალა, რა აქცენტებზე იყო აგებული ალქსანდრე პუშკინის დაღუპვიდან 100 წლისთავის გრანდიოზული აღნიშვნა მოსკოვში, და ყველაფერი გააკეთა, რათა ბარათაშვილის ბიოგრაფია ისეთ რაკურსში წარმოეჩინა, რათა პარტიულ იდეოლოგებს დაენახათ აქ თვითმშეყრობელობასთან დაპირისპირებული საზოგადოებრივი მოძრაობის ლიდერი (პუშკინის ან მიცეკვიჩის ანალოგით), და არა – თავისუფლებას მოწყურებული პიროვნების ამბოხი. ანუ ის, რისთვისაც ასი წლის შემდეგ ხელის აუკანკალებლად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი დიდი რომანტიკოსების სულიერ მემკვიდრეთათვის...

ემოციურ პლანში ეს გარდასახვა პავლე ინგოროვას არ გაუჭირდებოდა, რადგან თვითონ იყო დაპირისპირებული „ადგილობრივ მეფე-ტირანთან“ (ანუ „ლავრენტი I-თან“), დანის პირზე უწევდა სიარული, და ეს დაამტკიცა კიდეც იმ თავისი ნარკვევით, საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ პერიოდში რომ იწერებოდა. დაუჯერებელია, მაგრამ პავლე ინგოროვამ წინათქმის ტექსტში 1945 წლის კრებულისათვის მაინც ჩაადუღაბა თავისი მთავარი სათქმელი: „**ბარათაშვილის მერანის საზღვარდაუდებელი გიუური ბრძოლა ეს არის აჯანყება განწირულის სულისა, აჯანყება გმირული, მაგრამ თითქოს უიმედო; მაინც პოეტს იდუმალი გრძნობა ეუბნება, რომ ამაოდ არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება**“.

როგორი ვირტუოზული აბრუნდია! ნიმუში ესსეიისტური პასაჟისა, სადაც ავტორი ახერხებს, სულ რამდენიმე მონასმით წარმოუსახოს მკითხველს „მერანის“ მეტაფიზიკური სივრცე და აგრძნობინოს ის შიშნარევი ექსტაზი, რომელსაც ლაგამანყვეტილი ცხენის ფაფარს ჩაბლაუჭებული მხედარი განიცდის...

წავიდა შიშისა და მრისხანების დრო, რომელსაც სასწაულებრივად გადაურჩა პავლე ინგოროვა, დავიწყებას მიეცა მრავალ და მრავალ კალმოსანთა თუ ჩინოსანთა სახელები... მაგრამ დარჩა სახელი დიდი პავლე ინგოროვასი, დარჩა თავისი განსაცვიფრებელი მიგნებებითაც და მირაჟებითაც, დარჩა თავისი შეუბლალავი ბიოგრაფიითა და სახელით, ერთხელ და სამუდამოდ შთანერგილით ქართულ მეხსიერებაში.

P.S. ამ პიეთეტს რამდენადმე ბიოგრაფიული წარმომავლობაც აქვს: მამაჩემი – გიორგი აბზიანიძე ხშირად იხსენებდა პავლე ინგოროვასთან თანამშრომლობას ჯერ კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილის მთანმინდაზე გადმოსვენების საორგანიზაციო კომისიაში 1938 წელს (რომელშიც სწორედ მისი რეკომენდაციით შეიყვანეს) და შემდგომ – უკვე ბარათაშვილის ნაწარმოებთა 1945 წლის საიუბილეო ერთობომეულის გამოცემაზე მუშაობისას. როგორც მამა ყვებოდა, გამოცემის სარედაქციო კოლეგიას ფორმალურად აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ედგა სათავეში, თუმცა რეალური რედაქტორობა პავლე ინგოროვამ იტვირთა. მანვე შემოირთა ამ პროცესში თავისი უმცროსი კოლეგები – გიორგი აბზიანიძე და აკაკი განერელია: ერთს ლექსების კომენტირება მიანდო, მეორეს – წერილებისა (ორივენი ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე მუშაობდნენ და უკვე გამოქვეყნებული ჰქონდათ სამეცნიერო გამოკვლევები ამ თემაზე). „მერანის“ „ახალი ადრესატის“ თაობაზე მამაჩემს ნამდვილად არაფერი უამბია, მაგრამ ჩემი სტუდენტობისას, როდესაც იგი ხშირად ეთათბირებოდა თავის სათავეანებელ მენტორს აკაკი წერეთლის 15-ტომეულის გამოცემისას ცენზურასთან წარმოქმნილი პრობლემების თაობაზე, მოუყოლია იმ ისტორიებზეც, რომლებიც 40-იანი წლების დასაწყისში ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მეკვიდრეობის „იდეოლოგიურ შეფუთვას“ უკავშირდებოდა.



## კითხვა „პანიკალის“ შუქზე

(აკაკის პოეტური შედევრის ისტორია და  
ინტერპრეტაცია)

„...მხოლოდ თავისუფლებისათვის შეიძლება  
სიკვდილი, რადგან მხოლოდ ასეთ ნამს არის  
დარწმუნებული ადამიანი, რომ იგი მთლიანად  
არ კვდება.“

ალბერ კამიუ

ვიდრე ჩვენს მთავარ სათქმელს მივადგებოდეთ, რამ-  
დენიმე ციტატა იმ თავისუფლებამოკლებული გარემოს  
დასახასიათებლად, რომლის ანტითეზად აღქმულ პოეტურ  
მანიფესტსაც „განთიადის“ სახელით ვიცნობთ:

„...თუ მძიმე და ხანგრძლივი განსაცდელი ავიტანეთ და  
შევინარჩუნეთ სიმტკიცე სარწმუნოებისა, რომელიც გვიან-  
დერძეს ნინაპრებმა საქართველოს სამეფოს უკეთეს ხანის  
დროიდგანვე, თუ არ უდალატეთ ჩვენს მართლმადიდებლო-  
ბას, თუ შევინარჩუნეთ ჩვენი კეთილშობილება და კარგი  
სახელი, ყველამ ვიცით, რომ ეს მოხდა რუსეთის თვითმპუ-  
რობლობის და ერთ მთავრობის წყალობით...“

და კიდევ: „მე რუსი ვარ – ჩემის სამსახურით, ლუკმა  
პურით, რომელსაც ვსჭამ და ჩემის აზრის მიმართულებით.  
მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით. საჭი-  
როა ნაშლა იმ ლარისა, რომელიც ამ ორ სიტყვათა შორის  
არის გადებული, საჭიროა ორ სიტყვიდან – რუსი და ქა-  
რთველი – ერთი სიტყვის შემუშავება, მათი მნიშვნელობის  
შედეულება ერთს მცნებაში, სიტყვით და საქმით, და საჭი-  
როა ამ შედეულებულ სიტყვის აღბეჭდვა როგორც მთავრო-  
ბის, ისე ჩვენი ხალხის შემეცნებაში“.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, სათავადაზნაურო კრება-ზე და ბოტანიკურ ბაღში გამართულ მოხელეთა ნადიმზე წარმოთქმული ეს სიტყვები დიმიტრი ყიფიანს ეკუთვნის. სწორედ იმ დიმიტრი ყიფიანს, რომელსაც ეძღვნება „გან-თიადი“ და რომლის სახელიც XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან საქართველოში ეროვნული თვითშეგნებისა და თავმოყვარეობის გამოლვიძების სიმბოლოდ იქცა.

შალვა ამირეჯიბი ასე სსნიდა დიმიტრი ყიფიანის ეროვნულ ტაქტიკას: „დიმიტრი ყიფიანი კავურის თანამედ-როვეა. ამ დიდებულ იტალიელის ლოზუნგი მასაც გაზიარე-ბული ჰქონდა: „იტალია ან უნდა მეგობრობდეს ავსტრიას, ან უნდა ეომებოდეს!“ სხვა მდგომარეობა შეუძლებელი იყო. და ამის შემდეგ აღარ უნდა იყოს გასაკვირველი ის მოთმინება, რომელსაც ქადაგებდა დიმიტრი ყიფიანი“.

არჩილ ჯორჯაძე, რომელიც ესოდენ გამოირჩევა თავი-სი ანალიტიკური ხედვით, დიმიტრი ყიფიანის მონარქის-ტულ სიმპათიებს ასეთ კომენტარს ურთავდა: „დიმიტრი ყიფიანს მხედველობაში არ ჰქონდა მიღებული ის გარემოე-ბა, რომ სახელმწიფო ნაციონალიზმი გაბატონებული ერი-სა, აუცილებლივ უნდა შეეტაკოს ამ სახელმწიფოში მცხო-ვრებ სხვა ერებს, რომ ეს კანონი და თვისებაა მებრძოლ ნაციონალიზმისა“.

არჩილ ჯორჯაძის წინასწარმეტყველება ახდა 1886 წლის 8 ივნისს: ამ დღეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზ-ნაურთა საკრებულოს მარშალი, დიმიტრი ყიფიანი საპრო-ტესტო წერილს უგზავნის საქართველოს ეგზარქოსს, პავ-ლეს (ლებედევს): „....ამბობენ, რომ თქვენ დასწყივლეთ ის ქვეყანა, რომელიც სამწყსოთ ხართ მონადებული და რო-მელიც მარტოოდენ სიყვარულსა და შენყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან, – ივივე ხმები არ კმაყოფილდებიან თქვენი ღირსების შეურა-ცხყოფით, იმასაც ამბობენ, ვითომ თქვენ განზრახვა გქონ-დეთ, ბოდიში მოიხადოთ სამწყსოს წინაშე იმ უცოდველის სიტყვების გამო, რომელნიც ვითომ წარმოსთქვით, – თუ ყოველივე ეს, მეუფევ, მართალია, თქვენი თანამდებობის

ლირსების გადარჩენა მხოლოდ იმითი შეიძლება, რომ შემ-რაცხვოფელი ადამიანი შეურაცხყოფილ ქვეყნიდან დაუყო-ვნებლივ იქმნას გასული. ამას მოვახსენებთ წრფელის გულით თქვენი სამწყოსა ერთი წევრი, რომელსაც უნდა თავიდამ ააცილოს ქვეყანას ახალი დიდი შეცოდება“.

იმავ არჩილ ჯორჯაძის სიტყვებით: „ეს დოკუმენტი გმი-რულ საუკუნეთა შეცდომით აღმოჩნდა მე-19 საუკუნეში, სადაც ყოველივე გაზომილია, ანონილ-დაწონილი, ზომი-ერი, ქედმოხრილი და მორჩილი“.

როგორი საბედისწერო აბრუნდია ამ „მოხელე აზნაუ-რის“ (სიმონ ხუნდაძის ტერმინით) ბიოგრაფიაში, რომლის მეამბოხეობაც 1832 წლისა (თავისი ლმობიერი სასჯე-ლითურთ) აღარავის ახსოვდა და რომლის მთელს შემდგომ ბიოგრაფიას არჩილ ჯორჯაძის ჩამონათვალიდან ყველაზე უფრო ესადაგება „ყოველივე გაზომილია, ანონილ-დაწონი-ლი, ზომიერი...“

მაგრამ, ნუ იტყვით, თურმე არც ისე ადვილია ოდინდე-ლი პასიონარის სულის სილრმეში ჩამალული ნაღმის აღმო-ჩენა. გარეგნულად ყველაფერი რიგზეა: ოჯახური იდილ-ია – შესანიშნავი შვილები; ქმრის მაღმერთებელი ცოლი – რუსთა ერთგული დიდმოხელის, იაგორ (გლახა) ჭილაშვი-ლის ასული – ნინო (რომელიც ქმარს მხოლოდ ასე მიმარ-თავს – „Божественный Дмитрий!“); საოჯახო და საქმიანი ენა – მეტნილად, რუსული (დიმიტრი ყიფიანის „მემუარე-ბიც“ კი რუსულადაა დაწერილი); ნახევარი საუკუნის გან-მავლობაში – არანაირი სამხილი. ყველაფერი ისეთია, ლოიალურ, ზომიერად ლიბერალურ და მონარქიის ერთ-გულ ქვეშევრდომს რომ შეეფერება: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მარშლობა (1864-1870); თბილისის ქალაქის თავობა (1876-1879); ქუთაისის გუბერ-ნიის თავადაზნაურთა საკრებულოს მარშლობა (1885-1886). ეს – ადმინისტრაციული კარიერა.

ახლა საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეობასაც გადავხედოთ: აქ რამდენადმე განსხვავებული სურათია – ყველაფერი გამიზნული ჩანაფიქრით ან, თუნდაც, ობი-

ექტურად, თავისი მასშტაბით, მომავალი თავისუფლების საძირკველის შექმნას ემსახურება: დიმიტრი ყიფიანი გახლდათ ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე; სათავადაზნაურო ბანკის, უურნალ „ცისკრის“ დაარსების ინიციატორი; ქართული თეატრის აღორძინების მონაწილე და მოამაგე. აღსანიშნავია მისი ისტორიულ-ლიტერატურული წერილები („თამარ მეფის საუკუნე“, „რამდენიმე აზრი საქართველოს ისტორიის მასალებზე“), უკვე ნახსენები „მემუარები“ (1886), პეტერბურგში 1882 წ. გამოცემული „ქართული ენის გრამატიკა“ და შექსპირის, მოლიერის, ბომარშეს, ჰიუგოს ნაწარმოებთა თარგმანები ინგლისური და ფრანგული ენებიდან.

ამდენი რამ, ამდენი სიკეთე, მაგრამ ყოველივე ეს – რაღაც ერთი (თუმც, როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანი) მახასიათებლის გარეშე, რომელსაც მეტაფორულად შეგვიძლია „თავისუფლების უანგბადი“ ვუწოდოთ. ერთ შემთხვევაში ამ ფაქტორმა განაპირობა „თერგდალეულთა“ თაობის (აკაკის) პატრიოტული პათოსიც (და ქარიზმაც!), მეორე შემთხვევაში კი – „მონარქიის ლოიალური და ზომიერად ლიბერალური ქვეშევრდომის“ (დიმიტრი ყიფიანის) ბიოგრაფიული ქარგა, რომელსაც ქარიზმა სწორედ მონამებრივმა აღსასრულმა შესძინა.

როგორი ტიპოლოგიური განსხვავებაა „მაღალ საზოგადოებაში“ მოხვედრილი „მოხელე აზნაურის“ ცხოვრების მკვიდრად ნაგებ კალაპოტსა და ვერანაირ ჩარჩოს ვერმორგებული პოეტის ბიოგრაფიებს შორის; არადა, ისტორიის კაპრიზით, მის ერთ-ერთ საბედისწერო გადაკვეთაზე სწორედ ამ ორი ანტიპოდის სახელი დაუკავშირდება ერთმანეთს, თან – განუყრელად.

არიან პოეტები, რომელნიც სიჭაბუკეშივე ქმნიან თავიანთ შედევრებს. აკაკის ნახევარი ცხოვრება დასჭირდა იმისათვის, რომ „განთიადი“ დაეწერა. რატომ გამობრწყინდა „განთიადი“ მაინცდამიანც პოეტის ცხოვრების შუადღეს,

როგორია მისი შემოქმედებითი ისტორია და როგორ სემან-ტიკურ შრეებს შეიცავს ქართული პოეზიის ეს შედევრი?!

მივყვეთ ამ კითხვებს: დასაწყისისათვის „განთიადის“ შუქზე გადავიკითხოთ იმ გამოკვლევათა და მოგონებათა ფრაგმენტები, რომლებითაც შესაძლებელია აკავის შემოქმედებითი ევოლუციის თვალმიდევნება.

საინტერესოა, რომ არსებობს აკავის გამოსათხოვარი სიტყვის პოლიციის აგენტის მიერ ჩაწერილი კონსპექტი და მრავლისმეტყველი პატაკი იმდროინდელი მთავარმმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისა, იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი წარდგენილი: „...სამედოვიარო კორტეზი, პოლიციის პროტესტის მიუხედავად, მუსიკისა და ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ახალგაზრდების თანხლებით, შემოვლითი გზებით, ქალაქის მთავარი ქუჩებით, დაიძრა დაკრძალვის ადგილისაკენ, სადაც ქართველი პოეტისა და სასაფლაოების ნაფიცი ორატორის, წერეთლის მოკლე სიტყვის შემდეგ დაასაფლავეს კიდეც მიცვალებული. წერეთლის ეს „ღირსშესანიშნავი“ სიტყვა გამოირჩეოდა განსვენებულის პირადი თვისებებისა და საზოგადოებრივი დამსახურების უსაშველო გაზვიადებით“.

ეს პატაკი განსაკუთრებით დასამახსოვრებელია იმ ინონიულ-ქედმალლური ინტონაციით, რომლითაც მეფის მოხელე ლაპარაკობს სახელგანთქმულ ქართველ პოეტზეც და რუსეთშივე მოკლულ დიდ საზოგადო მოღვაწეზეც. XIX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე აკავის შემოქმედებამ ნათლად ასახა ქართველი საზოგადოების ზნეობრივი რეაქცია რუსული ადმინისტრაციის ამ ცინიზმზე.

მთანმინდაზე წაკითხული ლექსი „ქართველი უცხოეთში“ – აკავის პირველი, სპონტანური რეაქციაა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე; ემოციურად (და, გულწრფელნი თუ ვიქებით, გაურანდავად) აღწერილი ფინალური აქტი სტავროპოლში მომხდარი ტრაგედიისა. სხვა პოეტი, ანდა, შესაძლოა თვითონ აკავიც (ოღონდ, უფრო ადრე), ალბათ, ამ გამოძახილით („გარემოების საყვირი“!) დაკმაყოფილდებო-

და და თავის მოქალაქეობრივ ვალს შესრულებულად ჩათვლიდა. მაგრამ 80-იანი წლები აკაკისათვის პიროვნული და შემოქმედებითი აღმასვლის პერიოდია, 1880 წელს „დროებაში“ „ავადმყოფის“ გამოქვეყნებით რომ დაიწყო.

მიუხედავად ამისა, მას თითქმის ხუთი წელი დასჭირდა იმისათვის, რომ სრულყოფილად გამოეხატა თავისი მიმართება დიმიტრი ყიფიანისადმი, მისი ღვანელისა და მონამებრივი აღსასრულისადმი: ასე დაიბადა „განთიადად“ სახელდებული \* პოეტური შედევრი, რომლის შექმნის ისტორიაცა და ინტერპრეტაციაც აქ წარმოდგენილი გამოკვლევის მიზანია.

დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის დეტალებში გარკვევისას განუზომელ დახმარებას გვინევს თამაზ ჯოლოგუას სამტომეული „საშვილიშვილო მოკავშირე – დიმიტრი ყიფიანი“ (თბ., 1997-2011), სადაც თვალმიდევნებულია დიდი ქართველი მოღვაწის ბიოგრაფიის ყველა ღირსშესანიშავი ეტაპი, ხოლო „განთიადის“ შემოქმედებითი ისტორიის თვალმიდევნებისას – ჯულიეტა გაბოძის გამოკვლევა „როდის შეიქმნა და ვის მიეძღვნა „განთიადი“ მის წიგნში – „აკაკის თხზულებათა გამოცემები“ (თბ., 2009).

სწორედ თამაზ ჯოლოგუას სამტომეულის მეორე ტომშია შესული დიმიტრი ყიფიანის ოჯახის ახლობლის, პედაგოგ დავით დავითაშვილის მოგონება, რომელიც მოგვითხრობს 1887 წლის 8 ნოემბრის კვირა დღეზე და აკაკის გამოსათხოვარ სიტყვაზე დიმიტრი ყიფიანის ცხედართან, მთანმინდაზე: „ხალხი უამრავი იყო და ეკლესის ეზოში მისი მეათედი ნაწილიც ვერ დაეტეოდა; მოეფინა მთას და

\* ამ სახელდებისა და „განთიადის“ ასტრალური სიმბოლიკის ძალზე საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა უურნალ „ცისკარში“ (2012 წ., №4 – „მამულისა და თავდადებულის საგალობელი“) ახალგაზრდა მეცნიერმა, თამარ გელიტაშვილმა. მისი გამოკვლევის ერთი-ერთი თეზა (აკაკიმ „იმდენად გაითავისა საკუთარი ლექსის გმირის განცდები, რომ თავს უფლებას აძლევს, მის ნაცვლად ილაპარაკოს“) – აშკარად ეხმიანება ჩვენს კონცეფციას (იხ. ზ. აბზიანიძე, „აკაკი“, უურნალი „ცისკარი“, 2000 წ. N1).

მთლად დაფარა იგი. სიტყვის თქმა აკრძალული იყო. ხალხი მოელოდა, რომ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ შეუჩერებლივ. მოულოდნელად გაისძა ხმა – „სიჩუმე, სმენა!..“. მთაზე შეფენილი და ეზოში მყოფი ხალხი დასდუმდა. გამოვიდა აკაკი წერეთელი სიტყვით; პროზით დაიწყო და ლექსით დაათავა. ლექსის იმ ადგილას, სადაც იყო ნათქვამი: „ქვა დაჰკრეს, თავი გაუპეს და სპეტაკ წვერზე წვეთ-წვეთად სისხლსა აფრქვევდა მდუღარეს...“, ხალხმა ისე ამოიხვნება, რომ სულ გულ-გვამი თან ამოაყოლა... აკაკიმ სიტყვა ასე დაამთავრა – „კიდევ დიმიტრი თავდადებული“... ამით დამთავრდა პროცესია და ხალხი დაიშალა უჩუმრად“.

1988 წელს გამოქვეყნებული (მ. მთვარელიძე, „თარიღი დასაზუსტებელია“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 19) ერთი მცდარი მოსაზრების პასუხად, თამაზ ჯოლოგუა წერდა: „.... „განთიადი“ აკაკის არ ნაუკითხავს დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე. ლექსი, საერთოდ, მოგვიანებითაა დაწერილი, კერძოდ, 1892 წლის დასასრულს, და ამ თარიღის გადასინჯვის არანაირი საფუძველი არ არსებობს“ („აკაკის კრებული“, 1999). ოღონდ, აქ ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მართებული შენიშვნის ავტორი ზემოთ მოყვანილ სტატიაშიც და დავით დავითაშვილის მოგონების კომენტირებისასაც საერთოდ უარყოფს აკაკის მიერ გამოსათხოვარ სიტყვასთან ერთად რაიმე ლექსის ნაკითხვას: „დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე, – აღნიშნულია ამ კომენტარში, – აკაკიმ ნარმოსთევა სიტყვა, ხოლო ლექსი არ ნარმოუთქვამს“. ამ მოსაზრების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტია, რომ: „მოგონების ავტორს ლექსის სტრიქონები არეულიცა აქვს და სახეცვლილიც“. თუ ვარაუდზეა ლაპარაკი, ვფიქრობ, უფრო სავარაუდოა, ეგზომ მნიშვნელოვანი ეპიზოდის გახსენებისას დავითაშვილს ლექსის სტრიქონები არეოდა, ვინემ საერთოდ გამოეგონებინა ეს მიზანსცენა – პათეტიკური პოეტითა და თვალცრემლიანი მსმენელებით. მით უმეტეს, მრავალი დეტალის გათვალისწინებით, იგი

სამგლოვიარო პროცესის უშუალო მონაწილე ჩანს (სოფ-რომ მგალობლიშვილისაგან განსხვავებით) და არა – სხვისი მონათხობის გამმეორებელი. ამ საკითხზე ჩვენი ყოყმანი-სას ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ: აკაკის ფსიქოლოგია! მას, როგორც ჭეშმარიტ პოეტს, უნდა თავი-სი დაზაფრული თვისტომების მოლოდინი გაამართლოს და სწორედ ლექსით მიმართოს – თუნდაც სახელდახელოდ დაწერილი, მაგრამ გულწრფელი, ტკივილიანი სიტყვებით. თუ დავით დავითაშვილს დავუჯერებთ, მსმენელთა რეაქ-ციაც შესატყვისი იყო... იგივე მიზანსცენა აღწერილი აქვს სოფრომ მგალობლიშვილს („მოგონებანი“, ტფ.. 1938), მა-გრამ მასთან აკაკი უკვე „განთიადს“ კითხულობს. თამაზ ჯოლოგუას სავსებით სამართლიანად შეაქვს ეჭვი სოფრომ მგალობლიშვილის ამ მოგონების ავთენტურობაში. ჩვენც ასე ვფიქრობთ, რომ მხცოვანმა მწერალმა თავისებურად შეავსო „ბიოგრაფიული ხარვეზი“ და ყიფიანის დაკრძალვის თვითმხილველად წარუდგა მკიხელს. თუმცა ახლა აქ სხვა გარემოებაზე მინდა გავამახვილოთ ყურადღება: არაა გა-საკვირი, რომ მრავალი წლის შემდეგ სოფრომ მგალობლიშ-ვილს დიმიტრი ყიფიანის საფლავზე წაკითხული აკაკის ლექსის სათაური შემლოდა, მაგრამ, არა მგონია, თავისით ჩაემატებინა არარსებული პასაჟი თანამემამულეთათვის ესოდენ გულმტკივან სიუჟეტში. ანუ – რიკოშეტით სოფ-რომ მგალობლიშვილის „პატარა მისტიფიკაცია“ სწორედ ჩვენს ვერსიას ამყარებს.

დავუბრუნდეთ „განთიადს“. ჯულიეტა გაბოძე, რომელ-მაც გულდასმით შეისწავლა აკაკის გამოსათხოვარი სიტყ-ვის ისტორია, წერს: „აკაკი დიდხანს ატარებდა გულში დიმიტრი ყიფიანის ვერაგული მკვლელობით გამოწვეულ ტკივილს. მან განსვენებულის ცხედართან შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა და 1888 წელს ლექსიც მიუძღვნა მის ხსოვნას, სათაურით: „ქართველი უცხოეთში“. მაგრამ, რო-გორც ჩანს, პოეტმა ბოლომდე მაინც ვერ ამოთქვა გულის-ნუხილი, რაც კვლავაც არ ასვენებდა მის გონებას“.

მკვლევარი იმოწმებს აკაკის უმცროსი თანამედროვის, ცნობილი ოფთალმოლოგის, პროფესორ ალექსანდრე შატიოლოვის მოგონებას, რომელშიც აღნერილია მისი სტუმრობა აბდუშელიშვილების ოჯახში 1892 წელს, „მარიამობაზე“, ქუთაისის შემოგარენში (სტუმრებს შორის კიტა აპაშიძე, გიორგი წერეთელი, ანასტასია თუმანიშვილი და გიორგი ზდანოვიჩი არიან...). სწორედ იმ საღამოს „ლხინზე შექმნილმა საერთო განწყობამ ბიძგი მისცა“ აკაკის, ექსპრომტად\* ამოეთქვა თავისი დაგუბებული ტკივილი „განთიადის“ უკვდავი სტრიქონებით“:

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,  
მნათობი სხივებს მაღლით ჰქონენს  
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,  
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა:  
მდინარე ნანას უმღერის  
რაინდსა, ურჩისა მტრისასა...

მთაწმინდა გულში იხუჭებს  
საშვილიშვილო სამარეს,  
მამადავითსა ავედრებს,  
აპარებს ქვეყნის მოყვარეს...

ახლა, ვგონებ, დროა მივუბრუნდე ჩემს თავდაპირველ ვერსიას „განთიადის“ ინტერპრეტაციის თაობაზე: ...უნდა

\* „ექსპრომტი“ ამ შემთხვევაში სიტუაციური ცნება უფროა, ვიდრე – უანრობრივი. მით უმეტეს, აკაკის დიმიტრი ყიფიანისათვის მართლაც უძლვნია ექსპრომტი – „დ. ყიფიანის სადლეგრძელოდ“. როგორც ამ ლექსის კომენტარებშია აღნიშნული: „პროფ. გ. აბზიანიძის ვარაუდით, ლექსი დაწერილი უნდა იყოს 1885 წელს, როცა დიმიტრი ყიფიანი დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობამ თავის წინამძლოლად აირჩია“ (აკაკი წერეთელი თხ. სრული კრებული, ტ. II, თბ., 2011 წ., გვ. 471).

გავითვალისწინოთ ისიც, როგორ იცვლება ლექსის ინტონა-ციური სურათი, როდესაც მეხუთე სტროფიდან პოეტურ თხრობას ლირიკული მონოლოგი ენაცვლება და, საფიქრებე-ლია, ყოვლად კონკრეტული მიზნით წარმოითქმის პოეტური „მე“:

იმის გარკვევაში, თუ ვინ იგულისხმება ამ „მე“-ში, – კვლავ დიმიტრი ყიფიანი, თუ უკვე თვითონ პოეტი ლაპა-რაკობს პირველ პირში, ჩვენ გვეხმარება მეოთხე სტროფი, რომელშიც სულაც არაა შემთხვევით ნახსენები „მგოსანი“ – „პოეტი“ (ხოლო დიმიტრი ყიფიანი, როგორც მოგეხსენე-ბათ, პოეტი არ გახლდათ) და, ამ საკვანძო სიტყვიდან გა-მომდინარე, „განთიადის“ დანარჩენი ნაწილი შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც ახალი გამოსახულების პროეცირება უკვე შექმნილ ფონზე.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? ამ მონოლოგში, ოდნავ უფრო პათეტიკურში, ვიდრე წინამდებარე სტროფებია, აკაკი წერეთელმა მხატვრული სიფაქიზითა და ტაქტით შე-ანაცვლა გამოსახულება (ისე არააქცენტირებულად, რომ ადვილია, შეგვემალოს და ლექსში მხოლოდ დიმიტრი ყიფი-ანის ფიგურა დავინახოთ) და მუხლმოდრეკილ, ამპარტავ-ნობას მოკლებულ მიმართვაში სამშობლოსადმი, მის დიდ საკურთხეველზე უკვე მიტანილი მსხვერპლის გამოგლოვე-ბის შემდგომ, ამ თავგანწირვის მაგალითით ჯერ კიდევ მონუსახულმა, პოეზიის ენაზე გადაიტანა თავისი მომავალი ხვედრის განჭვრეტა.

დიახ, „განთიადის“ ავტორისათვის დიმიტრი ყიფიანის გახსენება, იმავდროულად, თავის მისიასა და ბედზე და-ფიქრებაც იყო და იმ ზემონახსენები ნათელზილვის ერთგ-ვარი მანიფესტაციაც. სწორედ ამას ემსახურება მთელი ამ იშვიათი მხატვრული მირაჟის შექმნა: კიდევ ერთხელ ჩა-ვუკვირდეთ, როგორ ამოეფარება აკაკი დიმიტრი ყიფია-ნის ლანდს და რა ბუნებრივად განაგრძობს მის დაწყებულ მონოლოგს:

მგოსანი გრძნობამორევით  
თვალს ავლებს არემარესა  
და გულის პასუხს ნარნარად  
უმღერის ტურფა მხარესა:

ავტორის ბოლო თხოვნაც „განთიადში“ ხომ აშკარად ამ-  
უღავნებს აკაკის გულისწადილს:

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:  
შენს მინას მიმაბარეო!..  
„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“

რამდენჯერაც უნდა გადავიკითხოთ აკაკის ეს ლექსი,  
ალბათ, ყოველთვის ჩავეკითხებით ჩვენს თავს – რა ზე-  
გარდონ ძალამ შეაქმნევინა ეს მირაჟი და რამ დაახატინა  
აკაკის ის სურათი, საქართველოს სიმბოლოდ რომ იქცა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“

და, ალბათ, თუ კიდევ გვჯერა იმ ზეგარდონ ძალისა, ამ-  
იტომაც გვჯერა...

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური 15-ტომეუ-  
ლის მთავარი რედაქტორი, გიორგი აბზიანიძე ხაზგასმით  
აღნიშნავდა, რომ „განთიადში“ აკაკიმ განაზოგადა მთელი  
ერის პატრიოტული განცდა“. სწორედ ამ სიტყვებით მინდა  
დავამთავრო აკაკის პოეტური შედევრის ინტერპრეტაციის  
ეს მოკრძალებული ცდა.



## ქართული ოლიმპიკის ვებგანი

(ვაჟას კონცეპტუალური დაპირისპირება  
ილიასა და აკაკისთან)

ვაჟა-ფშაველას „ჩემს ვედრებას“, ტრადიციულად, პოეტის ლირიკულ შედევრებს არ აკუთვნებდნენ. ისეთ ავტორიტეტებს, როგორნიც ალექსანდრე აბაშელი და გიორგი ლეონიძე იყვნენ, ეს ლექსი მათ მიერ შედგენილ ვაჟას კრებულებში არც კი შეუტანიათ. მაგრამ გამოხდა ხანი და დროთა დინებაში თითქოს განილიერ ის გაურანდავი კორძები, ესოდენ რომ ეხამუშებოდა დახვენილ მზერას, და ამდენი ხნის შემდეგ „ჩემს ვედრებასთან“ თავიდან მიბრუნებულნი, ჩვენ მონუსხულნი ჩავცექერით ვაჟას შემოქმედებისათვის უნიკალური კონცეპტუალური მნიშვნელობის ტექსტს – მისი მსოფლალქმის პოეტურ გაცხადებას.

„ჩემი ვედრება“ ისეთივე პროგრამული ნაწარმოებია ვაჟასათვის, როგორიც – ილიას „პოეტი“ ან აკაკის ამავე სახელწოდების ლექსი. შეიძლება ითქვას, რომ ამ უანრული თანხვედრით მთავრდება მსგავსება „ჩემს ვედრებასა“ და ქართული ლირიკის ორ ზემონახსენებ ნიმუშს შორის.

32 წლის ვაჟა-ფშაველას უკვე ბოლომდე ჰქონდა გაცნობიერებული არა მხოლოდ თავისი თვითმყოფადობა და პოეტური ხელწერის განუმეორებლობა, არამედ თავისი შემოქმედებითი „კრედოც“, რომლის დომინანტური თეზაც უპირისპირდებოდა მისი დროის ორი დიდი ქართველი პოეტის მიერ დანერგილ მსოფლმხედველობრივ ყალიბს.

ვგონებ, ეს დაპირისპირება არცთუ სტიქიურია და „ჩემი ვედრების“ სივრცეში მოგვესმის არა მხოლოდ ახალგაზრდა პოეტის იდეალთა ჩამონათვალი, არამედ იმდროინდელ ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე მისი დამკვიდრების დრამატული პროცესის ექოც.

ახლა იმ „ატლანტებს“ მივუბრუნდეთ, რომელთა მხრებ-საც ეყრდნობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის გუმბათი: ილიასაც და აკაკისაც ერთნაირად ესმით პოეტის მისია – როგორც მესიის (უნებლიერ, სიტყვათთამაში გამოვიდა), მხსნელის, ზეცისა და მიწის „შუამავლის“, ღმერთთან მოღაპარაკე ერის წინამძღოლისა. გავიხსენოთ აკაკის „ავტოპორტრეტი“ მისივე „პოეტიდან“:

თქვენ რომ გგონიათ, ის არ ვარ,  
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!  
შუაკაცი ვარ, უბრალო,  
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.  
(1886 წ.)

ან ილიას კიდევ უფრი პათეტიკური წამოძახილი: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარვუძღვე წინა ერსა“ (1860 წ.).

ვაუას პოეტური „კრედო“ პრინციპულად განსხვავებულია. მაგრამ, ვიდრე ამ თემას განვავრცობდეთ, თავიდან გადავიკითხოთ „ლიტერატურათმცოდნეობით ჩრდილში“ უსამართლოდ მოქცეული მისი ლექსი:

ღმერთო, მიიღე ვედრება,  
ეს ჩემი სათხოვარია:  
არ დამეკარგოს გულიდამ  
მე შენი სახსოვარია!  
გულს ნუ გამიტეს ტანჯვაში,  
მამყოფე შეუდრეკულადა;  
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო

დაჩაგრულების მცველადა.  
 ბალახი ვიყო სათიბი,  
 არა მწადიან ცელობა;  
 ცხვრადვე მამყოფე ისევა,  
 ოღონდ ამშორდეს მგელობა;  
 არ წამიხდინო, მეუფევ,  
 ეს ჩემი წმინდა ხელობა!  
 მაშრომე საკეთილოდა  
 თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,  
 შვილთ საგმოდ არ გამიხადო  
 ჩემი მუდმივი სამყოფი.  
 გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,  
 მნათობს ტრფობისა შეშითა,  
 ნუ მავლევ ქვეყანაზედა  
 გაცივებულის ლეშითა,  
 თვალებში მადლდაკარგულსა,  
 შუბლზე გაკრულის მეშითა...  
 ნუ დამასვენებ ნურასდროს,  
 მამყოფე შეძრნუნებული,  
 მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,  
 როცა ვარ შეწუხებული.  
 როცა გულს ცეცხლი მედება,  
 გონება მსჯელობს საღადა,  
 მაშინ ვარ თავისუფალი,  
 თავს მაშინა ვერდნობ ლაღადა.  
 მფარავდეს შენი მარჯვენა,  
 კალთა სამოსლის შენისა,  
 სანამ არ მოვა დრო-ჟამი  
 სულ ბოლო ამოქშენისა.  
 სული – შენ, ხორცი – მიწასა,  
 აღარა ვგლოვობ ამასა,  
 თევზი – წყალს, ცასა – ვარსკვლავი,  
 შვილი – დედას და მამასა.

ვაჟას შემოქმედებით მრწამსში (დავაზუსტებ: „ჩემი ვე-დრება“ 1893 წელსაა დაწერილი) ვერ მიაგნებთ ვერც ბიბ-ლიური მოსეს ალუზიებს, ვერც – ერის წინამძღოლობის ამბიციას. ყოველივე ეს მისივე მსოფლშეგრძნებიდან მომ-დინარეობს. „ჩემს ვედრებაში“ გაცხადებული სურვილი „ბალახად“ თუ „ცხვრად“ ყოფნისა – არა თუ ძლიერებთან მიტმასწებასა და „მგლობას“, არამედ ამ ფარის „მწყემსო-ბასაც“ კი გამორიცხავს.

თუ კარგად ჩავუკვირდებით „ჩემი ვედრების“ „სურვი-ლთა ნუსხას“, შესაძლოა, გავიფიქროთ, რომ „ჩემი ვედრე-ბის“ ხაზგასმული თავმოდრეკაც, ზეციურ მეუფესთან არა თანამოსაუბრის, არამედ ცხოვრების უსამართლობით შეძ-რნუნებული მავედრებლის მუხლმოდრეკაც ერთგვარი შე-ფარული პოლემიკაა თავისი დროის ორ უდიდეს ქართველ მოღვაწესთან; შესაძლოა, ისიც გავიფიქროთ, რომ, ილიასა და აკაკისადმი განუზომელი მოწინების მიუხედავად, ვაჟამ მაინც გადაწყვიტა, ლექსადვე გაეცხადებინა თავისი შემო-ქმედებითი მრწამსი – როგორც კიდევ ერთი დასტური მისი სულიერი ავტონომიისა.

გულწრფელი არ ვიქებით, თუ ილიასა და აკაკისთან ვაჟას კონცეპტუალურ დაპირისპირებაში საერთოდ არ გავითვალისწინებთ პიროვნულ ასპექტს, რომლის ფსიქო-ლოგიურ ფონზეც წარიმართა „ჩემი ვედრების“ დრამატუ-ლი კოლიზია.

აკაკის ცნობილი – „ენას გინუნებ ფშაველო...“ (1913 წელს გაზეთ „თემში“ გამოქვეყნებული) იმდროინდელ მკითხველთა იმ ნაწილისათვის, რომელიც ქართული ლი-ტერატურული ცხოვრების ნიუანსებს მაინცადამაინც არ იცნობდა, მეხის დაცემად აღიქმებოდა. აი, გათვითცნო-ბიერებულთ კი, მშვენივრად ახსოვდათ, რომ სწორედ აკა-კი გახლდათ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გეზის მიმცემი უურნალ „კვალისა“, რომელმაც დაარსების დღიდანვე (1893 წელს!) თავისაკენ მიმავალი გზა აღუკვეთა ვაჟა-ფშაველას.

ერთი ნაწყვეტი „კვალის“ რედაქტორის, ანასტასია წერთლისადმი მიწერილი ვაჟას ბარათიდან ნათლად გვა- გრძნობინებს, რომ ვაჟას ნამდვილად არ ეშლებოდა, თუ რეალურად ვინ ნარმართავდა „კვალის“ „ლიტერატურულ პოლიტიკას“: „ქალბატონო ანასტასი! – მიმართავდა ვაჟა უურნალის რედაქტორს, – ...დიდად პატივს ვცემ აკაკის ნი- ჭხა და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა, არც აკაკის, არც სხვას, რომ საკუთარი თავის პატივისცემაზე ხელი ავიღო, ან საკუთარს მსჯელობაზე, საკუთარს შეხედულებაზე ამა თუ იმ საგანზე. თქვენ კი ნურას უკაცრავად, ბატონო ჩემო, ამ სიმართლის თქმისათვის, სულ სხვაგვარად მოგველიათ საქმე. რაც მე მასალა ნარმოგიდგინეთ, თქვენ ხომ მიიღეთ ეს მასალა და კიდევაც უნდა დაგებეჭდათ თუ საკუთარ თავსა და საკუთარ აზრს რაიმე ფასს სდებთ“.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ვაჟას ნაწარ- მოებთა უმეტესობა ერთ გაზეთში ქვეყნდება და ეს გაზე- თი ილიას „ივერია“ გახლავთ. მაგარამ მთლად იდილიურად არც ეს თანამშრომლობა ნარიმართა. ჯერ კიდევ 1892 წელს იწყება ავადსახსენებელი ისტორია პეტერბურგის უნივერ- სიტეტის ქართული სათვისტომოს ურთიერთდახმარების სალაროს (ე.წ. „სტუდენტთა კასის“) პრეტენზიებისა ვაჟას სტუდენტობისდროინდელ დავალიანებასთან დაკავშირებით.

ვაჟას პირველი რეაქცია ამ პრეტენზიებზე ნამდვილად არ იყო არც მართებული და არც დამაჯერებელი (ამ თემას- თან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მის შემდგომ წერილებ- ში იგრძნობა კიდეც ერთგვარი სინანული თავისივე მოუ- ზომავი სიცხარის გამო). „ივერიის“ თანამშრომლებმა, იმის ნაცვლად, რომ დაეშოშმინებინათ გულფიცხი ახალგაზრდა პოეტი და მასთან ერთად გამოეძნებნათ ვაჟას პიროვნუ- ლი ლირსების შესაფერისი გამოსავალი ამ დელიკატური სიტუაციიდან, „ლოიალური ობიექტურობა“ გამოიჩინეს და აქვეყნებდნენ, როგორც ვაჟას გასაკიცხად გამიზნულ სტატიებს, ისე მის საპასუხო წერილებსაც. იმ გაუმხელელ- მა წყენამ, რომელიც 1892 წლიდან მოდის, პიკს უკვე 1894

წელს მიაღწია, და პარადოქსული იყო, რომ „ივერიელი“ თანამიკალმეებისადმი საყვედურით აღსავსე წერილი ვაჟამ უკვე „კვალში“ დაბეჭდა სათაურით: „ივერია“ №201 და მეველე (წერილი რედაქციასთან)“.

აი, ერთი ნიშანდობლივი პასაჟი „ივერიის“ ერთ-ერთი იმდროინდელი წამყვანი თანამშრომლის, „მეველეს“ ფსევდონიმით ცნობილი დავით მიქელაძის სახელზე გაგზავნილი ლია წერილიდან: „...მერე რა დაცინვით მიხსენიებს, თითქოს რაიმე საბუთი მიმეცეს ამ დაცინვისა იმისთვის: „ასე ეგონება ადამიანს, ამისი დამნერი ან ცინცინატი უნდა იყოს, ან გარიბალდი და ან მთავარსარდალი სამხრეთის შტატებისა, გენერალი მაინც, რომელნიც გუთანზე მუშაობდნენ“. (რა ქართულია: „გუთანზე მუშაობდნენ“). რაკი „ასე ეგონებაზე“ მიდგა საქმე, მეც ნება მიბოძეთ ამ კილოთივე ვიკითხო: რა ეგონება ადამიანს, როცა ამ ჩვენს მეველესაგან გასამართლებას წაიკითხავს, მოისმენს მის მსჯავრს? მე კი მგონია, რომ ეს მსჯავრი, ეს გასამართლება არ მომდინარეობს უბრალო მომაკვდავის პირით, არამედ ეკუთვნის დიდებულ ზევსს, ოლიმპსა ზედა მჯდომარესა, არა შვილსა ამ ცოდვილის ქვეყნისა“ (ილიასთან და აკაკისთან ვაჟას მიმართებათა რამდენიმე საინტერესო ასპექტი ის. ამირან გომართელის წიგნში „კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა: ილია-აკაკი-ვაჟა“, თბ., 2013 წ.).

ვაჟას პათეტიკური ტირადის ჩაკვირვებულ მცითხველს აქ უკვე ციტირებული სტრიქონების ალუზია გაუჩნდება; დიახ, სწორედ ამ სტრიქონებისა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, / რომ წარუდღვე წინა ერსა“, ხოლო „ოლიმპსა ზედა მჯდომარე“ შთამაგონებლად მეველის ენამნარეპამფლეტისა „ივერიის“ რედაქტორს მიიჩნევს. და არც შეცდება!

„ამის შემდეგ ვაჟა-ფშაველას „ივერიის“ რედაქციათან 1895 წლის ივლისამდის ყოველგვარი კავშირი ჰქონდა განყვეტილი, – წერდა პროფ. სოლომონ ყუბანენიშვილი ვაჟას ბიოგრაფიული დოკუმენტების მის მიერ შედგენილ

უნიკალურ კრებულში, – შემდეგ კი, კვლავ განაახლა მას-თან თანამშრომლობა და ინტენსიურად განაგრძობდა მუ-შაობას“.

ეს „შემდეგ“ გულისხმობდა ილიასთან ურთიერთობა-ში 1893-1894 წლებში გაჩენილი ბზარის თანდათანობით გაქრობასაც და ილიასაგან მომდინარე რეალურ თუ წარმო-სახულ წყენათა „წარმავალობას“ იმ მარადიული ღირებულე-ბების ფონზე, რომლებიც ილიასა და ვაჟას აერთიანებდა და რომლებმაც უკარნახეს ვაჟას ილიას ცხედართან ნათქვამი სულისშემძვრელი გამოსათხოვარი სიტყვა...

ახლა თუ კვლავ დავუბრუნდებით „ჩემი ვედრების“ შექ-მნის პერიოდს და გავიხსენებთ მთელ იმ ლიტერატურულ, პირვნულ, ფსიქოლოგიურ ფაქტორთა ერთობლიობას, რომელზეც ზევით მოგახსენებდით, შემდგომ კი – დიმიტ-რი უზნაძის „განწყობის თეორიას“, ორ დასკვნას გამოვი-ტანთ: პირველი – ვაჟას კონცეპტუალური დაპირისპირება პორაციუსიდან მომდინარე ტრადიციასთან „შემოქმედი-სა“ და „შემომქმედის“ დაწყვილებისა, მისი თავმოდრეკა და „ბალახად ყოფნის“ სურვილი – ესაა გაცნობიერებული არჩევანი ხელოვანის მოკრძალებული პოზიციისა და არამც და არამც დაქვეითებული თვითშეფასების გამოვლინება.

ახლა, ჩვენი ესსეს ფინალში, კიდევ ერთი ვაჟასეული ლექსის სივრცეში გადავინაცვლოთ, რომელშიც „ჩემი ვედ-რების“ ექო მოისმის:

მე რომ ტირილი მეწადოს,  
თქვენ ვის რა გინდათ, ნეტარა?  
ერთი იცინის, სხვა სტირის:  
ესეთი არის ქვეყანა.  
ვისაც არ მოგწონთ ტირილი,  
ის ნუ დაჯდებით ჩემთანა:  
მტირალის სტვირის პატრონი  
ფეხს როგორ გავსწვდი თქვენთანა!

მაგრამ გაიგებთ ერთხელაც,  
ვინ ახლოს ვსდგევართ ღმერთანა.

„სიმღერა“ („მე რო ტირილი მეწადოს...“), 1886 წ.

ერთი (ზედაპირული) შეხედვით, ამ მონოლოგის ანონიმი ადრესატები „ძლიერნი ამა ქვეყნისანი არიან“ – ნეტარად დარწმუნებული თავიანთ ყოვლისშემძლეობაში. მაგრამ სტიქიურ კონტენტ-ანალიზს თუ მივმართავთ (ეს მეთოდი, მოგეხსენებათ, ტექსტში იმ „საკვანძო სიტყვების“ დაძებნას მოითხოვს, რომელიც ერთგვარი „კოდის“ როლს ას-რულებენ „დაშიფრული გზავნილის“ გასაშიფრად), ისევ და ისევ „ქართულ ოლიმპზე“ აღმოვჩნდებით.

აი, იმ „ტაბუირებულ თემას“ მივადექი, რომელსაც ადრე, რაღაც საერთო ინერციას აყოლილი, „თვალს ვაროდებდი“. ამჯერად უფრო ასაკმა გამაბედინა, ვინემ კატეგორიულმა ნონკონფორმისტობამ, რომლითაც (სამწუხაროდ!) ნამდვილად ვერ დავიტრაბახებ.

არა მგონია, თუნდაც ერთს ჩემს წინაპარს (აქ, მენდეთ, ამ სიტყვის ორივე ომონიმს ვგულისხმობ), თუ თანამედროვე კოლეგას მეტ-ნაკლები ყურადღებით წაეკითხოს „სიმღერის“ ფინალი და არ გაეფიქრებინოს, რომ ამ მონოლოგის ადრესატები ქართული მწერლობის ოლიმპზე ბინადრობდნენ და არა – კავკასიის მთავარმმართუებლის სასახლეში. ბოლო სტრიქონში ჩასმული ალუზია ზენაართან დიალოგისა („ვინ ახლოს ვსდგევართ ღმერთანა“) ხომ აშკარად აზუსტებს, რომ „ქართულ ოლიმპს“ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ორად-ორი ბინადარი ჰყავს – ილია და აკაკი. ვაუამ კარგად იცის, რომ იგი „ფეხს ვერ გასწვდის“ იმ ორ გულანთებულ „თერგდალეულთან“, დამოუკიდებლობას მოწყურებულ თავიანთ ერს იმ მღელვარე ეპოქაში წინამდღვრად და სულიერ მამებად რომ მოევლინენ. მაგრამ, ვაუას რელიგიაში „აბსოლუტი“ – პოეზიის ღმერთია, რომლის

ზეგარდმო ხელის ფაქიზი შეხება და ღამეული კარნახი ეს-ოდენ მკაფიოდ ჩაესმის და სწორედ ამიტომაც ჩემულობს მასთან სიახლოვეს.

ასეთ ფიქრებს აღძრავს ლექსად გაცხადებული გენი-ალური ქართველი პოეტის „კრედო“, და ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენი გაფიქრება ჭეშმარიტებასთან ახლოს იყოს...



## ასი ნლის წინათ

(ნიკო ნიკოლაძის ერთი საბედისწერო ილუზია)

ერთი საუკუნის შემდეგ პირველი პუბლიკაციიდან, ვუპრუნვდებით ნიკო ნიკოლაძის ერთ-ერთ ყველაზე მძაფრ პუბლიცისტურ წერილს „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“, რომელიც გაზიარ „საქართველოს“ 1918 წლის მარტის ნომრებში გამოქვეყნდა. 22, 24 და 27 მარტის ნომრები – მთლიანად ამ სტატიის ყველაზე „ანტირუსული“ ნაწილი ჩვენს ბიბლიოთეკებში, როგორც წესი, გაზიარის 1918 წლის კომპლექტებიდან ამოღებულია. თუ გავითვალისწინებთ, დიდი ქართველი სამოციანელის რა საშიშ სამხილად აღიქმებოდა სტატიის ტექსტი, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მისი გულშემატკივარნი ყველანაირად ეცადნენ, მალულად გაექროთ გაზიარის ფურცლებში „შეფუთული“ ეს დამოკლეს მახვილი.

ბოლო ათეული წლების განმავლობაში „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“ პირველად ოთარ ჯანელიძემ გაიხსენა (იხ. მისი წიგნი „ნიკო ნიკოლაძე – ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები“, თბ., 1998 წ.) და ხაზგასმით აღნიშნა ნიკო ნიკოლაძის მწვავე რეაქცია ქართველი სოციალ-დემოკრატების იმუამინდელ კოსმოპოლიტიზმზე. არც ის არის გამორიცხული, რომ მათ გამოფხიზლებაში „უკანასკნელი თერგდალეულის“ პოლემიკურ პათოს თავისი წვლილი შეეტანოს.\*

\* ამავე თემაზე არანაკლებიპათოსით ლაპარაკობდა პავლე ინგოროვა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1918 წლის 7 თებერვლის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში იხ. „შენიშვნებში“.

ნიკო ნიკოლაძის ზემოხსენებული სტატია სრული სახით და ჩვენი კომენტარებით 2010 წელს გამოქვეყნდა უურნალში „ქართული მწერლობა“ (N1). და სწორედ ამ კომენტარებში გახმიანდა პირველად უკანასკნელი თერგდალეულის საბედისნერო ილუზიის ის ექო, რომელსაც აქ წარმოდგენილი ესსე ეძღვნება.

გაზეთი „საქართველო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვითი ორგანო გახლდათ, და ნიკო ნიკოლაძის (როგორც ამ პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგის) იმჟამინდელი პუბლიცისტიკის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა. საქართველოს სახელმწიფო ებრიობის ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტ წლებში არ იყო გასაკვირი, რომ უკანასკნელი თერგდალეულის საგაზეთო წერილების თემატიკა ყველაზე აქტუალურ და მტკიცნეულ პრობლემებს ეხებოდა – ქვეყნის შიდა პოლიტიკა იქნებოდა ეს, თუ მეზობელ მტერ-მოყვარეთა სტრატეგიული გეგმები.

„საქართველოს“ რედაქციაში ნიკო ნიკოლაძის ვიზიტების შემსწრე გერონტი ქიქოძე იგონებდა, რომ: „ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა ვაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიო მასშტაბით აზროვნებას“.

გაზეთის რედაქციის თანამშრომლები, თავის მხრივ, ეთაყვანებოდნენ საამაყო ავტორს, რაც ესოდენ მაღალ-ფარდოვნად გაცხადდა მათ კოლექტიურ მიმართვაში დიდი პუბლიცისტისადმი: „თქვენი წერილებისათვის საფასოს კი ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ ჩვენც და ჩვენი მომავალი თაობაც თქვენს ღვანლს დავაფასებთ და არ დავივიწყებთ იმ ღვთაებრივ ნიჭს, რომელიც სამშობლოს სამსახურში მუდამ ჩვენთვის საამაყო იქნება“.

ოთარ ჯანელიძის მონოგრაფიაში „უკანასკნელი თერგდალეული“ (თბ., 2010 წ.) აღწერილია ის დრამატული გარებოლიტიკური ვითარება, რომლის წიაღშიც საქართველოს

დღემოკლე დემოკრატიული რესპუბლიკა იშვა: „1917-1918 წლები უაღრესად რთული და სხრაფცვალებადი მოვლენებით აღინიშნა საქართველოს ცხოვრებაში. ვითარება განსაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბრესტის ზავით საბჭოთა რუსეთი პირველ მსოფლიო ომს გამოეთიშა და გერმანიის მოკავშირე ოსმალეთს ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები დაუთმო. ამიერკავკასიის კომისარიატ-მა ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია, ხსენებული მონა-წყლის დაცვა ჯერ სამხედრო ძალებით სცადა, მაგრამ როცა ვერას გახდა, თურქთა ექსპანსიის შეჩერება დიპლო-მატიური გზით დააპირა. მოლაპარაკება თავდაპირველად ტრაპიზონში, ხოლო 1918 წლის მაისში ბათუმში წარმოებდა. ქვეყნის მომავალი ახლა ბათუმში წყდებოდა და ნიკო ნიკოლაძეს აკაკი ჩხენკელთან ერთად ამიერკავკასიის სეი-მის დელეგაციაში ვხედავთ, როგორც ქართველი ერის ოფი-ციალურ წარმომადგენელს“.

ნიკო ნიკოლაძის წვლილი ბათუმის მოლაპარაკებათა პროცესში ხატოვნად აღწერა ზურაბ ავალიშვილმა: „...მეო-რე ქართველი დელეგატი ნ. ი. ნიკოლაძე მეტად ადვილათ ატარებდა თავის 75 წლის სიმძიმეს. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას მერმე, რაც იგი ჭაბუკურათ თათბირობდა ჰერ-ცენთან, თუ როგორ გაერტყმია სილა მაშინდელ რუსეთის უანდარმთა შეფისათვის! ანდა რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც მან, როგორც თფილისის გაზეთ „ობზო-რის“ რედაქტორმა, ისეთი განგაში ასტეხა რუსეთში თავი-სი ლიტერატურული პროცესით, რომ თვით ანატოლ ლე-რუა-ბოლიე დაწვრილებით მოიხსენიებს ამ ამბავს... ულევი მეხსიერება, ცოდნა ოსმალეთ-კავკასიის დამოკიდებულე-ბებისა, მუსაიფის მჩქეფარე ნიჭი, თვალებში ცეცხლის ნა-პერნელები თეთრ წვერთან და წარმოსადეგ შეხედულებას-თან ერთად, ყველაფერი ეს ძლიერ სასარგებლოდ ჰქმნიდა მის ყოვნას ბათუმში“ (ზ. ავალიშვილი, „საქართველოს და-მოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლი-ტიკაში“, ტფ., 1925 წ.).

საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევარნი ერთ-სულოვანნი არიან ბათუმის მოლაპარაკებათა განსაკუთრებული მნიშვნელობის შეფასებაში: სწორედ აქ გერმანულმა მხარემ (რომელიც დასაწყისში სულაც არ იყო მომხრე ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა – იხ. გრიგოლ ლორთქიფანიძის „ფიქრები საქართველოზე“, თბ., 1995 წ.) კატეგორიულად განუცხადა ქართულ დელეგაციას, რომ ოსმალეთთან ტერიტორიულ დავაში საქართველოს (გერმანიის დახმარებით) გამარჯვების შანსი აქვს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, და არა როგორც ამიერკავკასიური ფედერაციის ნაწილს. ამ ულტიმატუმმა დიდად დააჩქარა ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სუვერენულ, დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება. ისიც ყურადსალებია, რომ ნიკო ნიკოლაძემ მყისვე შეადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის თავისი პროექტი, რომელიც გადასცა ბათუმში ჩასულ ნოე უოდანიას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ან ძირითად საშიშროებას საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის არა ოსმალეთი, არამედ რუსეთი წარმოადგენდა. იმ საზოგადო მოღვაწეთათვის, რომელიც ფხიზლად ადევნებდნენ თვალს რუსული გეოპოლიტიკის ტენდენციებსა და კონსტანტებს, ეს ჭეშმარიტება გაცილებით უფრო ადრე გამოიკვეთა. წესით და რიგით, ერთ-ერთი ამათგანი ნიკო ნიკოლაძე უნდა ყოფილიყო, ვინც შესანიშნავად იცნობდა არა მხოლოდ რუსულ კულტურას, არამედ პოლიტიკურ ისტორიასაც, პოლიტიკურ ელიტასაც, და ვინც, რუსეთსა და რუსულენოვან პრესაში მრავალწლიანი მოღვაწეობის მიუხედავად, სწორედ ევროპული ღირებულებების ერთგულებით გამოირჩეოდა.

დიდი სამოციანელის „ევროპეიზმს“, როგორც ჩანს, ყველა მისი თანამედროვე მოღვაწე როდი იზიარებდა. ერთი ციტატა 1913 წელს გაზეთ „კლდეში“ (ეს ეროვნულ-დემოკრა-

ტიული პარტიის ორგანო გახლდათ) გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს მომრავლებული მტრების გამოხდომებისაგან იცავდა, კარგად ასურათებს ამ დაპირისპირებას: „ნიკოლაძე და რუსეთში ნასხავლი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა ტიბები, ორი ანტიპოლია. **ნიკოლაძე სულით და გულით ევროპელია, ევროპაში ნასწავლი, ევროპის იდეებით გამსჭვალული, ევროპის ტეხნიკა-ინდუსტრიის მცოდნე, ინიციატივის კაცი, პრაქტიკი და საქმიანი.** ჩვენი ინტელიგენცია კი უმთავრესად აღზრდილია რუსეთის სკოლაში, ამ სკოლის მონური სულით, ჩინოვნიკური რუტინით და სხოლასტიკით გაუდენილი... აშკარაა, რომ ნიკოლაძე და ჩვენი ინტელიგენცია, სულ სხვადასხვა პოლუსზე დგანან, ცხოვრებას სხვადასხვა პრიზმით უცეკერებ და ერთმანეთის პოლიტიკას გმობენ. ამან გამოიწვია ანტაგონიზმი ნიკოლაძისადმი, მისი დევნა და ქირდვა“ (როგორ არ გაახსენდება აյ კაცს ჯავაპარლალ ნერუს ისტორიული ფრაზა: „არ არსებობს უფრო დიდი მტერი საკუთარი ხალხისა, ვიდრე კოლონიზატორის მიერ აღზრდილი ინტელიგენცია“).

რუსეთში მრავალწლიანი მოღვაწეობისას ნიკო ნიკოლაძეს კარგად გაცენობიერებინა იმპერიული მენტალობის სპეციფიკა. ამ ფენომენის მნარე გემო თავად არაერთხელ ეწვნია და მისი ამოძირვა შეუძლებლად მიაჩნდა იმპერიის დამხობის გარეშე.

ამგვარი მენტალობის ერთი მეტყველი ნიმუში, რომელიც რუს ლინგვისტს, ფილოსოფოსსა და პუბლიცისტს, ნიკოლოზ ტრუბეცკოის (1890-1938) ეკუთვნის, დამატების სახით ერთვის გია ჯოხაძის მონოგრაფიას „ევრაზიული საცდური“ (თბ., 2015 წ.), და დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით მრავლისმეტყველია: იმითაც, რომ ამ „იმპერიული კონცეპტის“ მანიფესტაცია ეკუთვნის არა იმპერიის დიდმოხელეს, არამედ გამოჩენილ მეცნიერსა და მოღვაწეს; იმითაც, რომ სწორედ საქართველოს მაგალითია მოშველიებული, და იმითაც, რომ ტრუბეცკოის ყურადღების ცენტრშია

რუსეთ-საქართველოს ინტერესთა ანტაგონიზმის პიკი გა-  
სული საუკუნის 20-იან წლებში:

„თებერვლის რევოლუციის დროიდან ქართველებ-  
მა ავტონომიის უფლება მოიპოვეს, და ამაზე მათთან შე-  
დავება შეუძლებელია, – ნერს ნ. ტრუბეციონი, – მაგრამ  
ვინაიდან ეს ვთარება ქართული სეპარატიზმის წარმოქმ-  
ნის საბაბს იძლევა, მასთან ბრძოლა **რუსეთის ნებისმიერი**  
**მთავრობის** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ზ.ა.) ვალდებულე-  
ბაა. თუ რუსეთს ბაქოს ნავთობის შენარჩუნება სურს  
(ურომლისოდაც, ალბათ, არა თუ ამიერკავკასიის, არამედ  
ჩრდილო კავკასიის ფლობაც კი შეუძლებელია), **მან არ**  
**უნდა დაუშვას საქართველოს დამოუკიდებლობა.** საქარ-  
თველოს პრობლემა რთული იმიტომაა, რომ საქართველოს  
გარევეული დამოუკიდებლობის უღიარებლობა ან, უკვე  
პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო მისი სრული პოლი-  
ტიკური დამოუკიდებლობის ცნობა – დაუშვებელი“ (H.  
Трубецкой, „Наследие Чингисхана“).

კიდევ ერთხელ შევასენებ მკითხველს, რომ ყოველივე  
ამას ნერს კომუნისტური რეჟიმის დაუძინებელი მტერი,  
რომელიც, მათგან განრიდებული, ემიგრაციაში, ვენაში,  
ავსტრიის გერმანულ რაიხთან მიერთების შემდეგ, ახლა  
უკვე ფაშისტურ რეჟიმს დაუპირისპირდა და, ფაქტობრივ,  
ემსხვერპლა კიდეც.

ნიკოლოზ ტრუბეციონის ესსე „კავკასიელ ხალხთა შეს-  
ახებ“ 1925 წლითაა დათარიღებული, და, ცხადია, 1918  
წელს ნიკო ნიკოლაძე ვერ წაიკითხავდა. მაგრამ მთელი  
ის იმპერიულ-ფსიქოლოგიური პლასტი, რომელზეც ალ-  
მოცენდა ტრუბეციონის პოლიტიკური კონცეფცია, ნი-  
კოლაძისათვის ნაცნობზე-ნაცნობი იყო. ამიტომაც საქა-  
რთველოს სახელმწიფოებრივი არსებობის ერთადერთ და  
უმთავრეს წინაპირობად მას რუსეთის იმპერიის დამხობა  
მიაჩნდა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დაწყებას  
პეტროგრადში იგი თავად შეესწრო და ღია ბარათზე პირ-  
ველ შთაბეჭდილებებს თავის დას, ეკატერინეს უზიარებდა.

ბარათზე ზამთრის სასახლის წინ მომიტინგების უკიდეგანო მასა იყო ალბეჭდილი: „გიგ ზავნი პეტროგრადოს სახეს ამ დღეებში. ამ კვირას აქ ყოველდღე ასეთი სახე აქვს ჩვენს სატახტო ქალაქს. ხალხით სავსეა ქუჩები და მოედნები: დავობენ, ჩხუბობენ, შფოთავენ. მაინც ყველას იმედი გვაქვს, რომ იქნება ღმერთმა ქნას და მორიგდეს ეს აღშფოთებული ზღვა...“\*.

ძნელია თქმა, იმ წამს ამბოხებულ პეტროგრადში ცოლ-შვილიანად მომწყვდეული ნიკო ნიკოლაძე მართლაც ნატ-რობდა „აღშფოთებული ზღვის“ დაცხომას, თუ მაინც იფრთხილა და ღია ბარათს არ ანდო ის უნებლიერ სიხარული და იმედი, რაც იმპერიის განაპირა გუბერნიის ქართველ მკვიდრს ქაოსით მოცული დედაქალაქის ცქერამ აღუძრა.

ასე იყო თუ ისე, მაგრამ, ერთი წლის შემდეგ, 1918 წლის მარტში, თბილისში მას საწერ მაგიდაზე გაშლილი აქვს იმპერიის რუკა, რათა უფრო თვალსაჩინოდ წარმოისახოს იმპერიის ნგრევის სურათი: ბოლშევიკური მთავრობა რუსეთის 3/4-ს ვერ აკონტროლებს, ლენინი მოსკოვშია გადმოსული, რადგან პეტროგრადის აღარ ეიმედება – იქითკენ ესტონეთში ფორმირებული „ჩრდილო-დასავლური კორპუსით“ გენერალი იუდენიჩი იწევს; ჩრდილოეთში გენერალი მილერი აქტიურობს; ურალსა და ციმბირში – ადმირალი კოლჩაკი; სამხრეთში – გენერლები ალექსეევი და დენიკინი თავიათი „მოხალისეთა არმიით“; მათ ზურგში – დონის კაზაკობა ატამან კრასნოვის მეთაურობით.

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი სამშვიდობო ხელ-შეკრულება გერმანიასთან ითვალისწინებდა პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსის, ბალტიისპირეთისა და ფინეთის ტერიტორიებიდან რუსული ჯარის გაყვანას, რაც ამ

\* ეს ბარათი ბაბუაჩემის, ნიკო ნიკოლაძის უმცროსი ძმის – კონსტანტინე ნიკოლაძის არქივში ინახებოდა და ბ-6 აკავის გაგაცანი პირველი ბუბლიკაციისათვის, რაც მადლიერებით აღინიშნა კიდევ ნიკო ნიკოლაძისადმი მიძღვნილ ბაქრაძისეულ წიგნში.

ქვეყნების დამოუკიდებლობის წინაპირობა უნდა გამხდარიყო.

300-წლოვანი იმპერიის კერპების ნგრევის ქაოსსა და ბუღში ნიკო ნიკოლაძეს იმპერიის კედლები საბოლოოდ დანგრეული მოეჩვენა და სანუკვარი იმედით ატაცებული დასწვდა კალამს. ასეთი განწყობით დაიწერა 1918 წლის მარტში მისი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“.

„დაემხო ოდესლაც უზარმაზარი რუსეთი, დაიმსხვრა, დაიგლიჯა, დანანილდა... დაიქცა და დაილენა ისე, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელია, – წერდა ნიკო ნიკოლაძე, – გუშინდელი ლალი ბატონი ველიკო-რუსი, გუშინდელი მტანჯველი მრავალ განათლებულ ეროვნებათა დღეს უგზო-უკვლოდ დატანტალებს რუსეთის ტიალ მინდვრებზე და ცახცახით გაურბის კაიზერის ძლევა-მოსილ დროშას.

უკულტურო რუსეთის დამსხვრევით გაჰქრა სამუდამოდ ევროპის საფრთხე და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გერმანიას. უზენაესმა ტექნიკამ და მაღალმა კულტურამ დალენა სიბრძლე და უმეცრება; პატარა ფალავანმა დასცა დიდი თიხის ფეხებზე მდგარი უზარმაზარი გოლიათი. აღიგავა ქვეყნის პირიდან ევროპის უანდარმი; მოისპო საუკუნოთ ულმობელი მტარვალი – აბსოლუტიზმი. ასი წლობით გვემულმა და დამონებულმა ერებმა ამოისუნთქეს თავისუფლათ...

მერე და რამ დასცა რუსეთი? რამ დაამხო უზარმაზარი იმპერია. იგი დასცეს და დაამხეს უმთავრესად შინაურმა და გარეგანმა მტრებმა. ეს მტრებია: თვითმცყრობელობა, რუსის ხალხის უკულტურობა და მონური სული“ (გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 22 მარტი).

მოულოდნელი სიხარულით ატაცებულ დიდ რეალ-ისტს უმტყუნა რუსეთშივე მიღებულმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და პოლიტიკოსის ალლომ. მის თანამებრძოლებს გაზეთ „საქართველოს“ მარტის ნომრების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდათ, რომ რუსე-

თი „აღიგავა პირიდან მიწისა“ ანუ რეალურად შესაძლებელი იყო ისეთი პოლიტიკური თუ სამხედრო აქციების განხორციელება, რომლებზეც ადრე ოცნება თუ შეიძლებოდა. სწორედ ამგვარი აქცია იყო 1918 წლის ზაფხულში სოჭი-ტუაფსეს დასალაშქრად სამხედრო ექსპედიციის წარგზავნა გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით.

ამ ექსპედიციის მსვლელობის ძირითადი ეტაპების ჩამოთვლისას იმავ გიორგი მაზნიაშვილის მემუარებს მოვიშველიებ: „18 ივნისს სამხედრო მინისტრისაგან მივიღე დეპუტატი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მე ვინიშნები აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ნაპირების ჯარის უფროსად“ (ციტატები მოგვყავს გიორგი მაზნიაშვილის წიგნიდან „მოგონებანი“ (1917-1925), ტფ., 1925 წ.). აქვე დასახელებულია გენერლის სოხუმში მივლინების ძირითადი მიზეზიც: „...გამოირკვა, რომ ბოლშევიკებმა აფხაზი ლაკობას მეთაურობით კვლავ დაიჭირეს გუდაუთი, ამოხოცეს გვარდიის მონინავე რაზმი და მოინევენ სოხუმისაკენ. ...რადგანაც ლეჩებულში, ოსეთში და დუშეთში აჯანყებები უკვე დაიწყო, ტფილისიდან დახმარების იმედი აღარ მქონდა“. გიორგი მაზნიაშვილმა მაინც შექმნა ბრძოლისუნარიანი საჯარისო შენაერთი და მონინააღმდეგე აიძულა, „დაეტოვებინა გავრა და გადასულიყო სოჭაში და შემდეგ ტუაფსეში“. „უნდა შევჩერდე ერთ საკითხზე, – განაგრძობს გენერალი მაზნიაშვილი, – რომელიც მკითხველისათვის შეიძლება გაუგებარი იყვეს: ქართული ჯარები რომ მივიდნენ სოფელ პილენკოვოსა და მახადირთან, რად წაინიეს ნინ და რად შევიდნენ შავიზღვის გუბერნიაში, რომლის ტერიტორია არას დროს არ ეკუთვნოდა არამც თუ საქართველოს, აფხაზეთსაც კი? ეს აიხსნება შემდეგით: ...სოფ. პილენკოვოს დაკავების შემდეგ ჩემი მისია დამთავრებული მეგონა, რაც ვაცნობე სამხედრო მინისტრს და აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს. როგორც ტფილისიდან, ისე აფხაზეთის ეროვნულ საბჭოდან მივიღე ანალოგიური ბრძანებანი: ნამენია ნინ და დამეჭირა სოჭა. მიზეზი, როგორც გად-

მომცეს პირდაპირი მავთულით, ვითომ და თხოვნა-მუდარა იყო სოჭაში მცხოვრებ ქართველებისა, ხოლო აფხაზეთის ეროვნულ საბჭოს ზოგიერთი წევრი მარნმუნებდა, რომ აფხაზეთს ეკუთვნოდა არამც თუ სოჭა, არამედ აფხაზეთის სამზღვრები უძველეს დროში ანაპამდეც მოდიოდა“.

ისტორიკოსების თქმით, უძველეს დროში მართალაც ასე იყო. ხოლო XIII ს-ში „ნიკოფისია“ (ნიკოპოლისი), რომელსაც დღეს ჩინებულია ჰილა და სოჭსა და ტუაფსეს (დვაბზუ) შორის მდებარეობს, საქართველოს ზღვისპირეთის სასაზღვრო ქალაქი გახლდათ (მეტი თვალსაჩინოებისათვის იხ. შესატყვისი რუკა ქართველ ისტორიკოსთა კოლექტიურ მონოგრაფიაში – „ყოველი საქართველო“ [ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე] თბ., 2014).

რაღა თქმა უნდა, თუ პოლიტიკური რომანტიზმი გამოძრავებს და დარნმუნებული ხარ, რომ რუსული სამოქალაქო ომის ქაოსში შენთვის ვერ მოიცლიან ვერც „ნითლები“ და ვერც „თეთრები“ – ერთმანეთს რომ ულეტენ, ვერც დანარჩენი – „უგ ზო-უკვლოდ რომ დატანტალებენ რუსეთის ტიალ მინდვრებზე“, – კი ისურვებ, რომ ისტორიულად შენს „ნიკოფისიაში“ (ხომ გვახსოვს ქართული ყურთასმენის ესოდენ დამატკბობელი: „ნიკოფისიდან – დარუბანდამდე“) ქართული დროშა ფრიალებდეს.

ვაი რომ, მოიცალეს: ჯერ „თეთრებმა“ და მერე „ნითლებმა“! ხელისუფალთა „პოლიტიკური რომანტიზმი“ კი მნარე სინამდვილედ შემოუბრუნდა დემოკრატიულ საქართველოს: „სოხუმიდან მივიღეთ დეპეშა, რომ სოჭის მიმართულებით ჩვენი საქმე ცუდათაა, – ტელეფონით ატყობინებს მაზნიაშვილს სამხედრო მინისტრის მოადგილე („ამხანაგი“, როგორც მაშინ წერდნენ) გედევანიშვილი, – დენიკინის ჯარები თავს დაესხა სოჭაში ჩვენს გარნიზონს, იარაღი აპყარა და ტყვედ წაიყვანა იგი, გენერალ კონიაშვილთან ერთად. შემდეგ ნინ ნამოინიეს, გაგრა დაიკავეს და სოხუმის აღებას აპირებენ“.

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ახალციხის მაზრის მოსახლეობის აჯანყება, როდესაც, გენერალ მაყაშვილის თქმით: „მთავრობის დაბალმა ადმინისტრატიულმა აპარატმა, ჯერ-ერთი, თავის მოუმზადებლობით და, მეორე, თავისი ტლანქი და მოურიდებელი ქცევით და ადგილობრივი ადათებისა და ჩვეულებების შელახვით ისე გააბოროტა მთელი მცხოვრებნი, რომ ისინი მზად არიან მიეკედლონ ყველას, ვინც კი დაიფარავს მათ ამ „მხეცებისაგან“, როგორც უზოდებდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი მთავრობის კომისრებს...“

„თეორ“ გენერლებთან (ჯერ ალექსევთან, შემდგომ კი – დენიკინთან) დამოუკიდებელი საქართველოს ურთიერთობის ნიუანსებთან დაკავშირებით, საინტერესოა ინგლისელი ისტორიკოსის – ერიკ ლის მოსაზრება: „დენიკინი არანაირ გარანტიას არ აძლევდა ქართველებს, რომ მათ თვითგამორკვევის უფლებას სცნობდა. ჩანდა, მისი მიზანი მხოლოდ ბოლშევიზმის დამარცხება და მოსკოვის ხელში ჩავდება არ იყო და ძველი ცარისტული იმპერიის განპირა რეგიონების ამბოხებული ნაციონალური ჯგუფების დამორჩილებაც ჰქონდა განზრახული. წითლებზე გამარჯვებაში დარწმუნებული დენიკინი არ აპირებდა, მათგან ტერიტორიებდაკარგული რუსეთი მიეღო მემკვიდრეობად. მას იმპერიის აღდგენა სურდა – ერთიანი იმპერიის. მისი ძალები ბოლოს ქართველებს შეეჯახნენ. ეს გარდაუვალი იყო“ (ერიკ ლი, „ექსპერიმენტი – საქართველოს მივიწყებული რევოლუცია“, თბ., 2018 წ.).

აქ ერთი დაზუსტებაა საჭირო: დენიკინის არმიას ბოლშევიკებთან რომ გაემარჯვა, საქართველოსთან მისი შემდგომი ურთიერთობა, უთუოდ, ერიკ ლის სცენარით წარიმართებოდა. მაგრამ 1918-1919 წლებში წითელ არმიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართულ „თეორებს“ ნამდვილად არ აწყობდათ ნეიტრალური საქართველოს მტრად გადაკიდება (ეს „ნეიტრალიტეტიც“ უფრო

დიპლომატიური იყო, ვინემ – რეალური, რადგან ქართული მხარე დროდადრო იარაღით ამარავებდა დენიკინებს).

ზემოთქმულს ადასტურებს გენერალ მაზნიაშვილის მოგონებებში ჩართული სტენოგრამა 1919 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოგრადში (შემდგომში – კრასნოდარი) გამართული მოლაპარაკებებისა, რომლებშიც „ყუბანის მთავრობასა“ და „დობრარმიას“ (ანუ – „Добропольческая армия“, „მოხალისეთა არმია“) წარმოადგენდნენ გენერლები ალექსევი და დენიკინი, ხოლო ქართულ მხარეს – საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და გენერალი გიორგი მაზნიაშვილი.

ამ მოლაპარაკებათა მიმდინარეობასა და შედეგებზე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იელის უნივერსიტეტის პროფესორი, ფირუზ ქაზემზადე თავის კაპიტალურ მონოგრაფიაში – „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის (1917-1921)“ (თბ., 2016 წ.).

მოლაპარაკებათა უშედეგო ფინალს იგი ასე აღნერს: „...ალექსეევმა ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა, რის შემდეგაც იყითხა, თანახმანი იყვნენ თუ არა ქართველები სოჭის დათმობაზე. გეგეჭკორი მტკიცედ იდგა. სოჭი ქართველებს უნდა დარჩეთ, განაცხადა მან. რაკი შეთანხმება შეუძლებელი იყო, ალექსეევმა კონფერენცია დასრულებულად გამოაცხადა. მისი გამოსვლა საქართველოს მიმართ შეფარულ მუქარასა და თან ერთგვარ დაპირებასაც შეიცავდა, როცა ამბობდა, გერმანელები ვერ შეძლებენ თქვენი ქვეყნის პურით მომარავებას, მოხალისეთა არმია კი შეძლებსო“.

1918 წლის 26 სექტემბრის ბოლოს ევგენი გეგეჭკორმა ჩრდილოეთში (ეკატერინოგრადში) ორი გააფთრებული რუსი გენერალი რომ დატოვა, ორ კვირაში შემაშფოთებელი ცნობები მოვიდა სამხრეთიდან (სომხეთიდან): „უთანხმოება ორ მთავრობას შორის დაიწყო 18 ოქტომბრიდან, – იგონებდა გენერალი მაზნიაშვილი, – რაც დამთავრდა იმით, რომ – 13 დეკემბერს სომხებმა დაიწყეს საომარი მო-

ქმედება ჩვენს მარჯვენა ფრთაზე, სოფ. ვორონცოვკასთან, კამენკასთან და პრივოლნოესთან“.

და მაინც, დღევანდელი გადასახედიდან ძნელია გავი-ზიაროთ ფრანგი სამხედრო და საზოგადო მოღვაწის, რე-მონ დიუგეს აზრი, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობა მეტწილად ქართველივე პოლი-ტიკოსებისა და გენერალიტეტის შეცდომებმა განაპირობა. დიუგე, რომელიც 1919-1924 წლებში ცხოვრობდა საქართ-ველოში და 1927 წელს პარიზში გამოსცა ქართველობისად-მი გულწრფელი თანაგრძნობით გამსჭვალული წიგნი – „მოსკოვი და წამებული საქართველო“, როგორც ჩანს, მაინც ცდებოდა, და ევროპისაგან ზურგშექცეული საქართ-ველოს ბედი გადაწყვეტილი იყო. ნოე უორდანიას მთავრო-ბა, საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე თვით თუ გადაა-ვადებდა რუსულ ოკუპაციას.

საქართველოს „გასაბჭოებისა“ და ევროპიდან სამშობ-ლოში დაბრუნების შემდეგ (1924 წლის მარტში) თავისი ოთხნლიანი ნებაყოფლობითი „შინაპატიმრობისას“ ნიკო ნიკოლაძე, რაღა თქმა უნდა, ხშირად ფიქრობდა ყოველივე ამაზე. მნარედ გამოემშვიდობა იგი იმ ილუზიასაც, რომ ოდესმე იარსებებს ქვეყანა, რომელსაც „გონიერი მწერლო-ბა წინამდღვრობს“ და იმ მითსაც „ქართველთა უმარცხე-ბლობის“ თაობაზე, რომლის სასწაულმოქმედ ძალაშიც ესოდენი პათოსით არწმუნებდა თავსაც და თანამემამუ-ლებსაც. რაღა თქმა უნდა, ფიქრობდა მის მიერ უკვე „და-მარხული“ ბოლშევიზმის გამარჯვების საიდუმლოზე და, ვგონებ, უამრავ ვერსიათაგან ყველაზე დამაჯერებლად ნიკოლოზ ბერდიავეის დაკვირვება მიაჩნდა: „ბოლშევიზმ-მა არაფერი დაიშურა თავისი ზეობისათვის. ისარგებლა-ლიბერალურ-დემოკრატიული ხელისუფლების უძლურე-ბით, მისი სიმბოლიკის უსარგებლობით ამბოხებული მა-სის დასაოკებლად. მან ისარგებლა იმით, რომ ობიექტური მიზეზებით შეუძლებელი გახდა გავრძელება ომისა, რომ-ლის პათოსიც უიმედოდ განილია, ისარგებლა ჯარისკაცე-

ბის გაბეზრებით და მათ მშვიდობის ამბავი ამცნო. მან ისარგებლა გლეხობის სიდუხჭირითა და უკმაყოფილებით და ფეოდალიზმის ნარჩენებისა და თავად-აზნაურობის პატონობის დამხობით, მთელი მიწა მათ გადასცა. მან ისარგებლა ზემოდან დესპოტური მმართველობის რუსული ტრადიციებით და იმ უჩვეულო დემოკრატიის ნაცვლად, რომლის არანაირი ჩვევები არ არსებობდა, იმ თვისებებით, სეკულარიზებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებას ყველაფერში რომ ენინააღმდეგებოდა, ისარგებლა მისი რელიგიოზურობით, მისი დოგმატიზმითა და მაქსიმალიზმით, მისი ძიებებით – სოციალური სამართლიანობისა და მიწაზე ღვთის სასუფევლისა, მსხვერპლშენირვისა და ჭირთათმენის მისი უნარით, მაგრამ ისარგებლა ავრეთვე მისი უხეშობისა და სისასტიკის გამოვლინებებითაც, ისარგებლა რუსული მესიანიზმით, ყოველთვის რომ რჩება, თუნდაც გაუცნობიერებელი სახით რუსის რწმენაში რუსეთის განსაკუთრებული გეზის შესახებ“ (Н. Бердяев, «Истоки и смысл русского коммунизма»).

აი, რამდენ ალუზიას აღძრავს ნიკო ნიკოლაძის „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი“. ცოტა მეგულება ერთი საუკუნის წინ დაწერილი პუბლიცისტური წერილი, დღეს ამგვარი ინტერესით რომ იკითხებოდეს და თან ასეთი ჭკუის სასწავლებელი იყოს – ისტორიზმის მისეული განცდითაც, ეროვნული ლირსების მამკვიდრებელი სულითაც, თავისი ღრმა წვდომებითაც და თავისი „უკვდავი“ ილუზიებითაც...

### შენიშვნები:

„კავკასიის“ ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“: „ჩვენ სრულიად უქმად ჩავატარეთ ნარსული საბედისწერო წელი, წელი – რომელსაც ინტენსივი შემოქმედების ნიშნის ქვეშ უნდა გაევლო. ჩვენ გადავაგეთ ჩვენი ეროვნული ენერგია ჯერ რუსეთუმეს, თუმცა უკვე ადრევე ნათელი გახდა ამისი უმიზნობა; ჩვენ აგრეთვე გაკრეტინებულის სიმტკიცით შევრჩით ირრელიგატი ამიერკავკა-

სიის მთლიანობის იდეას, მაშინ როდესაც „ამიერკავკასიის“ ხაზის გვერდით ჩვენ გვმართებდა ეროვნული ხაზის აღებაც, გვმართებდა არდაყოვნება ეროვნული თვითორგანიზაციით, მით უფრო, რომ ღმერთმა გვარგუნა საბედისნერო გეოგრაფიულ მიჯნაზე ყოფნა და მცირეოდენი ცვალება საერთაშორისო განწყობილებაში ამ კატაკლიზმების დროს, ჩვენ გვიქადდა სრულს განადგურებას, ან ველური ურდოების წინ ქედისმოხრას. და ჩვენ დავიგვიანეთ კიდეც“.



## ეგზისტენციალური შიში

„ბუნება, რომლის ალერსიანი წვიმებიც ერთნაირად ნამავენ მართალთ და მტყუანთ, მონახავს ჩემთვის მღვიმეებს კლდეებში, სადაც დამალვას შევძლებ, და იდუმალ ველებს, სადაც შევძლებ, გულამოსკვნილმა ვიტირო, ის ვარსკვლავებით მოჭედავს დამეულ ცას, რათა შევძლო სიბნელეში დაუბრკოლებლად ხეტიალი, და ქარს ნააშლევინებს ჩემს კვალს, რომ არავინ არ მნახოს და არ მაწყენინოს“.

ოსკარ უაილდი

თითოეული ჩვენგანი, ვისაც კი უგრძნია გალაკტიონის სულის შემფოთება, ობლობა, შიში და სასოწარკვთა, გაიფიქრებს: ღმერთო, რა სიტყვასიტყვით შეეძლო გაემეორებინა მას უაილდის ეს გულსაკლავი მონოლოგი!

გალაკტიონის სულიერი ბორგვით შეძრული ადამიანი უთუოდ ფიქრობს იმაზეც, საიდან მოდის ეს ფორიაქი, ეს უნდობლობა ცხოვრებისადმი, ეს გამუდმებული ძრნოლა – ყოველივე, რაც, შეიძლება, ეგზისტენციალურ შიშად მოინათლოს, რაც, ჩვეულებრივ, ცხოვრების ზედაპირზე მდებარე თვალშისაცემი მიზეზებით აიხსნება ხოლმე და რასაც, ვგონებ, გაცილებით ღრმა და შორეული წარმომავლობა აქვს.

ახლა კი, წარმოსახვით ერთი საუკუნით უკან გადავინაცვლოთ, ტაბიძეების იმერულ ოდაში: 1892 წლის ადრიანი გაზაფხული იყო. ოჯახის მარჩენალი – სოფლის მასწავლებელი, ვასილ ტაბიძე ბავშვის დაბადებამდე გარდაცვლილიყო ფილტვების ანთებით და თავის ჩვილ „გატუნიას“ დედამისი – ცრემლმორეული მაკრინე ადეიშვილი შიშით

იკრავდა გულში. იქვე მოკალათებულიყო ტაბიძეების პირმ-შო, რომელსაც ხან აბესალომს ეძახდნენ, ხან – პროკლეს, და ამ უმწეო ბავშვების შემხედვარე ოცდაათი წლის ქალს ერთი ნატვრალა ჰქონდა – მალე დაღამებულიყო, რომ ძილ-ში წასულს აღარ ეფიქრა, როგორ ერჩინა, ხიფათისა და სახადისათვის განერიდებინა, ფეხზე დაეყენებინა ეს ორი ობოლი ბიჭი.

გალაკტიონის მთელი არსებობა დაზაფრულია დედის მუცლიდან დაყოლილი გამყინავი შიშით ცხოვრებისა. და კიდევ – უპასუხო, მაგრამ მტკივანი კითხვით: სასურველ თუ არასასურველ სტუმრად მოევლინა იგი ამ ქვეყანას?!

ბევრი რამ გალაკტიონის ცხოვრების დრამაში – მისი მარტოსულობა, მისი ავადმყოფური უნდობლობა გარე-შემოთადმი, მისი გამუდმებული მცდელობა ხელისუფალ-თა ერთგული გულშემატკივრის ნიღბის მორგებისა, მისი მემთვრალეობა და მთვარეული ხეტიალი, დაბოლოს, – რა უცანურადაც უნდა მოგეჩვენოთ, – მისი ტრაგიკული ნახ-ტომი საავადმყოფოს ფანჯრიდან სწორედ ბავშვობის-დროინდელი შიშით აიხსნება; იმ შიშით, სისხლს რომ უყინა-ვს ბედისწერისაგან დევნილ ადამიანს და თავის დემონთან დამალობანას თამაშით დაღლილს, თვითონვე რომ აღას-რულებინებს ფატალურ განაჩენს.

ამ „მთვრალეული ხეტიალისა“ და „ფატალური განაჩე-ნის“ ფარული ურთიერთკავშირი გალაკტიონმა თვითონვე წარმოაჩინა, ოლონდ სხვისი, ასევე ტრაგიკული ბიოგრაფი-ის თვალმიდევნებისას. აი, რას წერს იგი თავის ლიტერა-ტურულ ჩანახატში მამია გურიელის „მემთვრალეობაზე“: „ის სვამდა ღვინოს, თუმცა ლოთი არ იყო. სვამდა მისთვის, რომ თავდავიწყებას მისცემოდა, რომ გალუცინაციებში შე-ჭრილიყო: შეიძლება იმიტომაც, რომ ამით მოესპონ სიცოცხ-ლე და ფორმალური თვითმევლელობით გამოწვეულ სკან-დალებს აცილებოდა, ვინ იცის?!“

მართლაც, ვინ იცის? და ვინ იცის, მხოლოდ მამია გუ-რიელი იგულისხმებოდა გალაკტიონის ესკიზში, თუ მისივე

ცხოვრების ქარგა უნებლიერ უკარნახებდა პოეტს ამ უიმე-დო დიაგნოზს?!

გალაკტიონის „ძვირფასი საფლავები“ (მამია გურიელის ესკიზითურთ) 1919 წლითაა დათარიღებული. ერთი შეხედვით, კაცმა შეიძლება გაიფიქროს: ეს ხომ კლასიკური დეკადანის პერიოდია – ეს „სუიციდალური აქცენტი“, ეს სიკვდილთან თამაში („არლეკინის კომპლექსი“, როგორც ფსიქოლოგები იტყოდნენ), ეს სიკვდილთან დაწყვილებული სილამაზის კულტი – მოკლედ, ყოველივე, რაც სიმბოლიზმის „რეკვიზიტი“ და „დეკადენტური თაობის“ უცილობელი ნიშან-თვისებაა. ესაა ერთგვარი დამბა იმ „დაწყევლილი პოეტებისა“, რომელთა სამაგიდო წიგნებიც ნიცშესა და შოპენჰაუერის ტომებია, და კიდევ – შპენგლერის „ევროპის დაისი“.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ეს გვხვდება გალაკტიონის პოეზიაში. იგი თავისი დროის შვილი იყო და ისეთივე გატაცებით კითხულობდა „ევროპის დაისს“, როგორც მისი ყაიდის თანატოლები. მაგრამ, ამ თანატოლებისაგან განსხვავებით, ერთხელ უკვე გადარჩენდა სიკვდილს და ერთ-თავად იმის შიში ღრღნიდა, დედამისს არ გაეგო სასულიერო სემინარიაში მისი თვითმკვლელობის წარუმატებელი ცდის შესახებ.

ყოველი თავმოყვარე მონაფე თუ სტუდენტი კურსზე ჩატოვებას, რაღა თქმა უნდა, შეურაცხყოფად აღიქვამს. ცხოვრებისაგან ამ სილის გაწვნას – სემინარიის კლასში ჩატოვებას გალაკტიონი იმნამსვე კარბოლმჟავის დალევით პასუხობს. თითქოს უნდა დაასწროს იმავ სემინარიაში იმავ კარბოლმჟავით (იმჟამინდელი თვითმკვლელობის „აუცილებელი ატრიბუტი“!) მონამლულ თავის კერპს – „დემონს“ (სიმბოლური ფსევდონიმია!) – ქუჩუ ქავთარაძეს.

გალაკტიონის ეს უესტი მთლად სპონტანური არ იყო. მისი წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთგვარი „ფსიქოლოგიური შემზადების“ პერიოდიც გაიარა: „...მე ვერ გამიგია, რას ნიშნავს ნახევარი საათი კითხვა, როცა

სხვებს მხოლოდ თხუთმეტ ან ოც მინუტს კითხავდნენ, – (აღუნერს გალაკტიონი დედამისს გამოცდის მსვლელობას და განაგრძობს), – ჩემთვის ჯერ არაფერი გამოუცხადებიათ და არც სხვებისთვის. პირველ ენკენისთვემდე ვერაფერს გაიგებო. ამგვარად არის ჩემი საქმე, თუ არ გადამიყვანეს, თავს მოვიკლავ და ის იქნება, მობეზრებული მაქვს მაინც ცხოვრება...“

თუ რა ხდება იმ ყმანვილის გულში, რომელიც ჯერ კიდევ თვრამეტი წლისაც არ გამხდარა და რომელსაც „მობეზრებული აქვს ცხოვრება“, რამდენიმე სიტყვით აღნერს გალაკტიონისავე ძმისშვილი, ნოდარ ტაბიძე: „დედისადმი გაგზავნილი ეს ბარათი, რომელიც 1909 წლის 24 აგვისტოთი თარიღდება, დაწერილია აღელვების ჟამს, დიდი განცდისას. ეს ჩანს სიტყვათა შერჩევასა და ხელწერაშიც.“

ნერილი კარგად ავლენს გალაკტიონის მარტოობას, სულიერ დეპრესიას. ობლობის განცდა მომაკვდინებელია.

გალაკტიონის სიტყვები ლამაზ სანტიმენტალურ ფრაზებად არ უნდა მივიღოთ.

როგორც ჩანს, ახლოვდება ტრავიკული აქტი; ჩახმახი შემართულია“.

გალაკტიონის ცხოვრების თვალმიდევნებისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, რომ ეს ჩახმახი მუდამჟამ შემართული იყო... ვიდრე 1959 წლის 17 მარტამდე. ამის მეტყველი დასტური გალაკტიონისავე დღიურის ფურცლებია: „12 იანვარს ვიყიდე ბილეთი ბათუმამდე რკინის გზისა და ბათუმიდან სოხუმამდე გემის, ჩავედი ბათუმში, მაგრამ სოხუმში აღარ ნავედი, გადავრჩი! დღეს ისევ ტფილისში ვარ; განა შეიძლება კალმით აღწერა ყოველივე იმის, რაც უკანასკნელი თოთხმეტი დღის განმავლობაში განვიცადე? სოხუმში მივდიოდი, რომ დამით გემიდან გადავარდნილიყავი ზღვაში. არავისი და არაფრის იმედი არა მქონდა“ (14 იანვარი, 1933 წელი).

ახლა ჩვენს შეწყვეტილ თხრობას დავუბრუნდეთ: გალაკტიონის ბავშვობის დღეებს, რიონის ნაპირს, საიდანაც

შორეული დათოვლილი მწვერვალები მოჩანს, ტაბიძეების პატარა ოდას, რომელშიც მამა-მარჩენალის დაკარგვის პირველმა ელდამ გაიარა და გარეშემოთათვის უხილავი გახდა. ბიჭები წერა-კითხვას სწავლობენ ნაცრით დაფარულ ფიცარზე, საღამოობით კი გატრუნულები უსმენენდედის ნაღვლიან ხმას.

გალაკტიონის ერთ-ერთი თანაკლასელი იგონებდა, რომ სიყმანვილეში „მას უყვარდა განმარტოებით დგომა. დაახლოებული ამხანაგები, მით უმეტეს, მეგობრები ბევრი არ ჰყავდა. მეტად გულჩახვეული იყო, არ უყვარდა თავის გულისნადების გამოაშკარავება. დადიოდა ჩაფიქრებული, თითქოს რაღაც დიდად აწუხებდა. წუხილით კი, მართლაც, აწუხებდა – თავისი ობლობა“.

გალაკტიონის ეს მარტოსულობა სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა. აი, რას სწერდა იგი 1912 წელს თავის ახლად შეძენილ მეგობარსა და მესაიდუმლეს – იოსებ გრიშაშვილს: „იცი, საყვარელო სოხო, ამ ბოლო დროს რაღაც უჩინარი სენი მეპარება. საშინელი სენი მარტოობისა, ესეც ხომ თავისებური ავადყოფობაა, და, ვით სიკვდილით დასჯილი სახრჩობელის წინ, თვალით ვეძებ მონათესავე სულს... საშინელება! აშკარად ვგრძნობ ჩემი სულის ობლობას, ჩემს უთვისტომობას, ჩემს მარტოობას...“ –

რა საოცრად ჰგავს ეს მნარე აღსარება ბარათაშვილის მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილს. მაგრამ, ბარათაშვილისაგან განსხვავებით, გალაკტიონი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ის ერთი მესაიდუმლე თუ ჰყავდა სადმე, ისიც დაეკარგა და მოემდურებინა.

გალაკტიონის იმდროინდელი პორტრეტი გრიგოლ რობაქიძეს ჩაუნიშნავს: „გალაკტიონი იყო თავისებური ყოველმხრივ: – ემჩნეოდა უხერხულობა, თვითონაც ამჩნევდა ამას... მორცხვობა კიდევ უფრო ამძაფრებდა მისს უხერხულობას. შემოგეფრქვეულდა ხალისით, გადამეტებული ხალისით – „მეტი“ აქ გამოწეული იყო ალბათ ნდომით უხერხულობის დაფარვისა“.

ახლა თვითონ გალაკტიონს მოვუსმინოთ: „არსად არ ვგრძნობ ისე ობლად და მარტო თავს, როგორც სხვას-თან, თუნდ საზოგადოებაში“, – სწერდა იგი თავის სიყრმის მეგობარს, მიხეილ ბოჭორიშვილს.

გალაკტიონი ინტერდა ყველაფერს და წერდა ყველა-ფერზე – პაპიროსის კოლოფებზე, აფიშების არშიებზე, დეპეშების ბლანკებზე და კონვერტებზე, კინოთეატრის ბილეთებზე. ამასთანავე, მას, ეტყობა, ავადმყოფურად უჭირდა ნებისმიერი ქალალდის გადაგდება. ამას უკვე ვე-ლარ ახსნით მისი არქივის მომავალ მკვლევრებზე ზრუნ-ვით, პირიქით, საქმე გაურთულა მათ. მეზობელს რომ დაეტოვებინა კარებში ბარათი: „სადილზე გეპატიურებითო“, იმ ქალალდის ნაგლეჯსაც კი ვერ ელეოდა.

რა შიშმა, რა ზენოლამ უნდა აიძულოს ამგვარი ტი-პის ადამიანი, რომ უკვე ოცდაათი წლისამ მთელი თავისი ახალგაზრდობისდროინდელი არქივი დაწვას? ყოველივე, ალბათ, უფრო გასაგები იქნება, თუ დავძენთ, რომ ეს 1921 წლის თებერვალში ხდება:

„დავკარგე, გავანადგურე ყველაფერი, რაც მიწერია ბაშვობიდანვე, სუყველაფერი. არასოდეს არ მიგრძნია რაიმე მსგავსი. თითქოს მომკვდარიყო ჩემი სიყვანვილე...“

გალაკტიონზე, „გულახდილიო“ – არ ითქმოდა. თვითონვე აღმოხდა სიმწრით ერთ თავის ჩანაწერში: „მე, თურ-მე, მთელ დედამინის ზურგზე არ შემძლებია არავისთან გულწრფელი საუბარი... ეს ჩემი გულის ღრმა ტრაგედიას შეადგენს.“

ჭეშმარიტად გულახდილი იგი, ეტყობა, მხოლოდ მაშინ იყო, როცა ქალალდსა და კალამთან მარტოდმარტო რჩებოდა. იმ ქალალდთან, ახლა ფერფლად რომ იქცა და თებერვლის სუსტიანმა ქარმა გალაკტიონის იმედებთან ერთად რომ მიმოფანტა...

„პოეტების მეფეს“ საბჭოთა საქართველოში წარსულიც რევოლუციური უნდა ჰქონოდა და, ვინ იცის, ეგებ სწორედ დამწვარი არქივი უშლიდა ხელს გალაკტიონს ამ წარსულის

ხელახალ ძერწვაში? სულის სიღრმეში კი ბუდობდა გამყინვა, ბავშვობიდან გამოყოლილი არსებობის შიში, სრულ გულახდილობას ახლა უკვე ლექსებსა და დღიურებშიც რომ უკრძალავდა...

თუკი „მაგნებისთვის“ (როგორც იგი იტყოდა) დაწერილ ლექსებს გალაკტიონი განიხილავდა არა მარტო საარსებო წყაროდ, არამედ როგორც ლოიალობის დამადასტურებელ, თავისებურ „ხელშეუხებლობის სიგელს“, ამ ხერხმა მხოლოდ სანახევროდ გაჭრა: მისი მეუღლე – ოლია ოკუჯავა ჯერ 1929 წელს გადაასახლეს შუა აზიაში ორი წლით, მეორედ და უკვე საბოლოოდ კი – 1937-ში. ამავე წელს ოლიას ექვსი ძმიდან ხუთი დახვრიტეს (მათ შორის შალვა – მამა ბულატ ოკუჯავასი).

ზარდაცემული გალაკტიონი ცოლს ემშვიდობებოდა ლექსით „უკანასკნელი მატარებელი“:

ცხოვრების ეტლის სადარებელი  
საცაა გავა მატარებელი.  
მიემგზავრება იმედი ჩემი  
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, –  
რა საჭიროა ახლა გოდება.  
მატარებლისგან როს მიმილა  
ან თანაგრძნობა, ან შეცოდება?\*

ცხოვრების მორიგი დარტყმისაგან თავის დასაცავად გალაკტიონი კვლავ სიფრიფანა ფურცლებს იფარებს – პათეტიკურ ლექსებს და პუბლიცისტურ პოემებს... ერთადერ-

\* „გალაკტიონოლოგის“ V კრებულში გამოქვეყნდა დავით წერედიანის ესსე – „განმორების მეცნიერება“, რომელშიც ავტორი ეჭვ-ქვეშ აყენებს ამ ლექსის კონკრეტულ მიზეზსა და ადრესატთან (ანუ – ოლია ოკიჯავასთან) დაკავშირებას. ესსეს ავტორისადმი ჩემი უზომო პატივისცემის მიუხედავად, ვერცერთი მისი არგუმენტი დამაჯერებლად ვერ მივიჩნე.

თხელ პასუხობს იგი ოთხი წლის განმავლობაში ბანაკიდან გამოგზავნილ ოლიას სასოწარკვეთილ წერილებს. თუმცა ფულს რეგულარულად უგზავნის. უნუგეშო სურათია...

ოლიას გადასახლებაში „გაქრობის“ შემდეგ სიკვდილი – „აღა-მაჟმად-ხანის ბოროტი თვალივით“ – სულ უფრო და უფრო დაუინებით იცქირება გალაკტიონის იმდროინდელი ჩანაწერებიდან და ჩანახატებიდან. აქ ისევ გალაკტიონის ლექსი გაგახსენდებათ:

როგორც თვითმკვლელი დღიურს,  
შლიდა ლაუვარდი ყანებს,  
ვარდებს ეძინათ ტყიურს,  
ტყესაც ეძინა მწვანეს...

ცხოვრების მიმწუხრს გალაკტიონი მიუახლოვდა ფიზიკურად და სულიერად მოტეხილი, გადასახლებიდან არდაბრუნებული ცოლითა და არდაბადებული შვილით, დარდის ლვინოში ჩამკვლელი, დევნის მანით შეპყრობილი... თუ ამ თვალით შეხედავთ მის ცხოვრებას, გალაკტიონის თვითმკვლელობა 1959 წლის 17 მარტს მხოლოდა წერტილის დასმაა ერთი ხანგრძლივი ტრაგიკული კოშმარისათვის.

ეგზისტენციალური შიში დასრულდა. შემთხვევით როდი წერს თავის ესსეში „აპსურდი და თვითმკვლელობა“ ალბერ კამიუ, რომ „არსებობს ერთი, მართლაც სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა – პრობლემა თვითმკვლელობისა. გადაწყვიტო, დირს თუ არ დირს ცხოვრება იმად, რომ იცხოვრო, ნიშნავს, უპასუხო ფილოსოფიის ფუნდამენტურ საკითხს“.

შიშით და იჭვით შეპყრობილი ნატურა გალაკტიონისა მთელი ცხოვრება მიიღტვოდა, რომ „ყოფნა-არყოფნის“ სასწორი „არყოფნისაკენ“ გადაეძალა, მაგრამ განგებამ აქეთ, მეორე მხარეს, მისი უბადლო ნიჭი მოათავსა, რომელმაც გადაწონა ყველა ადამიანური სისუსტე და გალაკტიონის სათუთ, მტკიცან სულს მარადიული სიცოცხლე მიანიჭა.

## დასალიერზე

„არის სიკვდილი. და არის მკვდარი სიკვდილი.  
მათ შორის დიდი განსხვავებაა. სიცოცხლიდან  
ნებისმიერი წასელა უნდა იყოს საჯარო, ხმამაღლა  
სახელდებული და საყოველთაოდ გაცხადებული.  
მამინ ეს სიკვდილი სიცოცხლეში მონაწილეობს.“

მერაბ მამარდაშვილი

**პორტრეტი:** თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ახლაც ცხადლივ ვხედავ გალაკტიონის „პარადულ“ პორტრეტს, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტი ეკიდა: ერთი შეხედვით, ნამდვილად გალაკტიონი იყო – წვერით, ჰალსტუხით, კოსტიუმის ლაცკანზე დამაგრებული ლენინის ორდენით... თუმცა, თავდაპირველად, სწორედ ეს კოსტიუმი დაგაეჭვებდა და უკვე შემდეგ – თავად ფიგურა, იმ რაღაც სპეციფიკური შემართებით, მხედართმთავრებსა და სახელმწიფოს ლიდერებს რომ ახასიათებთ... საბოლოოდ, დაადგენდი, რომ ჩვენი სამხატვრო ფონდის „ოსტატების“ ნაეშმაკარი იყო: კრემლში მორიგი „წმენდის“ ამბავს გაიგებდნენ თუ არა, სასწრაფოდ „აკეთილშობილებდნენ“ შერისხულ პარტოკურატორა პორტრეტებს. გალაკტიონის „პროტოტიპი“, ვგონებ, მალენკოვი იყო...

დღეს ამ ამბავს მხოლოდლა იუმორით თუ გავიხსენებდით, ერთობ სიმბოლური რომ არ იყოს და, გალაკტიონის ცხოვრების თვალმიდევნებისას, რაღაც გულსაკლავ ანალოგიას არ ვხედავდეთ ბედოვლათი მხატვრის „მიმსგავსე-

ბულ პორტრეტსა“ და იმ პარადულ ავტოპორტრეტს (ანუ – მითს) შორის, რომელსაც ახლა უკვე თავად გაღლაკტიონი ძერწავდა... ძერწავდა იმ ანონიმი მხატვრის გულმოდგინებით, ოლონდ – საპირისპირო ამოცანით: თავისი პორტრეტი ისე უნდოდა გადაეკეთებინა, რომ, იმდროინდელი იდეოგრამების შესაბამისად, რომელიმე იმპოზანტურ ბელადს ან მხედართმთავარს თუ არა, „საბჭოთა ეპოქის უდიდეს მეხოტბეს“ მაინც დამსგავსებოდა.

„საპარადო პორტრეტის“ დრამა ნაკლებ დამანგრეველი იქნებოდა, გალაკტიონი თვითრეფლექსიას მოკლებული ადამიანი რომ ყოფილიყო და თვითონვე არ გაეშიფრა ამ „საყოველთაო მიმიკრიის“ მექანიზმი:

ცხოვრება, როგორც ცინიკი – ღორი  
მსგავსება რუმბის,  
გთხოვს, გეხვეწება იგემო ტბორი –  
ჩაეშვა წუმპეს.  
სახე ნერონის თუ თემურ-ლანგის  
კედლით გილიმის,  
ის სიმბოლოა გულწრფელი ჩანგის  
გაწყვეტილ სიმის.

არ მოგცემს საშველს, სანამ თავისთავს  
არ დაგამსგავსებს –  
მსურველი, სადმე ფეხი დაგიცდეს  
და მოჰყვე ნავსებს.

ამ ლექს – „საგურამოს“ საინტერესო სტატია უძღვნა თამაზ ვასაძემ „გალაკტიონოლოგიის“ მეხუთე წიგნში: „ის „კედელი“, საიდანაც „ნერონის თუ თემურ-ლანგის“ სახე იღიმება, იღიას სახლის კედელია, რომელსაც ძველი ტირანების მემკვიდრის – სტალინის ფოტოპორტრეტი ამშვენებს...

დიქტატორის ცინიზმით გაუღენთილი სოციალური სინამდვილე ვერ ეგუება, რომ მის სულის დამშლელ ზემოქმედებას ვინმე გადაურჩეს, ვინმე მ სულის სისუფთავე და სიმაღლე შეინარჩუნოს...

ლექსის თვითირონიული და უიმედოდ მშვიდი ტონიც საგრძნობს ხდის სულიერების გამაჩანაგებელი „კაციან-დამიანური“ და სტალინური რეალობის გამოუვალობას“ („სტალინური რეალობის სახე“).

„სტალინური რეალობა“ ბელადის სიკვდილთან ერთად რომ არ გამქრალა, ამის დრამატული დასტურია გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების ბოლო ათწლეული, როცა ომისშემდგომი პერიოდის საბჭოურ რიტორიკასთან სრულიად შეუთავსებელი მედიტაციური ლირიკის შედევრები მეზობლობს, ხოლო „საგურამოს“ სარკაზმთან – „ძველი ტირანების მემკვიდრისადმი“ გულწრფელი პიეტეტით აღსავსე მისტიფიკაცია.

**მისტიფიკაცია:** „გვიანდელი“ გალაკტიონის ფსიქოლოგიური პორტრეტის ამოსაცნობად ბევრისმთქმელია ერთი მისი მისტიფიკაცია, რომელზეც გალაკტიონის ძმისშვილი და ბიოგრაფიისი, ნოდარ ტაბიძე გვიყვება: „გალაკტიონს არაერთხელ გაუხსენებია, რომ მოსკოვში იგი შეხვდა ო. სტალინს. ეს ფაქტი ძალზე ლაკონურად ფიქსირებული აქვს ერთ მოგვიანო ჩანაწერში. პოეტის არქივში ვერ მივაკვლიერ სტალინთან საუბრის თუნდაც მოკლე შინაარსს. ამიტომაც დავესესხებით 1954 წელს ჩვენს შორის გამართული ერთი დიალოგის ზუსტ ჩანაწერს:

„ – ძალზე კარგად მიმიღო სტალინმა. საქართველოს ამბებით ინტერესდებოდა. საერთო ნაცნობებიც მოიკითხა. მთელი საათი ვისაუბრეთ.

- ჰქონდა ამდენი დრო? – ვეჯვობ მე.
- საუბარი ხელს არ უშლიდა სხვა საქმეებიც ეკეთებინა. შემოდიოდნენ და გადიოდნენ ფარავიანი ჯარისკაცები...
- რით დამთავრდა თქვენი შეხვედრა?

– შემომთავაზა სასწრაფოდ შუა აზიაში გავმგზავრებულიყავი და სათავეში ჩავდგომოდი ბასმაჩების წინააღმდეგ მეტობოლ დიდ რაზმს.

– მერე?

– მეორე დღეს ავად გავხდი. ცუდად ვიყავი ჩაცმული... ისე, კაცმა არ იცის, იქ რომ წავსულიყავი, ეყოლებოდა თუ არა საქართველოს სახალხო პოეტი“.

კარგად მახსოვს, როცა ამას ამბობდა, თავს ოდნავ მაღლა წამოსხევდა. შუბლი ეღარებოდა. ძნელი არ იყო შეგემჩნიათ, რომ სერიოზულად უძებნიდა გამართლებას, თუ რატომ არ წავიდა შუა აზიაში.

ეს ფაქტი დოკუმენტურად რომ არ დადასტურდეს, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მაშინ ივი პიროვნებაზე ტოტალური სახელმწიფოსა და ერთმართველი პარტიის ზენოლის არასახარბიელო კონიუნქტურის არგუმენტად გამოდგება“.

გალაკტიონის ძმისშვილის მობოდიშება „დოკუმენტურად არდადასტურებული ფაქტის“ თაობაზე, რაღა თქმა უნდა, დელიკატური პირობითობაა. მან სხვაზე უკეთ იცის, რომ მთელი ეს ერთსაათიანი მიზანსცენა სტალინის კაბინეტში – „საერთო ნაცნობების“ გახსენებით, კინე-მატოგრაფიული „ფარავიანი ჯარისკაცებითა“ და ბასმაჩებთან საბრძოლო რაზმის სარდლობის შეთავაზებით – მხოლოდა გალაკტიონის ფანტაზიის ნაყოფია. ბოლო კადრი ახლა უკვე ჩვენ შეგვიძლია წარმოვისახოთ: ფერგანის ველზე ახალტეკინურ ულაყზე ამხედრებული გალაკტიონი მოელვარე ხმლითა და უკან მოგდებული მაუზერით... – როგორია?!

ნუთუ ეს მართლაც ამოუცნობი, მარტოსული ადამიანი „ლეჩკომბინატის“ უსახურ პალატაში ღამლამობით ლოურენს არაბიელის კარიერაზე ოცნებობს და ისეთ ეგზოტიკურ მიზანსცენებს ქმნის, მის პედაგოგს მოსკოვის სარეჟისორო კურსებზე – აკსაგარსკისაც კი არ მოელანდე-

ბოდა... ვინ გაგვცემს პასუხს?! ანდა, რამდენი სავარაუდო პასუხი არსებობს?!

რა ნიშნით გაერთიანდა ეს სიურრეალისტური წყვილი, ეს ორი ანტიპოდი – ონტოლოგიურადაც (როგორც „ხელმ-ნიფე“ და „პოეტი“) და ფსიქოტიპითაც: ერთი – რაციონალ-ისტი-ცინიკოსი და მეორე – ირაციონალური რომანტიკოსი, როგორც „დაწყევლილი პოეტების“ უმეტესობა?

რა ჰერნია სამოცს მიტანებულ „გულუბრყვილო ბავშვს“ (ამ ეპითეტის ავტორზე – ქვემოთ): მისი ძმისშვილის მიერ გავრცელებული „მითის“ სარწმუნობაში არავის ეჭვი არ შეეპარება და ერთგვარი „ხელშეუხებლობის სიგელის“ მა-გივრობას გაუწევს?!

თუ ათი წლის წინ დაარსებული სტალინური პრემიის არმილებით განაწყენებული, სატისფაქციის ესოდენ ორიგი-ნალურ ფორმას აგნებს: განა ის ფაქტი, რომ ბელადი მას შემწეობას სთხოვს, ისე, როგორც, თავის დროზე – დავით კურაპალატი თორნიკე ერისთავს, პრემიაზე უფრო საამაყო არაა?!

თუ... ლიტერატურული ინტრიგებით გაბეზრებულს, მი-ზანთროპიამდე მისულს, მტერთან ხმალდახმალ მიქრილი წინაპრების შეშურდა და მიამიტურ მითოლოგიად „შეფუ-თა“ ის ფეთქებადი მუხტი, რომელმაც ექვსიოდე წლით ად-რე მისი ბოლოდროინდელი ლირიკის შედევრი – „ასპინძა“! დააწერინა:

ისეთი დღეა, გული მხოლოდ  
გრძნობით დათვრება,  
ისეთი დღეა – გამარჯვებას  
რომ ეკადრება!  
მაგრამ უეცრად ყოველივე  
მოიჩადრება,  
რაღაც შემაკრთობს... და კვლავ ომი  
მომენატრება...

გალაკტიონის შედევრებს ჩვენ კიდევ მივუბრუნდებით. აქ კი, მინდა დავაკონკრეტო, რომ ამ ესეს სათაურში გატანილი „დასალიერი“ პოეტის ცხოვრების ბოლო ათწლეულს გულისხმობს: იმ მიმწუხრს, რომელიც გალაკტიონს უკვე თავისთავად თრგუნავდა („და აი დგება ჩემს ცხოვრებაში / უსაზიზლრესი ხანა: სიბერე!“) და რომელმაც მას, ტრიუმფის მომლოდინეს, განხიბვლა და მნარე გულისტყენა მოუტანა. თვალშისაცემია ისიც, რომ წინანდელ ელემენტარულ შეჭირვებას ახლა მენტალური კრიზისი შეენაცვლა, რამაც, ჩანს, შეამზადა 1959 წლის 17 მარტის ტრაგიკული ფინალი.

სწორედ ასეთი რაკურსით გადავხედოთ რამდენიმე ეპიზოდს იმ ავბედითი ათწლეულიდან, რომლის ათვლასაც პოეტის უფროსი ძმის, პროკლე (აბესალომ) ტაბიძის გარდაცვალებით ვიწყებთ – 1948 წლის შემოდგომით...

**აბესალომ, აბესალომ:** თორმეტი წელი გაივლის ოლია ოკუჯავას თავზარდამცემი დაპატიმრებიდან (1936 წლის 11 ნოემბერს: „ასეც არ შეიძლება, / ამხანავო სტალინ!“ – ჩანერს თავის დღიურში მიხაილოვის საავადმყოფოდან დაცარიელებულ სახლში დაბრუნებული მისი ქმარი), და ბედისწერა გალაკტიონს ახალ განსაცდელს განუმზადებს: „ამოვარდა ძლიერი ქარი. სახურავებს ლენდა, ხეებს სტებდა ქარი. არ მახსოვს, რომ ასეთი ამინდი ყოფილიყოს, რაც იყო 1948 წ. 2 ოქტომბერს დამით, პირველის ორ წუთზე, როდესაც გარდაიცვალა აბესალომი“.

უფროს ძმასთან ერთად გალაკტიონს ყველაზე საიმედო სასიცოცხლო საყრდენი გამოეცალა: „...გალაკტიონი ადგილს ვერ პოულობდა. სასმელს მიეძალა, – იგონებდა ნოდარ ტაბიძე, – ცდილობდა დვინოში ჩაეკლა დარდი. თვე-ნახევარი არ გამოფხიზლებულა. მერე ძმის პატივსაცემად წვერი მოუშვა და გაჩნდა კიდევ ერთი საფიცარი: „აბესალომის სულს გეფიცები“.

გალაკტიონი უნდა შესჩვეოდა ცხოვრებას ძმის გარეშე, რომელიც მასზე უფროსი სულ ორიოდე წლით იყო, მაგ-

რამ, რეალურად, მზრუნველი მამის მაგივრობას უწევდა. აბესალომის თავდადება და ამოუწურავი სულგრძელობა იმ სათუთი ადამიანური თვისებებიდან მომდინარეობდა, რომლებმაც მისი მერხის მეგობარს, ალექსანდრე თვარაძეს ათქმევინა: „მისებრი კაცი ბევრი აღარ შემხვედრია ცხოვრებაში. აბესალომი ერთი იმათთაგანი იყო, ვისაც ცხოვრების ჭუჭყი რაღაც სასწაულით არ ეკარება ხოლმე; რანაირ გარემოცვაშიც უნდა მოხვედრილიყო, მისი სპეტაკი ზნეობა და ნათელი გონება არასოდეს აიმღვრეოდა“.

არც ისაა შემთხვევეითი, რომ აბესალომმა, ეპისტოლარული მემკვიდრეობის გარდა, ფაქიზი მოთხრობების მოკრძალებული კრებულიც დატოვა, ავტორის სიკვდილის შემდგომ მისი ვაჟის მიერ გამოცემული<sup>2</sup>. ისე, მგონია, სწორედ აბესალომზეა ზედგამოქრილი ლევ ტოლსტიოს სიტყვები თავის უფროს ძმაზე: „სერგეის თუნდაც უმნიშვნელო ხინჯი რომ ჰქონოდა, მისგან დიდი ხელოვანი გამოვიდოდა“.

და კიდევ: აბესალომი იმ იშვიათ გამონაკლისს ეკუთვნოდა, ვინც თავიდანვე იწამა გალაკტიონის გენია და ჩასწვდა მისი შინაგანი ბუნების თავისებულებას. სწორედ ამ თავისებურებაზე სწერდა აბესალომი ოლია ოკუჯავას, რათა აეხსნა გალაკტიონის ბუნება ქმარზე განაწყენებული თავისი რძლისათვის: „თქვენ ჭკვიანი ქალი ხართ და გალაკტიონის შესახებაც გექნებათ შემდგარი ერთგვარი აზრი. უმთავრესი ის არის, რომ მას ისე ვერ გავზომავთ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და გარეშე პოეზისა, ოცნებისა და მაღლა-მაღლა ფრენისა მას არაფერი აინტერესებს. დიდებულია იგი, როცა მაღლა დაფრინავს, მხოლოდ სასაცილოა, როდესაც ძირს ეშვება და ჩვეულებრივი ადამიანის სახეს იღებს. ამიტომ, დაო, ბევრი რამ უნდა ვაპატიოთ, თუ იგი გვიყვარს,... მაინც უნდა გვიყვარდეს ეს უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული დიდი ადამიანი და გულუბრყვილო ბავშვი“.

ძნელია თქმა, რამდენად დაამშვიდა ოლია ოკუჯავა აბესალომის მრავალგზის ციტირებულმა ამ წერილ-

მა, მაგრამ გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარებს მან „უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებული“ პოეტის რამდენიმე „მისამართი“ დაუტოვა, მისეული სახელდებებით აღნიშნული. ვცადოთ, მივაკითხოთ ამ „მისამართებს“...

**„მაღლა მფრენი“:** უსამართლობა იქნებოდა, ოლია ოკუჯავას ამ „მისამართზე“ არ გადმოენაცვლებინა, რადგან სადაა სხვაგან სიყვარულის ასპარეზი, თუ არ პოეტთან ერთად „მაღლა ფრენისას“...

1941 წლის 6 სექტემბრის დღიურში, გულნატკენი გალაკტიონი აღწერს, როგორ დაინახა „ლეჩეომისის“ ფანჯრიდან („ის“ ფანჯარა არაა!) კატაფალკზე დასვენებული მომცრო კუბო და მცირერიცხოვანი პროცესია, სულ 10-15 კაცი: „ასაფლავებდნენ არა პატარა ბავშვს, არამედ მხცოვან მწერალ ქალს – დარია ახვლედიანს“, – გალაკტიონის ოდინდელ გულშემატკივარსა და მოამაგეს. ამიტომაც თავის ჩანაწერს ბოლოში დაურთავს, რომ ამ დაკრძალვაზე არდასწრება მისთვის „მეტის მეტად სამარცხვინ საქმე იყო“...

ნეტავ რას ჩაწერდა ამავე რვეულში გალაკტიონი სულ ხუთი დღის შემდეგ, 11 სექტემბრის ღამეს, მისტიკური ხილვისას რომ დასიზმრებოდა, როგორ უხმობს მას საშველად უსიერ ტყეში დასახვრეტად გაყვანილი ოლია ოკუჯავა?<sup>3</sup>

ცხოვრების ბოლო წლებში გარეგნულად გალაკტიონი თითქოს შეეგუა კიდეც ოლიას დაღუპვას; მაგრამ ხომ გაგვიგია „ფანტომური ტკივილები“ – ადამიანს უკვე ამპუტირებული კიდურის ტკივილი რომ ტანჯავს: სად არ გამოკრთის ოლიას სახე ამ წლებში – კაფე „რუსთაველში“ გაკეთებულ სახელდახელო ჩანაწერში, ზოგჯერ, უბრალოდ, ისეთ არაადამიანურად მწარე ამოგმინვაში, რომლის შემსწრენიც, დიდი ხნის მერეც კი, ბოლომდე არ იყვნენ დარწმუნებულნი, – მოესმათ, თუ იგულისხმეს ამ ამოგმინვისას ოლიას სახელი (ერთი ამათგანი აკაკი გაწერელია

გახლდათ, რომელმაც ეს გულსაკლავი ეპიზოდი ჩემთან „ღამეული საუბრების“ დროს გაიხსენა).

ოლია ოკუჯავასა და გალაკტიონის სიყვარულის ისტორია უნებლიერ ფლობერის ცნობილ სიტყვებს გვაგონებს – „მხოლოდ იმის სიყვარულია შესაძლებელი, რაც გვაწამებს“. ძნელია თქმა, იყო თუ არა ოლია ოკუჯავა ერთადერთი ქალი, რომელიც გალაკტიონს მართლა უყვარდა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ოლია იყო „მისი ცხოვრების ქალი“. თუ პურიტანულ პრეტენზიებს გვერდზე გადავდებთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, რომ, სულიერი თანაზიარობის თვალსაზრისით, გალაკტიონი ცხოვრების ბოლომდე მისი ერთგული დარჩა.

ოლიაზე თხრობას არ ვწყვეტთ, მაგრამ ქვესათაურის შეცვლა კი მოგვიწევს.

**„უცნაური ვარსკვლავი“:** გალაკტიონი არ ღალატობს ოლიას იქ, სადაც ნამდვილად უნდა ეღალატა! ანუ: ბოლომდე ვერ ღალატობს ოლიას პოლიტიკურ რომანტიზმს და მის სახელთან ჯერ კიდევ „დალანდში“ საბედისწეროდ დაწყვილებულ ონომასტიკონს: „შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!“ (სიტყვის მასალად როდი ამბობდა ოლიას რძალი, აშენ ნალბანდიანი – „ოლიას ისევე ფანატიკურად უყვარდა გალაკტიონი, როგორც პარტიაო!“).

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ადამიანი არ დარჩენილა გალაკტიონის გარშემო, რომელსაც არ სცოდნოდეს შინაარსი ე.წ. „დახურული წერილისა“, სტალინიზმის სულისშემძვრელ დანაშაულთა აღწერით... უკვე აღმოხდა „საგურამო“ – შემზარავი რეჟიმისა და საკუთარი თავისადმი გამოტანილი განაჩენით...

და მაინც, მეხსიერებიდან ვერ ნარიხოცა ერთარსებად ქცეულ სატრაფოთა აღტაცება 1917 წლის ამბოხით, მათი ოდინდელი ახალგაზრდული იმედებითა და ილუზიებით ნასაზრდოები რომანტიზმი...

წავიდა ის დრო, როცა გალაკტიონს მწერალთა კავშირიდან წერილობით ატყობინებდნენ: „თქვენ დავალე-

ბული გაქვთ ლექსის ნარმოთქმა ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე... მწერალთა ფედერაციის სამდივნო გავალებთ მიიღოთ მონაწილეობა აღნიშნულ საღამოში“.

ნავიდა ის დრო, მაგრამ გალაკტიონს კარგად ახსოვდა თავისივე ჩანაწერი: „*С политическими идеями играть с властью нельзя. Они опаснее огня. Нельзя играть с властью.*“ ახსოვდა იმ 24-საათიანი დაპატიმრების გაკვეთილი 1924 წლისა, რომელმაც, მისი ლაბილური ფსიქიკის პატრონს, ხელისუფლების შიში ერთხელ და სამუდამოდ შთაუნერგა. ასეა – ერთს, ძლიერი ხასიათისას, ოცნლიანი კატორლაც ვერ გასტეხს; მეორეს, ნიცშეს „ტურინის ცხენისა“ არ იყოს, ქუჩაში ულვთო სცენის დანახვაც კი გონს დაკარგვინებს. ამიტომაც, ვგონებ, „პოეტების მეფის“ 24-საათიანი დაპატიმრება გამიზნული დაშინება უფრო იყო, ვიდრე – სასჯელი.

ნავიდა ის დრო, მაგრამ ტოტალიტარული სახელმწიფო დარჩა და მის ყოველ მოქალაქეს („პირველ პოეტს“ – პირველ რიგში!) ერთი ნამითაც არ უნდა დავინყებოდა, ვისზე იყო დამოკიდებული მისი ცხოვრების ყველა სფერო. ხელოვნებაში პირდაპირი დიქტატი ახლა „სოციალურმა დაკვეთამ“ შეცვალა და მას, ვინც ალლოს ვერ აუღებდა ამ „დაკვეთას“, ან ვისაც არ სურდა, ყოფიერების უალტერნატივო სურათი გაეზიარებინა, სოციალურ კიბეზე დაღმასვლა გარანტირებული ჰქონდა...

ხანდაზმული გალაკტიონის მთელი ტრაგიზმი გამოუვალი სიტუაციაა: დროს უკან ვეღარ დაპრუნებ – არჩევანი გაკეთებულია! რაც უნდა ულმობლად ხედავდეს იგი რეალობას და გრძნობდეს, რამდენი დრო და ენერგია შეალია ქიმერების სამსახურს, ვერაფერს შეცვლის. კვლავინდებურად მის იმედად მყოფი ოჯახის სარჩენად იძულებულია, ულმობელი ექსპლოატაცია გაუწიოს თავის ტალანტს: ერთადერთი „მარჩენალი“ პროფესია აქვს – პოეტისა (რომც უნდოდეს, მთარგმნელობითაც კი ვერ ირჩენს თავს, როგორც ეს არაერთმა მისმა კოლეგამ მოახერხა საბჭოეთში – არ გამოუდის თარგმანი). ამიტომაც, „ინდუსტრიული“

მეთოდებით მუშაობს (წინასწარ გამზადებული რითმებითა და უცილობლად დასაწერი სტრიქონების ყოველდღიური გრაფიკით); ამ მეთოდით მუშაობს მაშინაც, როცა განზრას „მარცხენა“ ხელით წერს („მაგნებისთვის“!); მაგრამ ზოგჯერ მაშინაც, როცა დარწმუნებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტოლფას შედევრს ქმნის: 12 წელს მოანდომებს „მშვიდობის წიგნს“ (დასასრულ, დაასკვნის, რომ პოემა „მსოფლიო სახელს მოიპოებს!“); პასუხად კი, უურნალ „მნათობის“ რედაქციისაგან გამოგზავნილ წერილში წაიკითხავს: „ამ პოემის ამ სახით გამოქვეყნება მხოლოდ ჩრდილს მიაყენებს თქვენს დიდ სახელსო“.

რაც უფრო დიდია მოლოდინი, მით უფრო მნარეა განხიბვლა: ლიტერატურულ ასპარეზზე მრავალი წყენის მიუხედავად, გალაკტიონს ასე მძაფრად, ვგონებ, არცერთი მარცხი არ განუცდია.

მართლაცდა, რა უცნაურია ეს მისი ბედის ვარსკვლავი, რომელიც მარტო ტოვებს სწორედ მაშინ, როცა გვერდით მდგომი ერთგული მრჩეველი სჭირდება, რომელიც გულახლილად ეტყვის, რომ მისი დიდი ჩანაფიქრი „ინდუსტრიული მეთოდებით“ ვერ განხორციელდება... თუმცა დაუჯერებდა კი ვინმეს ეს „თავგადაკლული, ათრთოლებული, ვიტყვი – წერას ატანილი, შემლილის პათოსით შეცყრობილი პოეტი“ (რევაზ თვარაძე).

რა გასაკვირია, რომ კოლეგების კეთილგანწყობაში ისედაც დაეჭვებული გალაკტიონი „მნათობის“ რედაქციის პასუხს „მშვიდობის წიგნის“ თაობაზე ობიექტურ შეფასებად კი არ აღიქვამს, არამედ მტრულ უესტად – კიდევ ერთ შტრიხად მისი „გამიზნული იგნორირების“ საერთო სურათში (ამჯერად, ვგონებ, ასე ნამდვილად არ იყო). აი, სამი წლის შემდეგ „მნათობში“ გალაკტიონის საიუბილეოდ გამოქვეყნებულ, მაგრამ მართლაც დამაკნინებელ წერილში მთელი მისი წვლილი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში „საბჭოთა ეპოქის მგზნებარე მომღერლის“ როლამდე იყო დაყვანილი! ერთი შეხედვით, სწორედ ასეთი „ანტიბიოგრა-

ფია“ მიესადაგებოდა გალაკტიონისავე დაუინებით შექმნილ „პარადულ პორტრეტს“, მაგრამ „საიუბილეო“ წერილის ადრესატს არ გასჭირვებია ამ „პანეგირიკის“ სიღრმისეული ინტენციის ამოცნობა<sup>4</sup>.

როგორ გინდა, ამდენი განხიპვლვის შემდეგ კვლავ მიუჯდე საწერ მაგიდას?! გალაკტიონის „დაბმული ჭინკა“ „მნათობთან“ კონფლიქტამდე რამდენიმე წლით ადრე თარიღდება, თუმცა სწორედ ამგვარი დეპრესიული განწყობა თუ დააწერინებდა ამ უცნაურად შემაშფოთებელ ლექსს:

ჩემი სამწერლო მაგიდის ფეხზე  
მიბმული ჭინკა  
ტირის: რად გინდა, რად გინდა ლექსი  
და ალის ჭიქა?  
რად გინდა ბროლის რიტმი, მუსიკა?  
სიკვდილი გელის!  
ნრიალებს ჭინკა, ხმაურობს ჭინკა  
და მწარედ მწყევლის.  
არის აქ შეშლა და ჯოჯოხეთი  
თუ ისტერია –  
შენ მართალი ხარ! მართლაც, რომ ბედი  
არ მიწერია!  
შენ მართალი ხარ! ლურჯი ედემი  
ქარმა დაბურდა,  
მაისი გაპქრა და ბალი ჩემი  
გაუდაბურდა!  
უჩინრად რბიან დღენი და თვენი,  
არ ვთვლი მათ დენას  
და გამარჯვება, უდაბნოვ, შენი  
მე მართმევს ენას,  
საუკუნეთა ვდგევარ წინაშე  
ასე გულმკვდარი,  
თან ქვითინებენ: ჭინკა ბინაში  
და გარედ ქარი.

**პორტრეტი:** მოდით, ახლა „გვიანდელი“, განაწყენებული გალაკტიონის უკვე არა „პარადულ“, არამედ რეალისტურ „სიტყვიერ პორტრეტს“ დავხედოთ, რომელიც ქართული ჰერალდიკის მკვლევარს, მიხეილ ვადბოლსკის ეკუთვნის (აქვე დავძენ, რომ მისი მოგონებები, სხვათა ერთმანეთს მიმსგავსებული ათობით ტექსტისაგან განსხვავებით, განცდილის უშუალობასა და სითბოს ინარჩუნებს): „დიდი ხნის უნახავები ვიყავით და ცვლილებები მით უფრო საჩინო იყო, – იხსენებდა გალაკტიონის იერს პოეტთან 1956 წელს სტუმრობისას მიხეილ ვადბოლსკი, – დამძიმებულიყო და წვერიანი „სმოლენშჩინის გლეხს“ დამსგავსებოდა. წვერზე ხშირ-ხშირად ხელის ჩამოსმას დასჩვეოდა, თვალები კი ძველებურად ხან ბავშვური, კეთილი, სუფთა, ხან ღრმა, ეკლიანი და გამჭოლი დარჩენოდა. იგი ძლიერი და წელმაგარი ადამიანის შთაბეჭდილებას მოახდენდა, ლოყის ხშირი თრთოლა და თითების კანკალი რომ არა“.

**„მაღლა მფრენი“:** რამდენადაც უმნეოა გალაკტიონი ყოფით ურთიერთობებში, იმდენადვე უცთომელია იგი თავისი პოეტური მისის განჭვრეტისას: „ჩემთვის დღესავით არის ნათელი, / რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა,“ – ურყევი თვითდაჯერებით წარმოთქვამს 25 წლისა; ორმოცს გადამცდარმა, უკვე იცის, რომ – შოთას, ილიას, აკაკისა და ვაჟას პანთეონს მიაკუთვნებენ და, რადგან „პანთეონი“ ვახსენე, იმ ერთ უთარილო სტროფსაც გავიხსენებ, რომელშიც წინასწარ მიგვანიშნა თავის მარადიულ განსასვენებელზე:

რომ მიხაროდეს შური ბინდისა,  
დამძიმებული მუქი ხავერდით,  
დამასაფლავეთ მე მთაწმინდაზე  
აკაკის გვერდით.

გალაკტიონის პროვიდენციალიზმი ისეთივე ამოუხსნელია, როგორც მისი გენია, რომელიც პოეტის ცხოვრების ბოლოს, როდესაც, ერთი შეხედვით, ყველა რესურსი

ამონტურულია – სულიერიც და ფიზიკურიც, მოულოდნელად გამოანათებს ხოლმე, როგორც მზის სხივი მოქუფრულ ცაზე.

**„შეჯამება“:** თვითმკვლელობამდე რამდენიმე წლით ადრე გალაკტიონს თავის დღიურში (დღიური 337 – 1955 წელი) ასეთი რამ ჩაუწერია: „ყოველმა პატიოსანმა ქართველმა მწერალმა საბოლოოდ უნდა გაარკვიოს თავისი დამოკიდებულება გალაკტიონ ტაბიძისადმი, ვინაიდან ამით იგი გაარკვევს თავის დამოკიდებულებას მეოცე საუკუნის ქართული მწერლობისადმი“. მაშინ ამ ჩანაწერს ყოვლად კონკრეტული ადრესატები ჰყავდა გალაკტიონის ლიტერატურული გარემოცვიდან. ლიტერატორთა მომდევნო თაობები გალაკტიონის სიცოცხლესა და სიკვდილზე დაფიქრებისას ამ ფრაზას აღიქვამენ, როგორც პიროვნულ გამოწვევას და ერთგვარ ზნეობრივ ტესტს. უკვე ჩვენს დროშიც კი რამდენი „ტაბუს“ დაძლევა მოუწიათ იმ მკვლევრებს, ვინც დაუფარავად ლაპარაკობდა გალაკტიონის ეგზისტენციალურ სიმარტოვეზე ჭილაძისეული „გოდორიდან“ ამომძვრალი კაშელების გარემოცვაში; იმ „ლიტერატურულ ბობოლებზე“, რომელთაც თავისი პირველი პოეტისათვის უფრო იოლად გაიმტეს საფლავი აკაკის გვერდით, ვიდრე ბინა თავის სამეზობლოში, სწორედ მთან-მინდის სიახლოვეს...

გვინდა თუ არა ეს ჩვენ, საბოლოოდ, გალაკტიონის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის თვალშიდევნებისას (და არა მხოლოდ უკანასკნელის: იხ. „ეგზისტენციალური შიში“) სუიციდალური ინტენციის მიზეზებს ვეძებთ და ჩვენს კითხვებს მივყავართ პოეტის „ყოფნა-არყოფნის“ დილემასთან, რომელიც გალაკტიონის მთელ ცხოვრებას გასდევს და ვერაფრით აიხსნება მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და პროფესიული ვნებათაღელვით.

საფიქრებელია, რომ პოეტის რეფლექსირებად ნატურას თან სდევდა ის ამბივალენტური შეგრძნება, ის „გაორების მნარე შიში“, რომელიც მან ერთხელ ესოდენ პათეტიკურად

უარყო („ამ ჩემს თმებში ვერცხლის ჩრდილებს / სიბერის დრო აქსოვს...“ [უთარილო], ), რადგან კარგად იცოდა, რომ ცხოვრებისეულ გაორებას სულიერი ბზარი მოსდევს, და არ უნდოდა, აბჯარშეხსნილი დახვედროდა წარმოსახულ მტრებს.

გალაკტიონს მაინცადამაინც არ მოსწონდა, მაიაკოვსკის რომ ადარებდნენ, მაგრამ თუ პოეტის თვითმკვლელობაზეა ლაპარაკი, ამ ორი ტრაგედიის მსგავსი მაგალითი ძნელი მოსაძებნია. ვის შეუძლია, დაიჯეროს: მაიაკოვსკიმ იმიტომ მოიკლა თავი, რომ მისმა ბოლო სატრფომ – ვერონიკა პოლონსკაიამ არ ისმინა პოეტის მუდარა („დარჩი, თორემ თავს მოვიკლავო!“), რადგან თეატრში, რეპეტიციაზე აგვიანდებოდა (თავზარდაცემული პოლონსკაია, რომელმაც სადარბაზოდან გასვლისას გაიგონა გასროლის ხმა, მერედა წაიკითხავს მაიაკოვსკის რამდენიმე დღით ადრე გამზადებულ გამოსათხოვარ წერილს, რომელშიც ისიცაა მოხსენიებული პოეტის ოჯახის წევრთა შორის).

როდესაც თვითმკვლელის იარაღზე ჩახმახი უკვე შეყენებულია, ყოველთვის მოიძებნება მიზეზი სასხლეტის გამოსაკრავად: გალაკტიონს არ დაუტოვებია გამოსათხოვარი წერილი, მაგრამ მისი ბოლოდროინდელი ჩანაწერები განა იმავე მზაობაზე არ მეტყველებს?! არ მინდა, გავიმეორო აქ „ეგზისტენციალურ შიშში“ თვალმიდევნებული „სუიციდალური ინტენციის“ გამოვლინებანი გალაკტიონის ცხოვრების, პრაქტიკულად, ყველა პერიოდში! ერთადერთი, რასაც ალვნიშნავთ, ისაა, რომ, ჩვეულებრივ, ამგვარად დამძიმებულ ფსიქიკაში სუიციდალურ განწყობილებათა მიზეზები, როგორც წესი, დროთა განმავლობაში მონაცვლეობენ და გალაკტიონთანაც ასე იყო: მისი ჩანაწერებიდან და დღიურებიდან გამომდინარე, რატომღაც მგონია, რომ დედის მუცლიდან დაყოლილ ეგზისტენციალურ შიშს თანდათან დოსტოევსკისთან („ეშმაკინი“) აღწერილი „კირილოვის კაზუსი“ შეენაცვლა, რომლის მიხედვითაც, თვითმკვლელი ანუ სიკვდილის შიშის დამთრგუნველი ადამიანი ლმერთს

უტოლდება! პოეტის ცხოვრების დასალიერზე ამ „საკრალური აქტის“ ალსრულებას ისეთი მოტივაცია მიემატა, როგორიცაა შემოქმედისათვის ყველაზე მტკივნეული და ყველაზე შემაშფოთებელი საკრამენტული კითხვა: „რამდენად უცომელი იყო მისი ცხოვრების გეზი და მისი გენისათვის საბედისწერო ხომ არ აღმოჩნდა ხელისუფალთათვის ასე უხვად გაღებული ხარჯი?!”

არ მეგულება გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, რომლისთვისაც ვახტანგ ჯავახაძის უმდიდრესი ბიოგრაფიული ნარატივი სამაგიდო წიგნი არ იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, „უცნობში“, გალაკტიონის თვიმკვლელობის მიზეზთა 13-პუნქტიან ჩამონათვალში, რატომძაც გამოტოვებულია პოეტის ცხოვრების ბოლონლების თვითგანხიბვლის ტრაგიკული შედეგი.

პირადად მე, ეს მიზეზი უმთავრესი მგონია, რადგან არ მინდა დავიჯერო, რომ პოეტს სიცოცხლესთან ანგარიშსწორება მხოლოდ გარემოებათა ზენოლამ აიძულა და არა – თვითრეფლექსიამ, რომელიც თვითგვემისა და თვითგანადგურების იდეაფიქსად იქცა... ვერ წარმომიდგენია, რომ ის დრამატული შეკითხვები პოეტისადმი, გალაკტიონის ყოველ ჩავირვებულ მკითხველს რომ ებადება, თავად გალაკტიონს არ მოსვლოდა თავში. თავის ჩანაწერებსა და დღიურებში იგი, გასაგები მიზეზების გამო, გაურბოდა ამ თემას. მაგრამ პოეტი რისი პოეტია, თუ ერთხელ მაინც არ აღმოხდება ყველაზე მტკივანი სათქმელი და სწორედ ლექსად არ იტყვის იმას, რასაც უჯრაში გადამალული დღიურის ფურცლებსაც კი არ ანდობს...

სწორედ ასეთი პოეტური აღსარებაა „საგურამო“, ჩვენი ესსეს დასაწყისში რომ გავიხსენეთ, და ნამდვილად არ მიკვირს, რომ ამ შემაძრნუნებელი პოეტური დოკუმენტის დამწერს მოუნდა, „გულწრფელი ჩანგის გაწყვეტილი სიმით“ თავი მოეშთო...

ტრაგიკულმა, მაგრამ პროვიდენციულმა, უესტმა ღირსება შეუნარჩუნა დიდი პოეტის გენიას: „ხმამალლა სახელ-

დებული და საყოველთაოდ გაცხადებული“ სიკვდილით (მერაბ მამარდაშვილის განსაზღვრება რომ გავიმეოროთ) თაობათა მეხსიერებაში თავისი ბიოგრაფია გალაკტიონმა სამუდამოდ დაუპირისპირა იმ „საბჭოურ ფარსს“, რომელ-შიც, ნებსით თუ უნებლიერ, მონაწილეობდა და რომელსაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი შეაღია.

### **შენიშვნები:**

1) „ასპინძის“ შემოქმედებითი ისტორია – ვარიანტებისა და ად-რესატების მონაცემებით („სატრფოთი“ დაწყებული და „მთავარ-სარდლით“ დამთავრებული) – თავისთავად იმდენად ნიშანდობლი-ვია გალაკტიონის გაორებული ნატურისათვის, რომ, ალბათ, კიდევ ბევრი მკვლევრის ყურადღებას მიიპყრობს. ამ ლექსის პოლისემან-ტიზმით დაინტერესებულთ, ვურჩევდი, გაეცნონ ნანა კობალაძის კომენტარებს გალაკტიონის საარქივო გამოცემის VII ტომში (გვ. 572) და ჯული გაბოძის გამოკვლევას „ასპინძა“ და „ელეგია გან-შორებისა“ („გალაკტიონოლოგია“, III, გვ. 269);

2) იხ.: პროკლე (აბესალომ) ტაბიძე, „მოთხრობები, ბარათები გალაკტიონთან“, (შედგენილი ნოდარ ტაბიძის მიერ), თბ., 1997;

3) ოლია ოკუჯავა დანარჩენ 156 პატიმარან ერთად დახვრიტეს 1941 წლის 11 სექტემბერს, ლამით, ქ. ორიოლთან, ტყეში. ლ. ბერიას მიერ წარდგენილ და ხელმოწერილ დასახვრეტ პირთა სიას ი. სტა-ლინის რეზოლუცია ადევს («Известия ЦК КПСС», 1990, №18);

4) „მნათობის“ 1959 წლის იანვარ-თებერვლის გაერთიანებულ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი გახლდათ გიორგი (გია) მარგველაშვილი. ტექსტი იმდენად ტენდენციური იყო, რომ ვახტანგ ჯავახაძემ გალაკტიონის თვითმკვლელობის მიზეზთა 13-პუნქტიან ჩამონათვალში მე-9 პუნქტად შეიტანა („უცნობი“, 2013 წ, გვ. 806). და ამით ავტორი, ფაქტობრივად, ესსეისტ ფრენსის ჯეფრის გაუ-თანაბრა – კიტსის „ლიტერატურულ მკვლელს“. შემდგომ გია მარ-გველაშვილი გალაკტიონის შემოქმედების პოპულარიზაციითა და თარგმნით თავდაუზოგავად ცდილობდა, გამოესყიდა თავისი შეც-ოდება.



## გალაკტიონის სანთალი

გალაკტიონისადმი მიძღვნილ მოგონებებში გენიშნებათ, როგორ დამახსოვრებიათ მის თანამედროვეებს ერთი სიმბოლური ეპიზოდი: აკაკის პანაშვიდი ქუთაისში, თეთრ ხიდთან მდებარე ეკლესიაში, და კედელთან მდგარი ახალგაზრდა კაცი, ტანჯული გამომეტყველებითა და ორი კელაპტრით ხელში. ამ მიზანსცენის სიმბოლიზმი, რომელიც ორი დიდი ქართველი პოეტის „მემკვიდრეობითობას“ ასახიერებს („მეფე მოკვდა – გაუმარჯოს მეფე!“) – ცალკე თემაა. მაგრამ ამჯერად იმ ორ კელაპტართან ერთად ის სანთლებიც გავიხსენოთ, რომელთა მკრთალი ციმციმიც გვეხმარება, უკეთ დავინახოთ პოეტის ტანჯული სახის ნაკვთები...

პირველად „სანთლები“ 1914 წელს „აინთო“ (ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, 31), მერე უკვე 1919 წელს აციმციმდა: „სანთლი“ – „არტისტულ ყვავილებში“, ოღონდ – სიმარტოვეში! ანუ: რაც უნდა გასაკვირი იყოს, გალაკტიონმა „სანთლები“ თავისი ლირიკის საუკეთესო ნაწილს არ მიაკუთვნა და ეს უფაქიზესი ლექსი გვერდზე გადადო. იმ უამრავ კითხვას, რომელთაც გალაკტიონის შემოქმედებითი ბიოგრაფია ბადებს, ეს ერთიც დაემატა!

ვიდრე ამ თავსატეხს მივუბრუნდებოდეთ, მოვიშველიებ სანთლის სიმბოლიზმისადმი მიძღვნილ სტატიას „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედიდან“: „ტაძარში – „უფლის სახლში“ მოსული მლოცველი აუცილებლად ანთებს სანთლს, როგორც რწმენისა და ნუგეშის მარადიულ სიმბოლოს. სანთლი ღვთისმსახურების დროს მეტყველებს

სწორედ მლოცველთა გულებში ანთებულ ღვთის სიყვარულზე, ხოლო სანთელთა სიმრავლე – ტაძარში გამეფებულ სულიერ ზეანულობას მოასწავებს.

ბიბლიური სიმბოლიკით „სანთელი ანთებული და საჩინო“ (იოანე, 5:33-35) უფალთან ზიარების სიმბოლოა. ალბათ სწორედ ამიტომ უამრავი ლამპრითა და სანთლით გააჩირადნა IV საუკუნის დასაწყისში, აღდგომის დღესასნაულზე კონსტანტინეპოლი კონსტანტინე დიდმა, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული რომის იმპერიაში ქრისტიანული სარწმუნოების ლეგალიზება (313 წ. მედიოლანის ედიქტი).

სანთელი, როგორც ღვთისმსახურების განუყოფელი ელემენტი, ძველი აღთქმის ღვთისმსახურებიდან მოდის. ქრისტიანთა პირველი დევნის დროიდან, მას, გარდა საკრალურისა, ფუნქციონალური დანიშნულებაც ჰქონდა, რადგან პირველ ქრისტიანებს ლიტურგიის ჩატარება წარმართოთავან მალულად ბხელ მღვიმებსა და კატაკომბებში უნევდათ. იმავე პერიოდიდან რომაელებიც თითქმის ყველა რელიგიურ დღესასწაულზე ინტენსიურად ხმარობენ სანთელს. უკვე II საუკუნიდან მოყოლებული, განასხვავებდნენ ცვილისა და ქონის სანთლებს და რადგან ფუტკრის ცვილისგან დამზადებული სანთლები გაცილებით ძვირად ფასობდა, ამ „უსისხლო მსხვერპლს“ მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმსახურების დროს იყენებდნენ.

სანთლის ნატიფ სახისმეტყელებაზეა აგებული ბორის პასტერნაკის ლირიკული შედევრი „ზამთრის ღამე“ – საბედისნერო სიყვარულის განუმეორებელი სურათი, რომელიც თან ერთვის მის რომანს „ექიმი ჟივაგო“.

ქართულ პოეზიაში სანთლის სიმბოლიკაზე ლაპარაკისას, ფოლკლორული ნიმუშების გარდა, ჩვენ, რაღა თქმა უნდა, გვახსენდება აკაკის განუმეორებელი „ხატის წინ“ და გალაკტიონის ორი ადრინდელი უფაქიზესი ლექსი, რომელთაც სწორედ სანთლის სიმბოლიკა დაედოთ საფუძვლად“

(ზ.აბზიანიძე, ქ.ელაშვილი – „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“).

ენციკლოპედიაში ამ ტექსტის შემდგომ გალაკტიონის ლექსებია ციტირებული, და აქაც მინდა, იმავე მიმდევრობით გადავიკითხოთ ეს ორი შედევრი. ჯერ „არტისტულ ყვავილებში“ „ანთებულ“ სანთელს დავაკვირდეთ:

ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში  
მიყვარდა სულის შეხება შენი,  
ტფილისის დაღლილ ქარის თარეში,  
კოშკები, ძველად ნაგებ-ნაშენი.

მსუბუქი ალით გზებს ეკიდება  
ტალღები ნელი და სურნელება,  
მე მახსოვს შენი ძველი დიდება  
და განშორება ან მეძნელება.

ყოველდღე მოდის ახალი ტალღა  
მყვირალა, სუსტი და დღევანდელი,  
და დროშასავით მე მიმაქვს მაღლა  
სანთელი... შენი სული, სანთელი.  
(„სანთელი“)

გალაკტიონის ამ სიმბოლოლოგიურ ენიგმებში, ისე, როგორც არსად, ვგრძნობთ ჩვენ უცთომელობას ერთი იუნგისეული მიგნებისა, რომლის მიხედვითაც, კლასიკური სიმბოლო „უნდა შეიცავდეს ერთგვარ „გაუცნობიერებელ“ ასპექტს, რომელიც ვერასოდეს იქნება ცალსახად ახსნილი ან ჩამოყალიბებული“.

და მართლაც, პარადოქსია, რომ ანტითეზებზე აგებული ამ ლექსის მთელი ხიბლი სწორედ მის „გაუცნობიერებელ ასპექტშია“, იმ „ლივლივში“, რომელიც ამჩნევია მისი სიმბოლისტური პეიზაჟის ყოველ მონასმს, იმ მრავალწერტილ-

ში, რომელშიც ვცდილობთ ხოლმე ჩვენ მიერ წარმოსახული ცნებები და სახელები ჩავსვათ...

ვერ დავეთანხმები ზურაბ კიკნაძეს, როცა იგი წერს, რომ „ლექსი სახეობრივად ახლოა „აკაკის ლანდთან“, რომ-ლის ფონზეც ნანარმოები შეგვიძლია აღვიძვათ, როგორც მიმართვა სულმნათი მგოსნისადმი“.

კიდევ ერთი რემარკა ამ „კონსორტის შევსებასთან“ დაკავშირებით: განა იმავ „არტისტულ ყვავილებში“, უკვე ქრესტომათიულ „მამულში“ დეკლამირებული: „ნინაპართა-გან წავიდა ყველა, /სხვა ხალხის ისმის აქ ურიამული“ – არ ეხმიანება „სანთლის“ ანალოგიურ სურათს: „ყოველდღე მოდის ახალი ტალღა მყვირალა, სუსტი და დღევანდე-ლი...“?

წამდვილად ეხმიანება. მაგრამ როგორც კი მოვინ-დომებთ, გალაკტიონის მრავალწერტილი შევავსოთ, პოე-ზიას პუბლიცისტიკად გადავაჯცევთ. ვგონებ, სწორედ ამ პუბლიცისტურმა პათოსმა აცთუნა ჩემი ის კოლეგები, რო-მელთაც „სხვა ხალხში“ არა დროის წარმავლობის მარადი-ული სურათი, არამედ პოლიტიკური მინიშნებანი დაინახეს.

გალაკტიონის ახალი თხუთმეტტომეულის კომენტარს მოვიშველიებ:

„**სხვა ხალხი**“ – სინტაგმა მკვლევართა მიერ ინტერ-პრეტირებულია, როგორც: ეთნიკურად უცხო ტომი; ბ) ეროვნულ იდეოლოგიასთან დაპირისპირებული ქართველი სოციალ-დემოკრატები; გ) ლიტერატურულ ასპარეზზე გა-მოსული ფსევდონოვატორების ახალთაობა – უარმყოფლი კლასიკური ტრადიციებისა.

„**მოხუცი მამა**“ – სინტაგმა მკვლევართა მიერ იდენ-ტიფიცირებულია მამა ღმერთთან, აკაკისთან, ილიასთან“ (გალაკტიონ ტაბიძე, თხ. 15 ტომად, ტომი II, თბ., 2016, გვ. 255).

შესაძლოა, ყოველივე ის, რის თქმასაც ვაპირებ, გალაკ-ტიონის შედევრის პირველი და მართლაც გაუნელებელი შთაბეჭდილებითაა ნაკარნახევი (როგორც თეიმურაზ დოი-

აშვილი ამბობს: „პირველი შთაბეჭდილებით, „მამულში“ გალაკტიონი თითქოს მხოლოდ პირველულ-ინტიმურ, კერძოობით განცდებს გადმოგვცემს...“ (ესსე „და მელანდება... მოხუცი მამა“ წიგნში „მოტირალ-მოცინარი“), მაგრამ ახლაც ამ აზრს ვადგავარ, რომ „მამულში“ გალაკტიონი სწორედაც რომ მოხუც მამაზე წერს და არა დიდ ქართველებზე – იმ მამაზე, რომელიც თვალით არ უნახავს და რომელიც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ დაბერება ვერ მოასწრო. მაგრამ წერს ისეთი დრამატიზმითა და ექსპრესიით, რომ სევდიანი მიზანსცენა ცვრით დანამულ იმერულ ეზოში მოხუცი მამის ღანდით იტევს და ითავისებს მთელს ჩვენს ნოსტალგიურ მოგონებებს, იმ უთქმელ, ამოუტირებელ, ჩაგმანულ ტკივილს, რომელიც ჩვენი ფატალური დანაკარგების გამოძახილია და რომლის გარეშეც ნამცეციც არ იქნებოდა ჩვენში არც ადამიანურის და არც „ძალზე ადამიანურისა“...

ახლა გალაკტიონის თხუთმეტტომეულის პირველი ტომი გადავშალოთ და მისი „სანთლები“ გადავიკითხოთ:

შორს, ზურმუხტისფერ სივრცის იქით, სანთლები სჩანდა.  
დასასვენებლად მიინევდა იქ მეზღვაური.  
ერთხელ ზღვა გაწყრა, აირია, გაუინიანდა –  
ტალღებმა შექმნეს ვაი-ვიში, აურზაური...  
და გემს უმიზნოდ, საუკუნოდ დააგვიანდა.

მას აქეთია, იალქანი ზღვაზე მიფრინავს,  
მისთვის ერთია, სად დახუჭავს ოცნება თვალებს,  
მიუწვდომელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს...  
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

როგორც ითქვა, „სანთლები“ პირველად 1914 წელს გამოქვეყნდა უურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (31), ხოლო ლექსის დაწერის თარიღად გალაკტიონს ერთ პუბლიკაციაში 1916 წელი აქვს მითითებული, მეორეში – 1912, ხოლო მესამეში – 1911 (რაც ასე სჩვეოდა!). ამ თარიღების „დაძველება“

პირდაპირ პროპორციულია გალაკტიონის წიგნების უკვე საბჭოთა პერიოდში გამოცემათა თარიღებისა: 1916 – 1937; 1912 – 1944 და 1911 – 1954 (იხ. ნათია სიხარულიძის კომენტარები თხუთმეტტომეულის I ტომის 314-ე გვერდზე). აქ გარკვეული ლოგიკის დაძებნა ნამდვილად შეიძლება: რაც უფრო იზრდება გალაკტიონის პოეტურ კრებულებში დაკვეთით დაწერილი ლექსების ხვედრითი წონა, რაც უფრო „საბჭოურდება“ მათი იერი, მით უფრო უნდა „დაძველდეს“ და პერიფერიაზე გაირიყოს მისი ლირიკის ის ნანილი, რომელსაც ესოდენი დისონანსი შეაქვს ახალი ლექსების ოპტიმისტიურ პათოსში. ამ მხრივ (და ამაზე ერთგან ვწერდი კიდეც) „სანიმუშო“ იყო ავტორის ინერტულობით გათამამებულ შემდგენელ-რედაქტორ-ცენზორთა ერთობლივი ძალისხმევით 1954 წელს გამოცემული უსახური „რჩეული“(!).

თუკი გალაკტიონის საბჭოთადროინდელ, გამიზნულ „ანაქრონიზმებში“ გარკვეული ლოგიკა იგრძნობა, აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არ შეიტანა მან „სანთლები“ 1919 წელს გამოცემულ „არტისტულ ყვავილებში“?! როგორ შეელია ამ ტევად და მრავლისმთქმელ მეტაფორას, რომელიც მისი ცხოვრების (და, საზოგადოდ – მისი ფსიქოტიპის ადამიანის) დრამას წარმოსახავდა?

თავს იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ „არტისტული ყვავილების“ მხატვრულ სივრცეში სიმბოლური სანთელი აქა-იქ მაინც ციმციმებს. აი, მაგალითად, „უნაზესი ხელნაწერის“ ფინალი:

სერაფიმის ფრთა, სევდიანი ჩემი სანთელი  
ამ ბარათებზე საუკუნო ალად ენთება!  
გადივლის თვალწინ დროთა ბნელი კორიანტელი,  
ჩუმად ვშლი ფურცლებს. სარკეებში ჩუმად თენდება.

გენიშნებათ აგრეთვე „ახალი მოსახლეობის“ პირველივე სტროფი, რომელიც რაღაცით ეხმიანება „სანთლების“ განწყობას:

ჩვენ ერთად უცდიდით ღამეში თეთრ სანთელს,  
 ჩვენ ერთად მოვრკალეთ ლოდინი და რიცხვი,  
 ბედივით გამოყვა ჩემს ბინას შარშანდელს  
 უქმი და უგონო ცხოვრების სირცხვილი.

ახლა, როდესაც მეტ-ნაკლები სიცხადით შეგვიძლია წარმოვისახოთ, როგორაა განთავსებული „არტისტული ყვავილების“ სიმბოლოლოგიურ პალიტრაზე სანთელი, მკაფიოდ გამოჩნდა ისიც, როგორ გაამდიდრა გალაკტიონმა აკაკისაგან „ანდერძად მიღებული“ ამ საკრალური სიმბოლოს სპექტრი და ქუთაისის ტაძრის რიტუალური კელაპტრები როგორ აამეტყველა შუქ-ჩრდილის იერატიულ ანბანზე.

ერთი შეხედვით, ტაძრიდან პროფანულ სივრცეში გადმოტანილმა „გალაკტიონის სანთელმა“ იმ რიტუალური კელაპტრების საკრალურობა დაკარგა. მაგრამ კიდევ ერთხელ ამ თვალით თუ გადავხედავთ აქ მოხმობილ პოეტურ ილუსტრაციებს, დავინახავთ, როგორ გადასხვაფერდა ყოველივე, რასაც კი მისწვდა „გალაკტიონის სანთლის“ მოციმციმე შუქი, როგორ სასწაულებრივ შემოეცალა პროფანულის, მიწიერის, ყოფითის, იმწუთიერის ბინდი და როგორ წარმოჩნდა სულიერი ზეობისა და უფაქიზესი ოცნებების სიმბოლო.

ასეთი სასწაული მხოლოდ დიდ ხელოვნებას შეუძლია და, შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენს „სიმბოლოთა ენციკლოპედიაში“ ამგვარი ეფექტის ვიზუალურ ადეკვატად დიდი ფრანგი ფერმწერის, უორუ დე ლა ტურის (1593-1652) „მარიამ მაგდალინელის მონანიების“ ფრაგმენტი მოვიხმეთ სარკეში არეკლილი სანთლით, სადაც მოციმციმე სანთელი გაცილებით ექსპრესიული და ტრაგიკულია, ვინემ მონანიე მაგდალინელის განუყრელი ატრიბუტი – ამაოების სიმბოლო, თავის ქალა.

არ მინდა, გამოგვრჩეს ის „ზოგადსიმბოლისტური“ ფონიც, რომელიც ყოველთვის გასათვალისწინებელია ამა თუ

იმ ლიტერატურული ფენომენის ობიექტური შეფასებისას. ასე თუ ისე ვიცით ახალგაზრდა გალაკტიონის ლიტერატურული ინტერესების არეალი და მისი ლიტერატურული პრიორიტეტები, ამიტომ „გალაკტიონის სანთლის“ აღუზიებს, პირველ ყოვლისა, რუსული „ვერცხლის საუკუნის“ პოეტურ ნიმუშებსა და იმავ პოეტების ნათარგმნ ფრანგ სიმბოლისტებთან ვეძებდით. სანთლი მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინე ბალმონტის საწერ მაგიდაზე ენთო:

\*\*\*

Свеча горит и меркнет и вновь горит сильней,  
Но меркнет безвозвратно сиянье юных дней,  
Гори же, разгорайся, пока ещё ты юн,  
Сильней, полней касайся сердечных звонких струн.  
Чтоб было что припомнить на склоне трудных лет,  
Чтоб старости холодной светил нетленный свет –  
Мечтаний благородных, порывов молодых,  
Безумных, но прекрасных, безумных – и святых.

არ არის გასაკვირი, რომ 1895 წლით დათარიღებული ეს ლექსი გალაკტიონს ნაკითხული ჰქონდა. მით უმეტეს, გასული საუკუნის ათიან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი და საქართველოზე შეყვარებული ბალმონტი ქართველი კოლეგების განსაკუთრებულ ინტერესსა და სიმპათიას იწვევდა (1915 წელს ბალმონტთან ერთად სამახსოვროდ გადაღებულ ფოტოსურათზე ქართველი კოლეგებისაგან ოდნავ განაპირებულ გალაკტიონსაც ვიხილავთ).

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ისიც ვალიაროთ, რაოდენ ბანალური ჩანს ბალმონტის თემატიკა და რამდენად ფერმკრთალია მისი სიმბოლური სანთური „გალაკტიონის სანთლის“ გვერდით. არა მგონია, აქ რაიმე მიკერძოება მაღაპარაკებდეს.

რაც შეეხება აქ უკვე ნახსენებ „ზამთრის ღამეს“ ბორის პასტერნაკისა, XX ს. რუსული პოეზიის ეს შედევრი უკვე

შემდგომ ეპოქას ეკუთვნის (უფრო დაწვრილებით იხ. ზ. აბ-ზიანიძე – „სანთელი ენთო...“ კრებულში „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი“, თბ., 2015).

ისლა დაგვრჩენია, ასი წლის შემდეგ „გალაკტიონის სანთლის“ გამონათებით მონუსხულმა მკითხველებმა ქედი მოვიხაროთ „არტისტული ყვავილების“ გენიალური ავტორის წინაშე.



## მოუთვინიერებელი სიტყვა

2019 წლის 5 დეკემბერს 20 წელი შესრულდა აკაკი ბაქრაძის გარდაცვალებიდან. იგი სიცოცხლეშივე სიმბოლურ პიროვნებად იქცა – ამას სრული კატეგორიულობით ვამბობ. თუნდაც, როგორც სიმბოლოთა პირველი ქართული ენციკლოპედიის თანავტორი. ჩვენში მართლაც რომ არსებობდეს ევროპული ტიპის, კანონებით (და არა კაპრიზებით) მართული სამოქალაქო საზოგადოება, ამ 5 დეკემბერს მთანმინდაზე შევიკრიბებოდით აკაკი ბაქრაძის გადმოსვენებაზე და პატივს მივაგებდით მის ნათელ ხსოვნას. ვისდა ახსოვს ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას მიღებული სამთავრობო დადგენილება, რომელიც მთანმინდაზე დაკრძალვა სწორედ ამგვარ, 20-წლიან ინტერვალს აკანონებდა.

გულწრფელი თუ ვიქენები, ამ „ისტორიულ უმაღლურობაში“ ჩვენი, ლიტერატორების წვლილიცაა: მთელი ამ დროის განმავლობაში, ყოველდღიურ ვნებათაღელვას გადაყოლებმა, ჩვენ ვერ მოვიცალეთ, ლირსეულად შეგვეფასებინა ამ დიდი მოღვაწისა და პუბლიცისტის როლი საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ბუნებრივია, რომ აკაკი ბაქრაძის სახელსა და ღვაწლათან მიბრუნებისას, პირველ ყოვლისა, ქართული იდენტობისა და ეთნოპორტრეტის მისეულ კონცეფციას გავიხსენებთ. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მარადიული კითხვები გასდევდა მთელ მის ბიოგრაფიას. ვგონებ, უფრო იმიტომაც, რომ მიწადატაცებულ, ერთიანობამოკლებულ

და აღრეულ ქვეყანაში მის მკვიდრთა გამაერთიანებელი არქეტიპებისა და სიმბოლოების დადგენაზე უფრო აქტუალური და სასიცოცხლო პრობლემა უბრალოდ არ არსებობს.

ამიტომაცაა, რომ ჩვენს ყურადღებას თავიდანვე მიიჰყორბს ესე – „დავიწყებული იდეა“ (1987), რომელშიც აკაკი ბაქრაძემ მკაფიოდ ჩამოაყალიბა ქართული მესიანისტური იდეის პოსტულატები.

„დავიწყებული იდეას“ ავტორის აზრით, XII-XIII ს.ს. მიჯნით დათარიღებულ თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ – „თამარის სამების მეოთხე წევრად გამოცხადება და ჩვილი ლაშა-გიორგის იესო ქრისტესთან მისნორება ნაწილია ქართული მესიანისტური იდეისა“. ქართულ მესიანისტურ იდეას, – გვიყვება აკაკი ბაქრაძე, – ოთხი ტრადიციული წყარო ასაზრდოებს:

„პ ო რ ვ ე ლ ი: ცნობილი ჰიმნით – ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ – ქართული ენა გამოცხადებულია ქრისტეს ენად. [....];

მ ე ო რ ე: ქრისტეს კვართი საქართველოში, მცხეთაშია დასაფლავებული. დაკრძალვის ადგილს აგებულა სვეტი-ცხოველი. [....];

მ ე ს ა მ ე: საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა;

მ ე ო თ ხ ე: ბაგრატიონთა დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი. [....] ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლად თვლიდნენ თავს. ვარკვეულ პერიოდში ქართველი მეფეები „მესიის მახვილად“ იწოდებიან. ისინი დამცველნიც არიან და გამავრცელებელნიც ქრისტეს მოძღვრებისა.

ქართულ მესიანისტურ იდეას აყალიბებს ქართული საეკლესიო მწერლობა. მისი აზრი მკაფიოა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა, ქართული ენა ქრისტეს ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის უამს, ბაგრატიონები კი

ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო, განსაკუთრებული მისიის მატარებელია. იგი მოვალეა ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია, ისტორიის ასპარეზზე, ამ იდეით წარმართავს და ამოქმედებს ქართველ ხალხს”.

ვაი რომ, განგებას თავისი სცენარი ჰქონდა და მესიანისტური იდეები, რომლებიც საქართველოს სამეფოს ზეობის პერიოდში იშვა, იმავ XIII-ე საუკუნეში მონღოლების გამოჩენა-გაბატონებამ ისტორიული ასპარეზიდან მითოლოგიურში გადაანაცვლა: მიჯაჭვულ ამირანთან, გრძეულ ხოგაის მინდიასთან, ბაზალეთის ტბის ძირში ჩამალულ ოქროს აკვანში მძინარე ჩვილთან თუ სურამის ციხის კედელში ჩატანებულ ჭაბუკთან და ყოველივე ეს ქართული იდენტობის განუყოფელ ნაწილად აქცია.

აკაკი ბაქრაძე თვლიდა, რომ ამგვარი სიმბოლური ღირებულებანი ქმნიან იღუზორულ სინამდვილეს თავისი უნიკალური ფუნქციით. ეს უნიკალურობა კი ერთ ანტინომიაზეა დამყარებული: რაც უფრო „დამინებულია“, დაცილებულია იდეალს ეთნოსისა და ადამიანის ცხოვრება, მითუფრო ზეანეულისა და კეთილშობილისაკენ ისწრაფვის წარმოსახვა!

ისტორიულ რეტროსპექტივაში განიხილავს აკაკი ბაქრაძე ქართული ეროვნული ხასიათისა და ეთნოკულტურული კონსტანტების ერთობლიობას თავის „მკვახე შეძახილში“ (ალმ. „კრიტიკა“ 4, 1983). ეს გახმაურებული პოლემიკური წერილი კონცეპტუალურად უპირისპირდებოდა მისივე ლიტერატურული თაობის გამორჩეული წარმომადგენლის – გურამ ასათიანის ვრცელ ექსკურსს ეთნოფსიქოლოგის სფეროში – „სათავეებთან“ (1980), რომელშიც მისმა ოპონენტმა ერთგვარი „ეროვნული წარცისიზმი“ დაინახა.

ეროვნული თვითმყოფადობის იდეის წარმოსახვისას, გურამ ასათიანმა ერთ ეფექტურ მეტაფორას ვივეკანანდასთან მიაგნო: „ყოველ ერს, ისევე, როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთა-

დერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკრიბება... თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, საუკუნეთა მიერ გადმოცემულ გეზს, ეს ერი კვდება“.

გურამ ასათიანი თვითონვე აღნიშნავდა, რომ ამ „ცენტრალური ბგერის“ მოსახელთებლად, უმთავრესად ლიტერატურას ეყრდნობოდა („დასაყრდენი შედარებით ვიწროა, მაგრამ ერთობ სანდო“ – წერდა იგი). სწორედ ამ „სანდოობაში“ შეიტანა ეჭვი აკაკი ბაქრაძემ (განათლებით – ისტორიკოსმა) და „სათავეებთან“ მოხმობილი „ლიტერატურული სიქველენი“ ისტორიული ქრონიკებიდან ამოკრეფილი „სიგველენით“ გააწონასწორა – დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თვითგვემა იქნებოდა ეს („ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს...“) თუ ნაწყვეტი იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებებიდან.

ყველა იმ კონცეპტუალურ ასათიანისეულ თეზას, სადაც კი ზედმეტი თვითტკებობა იგრძნობოდა, აკაკი ბაქრაძემ თავისი ანტითეზა დაუპირისპირა. მაგალითად, როდესაც გურამ ასათიანი ლაპარაკობს, რომ შურისმაძიებლობა არ არის დამახასიათებელი ქართველი კაცის ბუნებისათვის, აკაკი ბაქრაძემ მოჰყავს ისტორიულ პირთა მთელი ნუსხა (მათივე მსხვერპლთა მითითებით), რომელთა ბიოგრაფიებშიც ვერცერთმა ბიოგრაფიოსმა ვერ ამოშალა სასტიკი შურისმაძიებლობის მაგალითები: ბაგრატ მესამე, გიორგი ბრწყინვალე, ქსნის ერისთავები, სოლომონ პირველი, ლევან მეორე-დადიანი, თეიმურაზ პირველის ასული დარეჯანი და თავად თეიმურაზ პირველი, გივი ამილახვარი და „სხვანი, რომელიც შურისმგებლის დაუოკებელი ვნებით არიან შეპყრიბილნი. ისინი ხომ ქართვლები არიან და ქართულ სულსა და ხასიათს ავლენენ.“

მაშასადამე, ქართველმა იცის შურისძიება და თან სასტიკი. ეს ლიტერატურითაც დასტურდება და ისტორიითაც. ამიტომ, ნუ შევეცდებით პირი მოვინებიდოთ და გულმო-

წყალისა და მიმტევებლის ნიღაბი ავიფაროთ. არ არის ეს საჭირო”.

ქართულ ხასიათს შემორჩა ისეთი თვისებანიც, რომელიც იმდენად მკაფიო და რელიეფურია, რომ არც ლიტერატურული და არც ისტორიული „დასტური“ არ ესაჭიროებათ. ანუ – საკამათოც არაფერია. მაგრამ, საკამათო მაინც მოიძებნა და კამათის საგანი ამჯერად „მკაფიო სურათის“ ინტერპრეტაცია იყო. გურამ ასათიანის აზრით, ერთ-ერთი ასეთ თვისებათაგან – ქართველი კაცის ბუნებრივი არტისტიზმიდან გამომდინარე მუდმივი პოზაა, ყურადღების ცენტში ყოფნის სურვილი. ვფიქრობ, ეს პოზა ქართულივე ამპარტავნობიდან უფრო გამომდინარეობს, ვინემ არტისტიზმიდან, თუმც გურამ ასათიანის ლმობიერმა თვალმა, რაღა თქმა უნდა, აირიდა ეს „გენეტიკა“: „ქართველი კაცი მუდამ სცენაზე გრძნობს თავს. მარტოდ დარჩენილსაც კი ვიღაცის მოუშორებელი მზერა ელანდება და ყოველ თავის მოძრაობაში ამ უხილავ თვალთა დაინტერესებულ ყურადღებას ითვალისწინებს...“.

ამ ტექსტის ნამკითხველი აკაკი ბაქრაძე შემფოთებული ეკითხება ავტორს: „– ეს ხომ უმძიმესი მდგომარეობაა – მთელი სიცოცხლე სცენაზე გრძნობდე თავს. სულ ვიღაცას ატყუებდე და, რაც მთავარია, უპირველესად საკუთარ თავს, არასოდეს იყო ის, რაც ნამდვილად ხარ?!“.

თითქმის ორმოცი წელი გავიდა „რომანტიკოსისა“ და „რეალისტის“ იმ ლიტერატურული „დუელიდან“, მაგრამ უფროსი თაობის მეხსიერებამ შემოინახა, როგორი ინტერესითა და აღტაცებით გადადიოდა ხელიდან ხელში „სათავეებთან“ („ცისკარი“, 1980, 5,6,7), რა მალამოდ ედებოდა ფეხდაბიჯებულ ეროვნულ თავმოყვარეობას ზნესრული ქართველი რაინდის ხატება; როგორ ატკბობდა ყურთასმენას დროულად მოხმობილი გიორგი მთაწმინდელის სიტყვები „ქართველთა წრფელი და უმანკო“ ბუნების შესახებ და, ამის საპირისპიროდ, რა გამაღიზიანებლად უდერდა აკაკი ბაქრაძის სტატიის ფინალში გატანილი ლაკონური განა-

ჩენი: „ჩვენი ავ-კარგით ისეთივენი ვართ, როგორც ყველა ხალხი ამქვეყნად. კაცობრიობის თანავარსკვლავედში უზენაესის მიერ ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობასაც პირნათლად შევასრულებთ და თავისუფლად ვისარგებლებთ ყველა იმ უფლებით, რაც პუნქტით გვაქვს მონიჭებული“.

(Sic: რა საინტერესოა და რამდენს გვეუბნება ავტორზე, რომ ბაქრაძისეული კატეგორიულობის ფონზე, მის თხზულებათა VIII ტომში გამოქვეყნებულ „ქართული ლიტერატურის სასკოლო სახელმძღვანელოების პროექტში“ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ნუსხაში სწორედ „სათავეებთან“-აა შეტანილი!).

არანაკლები სიცხარით ეპაექრებოდა აკაკი ბაქრაძე თავის „ნარსულით ნინასნარმეტყველებაში“ (1984) საქართველოს ბელეტრიზებული (და, დიდად პოპულარული!) ისტორიული ნარკვევების – „უქარქაშო ხმლების“ (1976-1981) ავტორს – ლევან სანიკიძეს. ერთი ციტატა ამ პოლემიკურ ესსეში ჰენრი თომას ბოკლის „ინგლისის ცივილიზაციის ისტორიდან“ მკაფიოდ გამოხატავდა აკაკი ბაქრაძის, როგორც ისტორიკოსის „კრედოს“: „ჭეშმარიტების ნარმოსახვით დამახინჯების სხვადასხვა სახეობათა შორის არც ერთს არ ძალუს იმდენი ზიანის მოტანა, რამდენიც გარდასული დროისადმი გადაჭარბებულ პატივისცემას“.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ აკაკი ბაქრაძის უმთავრესი პრეტენზიები „უქარქაშო ხმლების“ ავტორისადმი არა ზეატაცებული თხრობაა, ან ცალკეული ისტორიული კოლიზიებისა და პერსონაჟების მიკერძოებული აღწერა, არამედ, საზოგადოდ, ისტორიის ზნეობრივი ასპექტის არგათვალისწინება: „...რა გვასწავლა ისტორიაშ უფრო მეტად – სულდიდობა თუ სულმოკლეობა, ვაჟკაცობა თუ სილაჩრე, გულწრფელობა თუ გაიძვერობა, უბრალოება თუ ცუდმედიდობა, სიმართლის სიყვარული თუ ტყუილის ტრფობა, შრომისმოყვარეობა თუ კვაჭური გაქნილობა...“ – ეს კითხვები თანამედროვე ქართველი კაცის ეთნოპორტრეტის ნარმოსახვისას, მკვლევარისათვის ასმაგად უფრო აქტუ-

ალურია, ვინემ ნებისმიერი კონკრეტული ისტორიული კოლიზია ან მისი პროტაგონისტები. დაბოლოს, აკაკი ბაქრაძე გვეკითხება: „რა არის საქართველოს ისტორიაში ის, რაც ეთიკურად გვამაღლებს და რა არის ის, რაც ეთიკურად გვამცირებს? ეს გასარკვევია, გულწრფელად და ხმამაღლაა სათქმელი. უამისოდ ისტორია ან კვეხნაა ან გლოვა“.

„წარსულით წინასწარმეტყველების“ ფინალში გაუღერებული ამ უმნიშვნელოვანესი კითხვის ადრესატი, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ლევან სანიკიძე არ გახლდათ, – მთელი ქართული საზოგადოება იყო. და, საერთოდაც, ეს თემატიკა უკვე გადასცდა საკუთრივ ისტორიის სფეროს. აკაკი ბაქრაძეს პროვიდენციალური ალლო კარნახობდა, რომ განგება დაუსჯელად არ ტოვებს მთვლემარე სულიერების კერებს და პასუხის არქონა უმთავრეს ზნეობრივ კითხვებზე მის თვისტომებს ძვირად დაუჯდებოდათ. ასეც მოხდა...

ამ კონტექსტში არ მინდა გამოგვრჩეს აკაკი ბაქრაძის სტატია – „რა არის თათქარიძეობა?“. ეს პამფლეტი 1974 წელს გამოქვეყნდა უურნალ „ცისკარში“ – თვითკონფიდენციალური ნაყორვანების ზეობისას, რაც ავტორისათვის, მისი დიდი წინაპრების მსგავსად, ეროვნული ენერგიის დაცხრომის უტყუარი მანიშნებელი იყო.

„რა არის თათქარიძეობა?“ – თხრობაა ადამიანთა ერთობაზე, რომელიც ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრობს თავისი დაკრინინებული მიზნებითა და მისწრაფებებით. თუ მედიცინაში არის ცნება „სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმებისა“, კულტურის ანთროპოლოგიაშიც შეხვდებით ეთნიკური ორგანიზმის ზნეობრივი არსებობისათვის ფატალურად საშიშ სიმპტომებს. ავტორი დაუზარებლად, საოპერაციოდ გამზადებულ ავადმყოფთან თავსმდგომი ქირურგის კატეგორიულობით ჩამოთვლის ქართული „ეროვნული ორგანიზმიდან“ ამოსაკვეთ რუდიმენტებს: „თვისება პირველი: სიზარმაცე, მეორე თვისება – თვითკონფიდენციალურად და კვეხნა. [ამას ემატება] ცრუაქტიურობა, მატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელობა და უნაყოფობა...“.

ყოველივე ამასთან მიმართებაში, ბუნებრივად ისმის ეს რიტორიკული კითხვაც: „[ასეთ] ატმოსფეროში რა უნდა აკეთოს ადამიანმა? ჭამოს. სხვა აღარაფერი დარჩენია მას“ რაღა თქმა უნდა, ასეა და გასაკვირი არაა, თუ აქ რაბლეს თვალობაქცი მამაოები გაგვახსენდება: „...რამეთუ უნდა ვუწყოდეთ, რომ ბერნი იმად კი არა ჭამენ, ვიცოცხლოთო, არამედ იმად ცოცხლობენ, ვჭამოთო...“

„გარდამავალი ეპოქის“ ერთი, ბევრისმთქმელი თანხვედრაც არ მინდა გამოგვრჩეს: „თათქარიძეობის“ ექო აკაკი ბაქრაძის პამფლეტის გამოქვეყნებიდან კარგა ხნის შემდეგაც გაისულერებს. 1990 წელს, დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიტინგებზე აბობოქრბული ქართველობის დანახვისას, მერაბ მამარდაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში „უცნაურად“ დამოძლვრავს თანამემამულეებს: „საჭიროა მთელი ნაციონალური ცხოვრება [...] ნარიმართოს ერთი მოვლენის კვლდაკვალ – ეს არის თავისუფალი შრომა. ეს იმასაც გულისხმობს, რომ უნდა ვისწავლოთ მუშაობა, შრომა მოდერნული, ანუ თანამედროვე მსოფლიოს დონეზე“ – ეს მომიტინგების ქართველების გასაგონად; და, იმავ ინტერვიუში, ახლა უკვე რუსების გასაგონად იტყვის: „....არის ერთი რამ, რაც რუსებმა უთუოდ უნდა ვაიგონ და თანაც შეგუანხ: ქართველებს სურთ დამოუკიდებლობა. ქართველს, როგორც ქართველს, შეუძლებელია, არ სურდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და თავისუფლება[...]. ეს არის ისტორიული ლტოლვა, რომელიც ძალზე შორიდან მოდის, რომელიც ძევს გენეტიკაში და შეუქცევადია“. ამ ფრაზის ენერგეტიკაში ექოდ მოისმის კატეგორიული თეზა მაქს ვებერის კლასიკური ნაშრომისა „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი ქვეყანა ვერ შედგება თავისუფალი შრომის კულტის გარეშე.

აკაკი ბაქრაძეს დავუბრუნდეთ. ქართული ხასიათის ნიშანდობლივ თვისებებზე დაკვირვებისას, იგი ხშირად მიმართავდა ლიტერატურულ ანალოგიებს: „მამელუკური

ცნობიერება“ (1996), „ტარიგი ღმრთისაი“ (1975), „ვასალური აზროვნება“ (1997) და ა.შ. მწერლობა, მას, საზოგადოდ, ქართული სოციოკულტურული ერთობისა და პიროვნული/ ეროვნული ლირსების შენარჩუნების ერთ-ერთ გარანტად მიაჩინდა. ამიტომაც, ხშირად შეახსენებდა მეითხველს ლიტერატურის განსაკუთრებული მისის შესახებ. ამ თვალსაზრისით, XX საუკუნის ქართველ მწერალთა შორის იგი პირველობას მიხეილ ჯავახიშვილს ანიჭებდა.

და მართლაც, თუ სიზანგისა და ნაყროვანების კლასიკურ ნიმუშს ქართველი მეითხველისათვის ლუარსაბ თათქარიძე წარმოადგენდა, მიხეილ ჯავახიშვილმა არანაკლებ ტიპიური, ორი „მატყუარის“ პორტრეტი გამოძერნა: პირველი – ტრისტერის ფოლკლორული არქეტიპის მოშველიებით – ცრუუაქტიური კვაჭი კვაჭანტირაძის („ქალაქელი აფერისტის“ ერთგვარი „შარმით“, რომელიც ხან თომას მანის ფელიქს კრულს გვაგონებს და ხან ილფისა და პეტროვის ოსტატ ბენდერს) და მეორე – ზნედაცემული სოფლელი მოქეიფე უქნარა „ოქროპირის“, მეტსახელად „დამპატიუესი“.

„გეშეფტმახერი“ კვაჭი (აკაკი ბაქრაძის ეპითეტია) იმით განსხვავდება თავისი რუს-ევროპიელი „კოლეგებისაგან“, რომ ამ ფსიქოტიპისათვის დამახასიათებელ ცინიზმს, აქ ეროვნული ნიჰილიზმიც ემატება. თავის კონცეპტუალურ ესსეში „ვასალური აზროვნება“ (1996), რის პირველ ნიმუშსაც ავტორი ლეონტი მროველთან ნახულობს, უკანასკნელს – კვაჭი კვაჭანტირაძის „ანდერძში“ ხედავს: „რას ჩააცივდით ერთ მტკაველ საქართველოს, ერთ მუჭა ხალხს!.. გადაპხედეთ დიდ რუსეთს, მსოფლიოს მეექვსედია, ორას მილიონამდე ხალხი ჰყავს! თუ შნო, უნარი და ხალისი გაქვთ, ფრთები გამალეთ და ამ ულეველ სივრცეში ინავარდეთ“. ღმერთო, რამდენმა ჩვენმა თანამემულემ აღასრულა ეს ანდერძი ისე, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ერთი სტრიქონიც კი არ წაუკითხავს...

ჩვენი მწერლობის დამსახურებად მიაჩინდა აკაკი ბაქრაძეს ისტორიული ძნელბედობით ქართულ ხასიათში ერთი

სპეციფიკური თვისების „გამომზეურება“, რომელსაც იგი „მამელუკური ცნობიერების“ ფენომენად მონათლავს. სახელდება, რაღა თქმა უნდა, კონდრატე თათარიშვილის („უიარალოს“) ყავლგაუსვლელი რომანით („მამელუკი“, 1912) იყო ინსპირირებული, მაგრამ საილუსტრაციოდ მოხმობილი კოლიზიები, ძირითადად, ისტორიული წყაროებიდანაა ამოკრეფილი.

„მამელუკური ცნობიერების“ განსჯისას, ავტორის ვერდიქტი მკაცრი და პირუთვნელია: „უცნაურია, თუ ქართული არისტოკრატია ტრადიციულად მეომრობით იკვეხნიდა და თავი მოსწონდა, თავად ჩვენი ხალხი სამხედრო სამსახურის დიდი მოყვარული, როგორც ჩანს, არასოდეს ყოფილა. უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდი – გუნება-განწყობილების მიხედვით ეპყრობოდა სამხედრო სამსახურს. თუ გუნება-განწყობილება ჰქონდა, იმებდდა და მერე როგორ – სანიმუშოდ. არ ჰქონდა და დაიხურავდა ქუდს თავზე, ბრძოლის ველს მიატოვებდა და შინ ნავიდოდა, ან საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად ან მოსალხენად. მაგრამ იგი ასე იქცეოდა მაშინ, როცა საკუთარ ქართულ არმიაში მსახურობდა. თუ უცხო ქვეყანაში მოღვაწეობდა, იგი ერთგულების, დისციპლინის, თავდადების ნიმუში იყო. ალბათ, იმიტომ ხდებოდა, რომ საქართველოს ქართველი არ უყურებდა (დღესაც არ უყურებს), როგორც სახელმწიფოს, რომელსაც თავისი მოზანი და მისია აქვს. ის საქართველოს ყოველთვის რომელიმე დიდი სახელმწიფოს ნაწილად თვლიდა.

....ემსახურო სხვას და ან არ იფიქრო ან ნაკლებად იფიქრო საკუთარ სამშობლოზე – გახლავთ სწორედ მამელუკური ცნობიერება“. – ასე ჩამოაყალიბებს აკაკი ბაქრაძე თავისი ესსეს მთავარ თეზას, რომელიც, დღევანდელი გადასახედიდან, ვგონებ, ერთგვარ კორექციას საჭიროებს.

ერთი შეხედვით, „მამელუკი“, როგორც კონცეპტუალური მეტაფორა, ზუსტადაა მიგნებული, თუმცა, მამელუკთა ისტორიის ღვანლმოსილი მკვლევარი გოჩა ჯაფარიძე ამტკიცებს, რომ მამელუკთან, როგორც რეალურ ისტორი-

ულ პერსონაჟთან, დღევანდელ ქართველობას ვერანაირი ზნეობრივი პრეტენზია ვერ ექნება: „მამლუქთა თემა ფრიად პოპულარულია საქართველოში, – წერს იგი, – მაგრამ ზოგჯერ მაინც კბილს გაჰკრავენ ხოლმე მათ ქართულ პოეზიასა („მაგრამ ნუ ჩავთვლით მათ ჩვენს თვისტომად, ვინც შეაგინა თვისი ბავშვობა, მამელუქობა ვინც თვით ინდომა და თვით არჩია ყიზილბაშობა“) და პუბლიცისტიკაში. იყო მცდელობა მამლუქიზმის და შინაური მამლუქობის ცნებების დამკვიდრებისა ათასი ჯურის კონფორტიერისა და ქვეყნის მოძულეთა მიმართ. მრავალი ცოდვა მიაწერეს დაუმსახურებლად – იმის მაგივრად, რომ პატიება გვეთხოვა საუკუნეთა მანძილზე საქართველოდან იძულებით გაყვანილი და უცხო მინაზე სამუდამოდ დარჩენილი ურიცხვი ქართველის სულთათვის“ (გოჩა ჯაფარიძე – „საქართველო და ეგვიპტის მამლუქები“, თბ., 2016).

„მამელუქობა ვინც თვით ინდომა“ – გრიგოლ აბაშიძის ლექსიდანაა. პოეტებს ემართებათ ხოლმე – ჯერ წერენ და მერე ფიქრობენ. აბა, მითხარით – ვინ ინდომებს შენი სოფლიდან გაგიტაცონ და მთელი დანარჩენი ცხოვრება უცხო ცის ქვეშ გაატარო?! გინდაც მარტყოფიდან იყო გატაცებული, გინდაც – ლამისყანიდან...

აკაკი ბაქრაძის მიერ მოხმობილი ისტორიულ-ლიტერატურული მაგალითებიდან „მამელუკური ცნობიერების“ მისეულ გაგებას კლასიკურად მიესადაგება პეტერბურგში, საიმპერატორო ამალაში („Конвой“) ჩარიცხული ქართველობა. აქ პუბლიცისტს ილიას სიტყვები ახსენდება: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?“ და დასძენს: „მკვლევარები ამბობენ, რომ ხელნაწერში „ოსმალეთის“ ნაცვლად „ჩრდილოეთსა“ ენერა, ხოლო ლექსს „იანიჩარის“ მაგიერ „კანვოიელი“ ერქვაო“. ნამდვილად ასე იყო (იხ. „იანიჩარის“ კომენტარები ილიას თხზულებათა ათ-ტომეულის | ტ-ში).

„მამელუკური ცნობიერების“ ცნების რელატიურობა მკაფიოდ იკვეთება „ლანდსკნეხტის“ მეომრულ კოდექსთან

შედარებისას: თომას კარლეილი თავის „საფრანგეთის რევოლუციაში“ ჰყვება შვეიცარიელ გვარდიელებზე, რომლებმაც 1793 წლის აგვისტოში, ტიუილრის სასახლის დაცვისას, მეფის ჯარისკაცთაგან განსხვავებით, არ შეატოვეს ლუდოვიკ XVI-ის სამეფო ოჯახი გააფთრებულ ბრძოს და თავი შეაკლეს პარიზში ამბოხებულთ. მეორე მხრივ, ცნობილია ისიც, რომ შეეძლოთ ბრძოლის ველი დაეტოვებინათ, თუკი დამქირავებელი გასამრჯელოს აღარ უხდიდა. ლანდსკნებტისათვის ომი – ესაა საქმიანი გარიგება/კონტრაქტი, რომელსაც იგი სოცოცხლის ფასადაც კი არ არღვევს (ამ თემის განშლას ისევ და ისევ მაქს ვებერის ზემოთ-დასახელებულ წიგნში იხილავთ). ამგვარ სიტუაციაში, „სამშობლო“, როგორც მოტივაცია, საერთოდ არ იგულისხმება. მიუხედავად ამისა, შვეიცარიაში ჩათვალეს, რომ თავდადებულმა გვარდიელებმა სწორედ სამშობლო ასახელეს და მათი დაღუპვიდან 30 წლის შემდეგ, ლიუცერნის წარმტაცი ტბის პირას კლდეში დიდებული სიმბოლური მე-მორიალი („მომაკვდავი ლომი“) გამოუკვეთეს.

აკაკი ბაქრაძე ქართულ ეროვნულ ღირებულებებზე ფიქრობდა და წერდა მაშინაც, როდესაც მისი კოლეგების უმეტესობას აფრთხობდა „ფეთქებადი თემა“ და მაშინაც, როდესაც „პატრიოტიზმი“ პროფესიად გადაიქცა, ხოლო „ეროვნული ღირებულებანი“ – პუბლიცისტიკის „საჯილ-დაო ქვად“. წარმოტინა ყველა, ვისაც კი არ ეზარებოდა...

დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ აკაკი ბაქრაძის თანამედროვე არცერთ პუბლიცისტს ასე ორგანულად არ გაუთავისებია ილიას „ბედნიერი ერის“ მამხილებელი პათოსი. მას ეყო ზნეობრივი სიმტკიცე და მოქალაქეობრივი გაბედულება (ძველბერძნულში ამ ცნების აღსანიშნავი ცალკე სიტყვაც კი ყოფილა – „Arete“, რომელის ქართულ შესატყვისად ბაჩანა ბრეგვაძეს „სიქველე“ მიაჩნდა), თვისტომთათვის პირუთვნელად ეთქვა ყოველივე ის, რასაც ფიქრობდა ჩვენს წარსულსა თუ აწინდელ მანკიერებებზე.

მისი ღრმა რწმენით, ქართველ კაცს ძალიან გაუჭირდება თავისი ღირსეული ადგილის დაკავება ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში, თუ სტუმართა ეთნოგრაფიულ აღტაცებათა და თვითტკბობის ეიფორიაში იგი თვალს აარიდებს „ბედნიერი ერის“ ულმობელ სარკეს.

აკაკი ბაქრაძის პუბლიცისტიკა, რაღა თქმა უნდა, ასახავს ავტორის ამბივალენტურ გრძნობათა ჭიდილსაც: დღენიადაგ, კატონის დაუინებით შეახსენებს იგი თვისტომთ ზნეობრივი კატასტროფის საფრთხეს; მაგრამ ზოგჯერ, სწორედ იმიტომ, რომ ეს თვისტომნი ოთარაანთ ქვრივის სიყვარულით უყვარს, „მკვახე შეძახილის“ ნაცვლად, მოუნდება მათ ის ღირსებანიც შეახსენოს, რაც ამდენ ძნელბედობაში შერჩათ და რამაც მათი მოუთვინიერებელი ბუნება ასაზროდოვა: „...საქართველოში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც სხვა ქვეყანაში (ყველაზე უფრო ცივილიზებულშიც კი) არ მომხდარა... როცა ჩვენ მივხვდებით, დავიჯერებთ, რომ ქართველიც ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანია, როგორც ყველა სხვა ქვეყნის შვილი, რომ ქართველისთვისაც არაფერი ადამიანური, არც კარგი და არც ავი, უცხო არ არის, მაშინ საქართველოში მომხდარ ყველა მოვლენას ფხიზელი გონებით, გამჭრიახი თვალით და გაგებით შევხვდებით. არც უსაფუძვლო სასონარკვეთილება დაგვეუფლება და არც უსაფუძვლო აღტაცებას მივეცემით. ...ჩვენ ლუარსაბ თათქარიძის გარდა, ამირანიც გვყავს, თეიმურაზ ხევისთავის გარდა – ავთანდილიც, კვაჭი კვაჭანტირაძისა და ყვარყვარე თუთაბერის გარდა – მინდიაც. ქართველის სულში ამ ორი საწყისის ბრძოლაა. ჩვენ დღემდე იმიტომ მოვედით და მომავალშიც იმიტომ ვიქნებით, რომ ამ ბრძოლაში ყოველთვის ამირანის, ავთანდილისა და მინდიას საწყისი იმარჯვებდა“.

აკაკი ბაქრაძემ ერთ-ერთი თავისი წერილი ასე დაამთავრა: „...ნაკლის დამალვა შეუძლებელია. მიჩქმალვით და ნაყრუებით ხარვეზი არ გასწორდება. არც ის უნდა და-

ვივიწყოთ, რომ რამდენიც უნდა ვმაღოთ, რამდენიც უნდა ვჩქმალოთ, ბოლოს მაინც მოვა პატარა, გაბედული ბიჭი და ხმამაღლა, დაუფარავად იტყვის – ხელმწიფე შიშველიაო“.

დღეს, აკაკი ბაქრაძის გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ, შეუძლებელია, არ გაიფიქროთ, როგორი მომხიბლავი უშუალობით გამოთქვა დიდმა პუბლიცისტმა თავისი „მოუთვინიერებელი“ ცხოვრების კრედოც და მიზანიც.

ყოჩაღ, ვანა-ვან!

( ჯანა ამირეჯიბი – „მე – ნამდვილი კოკოშა“ )

70-წლის წინანდელი ამბით უნდა დავიწყო, როცა კოკო-შას ხნისა ვიყავი, მაგრამ – მასზე უფრო დიდი ონავარი. ამისდა მიუხედავად, როცა ჩვენი (უკვე კარგა ხნის წინ გამქრალი) თბილისური ეზოს შემორჩენილი მეზობლები ქუჩაში მხვდებოდნენ, ყველანი, განურჩევლად ეროვნები-სა – ქართველი, სომეხი თუ ქურთი – ერთნაირად მიმეფე-რებოდნენ ხოლმე: „როგორა ხარ, ზაზა-ჯან?!“. იშვიათად რამე ისე მითბობდეს გულს, როგორც ეს ქართულ-სომხუ-რი „ჯან“ და, იმედია, ჯანა ამირეჯიბი ფამილარობაში არ ჩამითვლის ამ ლაკონიური გამოძახილის გრძნობამოძალე-ბულ სათაურს.

ამას ნინათ ოჯახის არქივში აღმოგაჩინე, რომ დაახლოებით 70 წლის წინ (უფრო ზუსტ თარიღს „სამხარაულის ექსპერტიზა“ თუ დაადგენს!) რუსთაველის 31-ის ეზოში ჩამიდენია რაღაც ისეთი დანაშაული, რაზედაც მშობლებს მყისვე ჩამოურთმევიათ „ოფიციალური“ ხელნერილი. ასლა აქ წარმოგიდგენთ:

სწორედ ეს ხელწერილი (რა დღეშიც ვიყავი, საცოდავი, ხელწერას ემჩნევა!) წავუკითხე დამსწრეთ ჯანა ამირე-ჯიბის წიგნის პრეზენტაციაზე (მაშინაც ივნისი იყო, მაგრამ – 2019 წლის), მწერალთა სახლში, და მაგრად იხალისეს კიდეც. მე კი, ამის გახსენებისას, სულ ერთი და იგივე კითხვა მღრღნის: ისეთი რა ჩავიდინე იმ ავადგასახსენებელ 24 ივნისის თერთმეტის ნახევარზე, რაც მერე არ ჩამიდენია, და არც ხელწერილი მოუთხოვია ვისმეს?! მშობლები ვერ გიპასუხებენ, მით უმეტეს, ბებია...

აი, ჯანასნაირი ბებია რომ მყოლოდა, ხომ მეცოდინებოდა პასუხი ამ კითხვაზეც და კიდევ უამრავ რამეზე, რასაც მეხსიერება უდარდელად ფანტავს, მაგრამ ჩაკვირვებული თვალი და ნიჭცხებული კალამი უსათუოდ აღნუსხავს.

აქვე ვიტყვი: „ნამდვილი კოკოშას“ ლირსებანი შორს სცდება ჯანა ამირეჯიბის „გულმოდგინე ბებიობას“ და „ნიჭიერ კალამს“, რადგან, ქართულ სინამდვილეში არავის (არც ბებიას, არც ფსიქოლოგს, არც პედაგოგს და არც მწერალს) არ მოსვლია აზრად, ხუთი წლის განმავლობაში, დღითიდღე, ჩაკვირდებოდა ბავშვში პიროვნების ჩამოყალიბებას და ამ ფასდაუდებელი დღიურისათვის ლალი, სევდა – თუ იუმორნარევი თხრობის ფორმა მიეცა. ამისათვის ბებიობა ნამდვილად არ კმარა, ფსიქოლოგადაც უნდა დაბადებულიყავი, პედაგოგადაც და მწერლადაც, და, რაც მთავარია – ჯანა ამირეჯიბი უნდა გრქმეოდა!

კოკოშას ბიოგრაფიის „აღნუსხული“ ხუთი წელი წიგნში დაკონკრეტებულია: 4-დან 9 წლამდე. საბავშვო ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, შვეიცარიელი პატრიარქის – უან პიაუეს კონცეფციის თანახმად, ამ ასაკობრივი პერიოდის ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა ე.წ. „ბავშვური ეგოცენტრიზმი“, ანუ ბავშვი კოგნიტიური განვითარების ამ სტადიაზე მიიჩნევს, რომ გარეშემონი ზუსტად ისევე უნდა აღიქვამდნენ სამყაროს, როგორც – თვითონ, და როდესაც საპირისპიროს აწყდება, იბნევა, ღელავს და აგრესიულობას იჩინს. გაგეცინებათ, მაგრამ ვერაფერი მსგავსი კოკოშას

ვერ შევამჩნიე, განსხვავებით იმ აურაცხელ უფროსთაგან, რომელნიც, გააფთრებულნი, ყელში სწვდებიან ხოლმე თავის ოპონენტებს...

ერთმა აზრმა გამიელვა და, ისე მგონია, ქ-ნი ჯანა არ მიწყენს, აქ თუ გავახმოვანებ: „კოკოშას ბიოგრაფისობა“ მთლად „უანგარო“ არ უნდა იყოს: ის, რასაც ვგულისხმობ, ერთი სიტყვით გამოითქმის – „ესკაპიზმი“ ანუ საკუთარ სამყაროში ჩაბრუნება, როგორც რეაქცია გარესამყაროს ზენოლაზე. „ნამდვილ კოკოშაში“ ორი სამყარო – ბებიისა და შვილიშვილის – ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს, და თუ გინდათ, შეიგრძნოთ ამგვარი „ერთარსობის“ ტკივილნარევი სიტკბო, ამ უჩვეულო წიგნიდან ერთ ნაწყვეტს მოვიხმობ. საბავშვო ბალში პირველად მიყვანილი შეშინებული ბავშვის უკან წამოყვანაა აღწერილი: „არასოდეს დამავიწყდება იმ ხელ-ფეხის სიმჭიდროვე და უმწეობის განცდა, რომელიც უმშობლოდ, უგულშემატკივროდ დარჩენილ პატარებს ტკივილითა და შიშით ავსებს და ბებიებს – გოლიათური ძალით.“

ცხოვრება ხომ ისეთი უცნაური რამაა, რომ „ტკივილსა და შიშს“ არავისთვის იშურებს, და რატომლაც გავიფიქრე, რომ, მიუხედავად ყოვლად სანიმუშო გარემოცვისა (ინტელიგენტურ ოჯახებსაც ხომა აქვთ თავიანთი „ჩუმი ხიბლი“!), ჯანა ამირეჯიბმა ჩაგმანული სულიერი ტკივილების მკურნალად, მისთვის ყველაზე მძიმედ გადასატანი ხუთი წლის შემწედ სწორედ კოკოშა აირჩია, და ასეთი რაკურსიდან თუ გადავხედავთ მთელ ამ ისტორიას, მაშინ ქ-ნი ჯანა ისევე უნდა უმადლოდეს კოკოშას, როგორც შვილიშვილი – ბებიამისს. შეიძლება, ვცდები...

ისიც შემიძლია ვთქვა, რომ „ოჯახური ფსიქოთერ-აპიის კურსი“ დღეგრძელი აღმოჩნდა: ჯერ ქ-ნი ჯანას „ფეისბუკ-დლიურმა“ განაგრძო, მერე კი, უკვე ტრიუმფალურად – წიგნმა. და აქ უდიდესი დამსახურებაა არაჩვეულებრივი თინა ჩხიკვიშვილისა, რომელიც ჩვენი მეგონების შვილია, ბავშვობიდან ვიცნობდით, „Солнышко“-ს

ვეძახდით, და აკი გამოანათა კიდეც... (ვისაც კი მისი ზუსტად მიგნებული, უთბილესი ილუსტრაციები უნახავს, სუბიექტურობას ნამდვილად ვერ დამნამებს!).

ფსიქოთერაპიის თაობაზე სერიოზულად ვამბობდი, არ ვხუმრობ. გნებავთ ის სულიერი კომფორტი უწოდეთ, როდესაც „ნამდვილ კოკოშასთან“ განმარტოებულთ, დროდადრო, ქართველი ტომ სოიერი თავისი ოინებით თქვენსავე ბავშვობაში გადაგანაცვლებთ. უცნაურად „მუშაობს“ ეს წიგნი – ბავშვებს ზრდის და დიდებს „აბავშვებს“.

ამ „ძალდაუტანებელ პედაგოგიკასთან“ დაკავშირებით, ორი შენიშვნა მაქვს, რომელიც არ ვახსენე წიგნის პრეზენტაციისას (არ იყო საამისო სიტუაცია). პირველი: ჩემი ნება რომ იყოს, წიგნიდან საერთოდ ამოვიღებდი „მაყვლის გამყიდველს“ (ჯანამ იცის, რატომაც); და მეორე, რამაც შემაშფოთა, კოკოშას საოცნებო სამონადირეო თოფია. ესაა ბავშვის (თან მონადირის შვილის!) ყველაზე სანატრელი საგანი, რაც აღინუსხა კიდეც ბებიამისის დღიურში. რა პრეტენზია უნდა გქონდეს აქ კაცს?! რომელ ბიჭს (შენი ჩათვლით) არ უოცნებია თოფზე?! ინერციით უნდა დამეწერა – „და ნადირობაზე“, მაგრამ შევყოვნდი: აქ გაიყო ჩემი და კოკოშას გზები! იარაღისადმი ინტერესი დღემდე შემრჩა, მაგრამ ცხოვრებაში ერთადერთი ნადირობა კოშმარივით მახსენდება.

მეზობელმა დამიყოლია და ზამთრის პირს მისი „მოსკვიჩით“ ჯავახეთისაკენ გავემგზავრეთ... თოვლით გადათეთრებული ზეგანი და ლურჯზე-ლურჯი საღამოს ტბა, აბსოლუტური სიცარიელე და სიჩუმე... ამ ღვთაებრივ სივრცეში ერთადერთი ცოცხალი არსება მიძუნძულებდა – მელა, და აქ მოთრეულმა ოთხმა ზრდასრულმა ქალაქელმა ოთხი თოფი დავახალეთ. ის გასისხლიანებული, ულამაზესი მელა „მოსკვიჩის“ საბარგულში ახლაც თვალწინ მიდგას, როგორც მარადიული საყვედური, და ამიტომაც ვერასოდეს გავიზიარებ ვერც კოკოშას „სამონადირეო ოცნებებს“ და ვერც – მამამისის „ჰობის“.

თბილისში დაგბრუნდები: იმ ჩვენს ძველ სახლსა და ეზოზე რომ გიყვებოდით, რუსთაველის 31 ნომერზე, იქ ახალი დროის შესატყვისი „Smart“-ია წამოჭიმული, ყველა შესატყვისი ატრიბუტით. იზიდავს კიდეც ახალგაზრდებს... ერთი-ორჯერ, ცნობისმოყვარეობის გამო, მეც შევედი, თუმცა „ტოპოსის მაგნეტიზმა“ არ გაჭრა – იმ აჟიტირებულ ატმოსფეროში შეუძლებელი იყო ჩემი ძველი ეზოსა და უზარმაზარი თუთის ხის წარმოსახვა...

ისევ და ისევ კოკოშას „გმირობებმა“ გამახსენა, როგორ ამომცქეროდა შიშისგან ენაჩავარდნილი დედაჩემი მეორე სართულის აივნიდან თუთის ხის კენწეროზე გასულს და როგორ მიწიოდა ქვევით, ეზოდან ჩემი ქურთი ძიძა: „ზაზა-ჯან, ჩამოდი, ა თო მამა უმრიო!“ (სულაც ამიტომ ხომ არ დამანერინეს ის ხელწერილი?!).

ასე იყო თუ ისე, ერთი წამით რომ შეიძლებოდეს დროის ბორბლის უკულმა დატრიალება, გეფიცებით, არას დაგიდევდით იმ ხელწერილს, ავძვრებოდი იმ თუთაზე და იქიდან გადმოვძახებდი „კოკოშას“ ავტორს: ყოჩაღ, ჯანა-ჯან! ბებიაც ასეთი უნდა და მწერალიც!



## ილუსტრაციები არარსებული რომანისათვის

ჩემს შთაბეჭდილებას რეზო მირიანაშვილის გრაფიკული ნამუშევრების გამოფენის ნახვის შემდეგ ასე ჩამოვაყალიბდი: „ქარვასლაში“ ჩვენ მიგვიწვიეს არა – ნახატების, არამედ რომანის პრეზენტაციაზე, ოღონდ ჯერ არდანერილი რომანისა, რომლის ილუსტრაციებიც წინასწარ შესრულდა და გამოიფინა. ერთადერთი, ვინც უწყის, რა კოლიზიებითაა ინსპირირებული ეს „გრაფიკული ნარატივი“, ავტორია, მაგრამ იგი არა თუ ტექსტს, ცალკეული სიუჟეტების/თავების სათაურებსაც კი არ იმეტებს ჩვენთვის – მხოლოდ ნომრავს მათ, რამე მინიშნება რომ არ წასცდეს (ონომასტიკის ხითათები ჩვენზე ნაკლებად არ იცის!). ახლა ხელოვნებათმცოდნებმა იტეხონ თავი: რატომ მიცურავს პირში ველოსიპედით ზვიგენი №88 ნამუშევრში, ხოლო №67 ოპუსში კი უველოსიპედოთაა?! ილუსტრაციების ავტორს ულვაშებში ეცინება, ვირტუალური რომანი კი მზადაა. ერთადერთი დამწერია საჭირო – ამ კრიპტოგრამების წამკითხველი და ინტერპეტატორი. სადმე ქართველი ბორხესი ხომ არ გეგულებათ, თან მაგარი ფსიქოანალიტიკოსიც რომ იყოს, უფრო იუნგის, ვიდრე ფროიდის ტიპისა?

ვისაც კი უნახავს, როგორ მუშაობდა პატივცემული პუანტილისტი, შთაბეჭდილება ექმნებოდა, რომ ეს სასხვათაშორისო გართობაა, ერთგვარი ავტო-ფსიქო-თერაპია. ვერ დაგიმაღავთ, რაღაც მომენტამდე მეც ზუსტად ასე აღვიქვამდი რეზოს „პუანტილისტურ ჰობის“: იყოს და ხატოს ამ თავისი წერტილებით! ვის რას უშავებს? აგერ,

ჩვენს თანამშრომლებსაც მოსწონთ და მიერული აქვთ კე-დლებზე ჭიკარტებით ლიტერატურის ინსტიტუტში...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც რეზომ დიდ საქა-ლალდები სათუთად ჩაწყობილი თავისი ნამუშევრები სახ-ლში ამოგვიტანა (ქსეროასლები, ცხადია), ეს მიმართება რადიკალურად შემეცვალა: ახლა უკვე სხვა თვალით ჩავც-ქეროდი თვითნასწავლი („თვითნაბადი“, – შემისწორა მისმა პროფესიონალმა კოლეგამ, ჩემმა ცოლმა) მხატვრის უზადო საშემსრულებლო ტექნიკის ნიმუშებს. ბანალურ, 30-თეთრი-ან პასტის კალამს/ყალამს რაღაც ისეთი ჯადოქრობა ჩაე-ტარებინა სუფთა ფურცელზე, რომ შედეგად ენის წვერზე ერთადერთი სიტყვა გიტრიალებდა: „როგორ ხატავს?!“ ამის შესწავლა შეუძლებელია – ზეგარდმო ნიჭია საჭირო... და იმ-ნამსვე – კიდევ უფრო უპასუხო კითხვა: „რას ხატავს?!“. აი, მაშინ კი გაიფიქრებ, რომ დიდ ვიზუალურ კულტურას ნაზ-იარები (ეს საგანგებოდაა ხაზგასმული საგამოფენო ბუკლე-ტის გაგა ლომიძისეულ წინათქმაში) ქართველი ინტელიგენ-ტის თავშესაქცევი რაღაც გაცილებით უფრო სერიოზულ ფენომენად იქცა.

აქ ქვეცნობიერად (თუ ცნობიერად – ახლა მიჭირს გახ-სენება) ერთმა ფაქტორმაც იმუშავა: ორიოდე წლის წინ გამოვიდა რეზოს ლექსების წიგნი, მისივე გრაფიკული ნამუშევრების თანხლებით (Sic: და არა ილუსტრაციების!) და ორი წინათქმით – შარლოტა კვანტალიანისა და ოლე-სია თავაძის. რადგან ერთ-ერთი ამ ავტორთაგან ჩემი ცო-ლი იყო, ცხადია, „საშინაო გარჩევებში“ რეზოს სახელსა და ნახელავს ხშირად ვუბრუნდებოდით. მის ინფერნალურ გრაფიკას ოლესია რაღაც დაგმანული ტრავმების დამთრ-გუნავ მანიფესტაციად აღიქვამდა. თუმცა, იმავდროუ-ლად, სრულიად ორიგინალურ და ძალზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ და ესთეტიკურ ფენომენად მიაჩნდა. ლე-ქსებისადმიც აშკარა სიმპათიით იყო განწყობილი (ჩემგან განსხვავებით!). მე კი, ხელოვნების ამ ორი ჟანრის შედარე-ბა-შეპირისპირებაში ერთი პარადოქსული კანონზომიერე-ბის კვალს მივაგენი (შერლოკ ჰოლმსი!).

ვიდრე ვიტყოდე, „რა კვალს“, მცირე განმარტება დამჭირდება: ჩემს უმცროს კოლეგებსა და მეგობრებში ერთი ადამიანი მეგულება, რომელიც სიტუაციისდა მიუხედავად, ყოველთვის იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს – პოეტი დათო ბარბაქაძე. ჰოდა, რაც უნდა გაგიკვირდეთ, როცა რეზო გამომეცხადა თავისი ბუკლეტით და გამოფენის გახსნაზე გამოსვლა მთხოვა, იმდენად ამბივალენტური იყო ჩემი მიმართებანი – ავტორისადმიც და ნამუშევრებისადმიც, რომ მტკიცედ გადავწყვიტე, იმ დათო ბარბაქაძედ გარდავსახულიყავი, რომელიც რეზო მირიანაშვილის აბსოლუტური ანტიპოდია – ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. ვგრძნობდი, რაღაც შარში გავეხვიე, მაგრამ რუბიკონი უკვე გადალახული მქონდა...

ახლა იმ „პარადოქსულ კანონზომიერებაზე“, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით: ლირიკა ხომ ერთგვარი აღსარებაა, ზოგჯერ – სულიერი ექსპიბიციონიზმიც. არც ერთი და არც მეორე არ ამჩნევია რეზოს ლექსებს. სხვა ყველაფერი ადგილზეა: რითმა და რიტმი, ფაქიზი სმენა, ფოლკლორული დეტალების ოსტატური კოლაჟი... მოკლედ, ყველაფერი ის, რასაც პოეტური მეტყველების კულტურა ჰქვია. მიუხედავად ამისა, ვერ გეტყვით, ამ წიგნის ჩაკვირვებულ მკითხველს ავტორის პიროვნებისადმი რაიმე განსკუთრებული ინტერესი აღეძრება-მეთქი.

როგორც ჩანს, რეზომ (ვგონებ, უფრო გაუცნობიერებლად, ვიდრე გამიზნულად) გადაწყვიტა, რომ ყველაფერი, რაც პოეზის ენაზე უნდა ეთქვა, გრაფიკისათვის გადაემისამართებინა; ბოლომდე გულახდილი ყოფილიყო და არა მარტო გარემოსა და გარეშეთა შეფასებისას – ინტროსპექციაშიც. გავიხსენოთ, როგორი სარკაზმი და თვითირონიაა მის ნამუშევრებში, რას ფიქრობს იგი თავის თავზე და თავის ქვეყანაზე, ჩვენზეც, ცხადია... აი, აქ კი, მენდეთ – თუკი ადამიანს სულიერი ცნობისწადილი ჯერ კიდევ შერჩენია, ნამდვილად არ მოასვენებს უინი, გაიგოს: ვინ არის, ბოლოს და ბოლოს, ეს რეზო მირიანაშვილი, რა გადახდა ასეთი თავს მასაც და მის ქვეყანასაც, რომ არ პატიობს, და ჯო-

ჯოხეთში გვამოგზაურებს?! რას გვიქადის და რითი შეუძლია დაგვაიმედოს?!

აქ არის ერთადერთი „ოღონდ“: იმ „ცნობისწადილიანმა მაზოხისტმა“ თავიდანვე უნდა გააცნობიეროს, რომ ახალი ენის შესწავლა მოუწევს – განდობილთა იერატიული ენის. იმასაც უნდა მიხვდეს, რომ საგამოფენო ბუკლეტის ქვესათაურიც კი – „პუანტილისტური გარემო“ – სატყუარაა, მხოლოდა ელემენტარულ საშემსრულებლო ტექნიკაზე მიმანიშნებელი (ეს – ყოველი შემთხვევისათვის – ვინმე რომ არ დააფრთხოს). ცხადია, უნდა ყოფილიყო „ენიგმატური გარემო“: ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ აქ წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი დაშიფრული გზავნილია, ჩვენივე ამოსახსნელი ენიგმა, რადგან ავტორი იმაზე მეტს, რასაც აქ ხედავთ, არაფერს გეტყვით, სათაურსაც კი! თუ შეუძლებთ მთელი ჩვენი სულიერი გამოცდილების ერთ „ნერტილზე“ მაქსიმალურ კონცენტრირებას (აკი „პუანტილისტთან“ გვაქვს საქმე!), ვგონებ, რომანს – არა, მაგრამ რაღაც გამჭოლ, მტკიცან რეფრენს ნამდვილად ამოვიკითხავთ: ესაა ანგარიშსწორება საკუთარ თავთან, გილიოტინასთან ტრაგიკული მიზანსცენით რომ მთავრდება. ეს ფინალური აქტი ბუკლეტის ბოლოში კი არაა გატანილი, შუაშია! მაგრამ ესეც ხომ „პატარა ეშმაკობაა“ ავტორისა, რომელსაც ასე დაუნდობლად განსჯის მისივე ვირტუალური „Alter ego“. ამ სპონტანურად დაწერილ „რომანში“ ყველაფერი თავდაყირაა და, არც კი ვიცი, რა უნდა დავარქვა ეგზომუცნაურ, მომნუსხავ და ბოლომდე ამოუხსნელ ჟანრს.

სწორედ ეს აბსოლუტურად ჰერმენევტიკული ატმოსფერო გვაჯადოებს რეზო მირიანაშვილის სამყაროში. აქ, ურიცხვ გამოცანას შორის, ჩვენ დიდხანს ვიბორიალებთ, როგორც ალისი ლუის კეროლის სარკისმილმეთში და, იმედი მაქვს, თუ გაგვიმართლებს, რაღაც არსობრივად ახალი, თუმცა ტრაგიკული სულიერი გამოცდილებით დავბრუნდებით უკან – ჯადოსნური სარკის/გამოფენის გამოღმამხარეს.

„....აი, შედეგი!“

(ნანა ცინცაძის სამყაროში)

პირველი მხატვარი, რომლის სახელოსნოშიც მშობლებმა მიმიყვანეს, მათი მეგობარი ქალი იყო. მახსოვს, რა მონუსხული ვათვალიერებდი მის სახელოსნოს და დღემდე ზეთის ფერების სუნი ყოველთვის ისევე მახსენებს ბავშვობას, როგორც მარსელ პრუსტის გმირს – თავისი საყვარელი ნამცხვრების – „მადლენკების“ არომატი... სწორედ ის ნარუშლელი შთაბეჭდილება გამახსენდა, როდესაც ამ რამდენიმე დღის წინ ნანა ცინცაძის სახელოსნოში აღმოვჩნდი.

არის რაღაც ძალზე სპეციფიკური მხატვარი ქალის ინტერიერში – ნამუშევრებით სავსე კარადის, კერამიკის, წიგნებისა და ალბომების, ბავშვების ნახატებისა და მშობლების ფოტოების, ძველი თბილისის იშვიათი პანორამისა და გაბზარული ვიოლინოების იმ ქაოსში, რომელშიც, თუ ჩაუკვირდებით, არტისტული საცხოვრისის განუმეორებელ ესთეტიკას იგრძნობთ.

ამ თემაზე ცალკე ესსეს დაწერა შეიძლება, მაგრამ ახლა მინდა, თვალი შევავლოთ იმ გრაფიკულ ფურცლებს, ხელოვნების იმ ნიმუშებს და იმ განუმეორებელ ატმოსფეროს, რომელიც ნანა ცინცაძის სახელოსნოში სუფევს. ამჟამად ეს სამფლობელოა მისი და გოგი წერეთლისა – ბევრი ჩვენგანისათვის ძვირფასი მხატვრის. თუმცა არის ერთი მიზეზი, რომლის გამოც, ნანა ცინცაძის ძველ, თბილისურ სახლში განსაკუთრებული კდემით შედიხართ – ამ სახლში მისი მშობლები, ხელოვნების ისტორიკოსები – ვახტანგ ცინცაძე

(რომელიც, ამასთანავე, არქიტექტორი და რესტავრატორიც იყო) და რუსუდან მეფისაშვილი ცხოვრობდნენ.

ამ ორმა გამორჩეულმა ქართველმა ინტელიგენტმა მთელი ცხოვრება ერთ მიზანს შეალია, და ეს მიზანი – ძველი ქართული არქიტექტურის შედევრების აღნუსხვა, შესწავლა და რესტავრაცია იყო; არსებულის გადარჩენა, ხოლო უცნობის აღმოჩენა. ან ისინი ვაღმოხდილნი განისვენებენ, ცინცაძეების სახლში კი დღესაც ტრიალებს მათი სული, ნიგნის თაროებზე გვერდიგვერდ დევს მათი ფოტოები, გამოკვლევები, გერმანიაში გამოცემული მათი ცნობილი მონოგრაფიები, მიძღვნილი ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიისადმი. ყოველივე ეს ორგანულად მეზობლობს მათი ქალიშვილის ხელთქმნილ სამყაროსთან – ისინი ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს... ამ „გენეტიკური ჰარმონიის“ შემხედვარეს, ნანას, უთუოდ, ერთხელ მაინც გაახსენდებოდა გალაკტიონის პათეტიკური შეძახილი: „აი, მიზეზი, გულო ჩემო, აი, მიზეზი!“

ზემოთ, ნანა ცინცაძის სახელოსნოზე თხრობისას, „გრაფიკულ ფურცლებს“ და „ხელოვნების ნიმუშებს“ მძიმე აცალკევებს. გამოვასწორებ ამ „შეცდომას“ და შევეცდები, ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ ის ემოციები, ფიქრები და ალუზიები, რომლებსაც ჩემი ასაკის ლიტერატორს აღუძრავს თვალმიდევნება ნანა ცინცაძის გრაფიკული ფურცლებისა, ოღონდ ახლა უკვე – როგორც ხელოვნების ნიმუშების.

მხატვრის საიუბილეო გამოფენისათვის (და, შესაბამისად, ალბომისათვის) გადარჩეული ნამუშევრები ბოლო 30 წლის განმავლობაშია შექმნილი (თუმცა მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ნახევარ საუკუნეს მოიცავს). ორი ფერწერული კომპოზიციის გარდა, აქ გრაფიკა ზეობს – ოფორტი, აკვარელი, შერეული ტექნიკა...

პალიტრა ხაზგასმით თავშეკავებულია და შემოდგომის ფერებისაკენ ილტვის. პირველ ყოვლისა, შავ-თეთრმა ნამუშევრებმა მიმიზიდა (ისევე, როგორც შავ-თეთრი ფო-

ტოები და ძველი ფილმები მიზიდავს ხოლმე). არ ეძებოთ აქ „იანისა“ და „ინის“ ესოდენ გავრცელებული და ადვილად ამოსაცნობი ანტითეზა. რაღაც სხვა გიზიდავთ, უფრო სილ-რმისეული და პიროვნული...

პოლ ვალერის მოვიშველიებ: „.... შავ-თეთრს – ნახატს, ლიტოგრაფიას, ოფორტს, (ოღონდ, არა – გრავიურას) – საგრძნობი საშემსრულებლო სიმსუბუქისა და ამ უანრის ნამუშევართა აგებისა და „მოპირკეთებისათვის“ დამახასიათებელი თავისუფლების გამო, გაცილებით მეტად, ვიდრე – ყოველნაირ ფერთა თამაშს, ძალუძს სახვით ხელოვნებაში შეიტანოს ერთგვარი „ლივლივი“ და ის ფორმები, რომლებშიც მინიშნება მეტია, ვინემ – სიმყარე“ („კოროს გარშემო“).

აქ, ვგონებ, ჩვენს მთავარ კითხვას მივადექით: რაზე უნდა მიგვინიშნოს ნანა ცინცაძის გრაფიკამ (არა მხოლოდ შავ-თეთრმა, ცხადია); რა განცდები, შთბეჭდილებანი, დრამები ასაზრდოებდა მის შემოქმედებას ამ სამი ათეული წლის განმავლობაში; რა ანუხებს ყველაზე უფრო?!

ამ ბოლო კითხვაზე პასუხი თავად ავტორმა გასცა: „ადამიანმა არ დაკარგოს თავისი სახე, მეტი არაფერი მინდა. ქვეყანა არ დაიკარგოს და პიროვნება არ დაიკარგოს. მე ვფიქრობ, შეიძლება ამ ინფორმაციულ საუკუნეში თავის გადარჩენა, თუმც მარწუხებს მაგრად კი გვიჭერენ“ (ნანა ცინცაძის საუბარი მწერალ მიხო მოსულიშვილთან. უურნ. „ცისკარი“, 2003 წ., 5-6).

ისე მგონია, ნანა ცინცაძის მთელი შემოქმედებითი გზა, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ სულიერი თვითგადარჩენის იმპულსმა წარმართა. ძალზე საინტერესო თვალმისადევნებელია სიმბოლური ნიშანსვეტები ამ გზაზე: ის ფრაგმენტები, შტრიხები, ჩანახატები, რომლებიც, თავიანთი ემოციური მუხტით, ჩანაწერებს უფრო ჰგვანან... მოკლედ, ყოველივე ის, რაც უკვე მხატვრისაგან დამოუკიდებლად ქმნის მის პორტრეტს, ან, გნებავთ, პიქტოგრაფიული ან-ბანით შესრულებულ ავტობიოგრაფიას.

განა პიქტოგრამა არ არის „აქლემი“ – შიგ ჩახატული გოგი წერეთლის პორტრეტით და იმდენი სემანტიკური დეტალით, რომ მათ გაშიფრას ცალკე გამოკვლევა დასჭირდება!?

აյ ჩვენ უკვე გრაფიკული ნიშნის მაგიურ ბუნებას მივადექით, და ამით თუ შეიძლება აიხსნას, რომ აქლემის ტუჩში ჩახატული თევზი იქამდე შეგაკრთობთ, ვიდრე მას დაინახავდეთ. ხოლო დანახვისას, გიზიდავთ და, ამოსაცნობად, რაღაც არქეტიკული რეფლექსით, გინდათ შეეხოთ, როგორც – უსინათლო ბრაილის ანბანს. და, თუ იცით, რატომ?!

ერთი ციტატა უნდა მოვიხმოთ „სიმბოლოთა ენციკლოპედიიდან“: „*კერ კიდევ პირველ ქრისტიანებთან, რომელიც მღვიმებსა და კატაკომბებში იმაღლებოდნენ, თევზი განდობილთა ნიშანი იყო – მონაცემე ჯვრისა. ამ სიმბოლიკას თავისი წინარე ისტორია აქვს: თევზი, როგორც დუმილის განსახიერება; აგრეთვე იმ მორწმუნის სიმბოლო, რომელიც „*ზეციურმა ბადემ“ ურწმუნოების მორევიდან სულიერი სინათლისაჲენ აიტაცა (*ლუკა, 5:10;* მათე, *3:47*); დაბოლოს, ბერძნული სახელწოდება თევზისა – “*Ichthus*”, აღიქმებოდა, როგორც აკრონიმი ბერძნულივე სიტყვებისა: “*Iesous Christos Theou Huios Soter*” – ანუ: „იესო ქრისტე ძე ღვთისა და მხსნელი“ (ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი – „სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია“, ტ. I).“**

განდობილნი მარტო პირველ ქრისტიანთა დროს როდი იყვნენ. ნანა ცინცაძეს ისინი დღესაც ეგულება და, დარწმუნებული ვარ, სწორედ ეს ასაზრდოებს მის ოპტიმიზმსა და იმედს „ამ ინფორმაციულ საუკუნეში თავის გადარჩენისა“. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ნანას ნამუშევრებს კონკრეტული ადრესატები ჰყავს – არცთუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ ერთგული; იმ „მესამე თვალის“ მქონენი, რომელიც ასე აუცილებელია, ჯეროვნად დაინახო და დააფასო მისი ნიჭი და თავმდაბლობა, მისი შინაგანი სერიოზულობა და პროფესიონალიზმი (ნუ დავივიწყებთ, რომ ნანა სერგო

ქობულაძისა და ლადო გრიგოლიას მოწაფე იყო); კულტურის ის უღრმესი პლასტი, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო და რომელიც ასე იგრძნობა მისი ნამუშევრების ისტორიულ, მითოლოგიურ თუ ლიტერატურულ ალუზიებში.

წარმომიდგენია, როგორი ინტერესითა და ცნობისწადილით შეხვდებიან ნანა ცინცაძის გულშემატკივარნი მის საიუბილეო გამოფენას და ალბომს, როგორი ჩაკვირვებით დაიწყებენ მისი ეზოთერიკული გზავნილების „გაშიფრას“. მოხარული ვიქნები, თუ აյ მოხმობილი ნიმუში ნანას კრიპტოგრამისა ხელს შეუწყობს მათ მომავალ ძიებებს. დარწმუნებული ვარ, პირველადმომჩენთა სიხარული არ დააკლდებათ.

დასასრულ, ამ ქაოსურ შთაბეჭდილებათა შეჯამებისას, თვალინ წარმომიდგა ნანა ცინცაძე „მოსავლის აღების უამს“ – მისი საიუბილეო გამოფენის გახსნაზე: ბედნიერიც და ცოტა შეცბუნებულიც მაყურებელთა ყურადღებით... ვინძლო, გასამხნევებლად ისევ და ისევ გალაკტიონი გაისენოს, ოლონდ შესატყვისი პერიფრაზით: „– აი, შედეგი, წლებო ჩემო, აი, შედეგი!“



## სონეტი, რომელს გვირჩვინი

(ვახუშტი კოტეტიშვილი – „სონეტები“)

თქვენ ხელთაა იშვიათი წიგნი, უკანასკნელი წიგნი ვახუშტი კოტეტიშვილისა, ვისაც ქართული აუდიტორის წინაშე წარდგენა არ ესაჭიროება. ამ წინათქმის სათაურმა უნებლიერ ვინმე რომ არ შეაცდინოს, აქვე დავძენ, რომ აქ შეკრებილი ლექსები პოეტიკაში კარგად ცნობილ „სონეტების გვირგვინად“ ვერ მოინათლება: აქ არც ოდენ 15 სონეტია და არც კიდევ სხვა, „სონეტების გვირგვინისათვის“ დაკანონებული ფორმალური ნიშნები.

და მაინც, ვახუშტი კოტეტიშვილის სიცოცხლის დასალიერს დაწერილ ამ 55 სონეტს ისევ და ისევ „გვირგვინად“ აღიქვამთ: ისეა გაცხადებული აქ „გვირგვინის“, როგორც სიმბოლოს, მთელი სპექტრი; ისე რკალავს და მართლაც აგვირგვინებს სონეტების ეს წიგნი მათი ავტორის ბიოგრაფიას; ისე ხატოვნად მოჩანს ეს გვირგვინი, როგორც მისი ზეობისა და აღიარების დასტური და, ვაი რომ, მასთან დამშვიდობებისაც. თავისი ორსახოვნებით, თავისი ყვავილოვნებითაც და თავისი ჭკნობითაც ამ „გვირგვინმა“, სონეტების ამ გამოსათხოვარმა რვეულმა, სიცოცხლის დასალიერს შექმნილმა ამ პოეტურმა დღიურმა იშვიათი სისათუთითა და გულახდილობით ასახა ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრების უკანასკნელი, ესვადენ დრამატული პერიოდი.

ამასთან ერთად, ამ პოეტურ ალსარებაში, ამ მონოლოგში უკანასკნებლად დასნეულებული, მაგრამ დაუთორგუნავი ადამიანისა, მკითხველი იგრძნობს საზოგადოდ მის კეთილშობილურ თვისებებს: ჭირთათმენის იმ უნარს, მშობლებმა

რაღაც გრძნეული წინათგრძნობით რომ გადასცეს, რათა მათ ვაჟიშვილს ღირსეულად გაევლო საპედისწერო ნიშნით აღბეჭდილი ცხოვრების გზა. მშობიარობას გადაყოლილი დედისა და „ჩეკას“ ჯურლმულებში გაუჩინარებული მამის გარეშე დარჩენილს, ჯერ თავისი კეთილი ანგელოზის – უფროსი დისათვის ხელჩაჭიდებულს უნდა ევლო, მერე კი უკვე თვითონ გამკლავებოდა ხიფათსა თუ განსაცდელს.

მკითხველი, რომელსაც ვახუშტი კოტეტიშვილის სონეტები პოეტის ცხოვრებისეული გზისაკენ მიბრუნებას მოანდომებს, რაღა თქმა უნდა, „მიაგნებს“ მის მართლაც არაჩვეულებრივ, წრფელ და ტკივილიან ავტობიოგრაფიულ წიგნს – „ჩემი წუთისოფელი“.

სონეტების ხელნაწერი კრებულის (რომელიც მე ხელთ მქონდა) თავდაპირველი ავტორისეული სათაური იყო – „ქართული სონეტები“. „სათაურების პოეტიკას“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ და ამიტომაც, ის, ადრინდელი სათაურიც ნიშანდობლივი მეჩვენა: ვახუშტი კლასიკურად განასახიერებდა ქართულ გენს, ქართულ ფენომენს თავისი ნიჭიერებით, ზეანეულობით, პათეტიკით; თუნდაც – თავისი მალემრწმენობითა და ილუზიებით, ზღვარს გადაცდენილი ემოციურობით. მოკლედ, თვისებათა იმ ერთობლიობით, რომლის გარეშეც ძნელი წარმოსადგენია, საზოგადოდ, პოეტი, მით უფრო – ქართველი პოეტი, მაგრამ რომელიც ესოდენ ფატალურად ხლართავს ხოლმე ადამიანის ბიოგრაფიას...

ახლა ქართულ სონეტებს მივუბრუნდეთ წინწკლების გარეშე: „...მოკლე მიმოხილვაც საკმარისია, რომ დავრწმუნდეთ, როგორი ყურადღებით ეკიდება ქართული პოეზია სონეტს, – წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი 1919 წელს, – ჩვენ, ქართველები, ელლინელების, რომაელების და ფრანგების მემკვიდრეები ვართ ფორმის სიყვარულში. ჩვენი ბუნება იმდენად მჭევრმეტყველია, რომ შეუძლებელია აქ ფორმის პრიმატის დაგმობა და უარყოფა. ქართველ პოეტებს სწამთ სონეტი, როგორც უნივერსალური ფორმა

შემოქმედებისა. სონეტი ამნაირად გაგებული უახლოვდება სიმბოლოს და მის მაგიკურობას ასრულებს“ („სონეტის პრობლემა“).

თითქმის ერთი საუკუნის წინ პათეტიკურად წარმო-თქმული ამ დაკვირვების დამადასტურებელ გამოძახილად ჩაგვესმის დღეს ვახუშტი კოტეტიშვილის სონეტები.

ბევრი წინაპირობა იყო საჭირო მათ შესაქმნელად: ზე-გარდმო მომადლებულ ნიჭიერ აღარ ვლაპარაკობ – ეს იგულისხმება ისევე, როგორც – ვახტანგ კოტეტიშვილის შვილობა. საჭირო იყო ის პოეტური (და ხაზს გავუსვამ – ვერსიფიკაციული) კულტურა, რომელიც წლობით ყალიბდება და რომელიც ასე გაამდიდრა ქართული ხალხური პოეზის ფანატიკურმა სიყვარულმა და წვდომამ.

ლიტერატურულ თაობებს, რომლებიც ვეღარ იხილავან „ვახუშტისეულ“ ფოლეკლორულ საღამოებს, განძად დარჩებათ მის მიერ შედგენილი კრებული – „ლექსის თქმა მწადის ერთისა“ – მთელი მისი შემოქმედებითი ცხოვრების თანმდევ ამოცანათა აღსრულების შედეგი: ქართულ ენაზე ამეტყველებული აღმოსავლური და ევროპული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები (კრებული „აღმოსავლურ–დასავლური დივანი), რომელსაც მალევე მიემატა რუსული პოეზიის შედევრების თარგმანთა ერთტომეული; დაბოლოს, „სონეტების“ უვერტიურად აღქმული, 2005 წელს გამოცემული ფაქიზი ლირიკული რვეული – „ქვიშის საათი“.

რამდენი წინაპირობა ჩამოვთვალეთ, მაგრამ „სონეტებში“ არის რაღაც, რაც, ვგონებ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ამ უღრმესი კულტურული პლასტის წარმოჩენა. ეს „რაღაც“, რომელიც თითქმის ყველა ფრაზის, ყველა სიმბოლოს, ყველა პოეტური შტრიხისა თუ მეტაფორის ელფერს განაპირობებს, „ზურგით ნაგრძნობი“, დამზაფრავი, მოახლოებული სიკვდილის შეგრძნებაა, ასე რომ აფაქიზებს უურთასმენასა და თვალთახედვას, ასე რომ ამძაფრებს ცხოვრების სიტყბოს შეგრძნებას და ასე ულმობლად რომ აცალკევებს ერთმანეთისაგან წარმავალსა და მარადიულს...

„ფიქრები ლეთეს ნაპირზე“ (თუ პირობითად ამ სათაურითაც გავაერთიანებდით აქ წარმოდგენილ სონეტებს) სხვა თვალით დაგვანახებს ვახუშტი კოტეტიშვილს. შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ თვითონ, ცხოვრების მიწურულს, ნათელზილვის ერთ წამს, თითქოს ხელახლა აღმოაჩინა თავისი თავიც და გარე სამყაროც. ამ სამყაროს ვახუშტი რაღაც იშვიათად დაწმენდილი, ბრძნული და მშვიდი მზერით გამოეთხოვა. არ იყო გასაკვირი, რომ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იგი მარადიულ, ჰამლეტურ კითხვას უბრუნდებოდა:

„ყოფნა-არყოფნა?!“ – აი, კითხვა შენი მორიგი,  
ჭაბუკო ჰამლეტ, მაგრამ არსი ყოფნა-არყოფნის  
ვინ განგიმარტოს?! დუმს გონება, ვით იორიკი,  
რომელსაც ამის საპასუხოდ უამი არ ჰყოფნის.  
(„ყოფნა-არყოფნის სონეტი“)

ვახუშტი კოტეტიშვილი შეეცადა, თავისი პასუხი გაეცა ამ მარადიული კითხვისათვის. გადავიკითხოთ „ყოფნა-არყოფნის სონეტს“ მალევე მიდევნებული „მადლის სონეტი“:

ცხოვრებისაგან დაქანცულსა და სასომიხდილს  
წამლეკავს ზოგჯერ შემზარავი ტალღა უცები,  
დავმწუხრდები და ნაადრევად მოვუხმობ სიკვდილს,  
შინაგანად კი კვლავ სიცოცხლეს ვებლაუჭები.

გმირი არ ვიყავ, არც მესიის მქონდა მისია,  
რომ უდრტვინველად ამეტანა ტანჯვა და ჯვარცმა.  
ცხოვრებამ ყველა განსაცდელი შემომისია,  
მაგრამ გავუძელ ამ ყველაფერს უბრალო კაცმა.

რა ძალა იყო, რამაც მომცა ამის შეძლება  
და შემომაჭდო ჯადოსნური ჯაჭვის ბეგთარი?!

როგორც ჩანს, ქვეყნად ჩემებრ ტანჯულს შვებად ეძლევა ღვთიური მადლის თუნდ წვეთ-წვეთი წმინდა ნექტარი.

და მივხვდი, რამაც უკუნეთში ამავსო ნათლით,  
ეს იყო თურმე პოეზიის ღვთიური მადლი.

ეს „დაქანცულობაცა და სასომიხდილობაც“ ისე იყო დაგმანული, რომ ვახუშტის მოსაკითხავად (უთუოდ – მისა-ფერებლადაც) მისული, აქეთ დაიმუხტებოდი მისი უშრეტი ენერგიით, და გაოგნებული უცქერდი, როგორ ახერხებს ეს, სასუნთქ აპარატს მიერთებული უკვე ხანდაზმული კაცი, ასეთი ჭაბუკური გზნებით იკითხოს ახალი ლექსები (მათ შორის, სწორედ ის სონეტები, ახლა რომ დავცქერით) და როგორ სხვაფერდება, თუ თქვენს საუბარს მისი რომელიმე ახალგაზრდა თაყვანისმცემელი ქალი შეესწრება; როგორ ანაზღაურებს ექსპრომტების, ფრთიანი ფრაზების, მოგონე-ბების ფონიერვერკი იმ ავტედით „უანგბადის უკმარისობას“....

მოსაგონარი ვახუშტი კოტეტიშვილს კი მართლაც ბევ-რი ჰქონდა: ცოტა მეგულება საქართველოში ადამიანი, რო-მელსაც ამდენი მეგობარი და ერთგული მკითხველი ჰყო-ლოდეს, რომელიც ასეთი სასურველი სტუმარი და თამადა ყოფილიყოს ნებისმიერ ქართულ ოჯახში და რომლის საქე-ბარ სიტყვას ამდენი, სხვათაგან შეუმჩნეველი ტალანტი გაემხნევებინოს.

ჩვენც, ვახუშტი კოტეტიშვილის მეგობრებსა თუ თანა-მედროვეთ, ბევრი დაგვრჩა მოსაგონარი – მისი განუმეო-რებელი იერი; მისი ხიბლი და სითბო; მისი ყველასათვის ნაცნობი, ჩახლეჩილი ხმა; მისი კაფიებითა და იუმორით გაჯერებული ფოლკლორული საღამოები; და არანაკლე-ბად (ან, ეგების, კიდევ უფრო) დასახსომებელი – მასთან განმარტოებით ყოფნისას განდობილი ლაპარაკი ჩვენთვის ყველაზე მტკივან და სათუთ თემებზე...

ისიც ცხადია, რომ მთელ ამ თავდაუზოგავ ცხოვრებას ნათელ სხივს ჰქონდა „პოეზიის ღვთიური მადლი“, რომელ-

## ზაზა აბზიანიძე

მაც ზეგარდმო საჩუქრის ადრესატს ერთ-ერთი საუკეთესო სონეტი შთააგონა, ხოლო ჩვენ, ვახუშტი კოტეტიშვილის პოეტური ანდერძის – „სონეტების“ – მკითხველებს კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა, როგორი მომაჯადოებელი და სრულყოფილია „პოეზიის ღვთიური მადლით“ განათებული ქართული სიტყვა.

## ფიქრები საპარალო საღარბაზოსთან

(იორმა რატიანი – „ქართული მწერლობა და მსოფლიო  
ლიტერატურული პროცესი“)

როდესაც შენი ქვეყანა ევროპის საპარალო სადარბა-  
ზოსაა მიჩერებული და „აღთქმული“ კარის გაღებას ელოდე-  
ბა, საქართველოს ევროპული ორიენტაციის დამადას-  
ტურებელი ყოველი გამოკვლევა თუ არტეფაქტი ათმაგ  
მნიშვნელობას იძენს.

დღევანდელ კონტექსტში ასეთი აქტუალობა შეიძინა  
იორმა რატიანის მონოგრაფიამ „ქართული მწერლობა და  
მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. აქვე უნდა აღვნიშ-  
ნო, რომ ჩვენ ხელთაა ძალზე აქტუალური, ოღონდ ნამდ-  
ვილად არაკონიუნქტურული წიგნი, რომლის ერთი მთავარი  
ღირსებაც ისაა, რომ მისი საკვლევი სივრცე არა პოლიტი-  
კური, არამედ ესთეტიკური, ეთიკური და ფილოსოფიური  
კოორდინატებით განისაზღვრება.

„პოლიტიკა“ აქ მხოლოდ კულტურული ორიენტაცი-  
ის ვექტორს გულისხმობს და მთელ გამოკვლევას გასდევს  
სიღრმისეული დაკვირვება ბინარულ ოპოზიციაზე ქართუ-  
ლი კულტურის აბსორბციისა და რეზისტენტულობის უნა-  
რებს შორის.

მონოგრაფიაში თავმოყრილი გამოკვლევებისა და ესსეე-  
ბის უმეტესობა გამოქვეყნებული იყო ჩვენს ბოლოდროინ-  
დელ სამეცნიერო და ლიტერატურულ ჟურნალებში. მაგრამ  
ერთმანეთის გვერდიგვერდ, ინტელექტუალური ნარატი-  
ვის სიუჟეტურ მთლიანობაში, მათ ახალი განზომილება და  
ხარისხი შეიძინეს.

ავტორისეული ყურადღება აქ კონცენტრირებულია „ქართულ ნაციონალურ ლიტერატურულ კანონზე“, რომელიც შეა საუკუნეებში „ქრისტიანობის პოლიტიკური და იდეოლოგიური მარკერებითაა მოტივირებული“, ხოლო „რომანტიზმის ეტაპზე... დასავლურ კონცეპტუალურ-ესთეტიკურ ველში ჩაბრუნებასა და ეროვნული თვითგამორკვევის ახალ საფეხურს აღნიშნავს...“.

„ქართული ლიტერატურული კანონის“ ევოლუციის თვალიდიდევნებისას ავტორი მუდმივ ფონად ნარმოსახავს მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს, „რომელთან თანხმობასა ან წინაღმდეგობშიც [ეს კანონი] ყალიბდება... ნაციონალური იდენტობის დაცვის აუცილებელი პირობით“.

ირმა რატიანი, როგორც წესი, არ კმაყოფილდება მხოლოდა აღნერილობითი ასპექტით, და გზადაგზა მკითხველს ლიტერატურის თეორეტიკოსის თვალით დანახული უანრობრივი ნოვაციებისა თუ სილრმისეული მეტამორფოზების (ძველი ქართული მწერლობით დაწყებული) „თანამონაწილედ“ ხდის. აქ იგი ეყრდნობა ისეთი ავტორიტეტის მეთოდოლოგიას, როგორიც თანამედროვე ნარატოლოგიის დამფუძნებელი, უერარ უენეტი გახლავთ (კერძოდ, უენეტის 1988 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „ნარატიული დისკურსის გადასინჯვა“ განვითარებულ თვალსაზრისს).

ვიდრე რომანტიზმის ეპოქაზე დაინყებდეს საუბარს, „ქართული მწერლობისა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესის“ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი მწერლობის მიერ საუკუნეთა განმავლობაში არჩეული გზა „ეს იყო გზა ევროპისაკენ, იმ ლიტერატურული და სააზროვნო მოდელისაკენ, რომელსაც დასაბამიდან ბუნებრივად ეკუთვნოდა არსობრივად ქრისტიანული ქართული მწერლობა“.

XIX საუკუნის „ქართული ლიტერატურული ისტორიის“ (რომელსაც მონოგრაფიის მესამე თავი ეთმობა) დომინანტა სათაურშივეა გამოტანილი: „ქართული რომანტიზმი და რეალიზმი. ბრძოლა ახალი ქართული იდენტობისათვის და მისი ფორმირება“. მონოგრაფიაში ცალკე ქვეთავი ეთმობა

რომანტიზმის ეპოქას, რომელშიც უკვე მკაფიოდ გამოიკვეთა ქართული კულტურის ევროპული ორიენტაცია („რომანტიზმის ხანა. ახალი იდენტობის სათავეებთან“).

„ეპოქა“, რაღა თქმა უნდა, ხმამაღალი განაცხადია... თუ ქართული რომანტიზმის შეფასებისას ჭეშმარიტი რეალისტები ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ, ევროპელ რომანტიკოსთაგან განსხვავებით, მათ ქართველ კოლეგებს არც უფიქრიათ, რომ ერთი რაიმე იდეით გაერთიანებულნი არიან ლიტერატურულ მიმდინარეობასა თუ სკოლაში. მათ არ ჰყოლიათ არც გზის გამკვალავი ფილოსოფოსები და არც მეგობარი ესესისტები. ეს არის რამდენიმე, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის „ლიტერატურული სიმარტოვე“ სამხედრო არისტოკრატიისა და „მოხელე ინტელიგენციის“ გარემოცვაში, რომელიც, გამობრძმედილი რუსული ადმინისტრაციის პირისპირ დარჩენილი, არშემდგარი ამბოხის შემდეგ (1832 წ.), სახიფათო სისწრაფით კარგავს ოდინდელ რეზისტრაციულ უნარს.

რაც მთავარია, ალექსანდრე ჭავჭავაძეც, გრიგოლ ორბელიანიც, ვახტანგ ორბელიანიც, ნიკოლოზ ბარათაშვილიც ამ სოციუმის ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ და მხოლოდ სიკვდილს შემდეგ მოინათლებიან „რომანტიკოსებად“. მაშინდა გამოიკვეთება მათი გამაერთიანებელი იდეებიც, მათი მემკვიდრეობის მნიშვნელობაც და მათი „ლიტერატურული სიმარტოვის“ ჭეშმარიტი დრამატიზმიც.

ამიტომაც, როდესაც ჩვენს თავს ვეკითხებით – მაინც როგორ ამოიზარდა რომანტიზმის ობოლი ნერგი იმდროინდელ მნირ ინტელექტუალურ ნიადაგზე, ისევ მაღარმე თუ დაგვეხმარება, რომელმაც დაღონებული დეგას შეჩივლებას – „იდეები მაქვს, მაგრამ არაფერი გამომდისო“ (დიდ მხატვარს, დროდადრო, პოეტური მუზაც ეძალებოდა), ასე უპასუხა: „ლექსები, ძვირფასო დეგა, იდეებისაგან არ იქმნება. მათ სიტყვები ქმნის“.

არ არის გასაკვირი, რომ ამ „სიტყვების ბიოგრაფიას“ ირმა რატიანი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მაგა-

ლითით წარმოგვიდგენს. ბარათაშვილი, რომლის რომან-ტიკოსობაც (მცირერიცხოვან კოლეგათაგან განსხვავებით) ყოველთვის ეჭვმიუტანელი იყო, მონოგრაფიის ავტორის თქმით: თავისი „მგრძნობიარე ინტელექტით“, მართლაც, თვალნათლივ „აფართოებს რომანტიზმის გეოგრაფიულ რუკას ქართული ნაციონალური მოდელის მიმართულებით“.

თხრობა „სიტყვების ბიოგრაფიაზე“ ბუნებრივად გარდაისახება თხრობად მწერალთა (ზოგჯერ – პერსონაჟთა) ბიოგრაფიებზე, და ირმა რატიანი (რომელიც ხმამაღლა არ ამბობს, მაგრამ ემოციურად გვმუხტავს რწმენით, რომ ქართული რომანტიზმი – ესაა ბარათაშვილი, რაშიც სავსებით ვეთანხმები), რაღა თქმა უნდა, შეგვახსენებს ბარათაშვილის საყვარელი ისტორიული და ლიტერატურული გმირის – სოლომონ ლიონიძის ერეკლე მეორისადმი მიმართულ სიტყვებს:

სახელმწიფოსა სჯულის ერთობა  
არარას არგებს, ოდეს თვისება  
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.  
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს  
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:  
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,  
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,  
რაც მოისურვოს ქართველობამა?

გამოკვლევის ავტორი მაქსიმალურ ემოციურ რეგისტრს აღნევს იმ პოეტზე საუბრისას, რომლის შემოქმედებაც „გამსჭვალულია რუსეთის იმპერიის მარნუხებში მოქცეული საქართველოს ბედ-ილბალზე ფიქრითა და დარდით, იმ სულიერ გაორებაზე ნუხილით, რომელშიც უხდებათ ცხოვრება მის თანამემამულებს!“

რაღა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ ახლა ერთ სენსიტიურ თემას მივადექით, რომელიც ციტირებულ პასაჟში ვერ გაიჭდერებდა სწორედ იმ თავდაპირველი „Forte“-ს გამო. საქმე ისაა, რომ თავიდანვე დასმულმა იგივეობის ნიშანმა „ბედი

ქართლისას“ ავტორსა და მის პათეტიკურ პერსონაჟს შორის უბრალოდ გამორიცხა რაიმე კითხვის ნიშანი და ინვექტივა. მაგრამ სოლომონ ლიონიძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი მარადიული თანამოაზრენი ნამდვილად არ არიან. ამის დასტურია ბარათაშვილისავე „საფლავი მეფის ირაკლისა“, თავისი ოპტიმისტური ფინალით („აჲა, აღსრულდა ხელმწიფური ან აზრი შენი / და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა ან შენი ძენი.“), რასაც საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა მერაბ ლალანიძემ („რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის „საფლავი მეფის ირაკლისა“ (კრებ. „ქართული რომანტიზმი – ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები“, თბ., 2012 წ.).

ორი ურთიერთგამომრიცხავი თეზა ბარათაშვილის პოეზიის ორ ნიმუშში მკაფიოდ გვაგრძნობინებს მის პიროვნულ და შემოქმედებით დრამას – მის გაორებას, მის უცნაურ ცხოვრებას სოციუმში, რომლის განუყოფელი ნაწილიც თვითონ არის და რომლის მსხვერპლადაც მიიჩნევს თავს...

მენტალურად, შესაძლოა, ბარათაშვილი ამ სოციუმის უფრო ორგანული ნაწილი ყოფილიყო, ვინემ, ვთქვათ, სოლომონ დოდაშვილი, მაგრამ პოეტურმა გენიამ (სოციალური ფსიქოლოგიის ავლით) ისეთი პასიონარული ქარიზმა შესძინა ბარათაშვილის იერს, რომ თაობათა მეხსიერებაში იგი, რაღა თქმა უნდა, აღიქმება მერნის თავდაუზოგავ მხედრად და არა – ერევლე მეორის საფლავთან თავდახრილ იმპერიის ლოიალურ ქვეშევრდომად...

აქვე ვიტყვი, რომ რომანტიზმისათვის ესოდენ დამახასიათებელი ეს პასიონარული მუხტი ბარათაშვილის არცერთ კოლეგას არ ახასიათებდა, და კიდევ ამიტომაც აღვიქვამთ მას ქართული რომანტიზმის ჭეშმარიტ სიმბოლოდ.

ამ თემას ევროპულ რომანტიზმთან მიმართებით შეეხო ბერტრან რასელი თავის კაპიტალურ „დასავლური ფილოსოფიის ისტორიაში“: „პროტესტის რომანტიკული ფორმა დიდად განსხვავდება რაციონალისტური ფორმისაგან, თუმცა, თავისი ფესვებით, ორივე ამოიზარდა საფრანგეთის

რევოლუციიდან და თავისი უშუალო ნინამორბედი ფილო-სოფოსებიდან. რომანტიკული ფორმა ბაირონთან ფილო-სოფიური სამოსით არ გვევლინება, მაგრამ შოპენპაუერი-სა და ნიცშეს სახით ის ფილოსოფიის ენაზე ამეტყველდა... პრაქტიკულ პოლიტიკაში ის მნიშვნელოვანია, როგორც ნა-ციონალიზმის მოკავშირე“.

ახლა მივუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო „ობიექტს“, როცა დეკორაციაც შეიცვალა და აქტორებიც და რომანტი-კული მსოფლებრძნების გამომხატველ კანტისეულ ტრია-დას – „ღმერთი, თავისუფლება და უკვდავება“ ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ შეენაცვლა.

ქართულ მნერლობაში რეალიზმის დამკვიდრებას, როგორც ორგანულ ნაწილს ევროპულ ლიტერატურა-ში მიმდინარე პროცესისა, ირმა რატიანი ზედმინევნითი ყურადღებით აკვირდება და ზუსტად მიგნებული მეთოდო-ლოგის (და ლიტერატურული ალლოსი, ცხადია) წყალო-ბით, ამჯერადაც ახერხებს, აიცდინოს საბჭოური დროიდან აპრობირებული ყველა კლიმე. ამიტომაც, მზამზარეული სურათის „რესტავრაციის“ ნაცვლად (რაც, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია), იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქარ-თული **რეალიზმის რეალისტურ** პანორამას (ეს სიტყვათ-თამაში ქვეთავის სათაურშია გატანილი) გამოკვეთილად სუბიექტური თვალსაწიერიდან გვთავაზობს. ასეთი ხედვა იმდენადვე საინტერესოა, რამდენადაც – სარისკო. ამისათ-ვის ავტორიც უნდა იყოს მზად და მკითხველიც. ამიტომაც მგონია, რომ კონცეპტუალური სიახლეებით სავსე წიგნი, რომლის არშიებზეც ძახილის ნიშნებს კითხვის ნიშნებიც არ ახლავს, გულგრილადაა წაკითხული.

„ლიბერალიზმის ეპოქისადმი“ მიძღვნილ არცერთ გა-მოკვლევაში (ამავე სახელწოდების კოლექტიური მონო-გრაფიის ჩათვლით, რომლის რედაქტორიც გახლავართ) არ შემხვედრია ასეთი კატეგორიული ფორმით ჩამოყალიბებუ-ლი თეზა: „ეროვნული თვითმყოფადობის იდეა არის ქარ-თული კრიტიკული რეალიზმის მთავარი იდეა, რომელიც

**მოიცავს და ფარავს მის გზაზე ამოსვეტილ მწვავე ხო-  
ციალ-პოლიტიკურ პრობლემებს“.**

ჩვენ წინაშეა კლასიკური ნიმუში იმისა, როგორ ცვლის  
საგანს ხედვის კუთხე: არც ქართულ კრიტიკულ რეალიზმს  
მიკუთვნებული ტექსტები შეცვლილა და არც რომელიმე  
ახალი ნაწარმოები აღმოგვიჩნია იმ პერიოდისა: „მგზავრის  
ნერილები“ კვლავ რჩება ილიას, პრაქტიკულად, ერთადერთ  
მხატვრულ ნაწარმოებად, რომელშიც ეროვნული თვითმყო-  
ფადობის იდეა არის წარმოჩნდნილი (მონოგრაფიის ავტორი  
ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პუბლიცისტიკა არ შედის მისი  
კვლევის სფეროში), ამას ერთვის აკაკისა და ვაჟას პატრი-  
ოტული ლირიკის ნიმუშები და ალექსანდრე ყაზბეგის პრო-  
ზა... ყველაფერი დანარჩენი, რაც კი დაწერილა იმდროინ-  
დელი ქართველი რეალისტების კალმით, მცირეოდენი  
გამონაკლისით, სოციალური თანასწორობის დამკვიდრე-  
ბის პათოსითაა ნაკარნახევი. ასე რომ, „ლიტერატურული  
სტატისტიკა“ ნამდვილად ვერ გაამყარებს მონოგრაფიის  
ავტორის ზემოთ მოყვანილ კატეგორიულ თეზას...

ემპირიული მასალა იგივე რჩება, მკვლევრები იცვლე-  
ბიან. და იცვლება მათი ხედვის კუთხე. ირმა რატიანმა მიზ-  
ნად დაისახა, თვალსაჩინოდ წარმოეჩინა ლიბერალიზმის  
ეპოქის მხატვრული მემკვიდრეობის „მცირედი“ ნაწილის  
უდიდესი ხვედრითი წონა იმდროინდელი ქართველი საზო-  
გადოების ეროვნული თვითშემეცნების ჩამოყალიბებაში.  
და წარმატებით მიაღწია დასახულ მიზანს.

ეს დისკურსი, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, მონოგრაფი-  
ის მთელ შემდგომ თხრობას გასდევს, ხოლო იქ, სადაც XX  
საუკუნის საბედისწერო მოვლენებზეა ლაპარაკი, ცხადია,  
დომინანტურ მნიშვნელობას იძენს („XX საუკუნის ქართუ-  
ლი მწერლობა: მსოფლიო ლიტერატურული პროცესის წი-  
ალში და მის მიღმა“).

„დემოკრატიული საქართველოს“ სამწლიანი არსებობი-  
სას „თვისუფლების უანგბადით“ განებივრებული (და თავ-  
ბრუდახვეული) ქართული მწერლობა 1921 წლის თებერვლის

ერთ საბედისწერო დღეს აღმოჩნდა სასტიკი ალტერნატივის წინაშე, რომელსაც მონოგრაფიის ავტორი ემოციური სიმძაფრით აღწერს: „დეგრადაცია განიცადა კულტურის მთლიანობის იდეამ: კულტურის დაქვემდებარება მასების გემოვნებისა და მოთხოვნილებებისადმი ზოგადკულტურული პროცესის დაკნინების მიზეზად იქცა – ნარმოიქმნა კულტურის ორი მოდელი: ერთი მხრივ – მასების გემოვნებასთან გათანაბრებული კულტურა, რომელმაც გადაირჩინა თავი, მაგრამ დაკარგა ლირსება და მასთან ერთად ლირებულება, მეორე მხრივ – ელიტური კულტურა, რომლმაც მაღალი „კულტურის“ კვარცხლბეჭებული დგომა ირჩია, თუმცადა საბოლოოდ ჩაიკეტა საკუთარ თავში და, როგორც ხალხისათვის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) უსარგებლო კულტურამ, ლრმად კრიზისულ ფაზაში შეაბიჯა“.

იქმნება სიტუაცია, რომელსაც ზუსტი ტერმინი მიუსადა-გა ასვალდ შპენგლერმა. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის დასაწყისის ეს საკულტო ფიგურა, დღევანდელი კულტუროლოგიური ავტორიტეტების „მჭიდში“ არ შედის, სწორედ მან გადმოიტანა გეოლოგების მიერ აღწერილი მოვლენა „ფსევდომორფოზა“ კულტურის სფეროში. ანუ: როგორ ხდება, ექსტრემალურ გარემოებათა გამო, კულტურულ სივრცეში გამოცარიელებული პლასტების შენაცვლება იმავე ფორმის, მაგრამ დიამეტრალურად განსხვავებული სტრუქტურის/კონცეპტების ტექსტით თუ არტეფაქტებით.

მაგალითისათვის აქ მახსენდება დემნა შენგელაიას მოთხოვობა „კაც“, რომლის სიუჟეტიც საკმაოდ ემსგავსება ეგნატე ნინოშვილის „ჩვენი დროის რაინდსა“ და მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს სიზნებს“, მაგრამ სწორედაც რომ ამ ნაწარმოებთა ანტითეზაზეა აგებული: ტარიელ მკლავაძის „ბოლშევიკური ასლი“ – კომისარი თაბაგარი (ტარიელ მკლავაძე/ჯაყო), თავისი განუყრელი მაუზერით, ავტორის აღტაცებას იმსახურებს, ხოლო ცოლწაგვრილი, უმნეო ან-

დრო რაშაძე მეტსახელს – „კაც“/„ბრინკა“, მაგრამ თანა-გრძნობის მისხალსაც კი არა...

აი, მეტყველი დასტური იმისა, რომ: „საბჭოთა ლიტერ-ტურულმა კანონმა ჩაანაცვლა უნივერსალური კანონი და ქართული ლიტერატურა დისტანცირდა საერთაშორისო ლიტერატურულ სივრცესთან“.

ამ „უნივერსალურ კანონში“ უმთავრესი ღირებულება ადამიანი იყო, და „სანავარდოს“ ავტორმა (რომელსაც ვერ მივაწერთ „პოლეტკულტელი“ მწერლის პრიმიტიულ აღტაცებას „მაუზერიანი ბოლშევიკით“), ცხადია, იცოდა, რომ ღალატობდა ქართული პროზის იმ ჰუმანისტურ იდეალს, რომლის სიმბოლურ ნიშანსვეტადაც XX საუკუნეში, 1903 წელს, გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მიხეილ ჯავახიშვილის „ჩანჩერას“ გამოქვეყნება იქცა...

როდესაც ირმა რატიანი აღნიშნავს, როგორ გამოვიდა ქართული მწერლობა „პოსტრევოლუციური შოკიდან“ და თანდათანობით როგორ გამოძებნა თვითრეალიზაციის გზები და საშუალებანი, ყველაზე ღირსეულ მაგალითად ამ ურთულეს (და დანაღმულ) გზაზე სწორედ მიხეილ ჯავახიშვილს სახავს. იმ ქართველ მწერალს, რომელიც, ავტორის თქმით: „დასახული ამოცანების მასშტაბურობითა და სიღრმით... თავისი თანამედროვე დასავლელი მოდერნისტი ავტორების ღირსეული თანამოაზრეა (ფრანც კაფკა, მიხეილ ბულგაკოვი, ვლადიმირ ნაბოკოვი და სხვ.)“.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას ავტორი თავისი მონოგრაფიის მეორე ნაწილშიც მიუბრუნდება („ინტერ-პრეტაციული ცდები“), სადაც ტიპოლოგიურ დომინანტას ანალიტიკური ენაცვლება და, ამასთანავე, უწყვეტ, ექსპრესიულ მონოლოგად აღიქმება. აქ ცალკე თავი ეძღვნება „ჯაყოს ხიზნებს“ („ტემპორალური აღტერნატივა მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „ჯაყოს ხიზნები“), რომელშიც, პრაქტიკულად, რომანის მთელი კონცეპტუალური ველია მიმოხილული.

ავტორის თვალსაზრისით: „სიკვდილისა და უკვდავების, დროისა და ზედროულობის პრობლემა „ჯაყოს ხიზნების“ ძირეული პრობლემაა“. მაქსიმალური განზოგადებით, უთუოდ ასეა – მიხეილ ჯავახიშვილის ნარატივში თვალსაჩინოდა ილუსტრირებული პინარული ოპოზიცია: თეომურაზი – ჯაყო.

აյ ავტორის მაძიებელ მზერას არაფერი გამორჩენია: არც თეომურაზ ხევისთავის მსგავსება აპასფერის მითოლოგიურ არქეტიპთან, არც თეომურაზისა და მისი „სარკისმიერი ლანდის“ ფენომენი, არც რომანის ესქატოლოგიური ფინალი, არც მრავლისმეტყველი ონომასტიკა: „ნაშინდარი, ნაფუზარი, ნახუცარი, ნაუფლარი, ნამოურავალი“. თვითონაც წაუმატებს: „ნაკაცარი, ნაბატონარი, ნამოღვაწარი, ნავექილარი“...

ჩემი ღრმა რწმენით, მიხეილ ჯავახიშვილი, პირველ ყოვლისა, სწორედ ონომასტიკის მსხვერპლია და „ჯაყოს ხიზნების“ გამოქვეყნება 1924 წელს ისეთივე „სუიციდალური აქტია“, როგორც პასტერნაკის შეფასებით – მანდელშტამის სატირა სტალინზე.

თუკი ჩვენ ვიცით, რა რისკს შეიცავს ჯივაშვილ/ჯუღაშვილის „ევფონიის“ დაწყვილება „ნაოსარობასთან“ (რამდენიმე წლის შემდეგ სტალინის ეთნიკური წარმომავლობის თემას ჩაეჭიდება მისი ყველაზე საძულველი პოლიტიკური ოპონენტი, ლევ ტროცკი), ცხადია, მიხეილ ჯავახიშვილმაც იცოდა. არა თუ რომანი არ დათმო, ამ ონომასტიკას და ეთნონიმსაც კი არ შეელია.

ბევრია ევროპულ ლიტერატურაში ისეთი მაგალითი, როდესაც მწერლურმა თავმოყვარეობამ სიცოცხლის ინსტინქტს აჯობა?! მაგრამ რომელიმე ევროპული უნივერსიტეტი თუ ვიცით, სადაც ეს ლიტერატურული და ზნეობრივი მაქსიმალიზმის ნიმუში და ეს ბიოგრაფია მანდელშტამის გვერდით მოიხსენიებოდეს?!

ირმა რატიანის მონოგრაფიის კითხვისას გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ავტორს აეტაცა ბორხესისეული

„ლიტერატურის უტოპიის“ იდეა, რომელიც ყველა არსებული ტექსტის გვერდიგვერდ თანაარსებობას, ურთიერთკავშირსა და ურიერთშელწევას გულისხმობს. რადგან მონოგრაფიის აგტორი, იმავდროულად, საკუთრივ, ანტიუტოპიის მკვლევარიც გახლავთ და ქართულ ლიტერატურას სრულიად ბუნებრივად აღიქვამს სწორედ ამ „მსოფლიო ბიბლიოთეკის“ ორგანულ ნაწილად, შეიძლება ითქვას, რომ „ბორჩესისეული უტოპიის“ განსახორციელებლად თავისი ახალი წიგნით მან კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა...

პოლიტიკოსების მოხიბვლა უფრო ადვილია, ვიდრე ინტელექტუალების, რომელთაც არ ინტერესებთ არც შენი გეოპოლიტიკური როლი, არც სატრანზიტო თუ ეკონომიკური რესურსები; არაფერი აინტერესებთ, გარდა შენი კულტურული პლასტის და მასზე დამკვიდრებული სულიერი პოტენციალისა. ამასთანავე, პოლიტიკოსებისა-გან განსხვავებით, ინტელექტუალს უფრო გამძაფრებული აქვს ეთიკური კრიტერიუმები და ის მეტ ყურადღებას აქცევს ეთნოფსიქოლოგიას. ამიტომაც, ევროპულ სივრცეში ჩვენს ინტეგრირებასთან დაკავშირებით, სწორედ ინტელექტუალს თუ ემახსოვრება მამარდაშვილის სახელი, მაგრამ ემახსოვრება ქართველების დახასიათებაც ჰერდერის „კაცობრიობის ისტორიაში“: „კიდევ უფრო შესაბრალისია (სომხეთთან შედარებით, ზ. ა.) ქრისტიანული საქართველოს ბედი. აქ არის ეკლესიები და მონასტრები, პატრიარქები, ეპისკოპოსები, ბერები; ქართველი ქალები ლამაზები არიან, კაცები – მამაცნი; და მაინც, მშობლები ჰყიდიან აქ თავიანთ შვილებს, ქმრები – ცოლებს, თავად-აზნაურნი – ყმებს, მორწმუნენი – მღვდელს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ სულით მხნე და გულით უნდო მოქურდო ხალხში“.

საგანგებოდ გავიხსენე აქ ეს მწარე სიტყვები, რომლებ-საც, რაღაც თავდაცვითი ინსტინქტის გამო, არ ვიხსენებთ ხოლმე. გავიხსენე, რადგან, ევროპულ ოჯახში გაშინაურების მსურველთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რა თქმულა ამ ევ-

როპაში ჩვენ შესახებ, თუნდაც ორი საუკუნის წინ: ამიტომაც მთარგმნელმა კდემამოსილად არ უნდა გამოტოვოს ქართველი მკითხველისათვის უსიამოვნო პასაჟები შარდენის „საქართველოში მოგზაურობის“ წიგნიდან (რომელიც, საფიქრებელია, მაგიდაზე ედო ჰერდერს), ხოლო ევროპული მასშტაბის ხელოვანთ, მწერლებს, მეცნიერებს, ინტელექტუალებს თავისივე სამშობლოში თავბედი არ უნდა აწყევლინო. მარტო მერაბ მამარდაშვილის მაგალითი რად ღირს...

ერთი მამარდაშვილი ვერ გადაწონის ევროპას მოდებული ქართული მაფიის ლეგიონს. ის მამარდაშვილი, რომლის გვარსაც, ქართველი „კოლეგების“ წყალობით, ვერ იხილავთ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ VI ტომში, 1983 წელს რომ დაისტამბა. იმ დროს, როცა მისი სახელი ევროპელ ინტელექტუალთათვის უკვე ცნობილი იყო.

როდესაც გასახსენებლად უსიამოვნო ისტორიულ ციტატას დღევანდელი უაზრობა ემატება, არაა გასაკვირი, ადამიანი დაეჭვდეს, როგორ შეძლებს ქართული კულტურა, მთელი ამ ნეგატიური პლასტის საპირნონედ იქცეს?! ერთადერთი პასუხი არსებობს: უნდა შეძლოს, რათა ევროპის „საპარადო“ სადარბაზოს ზღურბლს გადავაბიჯოთ, როგორც ლირსეულმა პარტიორმა და არა – როგორც დაბმარების მომლოდინე ღარიბმა ნათესავმა.

სწორედ ამიტომ ვისესხე ნიკოლოზ ნეკრასოვისგან ამ ესსეს სათაურიც.

P.S. 2018 წელს გერმანულმა გამომცემლობამ Peter Lang-მა გამოსცა ირმა რატიანის ამ მონოგრაფიის ინგლისური თარგმანი (“Georgian Literature and the Word Literary Process”).

## პოეზიად გარდასახული პროზა

(სალომე მაკარიძე – „ჩვენ“)

თუ ადამიანს ყურთასმენა გამახვილებული აქვს სა-  
თაურების პოეტიკაზე, სალომე მაკარიძის პირველი პო-  
ეტური კრებულის მრავლისმეტყველი სათაური – „ჩვენ“  
უკვე თავისით მიანიშნებს გარკვეულ ალუზიებზე. დანარ-  
ჩენს, შეძლებისდაგვარად, მე დავუმატებ...“

სიტყვას – „პოეტესა“ XX საუკუნის დასაწყისში სწო-  
რედ ასე, რუსული ორთოგრაფიით, წერდნენ და განსა-  
კუთრებული პათოსით წარმოთქვამდნენ. ერთი საუკუნის  
შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვაც შეიცვა-  
ლა და პოეტესებიც. იცვლებოდა თემები, განწყობილებე-  
ბი, ვერსიფიკაცია. თუმცა ერთი კონცეპტი უცვლელი იყო:  
პოეზია – ესაა ცხოვრებისეული პროზის ანტითეზა! ესაა  
საკრალური სივრცე და თუკი ვინმე (ან რამე) გადმოინაცვ-  
ლებდა აქ პროფანული სივრციდან, იმავ წამს იძნდა ამ  
საკრალურობის შარავანდედსა და პათოსს.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ერთმა ახალგაზრდა ქალმა  
სწორედ ამ ყოველდღიურ, ერთფეროვან გარემოს შეხედა  
მოსიყვარულე თვალით: მას მოუნდა, ძალიან სადად, ყო-  
ველგვარი „ლირიკული ზეატაცებისა“ და სენტიმენტალო-  
ბის გარეშე, გადაეტანა პოეზიის ენაზე ამ რუტინული ყო-  
ფის „მოკრძალებული ხიბლი“:

მიდის. მხრებჩამოშვებული,

ჩიტივით თხელი.

გახვეული ნაცრისფერ, მაქმანებიან შალში.

ღოღნაშოს მურაბით და ფართოპირიანიანი,

ყვავილებაინი ჩაის ჭიქით ხელში.

მიდის ბეჭნიერი და დარდიანი.

გრძელ ღამეებში ნაქარგი ფარდებით,

ნაკითხი წიგნებით, კოპლიანი კაბით.

ნუშისფერი, ათწლეულებივით გრძელი

და დაღალული თვალებით.

.....

აბა, რა სათაური უნდა დარქმეოდა ერთ რვეულად აკინ-  
ძულ ასეთ ჩანაწერებს?! რაღა თქმა უნდა – „ჩვენ“. და,  
რაღა თქმა უნდა, ჩვენ (წინწკლების გარეშე) ამ „ოჯახურ  
ალბომში“ პასტორალური ჩანახატების გვერდით ისეთ მი-  
ნაწერებსაც წავაწყდებით, რომლებიც მხოლოდ ცხოვრების  
ონტოლოგიური დრამატიზის განცდას მოაქვს და მთელი  
ამ პატარა კრებულის ტექსტს განსხვავებული რაკურსით  
დაგვანახებს:

ეს ცარიელი შიშველი სახლიც

და გავსებული სტუმრებით კალთა.

გაუსაძლისი სიძველე ახლის,

ხედვა მოსულთა და მიმავალთა.

როდესაც სალომე მაკარიძის ლექსების სიღრმისეულ  
შრეებსა და მიგნებებზე ვლაპარაკობთ, შეუძლებელია, მისი  
„პოეტური ნათლია“ ამირან სვიმონიშვილი არ გავიხსენოთ;  
განუმეორებელი პაკო, „რომლის უსაზღვრო სინათლის გა-  
რეშე ეს წიგნი არ იქნებოდა“ (როგორც ავტორისეულ მიძ-  
ღვნაში წერია) და რომლის პოეტური სამყაროს ყველაზე და-  
მახასიათებელი თავისებურება სწორედ ეს ონტოლოგიური  
მსოფლალქმა გახლდათ. არ გამკვირვებია, რომ სალომემ თა-  
ვის ერთ-ერთ ყველაზე სათუთ, ევქარისტიულ მეტაფორაზე  
აგებულ ლექსს „პაკო“ დაარქვა; გამაკვირვა აქ გაუდერებულ-  
მა ნიკო სამადაშვილისეულმა ინტონაციამ. სხვათა შორის,  
კიდევ ერთგან სასიამოვნოდ მენიშნა ეს ლანდი... ეს ისეა, ქუ-

ჩაში ვინმექს რომ მიამსგავსებ დიდი ხნის წინ გარდაცვლილ,  
შენთვის ძვირფას ადამიანს და წამით რაღაც ნოსტალგიური,  
ტკივილნარევი სითბოთი შეგეკუმშება გული...

ეს კიდევ ცალკე თემაა საფიქრებლად: როგორ შეახვე-  
დრა ერთმანეთს სალომებ ნიკო სამადაშვილი და პაკო; მი-  
ზანდასახულად მოხდა ეს, თუ სპონტანურად გამოუვიდა...

ამ მოკლე წინათქმაში მაგალითებს აღარ მოვიხმობ, მაგრამ თქმით კი ვიტყვი, რომ ის, რაც სალომე მაკარიძემ გაგვიზიარა უკვე – ჩვენ, ყველას, მკითხველებს – ესაა მისი თავისუფალი პოეტური თხრობა; ვერსიფიკაციული და მეტაფორული ხერხების არტისტული მონაცვლეობა; პოე-  
ტური „რეკვიზიტის“ უზადო შერჩევა და დაგმანული შინა-  
განი ექსპრესიის განდობილთათვის გამიზნულ კოდზე გა-  
დაყვანა...

ყოველივე ამას ერთად კი, მართლაც ძვირფას საჩუქარს  
დავარქმევდი.

P.S. 2016 წელს სალომე მაკარიძეს პოეტური კრებული-  
სათვის „ჩვენ“ მიენიჭა პრემია „საბა“ ნომინაციაში – „წლის  
საუკეთესო დებიუტი“.



## დაკარგული იღენტობის ძიებაში

(ზაზა ფირალიშვილი – „ქართული კალეიდოსკოპი“)

**კალეიდოსკოპი** – ჩვენი თაობის ბავშვობის განუყოფელი ატრიბუტი: ჭუჭრუტანა შენი სურვილისამებრ ცვალებად, ფერადოვან სამყაროში, განცვიფრებისა და აღტაცების წყარო... ვინ იფიქრებდა, რომ მრავალი წლის შემდეგ მეტაფორად გარდასახულ ამ უნყინარ სათამაშოს მწარედ დაფიქრებულნი გადავდებდით გვერდზე, რადგან მის ჯადოსნურ ნაჭვრეტში ამჯერად ჩვენივე ხელშეწყობით გამოძერნილი სინამდვილის გულსატკენი და შემაშფოთებელი სურათები დავინახეთ.

„**ქართული კალეიდოსკოპი**“ (მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად) – თავისი ისტორიულ-ლიტერატურული რეტროსპექტივით, თავისი ანალიტიკური წვდომებითა და ულმობელი დასკვნებით არა მხოლოდ ზაზა ფირალიშვილის, მთელი ბოლოძროინდელი ქართული ესსეისტიკის ერთი-ერთი ყველაზე სერიოზული ტექსტია, რომელსაც, ჩემი ნება რომ იყოს, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური ფაკულტეტების სტუდენტთათვის სავალდებულო საკითხავ წიგნთა ნუსხაში შევიტანდი.

**რა არ არის ამ წიგნში:** პათოსი – ზელირებული იდეებით, შესაბამისი რიტორიკით, კლიშებითა და „ისტორიული ფოტოშობით“; პოლიტიკა – ამ სიტყვის სემანტიკურ ველზე დახვავებული ნაგავსაყრელით; პოტენციური ოპონენტებისაკენ მიმართული აგრესია!

**რა არის:** მკითხველს წიგნის არქიტექტონიკაზე ზოგადი წარმოდგენა რომ შეექმნას, ალბათ, უმჯობესი იქნება,

აქ მისი სარჩევი მოვიხმო (მით უმეტეს, ჩემი მინაწერები გვერდიგვერდ გასდევს თითოეულ თავს): წინათქმა: XVI-XVIII საუკუნეები და ქართული სულიერების პედი; საბა და ქართული კოსმოსი; ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება; რამდენიმე ფრაგმენტი ვაჟას შესახებ; სიზმრად გამოლვიძება (ესეს ოთარ ჭილაძის შესახებ).

ამ წიგნის მთავარი ღირსებაა გაბედულება საყოველ-თაოდ აღიარებული ავტორიტეტების, ღირებულებებისა და შეფასებების საპირისპირო დასკვნებისა და შეფასებების გამოთქმისას. კიდევ ამიტომაც მინდა, ჩემი მარგინალიები ისტორიის, ლიტერატურის, კულტუროლოგიის, სოციო- და ეთნოფსიქოლოგიის გადაკვეთაზე შექმნილი ამ ესსეების არშიებზე ისეთივე მიუკერძოებელი და გულწრფელი იყოს, როგორიც თავად „ქართული კალეიდოსკოპია“.

**წინათქმა:** ხშირ შემთხვევაში წინათქმას მხოლოდ ფორ-მალური როლი ენიჭება – ვითარც წიგნის სტრუქტურის აუცილებელ ელემენტს. მაგრამ „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორი თავისი ძირითადი კონცეპტების ჩამონათვალს სწორედ წინათქმაში გაგვანდობს და გვეკითხება: „ჩვენ, როგორც ისტორიის სუბიექტებს, გვაქვს თუ არა ის, რასაც შეგვიძლია, დავეყრდნოთ? არსებობს თუ არა ის ღერძი, რომელიც გაამართლებდა უმძიმეს რამდენიმე საუკუნეს, ბოლშევიზმის ათწლეულებს, დამოუკიდებლობის ოცდახუთ წელს – ომებს, სამოქალაქო დაპირისპირებას, ტერიტორიების დაკარგვას, ხელისუფლებათა მონაცემებას რადიკალურ და ირაციონალურ განწყობილებათა ფონზე, ადამიანურ მსხვერპლს, მძიმე სოციალურ გარემოსა და მრავალი ადამიანის სულში გაბატონებულ უიმედობას“.

ამ მეტაფორულ „ღერძს“ სხვაგვარად „ნაციონალური იდენტობა“ ჰქვია და, არაა გასაკვირი, რომ საუკუნოვან გზაზე ეროვნული იდენტობის განლევისა თუ გამოცოცხლების ესოდენ ძნელად მოსახელთებელი ნიშნების თვალ-მიდევნება განაპირობებს ზაზა ფირალიშვილის წიგნის დისკურსსაც და წარსულთან თუ თანამედროვეებთან მისი

დიალოგის მთავარ თემასაც: „როგორც ჩანს, ჩვენ ჯერაც ვერ ვქმნით იმ ღირებულ ფორმებს, რომლებშიც ჩვენს თავს განვათავსებდით და ჩვენს სულიერებას ასპარეზს მივცემდით. ამგვარი საზოგადოებრივი შემოქმედების ადგილს ექსტრემისტული განწყობით თრობა იყავებს და ამიტომაც იქცა ირაციონალური და არსებული სინამდვილის რადიკალურ უარყოფაზე ან რადიკალურ მიღებაზე აგებული ისტორიულად უნაყოფო ვნებათაღელვა მიტინგისა საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლეს ფორმად... შემდეგ ვრწმუნდებით, თუ როგორი უსაზრისოა ამ ფორმებისათვის ბედის მინდობა და ახალი კოლექტიური ენთუზიაზმით აღვსილნი კვლავ აღვიძრებით. შესაბამისად, ვიღებთ იმას, რასაც ვიღებთ და ამ ნრებრუნვას დასრულება არ უწერია, სანამ ისტორიული („ისტერიული“ ხომ არ აჯობებდა?! – ზ.ა.) არტისტიზმის მთელ მანკიერებას არ გავიზიარებთ“.

რაღა თქმა უნდა, შემთხვევითი თანხვედრაა, მაგრამ სიმბოლურად მეჩვენა, რომ „ქართული კალეიდოსკოპის“ გამოცემას თანხვდა ერთი ამერიკელი უურნალისტისა და პოლიტოლოგის ახალი ნიგნის ქართული თარგმანის პრეზენტაცია: ეს უურნალისტი თომას გოლცი გახლავთ, რომელმაც (ბევრი სხვა თავისი კოლეგისაგან განსხვავებით) საქართველოში ყოფნისას (ჯერ კიდევ 1992 წლიდან – 2008 წლის ჩათვლით) როგორლაც გაითავისა ჩვენი პრობლემები და აქედან წასულს საქართველო თავისი ბიოგრაფიის „დახურულ ფურცლად“ არ ჩაუთვლია; ამისი დასტურია მისი 400-გვერდიანი ნიგნი „საქართველო – ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“. გოლცის დასკვნა ჩვენი ქვეყნის ბოლოდროინდელი დრამების თვალმიდევნებისას საკმაოდ წააგავს „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორის პროგნოზს: „რაც შეეხება თვით საქართველოს, რამდენადაც უნდა იყოს გეოგრაფიულად შევინროებული, ან თუნდაც რუკიდან ამოშტოლი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც უნინ ხდებოდა ხოლმე, ადგილმდებარეობის წყალობით, თავისი განუწყვეტელი

მშვიოთვარე ისტორიით, კვლავ განაგრძობს არსებობას, რადგან მისი საყვარელი, თუმცა ჯერ კიდევ მთვლემარე და კვლავაც პრობლემატური, პოეტური ხალხი თავისას გაიტანს და არასდროს შეწყვეტს არსებობას. თუმცა არც სისტელიან შურისძიებებს, ჭაჭით თრობასა და პოლიტიკურ ქაოსს შეწყვეტს იგი“ (თომას გოლცი, „საქართველო – ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“, თბ, 2014 წ.).

ის, რაც ვერ თქვა ქართველმა ესსეისტმა (და ფსიქოლოგიურად გასაგებიცაა – ვერც ამოთქვამდა! თუმცა მთელი მისი წიგნი ამ საშიშროების რეალობაზე მეტყველებს), პროფესიული ულმობლობით მკაფიოდ ჩამოაყალიბა ამერიკელმა ჟურნალისტმა: თუ ამ ქვეყანაში არ შეწყდება „სისხლიანი შურისძიებები, ჭაჭით თრობა და პოლიტიკური ქაოსი“, „საყვარელი და პოეტური“ ქართველი ხალხი მაინც იარსებებს, მაგრამ, არაა გამორიცხული, აღმოჩნდეს „რუკიდან ამოშლილი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როგორც უნინ ხდებოდა ხოლმე“.

ასე ექოსავით შეეხმიანა ოკეანის გაღმიდან ზაზა ფირალიშვილის „მკვახე შეძახილს“ თომას გოლცის ფხიზელი „პროტესტანტული ეთიკით“ ნაკარნახევი ალტერნატივა – ძალიან უსიამოვნო და შემაშფოთებელი, მაგრამ – ამდენადვე დროული, რადგან – „ვკარგავთ იმას, რასაც არ ვუფრთხილდებით!“

ეს სიტყვები ზაზა ფირალიშვილის შეეძლო, დევიზად წაეწერა თავის წიგნზე, რომლის პირველ, რეტროსპექტულ ნაწილს ახლა მივუბრუნდებით.

**XVI-XVIII საუკუნეები და ქართული სულიერების ბედი:** „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორის რწმენით, XVI-XVIII საუკუნეების სულისკვეთების სიღრმისეულ შეგრძნებას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ იმ დროს შობილი „მკვდარი მეტაფორები“ კისერზე შებმულ ქვასავით ამძიმებენ ჩვენს ეროვნულ სხეულს და ჩაძირავენ კიდეც, თუ „ერთ დღეს ერთეულებში გამუდავნებული ნება

არ აიძულებს, რომ ქიმერებად ქცეული ძველი სახეები თავიდან მოიშოროს და საკუთარი კულტურული და სულიერი პოტენციების გასამუღავნებლად ახალი ფორმებისა და სახეების ძიებას შეუდგეს“.

ზაზა ფირალიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი მოკლე კულტუროლოგიური რეტროსპექტივა ზემოხსენებული ეპოქისა სწორედ იმ „სულისკვეთების სიღრმისეულ შეგრძნებას“ ბადებს, რომელიც ასე ხშირად აკლია საგულდაგულოდ დაწერილ ვრცელ დისერტაციებსა და გამოკვლევებს.

„ქართული კალეიდოსკოპის“ ამ თავს ჩვენთვის საბედისნერო რამდენიმე ნიშანსვეტი გასდევს: 1453 წლის 29 მაისს სულთან მეჰმედ II-ის ჯარმა აიღო კონსტანტინოპოლი; 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა დაადასტურა ქვეყნის დაშლა; 1555 წელს დაიდო ამასიის ზავი, რომლის თანახმადაც, დასავლეთ საქართველო ოსმალეთს ეროვნობოდა ქართლ-კახეთი სამცხე-საათაბაგოსთან ერთად – ირანს; დაბოლოს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით დაიწყო „ისტორიული კაპიტულაცია“ (ავტორისავე თქმით), ანუ – უქმდება ბაგრატოვანთა ტახტი და საქართველო რუსეთის განაპირა გუბერნიად გადაიქცევა.

XVI საუკუნის ისტორიულ მოვლენათა შედეგად ცივილიზებული სამყაროს პერიფერიაზე აღმოჩენილ ქვეყანაში პარალიზებულია ეროვნული ენერგია და ისეთი განუკითხაობა და ზნეობრივი დაცემა (ზაზა ფირალიშვილის ტერმინოლოგიით – „რელატივიზმი“) ისადგურებს საერო თუ სასულიერო ფენაში, რომ ერის გენოფონდს განადგურება ემუქრება. ეს არცაა გასაკვირი იმ სიტუაციაში, სადაც ერი და ბერი ტყვეთა სყიდვითაა დაკავებული; ავტორის თქმით, „კოლექტიური სუიციდის“ პროცესია! (უფრო დაწვრილებით იხ.: მაკარი ანტიოქიელი. „ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1982 წ. – არაერთგზის ციტირებული „ქართულ კალეიდოსკოპში“).

როდესაც ვკითხულობთ, რომ „ქართული სულიერება მძიმე სენით აღმოჩნდა დაავადებული“, რომ ქვეყანაში არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ იდენტობათა კრიზისია, რამაც „ისტორიიდან განდევნილი ერი, არსებითად, გადაუჭრელი ამოცანების წინაშე დააყენა“, ვგრძნობთ, რომ ეს მწარე დიაგნოზი მხოლოდ მაკარი ანტიოქიელის ჩანაწერების შთაბეჭდილებით არაა ნაკარნახევი. აი, სად იგრძნობა ფილოსოფოსისა და კულტუროლოგის თვალი, რომელიც მენტალურ კრიზისს ხედავს იქ, სადაც ისტორიკოსი „ექსპლოატაციის მახინჯ ფორმაზე“ ლაპარაკობს. სამართლიანად საყვედურობდა თავის კოლეგებს პროფ. ილია ანთელავა: „ჩვენს ისტორიოგრაფიაში ტყვეთა სყიდვა ძირითადად დახასიათებულია, როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება, კლასობრივი ბრძოლის მახინჯი ფორმა“ (ილია ანთელავა, „ლევან დადიანი“, თბ., 1990 წ.).

**XVI-XVIII** საუკუნეების ეპოქა, ავტორის მტკიცებით, დაღმასვლის ხანაა, რომელიც, ახალი კულტურული პარადიგმების ნაცვლად, „ფსევდომორფოზებს“ (შპენგლერის ტერმინია) მიმართავს, რაც – „ეთნომითოლოგიური ნარმოდგენებით გაჯერებულ ნარატივში ეფემერული არსებობის ჩვევა და საკუთარი ბედის მარტირიოლოგიურ ნათელში ხედვაა...“.

ზაზა ფირალიშვილი წერს იმაზეც, რომ, რანამს ეგზისტენციალურ ჩიხში მოვექცევით, სწორედ იმ დროიდან მოგვდევს აწმყოს „ისტორიულ გაუგებრობად“ აღქმა, ხოლო „პირქუში სინამდვილის“ საპირზონედ – წარსულის აჩრდილების გამოხმობა და „პრეტერისტული უტოპიების“ ქადაგება. ვერც დავით გურამიშვილის, ვერც სულხან-საბას ტალანტმა და მცდელობამ ვერ შეცვალეს „ისტორიიდან განდევნილი ერის“ მსოფლმხედველობრივი სამყარო, ის ინტელექტუალური წყვდიადი **XVI-XVIII** საუკუნეების ეპოქისა, რომელსაც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, საბჭოური ოპტიმიზმის ინერციით, დღემდე „აღორძინების ხანად“ მოვიხსენიებთ.

**საბა და ქართული კოსმოსი:** „ქართული კალეიდოსკოპის“ დასაწყისშივე გაუღერდა ერთი ავტორისეული თეზა მეტაფორულ „ტრიადაზე“, რომელიც შემდგომშიც გასდევს მთელ ამ ნარატივს: ესაა „ქართული სულიერების „სამ ბოროტ მეტაფორად“ გარდასახული სამი ხასიათი – ლუარსაბი, ყვარყვარე და კვაჭი, რომელთა ჩამოყალიბებასაც ავტორი სწორედ საბას ეპოქას უკავშირებს, „რადგან სწორედ მაშინ გახდა დასაშვები და შესაძლებელი, რომ ადამიანებს ზნეობისა და გონების კანონების გარეშე ეარსებათ“. ამ დროიდან იწყებენ, ავტორის მტკიცებით, „... მოძრაობას ჩვენი კულტურის სხეულში „ფეხზე მოსიარულე მიცვალებულები“ – ლუარსაბი, როგორც ლაჩარი და აგრესიული უმეცრება, „ღვთის სიკვდილის“ ეპოქის პროდუქტი, რომელსაც აღარაფერი უშლის ხელს, რომ სრული მეტაფიზიკური კომპეტენცია იკისროს, თავი დემიურგოსად ნარმოიდგინოს და მთელი თავისი უგუნური, უგვანი ფანტაზიები რეალურ პროდუქტებად აქციოს; ბოლოს – კვაჭი, სრული და ყოვლისმომცველი ზნეობრივი რელატივიზმის ეს ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი განსახიერება“.

გაცილებით ნაკლებდამაჯერებელია ავტორი, როდესაც იგი აქვე ზემოხსენებულ ტრიადას მეოთხე მეტაფორულ ანტიგმირს მიუერთებს – სტალინს (მისივე განმარტებით: „იგულისხმება სტალინი არა როგორც რეალური პოლიტიკური აქტორი, არამედ ის ხატება, რომელიც ამ აქტორისაგან კოლექტიურმა საზოგადოებრივმა მუცლითმეზღაპრეობამ შექმნა“). მეც სწორედ ამ „ხატებაზე“ ვილაპარაკებ და იმ ნონსენსის შეგრძნებაზე, რომელიც „კვარტეტად“ გადაკეთებულმა „ტრიომ“ დატოვა: თუ ლიტერატურულ პარალელებზეა ლაპარაკი, მაშინ სტავროგინი მოვიხმოთ დოსტოევსკის „ეშმაკნიდან“ და არა – კვაჭი; დიახ, სტავროგინი, რადგან სტალინი, პირველ ყოვლისა, რუსეთის ისტორიის ანტიგმირია და მერედა – საქართველოსი. და თუ ლიტერატურული პარალელებიდან ისტორიულ ანალოგიებზე გადავალთ, ნამდვილად უფრო წააგავს ივანე მრისხანეს,

ვიდრე – კვაჭი/ყვარყვარეს რუსულ ანალოგს – რასპუტინს, რადგან იგი ტირანია (ყველა სათანადო მახასიათებლით) და არა – ყვარყვარეს მინამგვანი ძალაუფლის „გროტესკული კარიკატურა“ (როგორც აქაა ნათქვამი). რაც შეეხება მითს, რომელიც „კოლექტიურმა საზოგადოებრივმა მუცლითმეზღაპრეობამ შექმნა“: სტალინი ნაციონალური ნარატივის ნაწილად იქცა იმ დროს, როცა, ეფექტური საბჭოური პოლიტიკექნოლოგიების (და რეპრესიული აპარატის – „შიში შეიქმს სიყვარულსა“!) მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს მომშთობი რუსეთის არცერთი ლიდერი არ ეხატებოდა გულზე ქართველ კაცს. მაგრამ, რადგან საზოგადოებრივი ცნობიერება მითოლოგიური კლიშების ტყვეობაში იყო, მაშინათვე აიტაცა ეს ახალი მითი, და სტალინი ლამის ბაზალეთის ტბის ოქროს აკვნიდან სამშობლოს მხსნელი ჭაბუკის შარავანდედით წარმოდგა... აქ სრულიად სხვა მექანიზმი ამოქმედდა. შორეული ანალოგიაა, მაგრამ მაინც მახსენდება, როგორ იქცნენ ბონაპარტისტებად საფრანგეთის ბატონობით ტრადიციულად უკმაყოფილო კორსიკელი ნაციონალისტები ნაპოლეონის გაიმპერატორების შემდეგ... ეგებ ვცდები და აქ „საბჭოთა ბავშვობა“ მალაპარაკებს... თუ ასეა, მომიწევს გავიმეორო მერაბ მამარდაშვილის სიტყვები: „...ჩვენ ვართ არა მხოლოდ მსხვერპლი ძალადობისა, არამედ – მატარებელნიც. ჩვენ ჩვენშივე ვატარებთ ამ დაავადების ნარჩენებს“ (მერაბ მამარდაშვილი, „ცნობიერების ტოპოლოგია“, თბ., 2011 წ.).

როდესაც ზაზა ფირალიშვილი თავის მკითხველებს მიმართავს, რომ „ის ზნეობრივი და ინტლექტუალური კრიზისი, უფრო კი წყვდიადი, რომელიც საქართველოში XV საუკუნის შემდეგ გამეფდა, ხელახალ განცდას და გავებას საჭიროებს და არა იდეალისტი უამთაააღმნერლის პიეტეტსა და მითის მთხველობას...“ – ო, მას ინტელექტუალური დაღმასვლის ანტითეზად, პირველ ყოვლისა, სულხან-საბაორბელიანი ახსენდება.

„ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორი წერს იმ „ტი-ტანურ ამოცანაზე“, რომელიც საბამ იტვირთა, როდე-საც განიზრახა შთამომავლობისათვის „სიტყვის კონა“ და „სიბრძნე სიცრუისა“ დაეტოვებინა და როდესაც, უკვე სე-რიოზული რისკის ფასად (მისი ასაკისა და იმუამინდელი შინა- თუ გარე სიტუაციის გათვალისწინებით), ევროპა-ში გაემგზავრა; დაბოლოს, როდესაც, ევროპით იმედგა-ცრუებულმა, 1724 წელს, ვახტანგ მეექვსის დავალებით, ახლა უკვე რუსეთისაკენ აიღო გეზი, საიდანაც დაბრუნება უკვე აღარ ენერა.

„საბამ ცხოვრება და ძალისხმევა ორ მიზანს მიუძღვნა, – წერს ზაზა ფირალიშვილი, – ისტორიის სივრცეზე გაფანტუ-ლი ჩვენი სულიერების ფრაგმენტების შეკავშირებას და ჩვე-ნი სამყაროს ერთიან ქრისტიანულ კოსმოსში დაბრუნების იდეას. სხვაგვარად შეუძლებელი იყო ჩვენი „ისტორიაში დაბრუნება“... ისტორია, ამ დროს, თურმე რაღაც სხვის გა-მოთქმას ცდილობდა და განსხვავებული გზებით მიდიოდა თავისი მიზნებისაკენ. საბას ცხოვრება ამ აზრითაც არა-კონტექსტუალურია, თუმცა კი – მით უფრო გმირული და მნიშვნელოვანი, რადგანაც მისი ყაიდის მოღვაწეები, საბო-ლოოდ, სწორედ არაკონტექსტუალურობით ჰპოვებენ თავი-ანთ ღირსებასა და ღირებულებას და უფალიც მათი მეშვეო-ბით ჩვენთვის იდუმალ სათქმელს გამოთქვამს!..“.

**ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება:** „ქარ-თული კალეიდოსკოპის“ სულხან-საბასადმი მიძღვნილ თავ-ში ავტორი წერდა, რომ დაკარგული იდენტობის ძიებაში იმდროინდელი ქართველი საზოგადოება თავს ისტორიის ნაშთად უფრო აღიქვამს, ვიდრე – სუბიექტად, და მიმარ-თავს სუფრას, „რაც შემდგომ საუკუნეებში ისტორიიდან და რეალობიდან გაქცევის უნივერსალურ ქართულ საშუალე-ბად იქცა“ (უფრო დაწვრილებით ამ თემაზე იხ. სტატიების კრებული – „ქართული სუფრა და სამოქალაქო საზოგადოე-ბა“, თბ., 2000 წ.). არაა გასაკვირი, რომ ზნეობრივი რეაქცია „რეალობიდან გაქცეულ“, თვითირონიის უნარს მოკლებულ,

„მუმიფიცირებულ“ საზოგადოებაზე კვლავ ძირითად დისკურსად აღიქმება, როდესაც მკვლევრის მზერა „ბედნიერი ერის“ ავტორზე გადაინაცვლებს: „დღეს შეიძლება, გაგვიჭირდეს იმის გააზრებაც, რომ პირველმა მან გაძედა ხმამაღლა განეცხადებინა ჩვენს თანაარსებობაში არსებული ფუნდამენტური მანკის შესახებ, რომლისთვისაც ვერა და ვერ მიგვეგნო, თუნდაც იმ მიზეზით, რომ არც კი ვეძებდით და რომელიც სულიერებას სასაფლაოდ აქცევდა (და ზედმეტად ხშირად დღესაც აქცევს) ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას და, ამასთანავე, მანვე გვაუწყა იმ პირველადი ხმიანების შესახებ, მნიშვნელობას რომ გვანიჭებს და ჩვენს თანაყოფნას ქართულ თანაყოფნად აფორმებს“.

ზაზა ფირალიშვილი ილიას დროინდელი ქართველი საზოგადოების უნუგეშო სურათის სილრმეში ჩაწვდომას ცდილობს: „შესაძლოა, ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით შეცდომას ვუშვებდე, – წერს იგი, – მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორედ 1832 წელი ახდენს სიმბოლიზებას იმ მომენტისა, როდესაც ჩვენი ისტორიული იდენტობა ხელიდან გაგვისხლტა“. ვიდრე ამ ტირადის ავტორს შევეკამათებოდე, მოდი, გადავიკითხოთ გიორგი გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულება“-ში თავმოყრილი დაკითხვის ოქმები, ვნახავთ, როგორ დაასმენს საგამოძიებო კომისიასთან ალექსანდრე ჭავჭავაძეს მისივე სიმამრი, ან გავიხსენოთ ახლა უკვე „ლიტერატურული კოლაბორაციონიზმის“ პირველი ნიმუში: კრწანისის ბრძოლის მონაწილის, შემდგომ კი – რუსეთის არმიის გენერლის გიორგი იესეს ძე ერისთავის (1760-1863) „მამულის გამოხსნისათვის“ შეთქმულთა დასაკრინებლად დაწერილი ლექსი – „დოდაევს, გვარით სისხლამდვრეულს, უგვარკუდოსა...“. ეგებ კამათიც აღარ მოგვინდეს... საყოველთაოდ ცნობილია, როგორი კვალი დატოვა ქართულ ლიტერატურაში სწორედ ამ ისტორიულ მონაკვეთში წარმოშობილმა რომანტიზმმა, მაგრამ XIX საუკუნის 30-იანი წლების „პოლიტიკური რომანტიზმი“ (კიტა აბაშიძის ტერმინია) აბსოლუტური კრახით დამთავრ-

და, რომლის სუსხსაც კიდევ დიდხანს ჰყავდა მონუსხული „ისტორიიდან განდევნილი ქვეყანა“.

ქართულ ლიტერატურულ მეტყველებაში გამჟღავნებული ეს „მონუსხულობის სინდრომი“ კარგად შენიშნა ზაზა ფირალიშვილმა, და კალამი არ დაუზოგავს ამ ბოსხისმაგვარი გროტესკული პანორამის შესაქმნელად. თავისი წიგნის ერთ-ერთ ყველაზე ექსპრესიულ პასაუში იგი წერს, რომ ეს „მონუსხულობის სინდრომი“ ანუ „არსებობის ნების ტოტალური დეფიციტი“ „პირველ რიგში, ჩანდა იმ ფსევდო-არქაულ მეტყველებაში, რომლითაც გაჟღენილი იყო ქართული ლიტერატურა და ინტელექტუალური სალონები. ამ მეტყველების ყალბ პათეტიკას და ფსევდოეპიკურობას კვდომა უნდა დაეფარა, მაგრამ, სინამდვილეში, მასვე ადასტურებდა. ყველაზე ნათლად, ალბათ, სწორედ ამ ენაში, ამ უცნაურ, უსიცოცხლო, ყოფიერებასთან შეხვედრის სიხარულს მოკლებულ პომპეზურ მეტყველებაში ჩანდა იდენტობადაკარგული ხალხის ტრაგედია“.

ისტორიის რეალური განცდა უკარნახებს „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორს, აღიაროს, რომ „ილიასა და მის გარემოცვას კვდომის ინერცია არ შეუჩერებიათ, ეს შეუძლებელიც იყო. მათ სააშკარაოზე გამოიტანეს იგი და მისი საპირონე სიძძიმის ცენტრი შექმნეს. სწორედ ამით დაედო სათავე ჩვენს დაბრუნებას ისტორიაში“ (მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ დაინტერესებულ მკითხველს ამ დებულების ფუნდამენტური დასტური შეუძლია იხილოს შოთა რუსთაველის ინსტიტუტის მიერ 2015 წელს ჩვენი რედაქტორობით გამოცემულ მონოგრაფიაში „ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“).

ჩაკვირვებით თუ ნავიკითხვათ ზაზა ფირალიშვილის ტექსტს, ვიგრძნობთ, როგორი ფაქტი ლიტერატურული ყურთასმენა ქმნის მისი ნარატივის ემოციურ კონტრაპუნქტს, როგორ დროულად ცვლის იგი რეგისტრს, როგორ მიმართავს სულის მოსათქმელ პაუზას და როგორი დამუხტული გვასმენინებს ფინალურ „ფორტეს“: „...ილიას მთა-

ვარი დანატოვარი – მართლად და პატიოსნად აზროვნების უნარი – კვლავ ჩვენს უპირველეს ქრისტიანულ მოვალეობად და ხსნად რჩება“.

**რამდენიმე ფრაგმენტი ვაჟას შესახებ:** ვაჟა-ფშაველა-სადმი მიძღვნილი „ფრაგმენტები“ ფრიად ორიგინალურად იწყება – 1882 წელს თბილისში და შემდგომ – ქუთაისში მიხაი ზიჩის მიერ დადგმული „ცოცხალი სურათების“ აღნერით. გაუგებარია, რა არ მოეწონა ამ ზაზა ფირალიშვილს რუსთაველის პერსონაჟების თეატრალიზებულ გაცოცხლებაში?! ორივე ქალაქი გახალისდა; ისედაც ცნობილი ლამაზმანები და ულვაშებდაწკეპილი არისტოკრატები საყოველთაოდ ცნობილნი გახდნენ; კიდევ რამდენს – მიზეზი მიეცა, რუსთაველის პოემა გადაეკითხა... ამას კი არა და არ მოსწონს! და, აი, რას წერს: „ცოცხალი სურათების ეს-თეტიკა იქცა ძალზე ზუსტ გამოხატულებად ისტორიაში ლირსეული დაბრუნების იმ სუროვატული სტრატეგიისა, დღემდე რომ არის ჩვენი ატმოსფერო გაუდენთილი. ამ ფენომენში თავს ბევრი რამ იყრიდა: ისტორიიდან განდევნის გამო ასხლეულების განმავლობაში განცდილი სასონარკვეთაც, პრეტერისტული ზმანებებიც, პათეტიკური რომანტიკაც და გაქცევაც იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელსაც „აქ და ახლა“ აკისრებს პიროვნებას და საზოგადოებას. ...პეტერბურგში მაღე მიხვდნენ, რომ ყოველივე ეს იოლად შეიძლებოდა, ქცეულიყო, პოლიტიკური თვალსაზრისით, უწყინარ გართობად. ...ყალბი მარგალიტებით გამართული ასეთი ნაციონალისტური თამაშობანა არათუ არ ემუქრებოდა იმპერიის ინტერესებს, პირიქით, შეიძლებოდა, მომსახურებოდა კიდეც და დროდადრო გაღვიძებული ეროვნული ენერგიის ფუჭად დახარჯვის საუკეთესო საშუალებად ქცეულიყო: ყალბი მიზნებისაკენ პათეტიკური ენთუზიაზმით სვლად, სურვილად, რომ ჩვენი თავი ჩვენივე ნებით გვექცია გახევებულ სამუზეუმო ექსპონატებად. ასეთი საზოგადოება კი, უმაღ, რეალურ ისტორიულ ინტერესებს დათმობდა, ვიდრე თავის პათეტიკურ განწყობებს“.

როგორი ჩაკირკიტება იციან ამ ფილოსოფოსებმა?! არადა, რა სწორნი არიან!

„ცოცხალი სურათების“ პარადიგმას „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორი უპირისპირებს ვაჟა-ფშაველასა და ნიკო ფიროსმანის სამყაროს, რადგან, მისი რწმენით, ამ-დაგვარი „ცოცხალი სურათები“ სინამდვილეში კვდომას განასახიერებდა იმ კულტურისა, რომელსაც ცხოველმყოფლობა, „ვიტალური ძალა და არსებობის ნება“ ჯერ – ვაჟა-ფშაველამ, შემდგომ კი, ნიკო ფიროსმანმა შესძინეს: „ვაჟამ მოიტანა სწორედ ის, – ნერს ზაზა ფირალიშვილი, – რაც ასე აკლდა ჩვენს სულიერ გარემოს: ყოფიერებასთან კავშირი და დაურკებელი ვიტალური ძალმოსილებით გაუდენთილი ნება იმისა, რომ ჩვენი სულიერება ღვთის პირველადი სიტყვის ამსახველი იყოს. რაც მთავარია, მას მოაქვს ნება იმისაც, რომ დანგრეულიყო სულის გახევებული ფორმები, ხოლო კულტურის შემქმნელი მეტაფორები კვლავ თავისი პირვანდელი ძალით ინვევდნენ რეზონანსს“.

ავტორისეული ინტენცია წამიერად მიგვახედებს გრიგოლ რობაქიძისაკენ, რომელიც წერდა, რომ ვაჟა, „მკვდრეთით აღმდგარი ძე მითოლოგიური წარსულისა ...მწყემსური ყოფისაგან დიდად შორს არ წასულა; მაგრამ მისთვის, განმჭვრეტი მწყემსისათვის, ჩუმ და იდუმალ ღამეში გადახსნილია ვარსკვლავთა ზეცა, და იგიც, სამყაროს საერთო ძღვანელების უამს, გარდასახავს ცის ამ საიდუმლოს თავისი ლერწმის სალამურის მომხიბლავ ხმებად“ (გრიგოლ რობაქიძე – „ვაჟა-ფშაველა“). და კიდევ ერთი ფრაზა რობაქიძისა: „მთავარი მოტივი ფიროსმანისა არის ქართული „მიწა“. მე არ შემიძლია, მეორე სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ეგრძნოს ამ მიწის „დედობა“, დღეობა, ღრეობა!..“ („ნიკო ფიროსმანი“).

რა სწორი იყო მიგელ დე უნამუნო, როდესაც თავისი „ინტრაისტორიის“ ძირითადი კონცეპტის თანახმად, ამათუ იმ ეთნოსის „აკადემიურ“ ისტორიაზე უფრო მრავლის-მეტყველ ფენომენად მის სულიერ წიაღში დაბადებული

მითების, პოეზიისა თუ არტეფაქტების ერთობლიობას მიიჩნევდა...

**სიზმრად გამოღვიძება (ესსე ოთარ ჭილაძის შესახებ):** „ქართული კალეიდოსკოპი“ ჩვენს ისტორიულ-კულტურულობიურ გალერეაში ერთობ იშვიათ გამონაკლისს ეკუთვნის და ეს გამორჩეული თვისება განსაკუთრებით იგრძნობა წიგნის ბოლო თავში. აქ ესსეისტური ნარატივი, ერთი შეხედვით, არ სცილდება ოთარ ჭილაძის „გოდორის“ სიუჟეტს, მაგრამ სინამდვილეში არა მხოლოდ კომპოზიციურად, აზრობრივადაც ამთლიანებს და ასრულებს ქართული ისტორიის სამსაუკუნოვანი მონაკვეთის ავტორისეულ რეტროსპექტივას, სწორედაც რომ – ონტოლოგიური გადმოსახედიდან. მთელი ეს ფინალური თავი ერთი მეტაფორის – „სიზმრად გამოღვიძების“ განშლაა. დაკარგული იდენტობის ძიებამ ავტორი სწორედ ამ მეტაფორასთან მიიყვანა, და ათქმევინა: „ამ რამდენიმე ხნის წინ მივაგენი, რომ ოთარ ჭილაძეს ერთ-ერთ ინტერვიუში 80-იანი წლების ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებით, სულ ორი-ოდე ფრაზით, სიზმარში გამოღვიძება უხსენებია. არადა, უკვე დაწერილი მქონდა, რომ მისი პერსონაჟები სიზმარში გამოღვიძებულებს მავონებენ... ჩემთვის ეს აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი მეტაფორა იმ მდგომარეობის აღსანერად, რომელშიც გასული საუკუნის ბოლოდან ვიმყოფებით. ...ის, რაც გაღვიძება და ისტორიაში დაბრუნება გვევონა, სინამდვილეში გაღვიძების დასიზმრება ყოფილა.“

რაღაც მეტაფიზიკური ტკივილით წერს ზაზა ფირალი-შვილი იმ „თავქარიან აღტკინებაზე“, რომელმაც იმპერიის კედლებში პირველი ბზარის დანახვისთანავე აიტაცა ქართველი საზოგადოების აქტიური ნაწილი; იმ გამოუყენებელ შანსებზე, რომელიც, მანვე, შემდგომ უკვე დიდ პოლიტიკურ თამაშში ჩართულმა, ეგზალტირებულ მიტინგებს ანაცვალა, და იმ დანაკარგზე, რომლებითაც შეაბიჯა XXI საუკუნეში („ჩიხიდან გამოსავალი ერთგვარ კოლექტიურ

სუიციდში აღმოაჩინეს და უცნაური ენთუზიაზმით მოგვინოდებდნენ “მისკენ”).

მაგრამ, საბედნიეროდ, „ჩიხიდან გამოსავალი“ „ქართული კალეიდოსკოპის“ ავტორისათვის მაინც არსებობს და ეს – „სულის უკიდურესი სიფხიზლეა“. ის სიფხიზლე, რომელმაც ოთარ ჭილაძის „გოდორი“ უკვე XXI საუკუნეში ერთ გამორჩეულ ზნეობრივ გზამკვლევად მოუვლინა მენტალურ ჩიხში აღმოჩენილი საზოგადოების „დიდ თუ პატარა მამხილებლებს“.

არაა ძნელი შესამჩნევი, რომ „ქართული კალეიდოსკოპის“ ფინალური უღერადობა – ნაკლებ დრამატული და, ასე თუ ისე, დამაიმედებელიც, „გოდორის“ თემებზე რეფლექსიამ განაპირობა. რაღა თქმა უნდა, უპირველესად, ოთარ ჭილაძეს გულისხმობს ზაზა ფირალიშვილი, როდესაც წერს „განსაკუთრებული ძალის ადამიანებზე“, რომლებიც ფხიზლად „გვდარაჯობენ, რათა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ ილუზიებში ჩაძირული სულიერება ჩიხში საბოლოოდ არ ჩარჩეს. ისინი ახერხებენ, მკვდარ ფორმებსა და მოჩვენებით დინამიკაში ამოიცნონ ჩვენი სულის ის ვიბრაციები, რომლებიც, თუ ძალისხმევაც იქნა, ჩვენივე ღირსების საშენ მასალადაც შეიძლება იქცეს“.

„ქართული კალეიდოსკოპის“ არშიებზე ამ, ბოლო მინანერში, გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ზემოხსენებულ „გაბედულ მამხილებელთაგან“ ერთ-ერთად სწორედ ამ წიგნის ავტორი მიმაჩნია.



## ორი ანა

თქვენ ხელთაა ალბომი, რომელშიც ორი ანას სახელი დაწყვილდა: აქედან ერთი – ანა კალანდაძისა – მთელმა საქართველომ იცის, ბევრმა – მის გარეთაც; ასე რომ, მისი წარდგინება ისევე, როგორც ნებისმიერი საკულტო ფიგურისა, აზრს მოკლებულია...

მეორე სახელი კი – ანა ნიკოლაძისა, რომელიც მხოლოდ მისი სტუდენტების, კოლეგებისა და ახლობლების ვინწრო წრისათვის იყო ცნობილი, ნამდვილად საჭიროებს წარდგინებას: მას იცნობდნენ, როგორც ნიკო ნიკოლაძის ძმისშვილს და თავისი დიდი ბიძის რჩევისამებრ – რუსული ლიტერატურის მკვლევარს (ამ სფეროში მას ფუნდამენტური ნაშრომები ჰქონდა), როგორც ქართული პოეზიის უბადლო მცოდნესა და პოეტური ტალანტის აღტაცებულ თაყვანისმცემელს.

ანა ნიკოლაძის ამ თვისებამ ისე მოხიბლა მისი ერთი ყოფილი სტუდენტი, რომ მან დიდ, საერთო რვეულში საგულდაგულოდ გადაწერა საკუთარი ლექსები და თავის ყოფილ ლექტორებს, გულისხმიერ მკითხველებსა და დამფასებლებს – ანა ნიკოლაძესა და მის მეუღლეს – გიორგი აბზიანიძეს უსახსოვრა. ასე აღმოჩნდა ანა კალანდაძის ეს უნიკალური ხელნაწერი რვეული აბზიანიძეთა საოჯახო არქივში.

სიტყვა „უნიკალური“ აქ მაღალფარდოვნებისათვის არ წერია: ანა კალანდაძის ხელნაწერების სიმრავლის მიუხედავად, მის კალიგრაფიას არსად ისეთი სრულყოფა არ აჩნევია, როგორც „აბზიანიძეთა რვეულში“, რომელიც, სპე-

ციალისტების აზრით, კალიგრაფიის უდახვეწილესი ნიმუშია. ძვირფასი ადამიანებისათვის განკუთვნილ რვეულში 25 წლის ანა ეცადა, თავისი ლექსების სინატიფისა და არქაულობისათვის შესატყვისი ვიზუალური ფორმა მოეძებნა და ეს ბრნჟინვალედ განახორციელა კიდეც, რადგან პოეტურ ნიჭთან ერთად კალიგრაფის ტალანტიც აღმოაჩნდა.

ძნელია თქმა, ფიქრობდა თუ არა მთანმინდის მომავალი ბინადარი, რომ მისი ულამაზესი ხელნაწერი საბოლოოდ ლიტერატურის მუზეუმში დაივანებდა; ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ მისი დაბადების 90 წლისთავზე გამოიცემოდა სამახსოვრო ალბომი, რომელშიც ანა ნიკოლაძის ნახატები, თავის დროზე ასე რომ მოსწონდა, დაერთვოდა მის ხელნაწერ ლექსებს...

ალბათ, რამდენიმე სიტყვა იმაზეც უნდა ითქვას, თუ როგორ დაიპადა ამ სამახსოვრო ალბომის იდეა.

მხატვრობა ანა ნიკოლაძის ცხოვრების მიმწუხრის საჩუქარი იყო. გარემოებათა გამო, საკუთარ თავსა და განუყრელ წიგნებთან პირისპირ დარჩენილს, თავის მასაზრდობებელ ბუნებას მოწყვეტილს, გადამრჩენად მხატვრობა მოევლინა და იმ პეიზაჟებს, იმ ანთროპომორფულად აყვავილებულ ხეებს, სევდიან კვიპაროსებს, რომელთა სანახავადაც ვეღარ მიდიოდა, თავის ნახატებში მიუჩინა ადგილი.

ნახევარ საუკუნეზე მეტი თანაარსებობდნენ ერთ სივრცეში ანა კალანდაძის დახვეწილი კალიგრაფია და ანა ნიკოლაძის პოეტური ფერწერა... რა გასაკვირია, რომ ამ იშვიათი განძის მფლობელს გასჩენოდა სურვილი, თავისი აღტაცება სხვათათვის გაეზიარებინა და ორი ბიოგრაფიულად და სულიერად დაკავშირებული ძვირფასი სახელი სამახსოვრო ალბომში გაეერთიანებინა.

ასე შეხვდა ერთმანეთს სამოცი წლის შემდეგ „ორი ანა“: ერთი – თანამედროვეთა მეხსიერებაში სამუდამოდ დამკვიდრებული ლექსებითა (და, ახლა უკვე – კალიგრაფიით)

და მეორე – უმეტესობისათვის უცნობი, თუმცა ულრმე-სი რომანტიკული სულიერებიდან ამოზრდილი მხატვ-რობით. ამ ორი სამყაროს მრავლისმეტყველი მსგავსება მეტაფიზიკისადმი მიდრეკილ ადამიანებს აფიქრებინებს, რომ ორი ანას შეხვედრაში – აქაურშიც და მიღმიერშიც – განგების ხელი ერია...



## პარალელური საკითხები

(ედნა ო`ბრაიენი – „შეყვარებული ბაირონი“ // ოთარ ჩხეიძე – „იტალიური დღიურები ბაირონისა“)

არის ასეთი უანრი: „პარალელური ბიოგრაფიები“, პლუტარქედან რომ გვახსოვს – ალექსანდრე მაკედონელსა და იულიუს კეისარს, დემოსთენესა და ციცერონს რომ უწყვილებს ერთმანეთს... მაგრამ ხომ შეიძლება იყოს „პარალელური საკითხავიც“, როცა ისტორიული პერსონაჟები კი არ წყვილდებიან, არამედ – ის ავტორები, რომელიც ერთი და იმავე ბიოგრაფიით „მოინუსხნენ“ და რომელთა წიგნების შედარება-შეპირისპირებაც ესოდენ საინტერესო პროცესია...

ამჯერად, ჩვენი „პარალელური საკითხავის“ არჩევანი განაპირობა ჯორჯ გორდონ ბაირონის ბიოგრაფიამ, რომელიც, უკვე ორი საუკუნეა, ასე აფორიაქებს მის მკვლევართ და შთააგონებს მათ, გენიალური ინგლისელი რომანტიკოსის ცხოვრების დრამას ახალი და ახალი გამოკვლევები მიუძღვნან...

ბაირონოლოგის „ბიბლიოგრაფიული კალეიდოსკოპი-დან“ მომინდა ორი ავტორი დამეწყვილებინა და, ვფიქრობ, მკითხველი იგრძნობს და გაიზიარებს ამ „დაწყვილების“ ლოგიკას.

ამ ორი ავტორიდან ერთი – ირლანდიელი მწერალი და ლიტერატურის ისტორიკოსი ედნა ო`ბრაიენი გახლავთ (ცნობისათვის: იგი უფროსი თაობის ირლანდიელი ინგლისურენოვანი ავტორია. განსაკუთრებული პოპულარობით

სარგებლობს მისი პიოგრაფიული რომანები ჯოისზე (1981) ვირჯინია ვულფსა (1999) და ბაირონზე (2009). 2006 წლიდან ინგლისური ლიტერატურის პროფესორია დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში). ედნა ობრაიენის წიგნის სათაურია – „შეყვარებული ბაირონი“.

მეორე ავტორი ოთარ ჩხეიძეა, რომლის სახელიც „საცნობარო დანართს“ ნამდვილად არ საჭიროებს, მაგრამ მაინც რაოდენ სიმბოლურია, რომ გორის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის პროფესორს და ქართული ისტორიის ეპიკური მარტიროლოგის ავტორს 1976 წელს „უძრაობის“ სულისშემხუთავ ატმოსფეროში მოუნდება, საჯაროდ გადაიკითხოს ბაირონის „იტალიური დღიურები“, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, თითქოს იმპერიის რღვევის მაუწყებელი მიწისქვეშა გუგუნი მოესმაო (კრიტიკოს გალინა კორნილოვას მეტაფორა რომ მოვიშველიო), მოიწადინება, გაგვაცნოს მისი თვალით დანახული „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“ – ოთხმილიონიანი ირლანდია! არაა გასაკვირი, რომ 1984 წელს გამოქვეყნებული ჩხეიძისეული ესსე აღიქმება მანიფესტად, რომელიც „სამშობლოს არსის გასაცნობიერებლად წააქეზებს გულით მოაზროვნე მკითხველს“ (ნანა კუცია). ოთარ ჩხეიძის წიგნის სათაურია – „იტალიური დღიურები ბაირონისა“.

სწორედ ეს ორი წიგნი მიდევს გვერდიგვერდ საწერ მაგიდაზე. ედნა ობრაიენი მიმართება ბაირონთან ძალზე პიროვნულია: მას არ ეგულება ასეთი თავგამოდებული, ასეთი შმაგი და ასეთი დაუნდობელი მეტრფე; არ ეგულება მამაკაცი, რომელსაც ამდენი ქალი ჰყვარებოდეს (პროტოტიპი თავისივე „დონ-ჟუანისა“); რომელსაც ამდენი ქალი ეტრფოდა და რომელსაც მათთვის ამდენი ნეტარება და, იმავდროულად, ამდენი ტკივილი მოეტანოს...

„შეყვარებული ბაირონის“ ავტორს ამბივალენტური გრძნობები აფორიაქებენ: ერთგან – წმინდა ქალური, ირაციონალური აღტაცება, მეორეგან კი – ქალური წყენა და ასეთივე ქალური სისასტიკით გამოტანილი განაჩენი: ბაი-

რონი – ესაა სატანური საწყისით დადაღული გენიოსი, რომლის მიზანიც და მისიაც იყო, გაებედნიერებინა მკითხველთა თაობები, მაგრამ რომელმაც მოახერხა, იმავდროულად, გაეუბედურებინა ყველა – მის გარშემო მყოფნი, დედით და დით დაწყებული და კაპუცინელთა მონასტერში უპატრონოდ ჩამკვდარი შვილით დამთავრებული...

ასე მგონია, თავის წიგნში ედნა ო`ბრაიენი საზოგადოდ უსწორდება მამაკაცის იმ ტიპს, რომელიც ბოლომდე ვერ აცნობიერებს თავისსავე ნამოქმედარს და, რადგან ზნეობრივი შეფასების უნარსაა მოკლებული, პრაქტიკულად, პასუხიც არ მოეთხოვება... (ჩვენ, ქართველებს, სამწუხაროდ, ამ მორალური ინფანტილიზმის მაგალითებისათვის შორს ნასვლა არ დაგვჭირდება....).

და მაინც, როგორი ბაირონი წარმოგვისახა ედნა ო`ბრაიენმა? ვუნდერკინდი, რომელიც ექვსი წლისა ჰორაციუსს თარგმნის და რვისას უკვე წაკითხული აქვს ძველი და ახალი აღთქმა, სერვანტესი, ვალტერ სკოტი, კიდევ არაერთი რომანისტი და კლასიკური ისტორიული გამოკვლევები; იგი გაკოტრებული არისტოკრატული ოჯახის შვილია, რომელიც დედამისს (მისივე დახასიათებით – „შერეკილობისა და უჭქუობის ბედნიერ წაზავს“) სიცოცხლის ბოლომდე არ აპატიებს თავის კოქლობას, რადგან დედის დაუდევრობით დასახიჩრებულ ჩვილს დროულად არ უმკურნალეს; დიდად არ იდარებს მსმელ და მექალთანე მამას (მეტყველი მეტსახელით – „გიუმაუ ჯეკა“)...

ცხოვრების ამ გაუხარელი დასაწყისის საპირწონედ, ერთ მშვენიერ დღეს ათი წლის „მეექვსე ლორდი ბაირონი“ ამაყად გადახედავს მემკვიდრეობით მიღებულ უზარმაზარ ნიუსტედის სააბატოს და გადაწყვეტს, ამიერიდან ლორდისათვის შესაფერისი სტილით იცხოვროს. თუ რა „გამოდნა“ ამ გადაწყვეტილებიდან, ისევ და ისევ ედნა ო`ბრაიენის წიგნში ვიხილავთ: რადგან, კემბრიჯში სწავლისას ბაირონს (ტრინიტი-კოლეჯის შინაგანანესის თანახმად) აუკრძალავენ, იყოლიოს ძალლი, მის ადგილს იკავებს მოშინაურებული

დათვი (რომელიც აკრძალვათა ჩამონათვალში მოხსენიებული არაა!); პირველი უიმედო სიყვარულის (მერი ჩავორტისადმი) იარას დაუამებს ამჯერად უკვე გაზიარებული გრძნობა, ერთადერთი „მაგრამით“ – 15 წლის ფერმკრთალ არსებას, ღვთაებრივად რომ გალოპს კოლეჯის ეკლესიაში, ჯონ ედლსტონი ჰქვია... როდესაც 1807 წ. 19 წლის ბაირონი გამოსცემს თავის პირველ პოეტურ კრებულს – „მოცალეობის საათები“, წიგნში ედლსტონისადმი მიძღვნილ ლექსისაც შეიტანს – „სარდიონი“ (იმ სარდიონის ბეჭდით მთაგონებულს, რომელიც თავის დროზე ჯონმა აჩუქა).

სწორედ „მოცალეობის საათებს“ უკავშირდება ბაირონის პირველი აღიარება – შესაძლოა, რამდენადმე სკანდალური, მაგრამ, აბსოლუტურად შესატყვისი ისეთი ავტორისათვის, რომელიც განაცხადებს, რომ მისი წიგნი „მოქალაქე ბრბოსათვის“ არაა განკუთვნილი“, რომელიც განზრას უპირისპირდება მისთვის საძულველ, თუმცა, იმხანად დომინანტურ, „ლეიკისტთა“ („ტბის პოეტთა“) ტრადიციას და რომლის ლიტერატურული თუ პოლიტიკური ესკაპადებიც და ცხოვრების ნირიც ესოდენ აღაშფოთებს გარეშემოთ...

ედნა ო'ბრაიენს მოჰყავს ხატოვანი აღწერა ბაირონის პირველი წარმატების დროინდელი „ცხოვრების სტილისა“: „ესაა ქრონიკა დარბაზობებისა და თავაშვების, მეჯლისებისა და მოკრივეთა შეჯიბრებების, ჰერცოგთა ქვრივების და მოარისტოკრატო ბანოვანების, ბანქოსი და კახების, საპარლამენტო დებატებისა და პოლიტიკური წვრილმანების, მასკარადების, ღვინის, ქალების, ცვილის ფიგურებისა და ქარის ნისქვილების“... აღარ მივუბრუნდები არც ამ ჩამონათვალს და არც „ლორდის შესაფერისი“ ბიოგრაფიის იმ შოკისმომგვრელ მიზანსცენებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია „შეყვარებული ბაირონის“ ცხოვრების დრამა...

ედნა ო'ბრაიენის წიგნის დასაწყისში ვეცნობით ერთგვარ „ბიოგრაფიულ რეზიუმეს“: „სიტყვა „ბაირონული“ დღემდე გულისხმობს წრეგადასულობას, სატანურ ქცე-

ვას და ამბოხს, როგორც მეფის, ისე პრბოს წინააღმდეგ. ბაირონი, უფრო მეტად, ვინემ ნებისმიერი სხვა შემოქმედი, ჩვენთვის განასახიერებს წარმოსახვის უნარით დაჯილდოებულ და ღვთიური წესების უგულებელყოფელ მეამბოხე პოეტს, რომლის ზეგავლენაც არ ცნობს ნაციონალურ, რელიგიურ და გეოგრაფიულ საზღვრებს: მისი თვალშისაცემი მანქიერებანი გამოისყიდება მისივე პიროვნული ხიბლით და, საბოლოოდ, ჰეროიზმით, რომელმაც, ტრაგიკული ფინალის წყალობით, მისი ძედი კერძო შემთხვევიდან უნივერსალურ სიმბოლომდე აიყვანა, ინდივიდუალურიდან – არქეტიპულამდე“.

ამ მართებული დასკვნის მიუხედავად (ან, ეგების, სწორედ ამიტომ), ედნა ობრაიენის წიგნისაგან გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ ბაირონმა შეაყვარა თავი მთელ მსოფლიოს, მაგრამ სამარადისოდ შეაძულა ბრიტანეთს.

ახლა კი მივუბრუნდეთ ოთარ ჩხეიძის წიგნს – „იტალიური დღიურები ბაირონისა“. კარგი იქნებოდა, ეს წიგნი თარგმნილი ყოფილიყო ინგლისურ ენაზე და ედნა ობრაიენს ჩვენსავით „პარალელური კითხვის“ შესაძლებლობა მისცემოდა. საინტერესოა, როგორ აღიქვამდა ირლანდიელი მკვლევარი ქართველი კოლეგის „ბაირონიანას“ – მის შეხედულებებსა და შეფასებებს...

ოთარ ჩხეიძეს ერთი იშვიათი უნარი ჰქონდა: გაეთავისებინა იმ ისტორიული გმირისა თუ ლიტერატურული წინაპრის ბიოგრაფია, რომელზეც წერდა.... არა მხოლოდ დეტალების ცოდნის – პეიზაჟის თუ ეპოქის ატმოსფეროსი, არამედ, პირველ ყოვლისა, სულის მოძრაობის თვალმიდევნების. ზოგჯერ, სიტუაციის შესაბამისად, გამიზნულ ავტორისეულ დისტანციებასაც ვგრძნობთ, როგორც წესი, ძალიან დელიკატურს; იმ ფაქტზე შტრიხებს, წიგნის ბოლოს რომ ჯამდებიან და წარმოსახავენ „ჯადოქარი პოეტის“ კონტრასტული პორტრეტის შუქ-ჩრდილს...

„იტალიური დღიურები ბაირონისა“ იშვიათ საშუალებას გვაძლევს, „დონ-ჟუანის“ პროტოტიპი „ჩაილდ-ჰაროლდი-

სა“ და „მანფრედის“ თვალსაწიერიდან დავინახოთ და ჩავწევდეთ „ნამებას დიადი სულისა“.

ოთარ ჩხეიძემ დაინდო ბაირონი, დაინდო რაღაცნაირი მამაკაცური სოლიდარობით. ყველა იმ სამართლიან ბრალ-დებათა საპირნონედ, რაზედაც ედნა ოპრაიენი წერდა, ოთარ ჩხეიძე პოეტის ბედში ხედავს იმ ფატალურ „განმეორებადობას“, რომელზედაც თვითონ ბაირონი წერდა და რომლის ჩხეიძისეული პერიფრაზიც ასე ჟღერს: „...იცოდა, ფათერაკი თუ ვეღარ მიუვიდოდა, თვითონ მოსძებნიდა ფათერაკს ბაირონი...“. ბაირონისეულ „ფათერაკებზე“ ტომებია დაწერილი მაგრამ „იტალიური დღიურების...“ იშვიათი ლირსება სწორედ ისაა, რომ ოთარ ჩხეიძემ, მწერლისა და მამაკაცის უტყუარი გუმანით, ეს, ნებისმიერი რეპუტაციისათვის მომაკვდინებელი ფათერაკები ისე „ჩახატა“ ბაირონის პორტრეტში, ისე დაუკავშირა მისი ნატურის სულისშემძვრელ საწყისს, რომ არა მხოლოდ დაგვანახა, გვაგრძნობინა, და მეტიც – შეგვარიგა ამ ურთიერთგამომრიცხავ თვისებათა თანაარსებობას – რახან სწორედ ამ „ჯოჯოხეთური ნაზავის“ ალქიმიამ შვა გენიალური პოეზია.

ბუნებრივია, რომ ტერზა გვიჩიოლი – ყველაზე ხანგრძლივი ბაირონის „იტალიურ გატაცებათაგან“ – ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში საგანგებო ყურადღებას იპყრობს. არადა, როგორ არ მიაქცევ ყურადღებას ქალს, რომელმაც ასე დაატყვევა მოუხელთებელი გულთამპყრობელი, რომელმაც დანტეს საფლავის სიახლოეს მის ინგლისელ თაყვანისმცემელს სამარადისოდ დაამახსოვრებინა „სამოთხეც“ და „ჯოჯოხეთიც“, ხოლო თანამოქალაქეებს, რავენის მკვიდრთ კი – ის „ისტორიული ფაქტი“, რომ პირველმა 200 წლის განმავლობაში შეძლო, რომის პაპისაგან ქმართან განშორების უფლება მიეღო...

ტერზა გვიჩიოლის (გამბას) ეძღვნება „იტალიური დღიურების...“ XXIV თავი, რომელიც ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი (და ასევე იკითხება!), მკაფიო ინტონაციური რიტმით, თავისი კონტრაპუნქტით და რეფრენით – „ჩემო

ბაირონ!..“ ო, რა ნეტარებითა და რა ავისმომასწავებელი კრთომითაა წარმოთქმული ეს „ჩემო ბაირონ!..“.

ეს რეფრენი „იტალიური დღიურების...“ დასასრულისას განმეორდება, XXX თავში. მაგრამ „ბაირონ!“ უკვე „ჩემო“ - ს გარეშე წარმოითქმის, მინავლებულ ბუხართან, თვალცრემ-ლიანი ტერეზასა და მისი, უკვე განხიბლული „ჩიჩიბეის“, განშორებისას... (მზამზარეული მიზანსცენა თეატრისათვის). აქ, ავტორი, განზრახ, თითქოს კალმის ათროთლების შეეშინდა, მოსხიპავს ფრაზას: „ჩაფერფლილიყო ბუხაროცა, ადამიანებიც ჩაფერფლილიყვნენ“...

„იტალიური დღიურების...“ თხრობა გამსჭვალულია ბაირონის ჩაუკლავი რომანტიზმით, რაზედაც მერე მთელი თაობები დაიზარდნენ, იმ პათოსით, რომლითაც ბაირონი ჯერ იტალიის გასაერთიანებლად შეთქმულ კარბონარიებს ამოუდგა გვერდით, მერე კი ბერძნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაერთო, როცა თვით ბერძნები დაუსრულებელ ინტრიგებში იყვნენ გაბმულნი: განაწამები ბაირონისა კი ხან ფული სჭირდებოდათ და ხან – სახელი... (როგორ ჰგავს ყველაფერი ეს ჩვენს გუშინდელ სინამდვილეს!). ბაირონი მაინც არ წანობდა, თუმცა ინგლისელი მეგობრებისათვის მიწერილ წერილებში წინასწარმეტყველებდა, რომ „ბერძნული ავანტიურა“ მას სიცოცხლის ფასად დაუჯდება...

რაღა თქმა უნდა, მესმის, რომ ოთარ ჩხეიძეს სურდა ბაირონის სწორედ ამ, პოლიტიკური რომანტიზმის წარმოჩენა და ქართულ სინამდვილესთან მისადაგება (ბევრ-მა – რეცენზიენტთაგან – დაწერა კიდეც ამის შესახებ). მაგრამ ისიც მგონია, რომ „იტალიური დღიურების...“ წერის პროცესში ავტორს თითქოს ხელახლა შეუყვარდა ბაირონი, და წიგნი, რომელიც თვითდან ჩაფიქრებული იყო, როგორც სამეცნიერო მონოგრაფია, გატაცებით საკითხავ ბიოგრაფიულ რომანად გარდაისახა...

ტერეზა გვიჩიოლი 1863 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, წერდა: „რაც უფრო მეტი ეცოდინებათ ბაირონზე – მით უფრო ეყვარებათ იგი...“. ვერ გეტყვით,

## ზაზა აბზიანიძე

რომ ედნა ო'ბრაიენის გამაოგნებელი ბიოგრაფიული დეტალებით აღსავსე წიგნი მკითხველს კიდევ უფრო შეაყვარებს გენიალურ რომანტიკოსს, მაგრამ ერთი კი ცხადია: ოთარ ჩხეიძის „იტალიური დღიურები ბაირონისა“ წარმტაცი ტერეზა გვიჩიოლის სიტყვების ჭეშმარიტი დასტურია.

## ფატალური მინიშვებანი

მარინა ცვეტაევას (1892-1941) ბიოგრაფია ისეთი ტრაგიზმითაა დაღდასმული, რომ „დაწყევლილ პოეტებად“ მონათლული ფრანგი დეკადენტებიც კი ამ მრუმე ფონზე სვებედნიერ ბურუუებად მოჩანან...

რაც უფრო ულრუბლო იყო ცვეტაევას ცხოვრებისეული გზის დასაწყისი, მით უფრო პირქუში აღმოჩნდა გაგრძელება, და აქ, უთუოდ, ამ ორივე პერიოდზე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რადგან სწორედ მათ შუალედშია დაწერილი ჩვენთვის ესოდენ საინტერესო ლექსი – „მე მომწონს...“: ლექსი, რომელსაც ავტორის გუშინდელი სილალის ინერციაც ახლავს და, უნებლიერ, ხვალინდელი განსაცდელის ფატალური მინიშნებაც; რომელშიც სიტყვებით თამაშს ბედთან თამაში ენაცვლება; ბავშვურ გულწრფელობას – ქალური ცბიერება და ამ მრავლისმეტყველი მიზან-სცენიდან – ჩვენამდე, ერთი საუკუნის შემდეგაც კი, ჯერ აკრძალული ტკბობის ურუანტელი აღნევს და მხოლოდ მერე – ამ ტკბობის საბედისწერო საფასური...

„მე მომწონს...“ მარინა ცვეტაევამ 23 წლისამ დაწერა – 1915 წლის 3 მაისს.

ამ დროისათვის მას 17-წლიანი „პოეტური სტაჟი“ ჰქონდა. ყოვლად სერიოზულად ვამბობ: ლექსების წერა ექვსი წლისამ დაიწყო (გარდა რუსულისა, ფრანგულ და გერმანულ ენებზეც წერდა); გამოქვეყნება – 16 წლისამ და უკვე ორი წლის შემდეგ, მშობლების დაუკითხავად, გამოსცა თავისი პირველი პოეტური კრებული – „საღამოს ალბომი“ („Вечерний альбом“).

„ალბომს“ გამოეხმაურნენ რუსული პოეზიის „ვერცხლის საუკუნის“ (ანუ XIX-XX სს. მიჯნის) ისეთი „მეტრები“,

როგორნიც იყვნენ – ვალერი ბრიუსოვი, ნიკოლოზ გუმილიოვი და მაქსიმილიან ვოლოშინი. ამ უკანასკნელთან „ლიტერატურული ნაცნობობა“ მეგობრობაში გადაიზარდა და მარინა, თავის უმცროს დასთან – ანასტასიასთან ერთად, ხშირად სტუმრობდა „მაქსს“ (როგორც ვოლოშინს ახლობლები ეძახდნენ) მის ზღაპრულ სახლში შავი ზღვის პირად, ყირიმში, კოქტებელში.

სწორედ კოქტებელსა და მასთან მომიჯნავე ფეოდოსიასთანაა დაკავშირებული „დები ცვეტაევების“ (მათ შორის განსხვავება ორი წელი იყო) ყველაზე რომანტიკული ზაფხული 1911 წლისა: აქ, ზღვის ნაპირზე, გაიცნობს და შეიყვარებს 18 წლის მარინა თავისზე ერთი წლით უმცროს სერგეი ეფრონს და ამავე ზაფხულს ანასტასიას (ანუ „ასიას“) „ხელის სათხოვნელად“ ჩამოაკითხავს გასულ ზამთარს საციგურაო მოედანზე გაცნობილი ბორის ტრუხაჩივი. კოქტებელში ზაფხულში ერთად ჩამოსული დები შემოდგომის დამდეგს ფეოდოსის სადგურიდან თავ-თავიანთ საქმროებთან ერთად უკვე სახვადასხვა მატარებლებით გაემგზავრებიან...

„ჩვენ ცხრამეტი და ჩვიდმეტი წლისანი ვართ და, რაღაც ჯადოსნური თანხვედრით, ერთდროულად ვთხოვდებით, ერთდროულად ვეთხოვებით ერთმანეთს, ერთდროულად მივემგზავრებით, – იხსენებდა ანასტასია ცვეტაევა იმ შორეული 1911 წლის შემოდგომას, – და აი აქ კი, უკვე მამის დაუინებით, მოგვიხდა დედის დანატოვარი მემკვიდრეობის გაყოფა“.

მამა – პროფესორი ივანე ვლადიმერის ძე ცვეტაევი, იშვიათი კეთილშობილებით გამორჩეული ადამიანი – იმ სახვითი ხელოვნების მუზეუმის დამაარსებლი გახლდათ, ან პუშკინის სახელის რომ ატარებს.

დედა – მარია ალექსანდრეს ასული მეინი, სერბულ-გერმანულ-პოლონური სისხლის ნაზავი, იერითაც, ხასიათითაც, აღზრდითაც (ოთხი ევროპული ენა; პროფესიული მომზადება მხატვრობასა და საფორტეპიანო ხელოვნებაში)

სავსებით შეესატყვისებოდა უფროსი თაობის სახელმოხვეჭილი მეცნიერის (სხვაობა ცოლ-ქმარს შორის 20 წელი იყო) ერთგული თანაშემნისა და ოჯახის ბურჯის როლს. თუმცალა ამ ტრადიციულ ფასადს მიღმა მას თავისი ქალიშვილობის დროიდან გამოყოლოლი სულიერი იარა ტანჯავდა, და, საფიქრებელია, სწორედ ამ გაუნელებელმა დარდმა დააჭლეა და გადაიყოლა კიდეც 38 წლისა 1906 წლის ზაფხულში.

ივანე ცვეტაევმა ამ ელდის შემდეგ კიდევ შვიდი წელი იცოცხლა...

„მამის სიკვდილმა მკაფიო საზღვარი გაავლო ჩვენს ცხოვრებაში, – წერდა ანასტასია ცვეტაევა, – ნიშანდობლივი იყო, რომ, ჩვენ-ჩვენი საოჯახო მიზეზების გამო, არც მარინას და არც მე, არ გვინდოდა მოსკოვში დარჩენა მამის სიკვდილის შემდეგ. სადღაც უნდა წავსულიყავით და ჩვენი „წარსულის ქალაქებიდან“ ყველაზე უფრო იმ ქალაქმა გვიხმო, რომელშიც ასე ბედნიერნი ვიყავით ამ ორი წლის ნინათ“.

კარგად დავიმახსოვროთ ამ ქალაქის სახელიც და მისი მრავლისმეტყველი ონმასტიკაც („ფეოდოსია“ – „ღვთითბოძებულია“ ბერძნულად). 1913 წელია, და ცვეტაევების ბიოგრაფიაში ზემოხსენებული „საოჯახო მიზეზების“ მიკვლევაც შეიძლება: ანასტასიას ვაჟიშვილი კი ეყოლა თავისი რჩეულისაგან, მაგრამ ოჯახური ცხოვრება არ აეწყო – ქმარმა მიატოვა.

მარინა ხომ საერთოდ განსაკუთრებული შემთხვევა გახლდათ – ფეოდოსიაში უნდოდა განრიდებოდა მოსკოვურ ცდუნებებს. დეკარტესეული – „ვაზროვნებ, ესე იგი ვარსებობ!“, მისი ინტერპრეტაციით, ასე უღერდა – „მიყვარს, ესე იგი ვარსებობ!“ და, რაც მთავარია, ეს არ იყო არც ხმამაღლა გაცხადებული „კრედო“, არც პოეტური ზეატაცებისას წამოსროლილი ლამაზი ფრაზა – ეს იყო ჯერ წარმტაცი, მერე კი – საბედისწერო რეალობა, ზეგარდმო საჩუქარი და, იმავდროულად – სასჯელი, ეს იყო რაღაც მაცოცხლებელი

ფერმენტი, რომელსაც გაეჯერებინა მთელი მისი არსება, მისი სხეულის ყოველი უჯრედი, და, რაღა თქმა უნდა, მთელი მისი შემოქმედება...

ვინ არ წერდა მისი თვითმკვლელობის (ქ. ელაბუგაში, მდინარე კამასთან, 1941 წლის 31 აგვისტოს) მიზეზებზე: „ჩეკას“ ჯურლმულებში მომწყვდეული ქმარი და ქალიშვილი; გვერდზე მყოფი, მაგრამ მარადუამს უკმაყოფილო, გაუცხოებული ვაჟი, მისი საფლავში ჩაყოლილი სადარდებელი (რომელიც მისასამძიმრებლად მისულ მეზობლებს ასე უპასუხებს: „ვფიქრობ, მარინა ივანოვნამ სწორი არჩევანი გააკეთა“(?!) უკიდურესი გაჭირვება (თვითმკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ელაბუგაში ევაკუირებულ მწერალთა დასახლების სასადილოში ჭურჭლის მრეცხავადაც რომ არ აიყვანებ!).

როგორც ვხედავთ, საკმარისზე მეტი მიზეზია... და მაინც, ისე მგონია, სიღარიბესა და ცხოვრების გამაოგნებელ „სიურპრიზებთან“ (მარტო ის რად ღირს, პარიზის პოლიციის კომისარიატში რომ გაცნობებენ, – „საფრანგეთიდან მიმალული თქვენი ქმარი „ჩეკას“ დაკვეთით განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობის თანამონაწილე იყომ“!) პირისპირ დარჩენამ ისე გააკაჟა, ჭირთათმენის ისეთი უნარი გამოუმიშავა, იმ წყეულ ელაბუგაშიც არ განასკვავდა თვითმკვლელის ყულფს – ერთი, თუნდაც ფიზიკურად მიუნვდომელი, თუნდაც მხოლოდ „ლიტერატურულად შეყვარებული“, მაგრამ მასთან ყოველნამიერი სულიერი თანაარსებობის შეგრძნებით მცხოვრები ადამიანი რომ მოძებნილიყო დედამინაზე...

ასეთი ადამიანების აღმოჩენის, ამ აღმოჩენით ტკბობის, აღფრთოვანების, ურთიერთშეცნობისა და შეყვარების, მაგრამ, არგაფრთხილებისა და დაკარგვის დიდოსტატი იყო მარინა ცვეტაევა. ამ იშვიათმა ორსაწყისიანმა, ფეთქებადმა უნარმა განაპირობა მისი ცხოვრების საპედისწერო კალაპოტი, მაგრამ საფასურად – მისი აღსარებასავით გულწრფელი, „ქერქგადაცლილი“ პოეზია, მისი ფენომენალ-

ურად საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა და პროზა დაგვიტოვა...

ანასტასია, ამ თვალსაზრისით, მისი მონოგამური ბუნებიდან გამომდინარე, უფროსი დის სრული ანტიპოდი იყო. თავის ქალურ ბედნიერებას ის ყოველთვის ერთ კაცს უკავშირებდა, მაგრამ, ბედის ირონით, სწორედ ის „ერთი“ ეცლებოდა ხელიდან...

„სიტყვა გამექცა“, და ფეოდოსიაში მოგვიწევს დაბრუნება – იქ, სადაც ანასტასია „ხელიდან გამოცლილი“ ბედნიერების დაკარგვით მიყენებულ იარებს იშუშებდა; მარინა კი, როგორც ეტყობა, ოდნავ განხიბლული ამ ზღვისპირზე გაცნობილი გარუჯული ჭაბუკით, „ღვთითბოძებული“ ქალაქის მყუდრო აგარაკზე ქმარსა და ერთი წლის ქალიშვილთან (არიადნასთან ანუ „ალიასთან“) ერთად ცდილობდა ორი წლის წინანდელი რომანტიზმისაკენ მიბრუნებას. იმხანად, გარეშე თვალისათვის მაინც, ოჯახი იდილიურად გამოიყურებოდა. ახლობელნიც კი ვერ გრძნობდნენ, რა ნაღმებს იყო აფარებული ეს „ოჯახური პორტრეტი ინტერიერში“ (ერთი წლის შემდეგ მთელი „ლიტერატურული მოსკოვი“ ალაპარაკდება საფოს კვალს ჩამდგარი მარინას რომანზე პოეტესა სოფიო პარნოკთან).

„ეს იყო მარინას სილამაზის გაფურჩქვნის დრო“, – იგონებდა ანასტასია ცვეტაევა, როცა სევდანარევი ტკბობით აღწერდა უფროსი დის ოქროსფერ კულულებს, ახლომხედველთათვის დამახასიათებელ მინაბულ მწვანე თვალებს და ასკვნიდა: „მისი ქალური საწყისი ჯერ მოუხელთებელია, ჯერ მხოლოდ კრთის...“.

მშობლების გარდაცვალებამ როგორლაც შეაკავშირა დები (რაც არც ისე ადვილი იყო მათი ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის გათვალისწინებით), მაგრამ ერთგვარი „ქალური ქიშპობა“ მათ შორის (რაც ასე ხშირია და ასე ბუნებრივი), ეტყობა, ყოველთვის იყო. როდესაც ანასტასია აღწერს იმავ სიმფეროპოლში გამართული პოეზის საღამოს, რომელზეც ის უფროს დასთან ერთად საკუთარ ლექსებს

კითხულობს, ერთი ძალიან მოზომილი კომენტარისაგან თავს მაინც ვერ იკავებს: „ვიცი, როგორ ვერ იტანს მარინა ვინძესთან მსგავსებას – ყველაფერში უნდა ერთადერთი იყოს. ვარცხნილობა შევიცვალე. ახლა სრულიად განსხვავებულები ვართ, მარტო თვალები, ცხვირი და ტუჩები გვაქვს მსგავსი. და კიდევ – მარინა ჩემზე მაღალია“.

აი, ახლა კი მივადექით იმ „მოუხელთებელი ქალური საწყისის“ ამოქმედების, მამკაცის განმაიარალებელი ხიბლის „გამოცდის“, დებს შორის ფარული ქიშპობის გაცხადების, დაბოლოს, სულაც – იმ ქალური დაუნდობლობის თემას, რომელიც საფუძვლად დაედო რუსული პოეზიის ერთ შედევრს, სათაურით – „მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სწეული ჩემით...“ („Мне нравится, что вы больны не мной...“).

ერთადერთი, ვინც ამ ლექსში ვერცერთი ზემოთ ჩამოთვლილი საწყისი ვერ (ან – არ) დაინახა, ანასტასია ცვეტაევა აღმოჩნდა. უთუოდ იმიტომ, რომ მთელი ამ ცბიერი და ორაზროვანი კეკლუცობის, ამ უნატიფეს პოეტურ ფორმაში მოქცეული სასიყვარულო გამოწვევის სამიზნე მისი მეორე ქმარი – მავრიკი მინცი გახლდათ.

ალბათ, არ არის საჭირო ადამიანმა მაინცადამაინც ფრონიდი ან იუნგი მოიშველიოს, რომ ჩასწვდეს უკვე მხცოვანი ანასტასია ცვეტაევას შინაგან იმპულსებს, როდესაც იგი იძულებულია, ცნობისმიყვარე უურნალისტებს ამ ლექსის თავისი (მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი) ინტერპრეტაცია შესთავაზოს (გასული საუკუნის 70-იან წლებში, ელდარ რიაზანვის ფილმის წყალობით, „მე მომწონს...“ და მისი შექმნის ისტორია რუსულ პრესაში „მოდურ თემად“ იქცა).

„ანონსი“ანასტასია ცვეტაევას კომენტარებისა ასეთი იყო: „ეს, ფოტოსურათზე რომაა, ჩემი ქმარია – პატარა, წითური ებრაელი, მავრიკი ალექსანდროვიჩი“. აი, მერე იწყება „მთავარი სათქმელი“: „ბევრს არ ესმის ეს ლექსი, რაღაც ქარაგმას, ქვეტექსტს ეძებენ. ამ დროს, არანაირი ქარავმა აქ არ არის. იმხანად 20 წლისა ვიყავი, პირველ ქმარს

გავშორდი და დავრჩი ორი წლის ანდრიუშას ამარა. მაშინ იყო სწორედ, პირველად რომ შემოადგა ფეხი ჩვენს სახლში მავრიკი ალექსანდროვიჩმა (მეგობრის თხოვნით); მთელი დღე ლაპარაჯში გავატარეთ. გაოცებული იყო, რომ უკვე ერთი რომანის ავტორი ვარ და ახლა მეორეს ვწერ (უნდა ითქვას, რომ ანასტასია ცვეტაევა უდახვენილესი ლიტერატორი იყო, რაც ასე მკაფიოდ ემჩნევა მის მოგონებებს – ზ.ა.). თავისუფლად ვლაპარაკობდი უცხო ენებზე, ფერწერა, მუსიკა – ყოველივე, რაც კი მე და მარინამ დედისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ. მავრიკი ალექსანდროვიჩმა ხელი მთხოვა. ცოლად გავყევი. მაგრამ როცა მარინა გაიცნო, აღფრთოვანდა! მარინა 22 წლისაა, უკვე ორი პოეტური კრებულის ავტორია, შესანიშნავი ქმარი ჰყავს და ორი წლის ქალიშვილი. იმ ბედნიერ დროს, მარინა ძალიან მომხიბლავი იყო, ქათქათა კანი, ოდნავ შეფაქლული ღანვები, ლამაზი, ხეეული თმა. მავრიკი ალექსანდროვიჩი ტკბებოდა მისი ცქერით, მარინა ამას გრძნობდა და ...ნითლდებოდა. მარინა ემადლიერებოდა მავრიკი ალექსანდროვიჩს, რომ მე მარტო აღარა ვარ, რომ მას ვუყვარვარ... აი, სწორედ ამაზეა დაწერილი ლექსი „მე მომწონს...“, და არანაირი ქარაგმა მასში არ არის“.

„ცვეტაევოლოგების“ ერთი ნაწილი შეიძყრო აკვიატებულმა იდეამ, რომ, რადგან მარინა ცვეტაევა გულგრილი არ იყო ებრაელი მამაკაცების მიმართ („ხომ წერს კიდეც თვითონ ამის თაობაზეო!“; „სერგეი ეფრონიც ხომ მონათლული ებრაელი იყოო!“), მინცსაც ამიტომ „დაადგა თვალი“. მაგრამ „მორიგი“ ებრაელი „პატარა და წითური“ რომ იყო და, ამასთანავე – ცვეტაევას სიძე, ეს გარემოება „იუდოფილური“ ვერსიის მომხრებს ცოტა აბნევს. არ ვიცი, თავში არ მოსვლიათ, თუ ვერ გაბედეს, ეთქვათ: მაღალი გერმანელი რომ ყოფილიყო და ჰანსი რქმეოდა, რეზულტატი იგივე არ იქნებოდა?! მთავარია, ასიას ქმარი ყოფილიყო და თუნდაც ერთი წამით წამოგებულიყო წარმოსახული ღალატის ანკესზე...

ის, რაც ანასტასიას უვნებელ ფლირტად უნდოდა წარმოედგინა, არც ისე უვნებელი იყო, რადგან ორი ქვეცნობიერი მოქიშპის დუელს წააგავდა... სხვაზე კარგად სწორედ ანასტასია ცვეტაევამ იცოდა, რომ მარინას – უმცროსი დის მყიფე ბედნიერების შემყურეს, მაქსიმალური სულიერი სიფაქიზე უნდა გამოეჩინა, ნებისმიერთან ეკეკლუცა დედამინაზე, იმ პატარა, წითური ებრაელის გარდა, რომელიც მისი „ფატალური“ ლექსის დაწერიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1917 წლის მაისში, ფეოდოსიაში(!) მყოფ ცოლ-შვილს მონატრებული, გამსკდარი ბრმა ნაწლავით ცოლისდის კალთაზე დალევს სულს მოსკოვის საავადმყოფოში.

როდესაც ფეოდოსიაში ანასტასიას მარინას დეპეშა მიუვიდა – „მავრიკი ალექსანდროვიჩს ჩირქოვანი აპენდიციტი დაუდგინესო“, მან ავადმყოფი ბავშვები დატოვა დაქმრის საშველად მოსკოვში გაქანდა, მაგრამ ცოცხალს ვეღარ ჩაუსწრო. უკან დაბრუნებულს კი უმცროსი ვაჟი (მავრიკისაგან შეძენილი ალიოშა) გარდაცვლილი დახვდა...

ანასტასია ცვეტაევამ 99 წელი იცოცხლა. აქედან 17 – ციმბირის „ლაგერებში“ გატარებული წლებია და მხოლოდ ორი – იმ „მყიფე ბედნიერებისა“, რომელსაც მით უფრო ხშირად იხსენებდა, რაც ასაკი ემატებოდა – ჩასცეკროდა თავისი პატარა, წითური ებრაელის გაყვითლებულ ფოტო-სურათებს და ცრემლმორეული კითხულობდა თავის საყვარელ ლექსს:

მე მომწონს ის, რომ თქვენ არა ხართ სნეული ჩემით,  
მე მომწონს ის, რომ მეც არა ვარ თქვენით სნეული,  
რომ დედამინის მძიმე ბურთი, ისე ვით გემი,  
არ გაცურდება ჩვენს ფერხთა ქვეშ გზაარეული.  
.....

\* \* \*

ახლა, როდესაც ძირათადი, რაც მინდოდა მეთქვა მარინა ცვეტაევას ლექსზე, უკვე ნათქვამია, არ შემიძლია,

მადლიერებით არ მოვიხსენიო დიდი რუსი პოეტის ის ქართველი თაყვანისმცემლები, რომელთაც სულიერი სიმშვიდე დაურღვია ცვეტაევასეულმა „Мне нравится, что вы больны не мной...“, და ამ ლირიკული შედევრის ქართული ადეკვატის შექმნა დაისახეს მიზნად...

ეს იმდენად კეთილშობილი და პრაქტიკულად დაუძლეველი ამოცანაა, რომ ნებისმიერი „შეფასებითი ასპექტი“ წინათქმაში გაანელებდა ამ წიგნის ხიბლს და გულწრფელ აღტაცებას ამგვარი კრებულების შექმნის იდეითა და განხორციელებით.

რაღა თქმა უნდა, ნიშანდობლივია, რომ ამავ წინათქმაში „მე მომწონს...“ ვახუშტი კოტეტიშვილის თარგმანითაა წარმოდგენილი. და არა მგონია, იმიტომ, რომ მისი უმცროსი მეგობარი და მისი თარგმანების ერთ-ერთი პირველი მკითხველი და შემფასებელი ვიყავი (თუმცა, ცხადია, მსიამოვნებს ამის ხაზგასმა). ამგვარი არჩევანი, როგორც წესი, უფრო ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული: რადგან ოცი მთარგმნელის „შერკვინება“ ერთსა და იმავე ტექსტთან ერთგვარი პროფესიული სკოლაც არის და შეჯიბრებაც.

ისე მგონია, ვახუშტი კოტეტიშვილი, დაუსწრებლადაც კი, განაგრძობს თავის დახვეწილ მასტერკლასს და ცხრამეტ უმცროს კოლეგასთან ერთად ჩვენი კრებულის მკითხველს წარუდგენს ქართული მთარგმნელობითი სკოლის მართლაც ძალზე საინტერესო ნიმუშებს.



## სანთელი ეთორ...

ცოტაა მსოფლიოში ცივილიზებული ერი, რომლის ენა-ზეც ბორის პასტერნაკის „ზამთრის ღამე“ („Зимняя ночь“) არ იყოს თარგმნილი. ქართულმა თარგმანებმა, როგორც ხედავთ, ოცს გადააჭარბა. დიდი რუსი პოეტისა და მისი შედევრისადმი პროფესიონალ ლიტერატორთა დაუცხრო-მელი ინტერესის ესოდენ შთამბეჭდავი დასტური უთუოდ გულისხმობს მკითხველთა მზაობასა და ცნობისწადილსაც.

თვალი მივადევნოთ ამ ლექსის ისტორიას ჩვენც – და-ვივიწყოთ ყველაფერი სხვა, ამ სტრიქონებისა და ამ გა-ნათებული სარკმლის გარდა. ასე თუ ვიგრძნობთ, რა ფარული ტკივილი ახლავს „ზამთრის ღამის“ მომაჯადობელ რეფრენს: „სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო“ და ამ მოციმციმე შუქზე სულ სხვა თვალით დავინახავთ მის ლირიკულ გმირსაც და მის ავტორსაც.

„სათაურთა პოეტიკა“ რომ არსებობს, ყველამ ვიცით; „ზამთრის ღამე“ გაფიქრებინებთ, რომ არსებობს „სახელ-დებათა მისტიკაც“. თვითონ განსაჯეთ: ბორის პასტერ-ნაკს ორი ლექსი აქვს ასე დასათაურებული – ერთში, 1913 წლის თარიღით, მისი პირველი, ტრაგიკულად განცდილი სიყვარულია გამოტირებული, მეორე კი, 33 წლის შემდეგ დაწერილი, უკვე უკანასკნელი გატაცებითაა შთაგონებული. ზემგრძნობიარე პოეტთათვის დამახასიათებელი მისნური განჭვრეტა ამჯერად სათაურის ორად ორ სიტყვას ჩასჩურ-ჩულებს მორჩილ შემსრულებელს და ამ „ონომასტიკურ დამთხვევაში“ ნაგულისხმევ საბედისწერო ვარაუდს ბორის პასტერნაკის ცხოვრების დარჩენილი 14 წელი ულმოპლად დაადასტურებს.

ისე რომ, გვინდა თუ არა, მაგრამ რამდენიმე სიტყვა პირველ „ზამთრის ღამეზეც“ უნდა ითქვას: ლექსის ადრე-სატიო დავიწყებ. ეს გახლდათ იდა ვისოცკაია, მოსკო-ვის ერთ-ერთი უმდიდრესი ოჯახის უფროსი ქალიშვილი. მამამისის – დავით ვისოცკის ფირმა რუსეთის იმპერიაში ჩაის ვაჭრობის ერთ მესამედს აკონტროლებდა, მაგრამ ამ კლასიკურად ბურუუზიულ ოჯახში განსაკუთრებული სიმ-პათიით ხელოვნების წარმომადგენელი სარგებლობდნენ. ასე დაუმეგობრდნენ ვისოცკები ფერწერის აკადემიკოსს ლეონიდ პასტერნაკს და მის მეუღლეს, პიანისტ როზალია კაუფმანს. დამეგობრდა უმცროსი თაობაც; როგორც მერე აღმოჩნდა, ეს მეგობრობა ხუთი წელი ასაზრდოებდა ჭაბუ-კი პოეტის რომანტიკულ ილუზიებს, რომელთა გაქრობას იგი ცხოვრების გარდამტებ მომენტად მიიჩნევდა. იდა ვი-სოცკაიასთან დრამატული განშორება მარბურგში (სადაც პასტერნაკი ფილოსოფიის საუნივერსიტეტო კურსს ისმენ-და) 1912 წლის ზაფხულში თავის კვალს დააჩინევს არა მარ-ტო პასტერნაკის ბიოგრაფიას – „ვერცხლის საუკუნის“ რუ-სულ პოეზიასაც: ოღონდ არა პირველი „ზამთრის ღამით“, არამედ „მარბურგით“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე (1918 წ.), ავტორს რუსული ლექსის რეფორმატორთა შორის გამორჩეულ ადგილს დაუმკვიდრებს.

„პირველი „ზამთრის ღამის“ ავტოგრაფს პასტერნაკისა-ვე მინანერი აქვს: „ქ-6 ფანი ზბარსკაიას, 17 მაისი 1916 წ. გვევოლოდო-ვილვა“. ეს უჩვეულო სახელი ერქვა დაბას ურალზე, ქალაქ პერმის სიახლოეს, სადაც 26 წლის პა-ტერნაკმა 1916 წლის ზამთარი და გაზაფხული გაატარა. აქ ის სტუმრობდა პასტერნაკების ოჯახის კარგ ნაცნობს – ქი-მიკოს ბორის ზბარსკის (ცნობილი რუსი მენარმისა და მეცე-ნატის – სავა მოროზოვის საწარმოთა მმართველს) და მის მომხიბლავ მეუღლეს – ფანის, რომლისადმიც, პასტერნაკის ბიოგრაფების თქმით, პოეტი მთლად გულგრილი არ იყო....

სანამ რომელიმე სულსწრაფი მკითხველი გაიფიქრებ-დეს, – კი მაგრამ, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას „ჩვენს“

„ზამთრის ღამესთან“?! – დავასწრებ და ვუპასუხებ: პირ-დაპირი! მაგრამ რადგან ამ ლექსს თავისი და საკმაოდ დრა-მატული ბიოგრაფია აქვს, სიუჟეტური კვანძის გახსნას ცოტა ხანს უნდა დაველოდოთ.

„ჩვენი „ზამთრის ღამე“ 1946 წლის დეკემბერითაა და-თარიღებული. ბევრი რამით იყო ლირსშესანიშნავი ეს პირ-ველი ომისშემდგომი წელი ბორის პასტერნაკისათვის. იან-ვრის ბოლოს იგი ატყობინებს ნადეჟდა მანდელშტამს (ოსიპ მანდელშტამის ქვრივს): „მინდა, დავნერო პროზა მთელს ჩვენს ცხოვრებაზე ბლოკიდან ამჟამინდელ ომამდე... ად-ვილად ნარმოიდგენ, რა გამალებით ვმუშაობ და როგორ მეშინია, რომ რაღაც მოხდება ჩემი შრომის დამთავრებამ-დე!“.

მოხდება რომელია, თუმცა ჯერ „პროზაული ნაწილით“ დავინტერესდეთ: პასტერნაკი იწყებს რომანის წერას მართ-ლაც პროზაული სათაურით – „ბიჭები და გოგოები“ (უაილ-დის ერთი პარადოქსი გაგახსენდებათ – „დიდ ადამიანებს დიდი შეცდომები მოსდითო!“). საბედნიეროდ, პასტერნაკის ეს „ონომასტიკური სიყრუ“ დიდხანს არ გაგრძელებულა – ხუთიოდე ვარიანტის მოსინჯვის შემდეგ, იგი შეჩერდა სათა-ურზე, რომელიც დღემდე მისი ცხოვრების დასალიერის მეტაფორად აღიქმება – „ეკიმი უივაგო“.

პარალელურად იწერებოდა ლექსები, რომელნიც, ჩანა-ფიქრის თანახმად, უნდა დართვოდა რომანს, მთავარი გმირის – იური უივაგოს სათუთად გადანახული და მის სიკვდილს შემდგომ აღმოჩენილი ლირიკული რვეულის სა-ხით. რადგან „ზამთრის ღამე“ სწორედ ამ რვეულისათვის იყო გამიზნული, მისი დაბადების „ლიტერატურულ ვერ-სიას“ ისევ და ისევ რომანში ვიხილავთ: „იური ანდრეევი-ჩის გარშემო სანეტარო, ბედნიერებით აღსავსე, ცხოვრების მადლით გაბრწყინებული სიჩუმე იდგა. ქალალდის თეთრ ფურცლებს ლამფის შუქი მშვიდი სიყვითლით ეფინებო-და და სამელნის შიგნით, მელნის ზედაპირზეც ოქროსფერ ჭავლად ციმციმებდა. ფანჯრის მიღმა ზამთრის ყინვიანი,

ცისფერი დამე გაყურსულიყო. იური ანდრეევიჩი მეზობელ ოთახში გავიდა, რომელიც სიბნელეს და სიცივეს მოეცვა. აქედან სივრცე უფრო კარგად მოჩანდა. ფანჯრიდან გაიხედა. სავსე მთვარის შუქი დათოვლილ მინდორს კვერცხის ცილასავით თუ თეთრასავით ეღვენთებოდა. აუნერელი სილამაზის ყინვიანი ლამე იდგა. ექიმის სულში მშვიდობა სუფევდა. იგი ნათელ, თბილ ოთახში დაბრუნდა და წერას შეუდგა.

გაკრული ხელით წერდა, ნაწერს გარეგნულადაც გადმოეცა ხელის მოძრაობა, არ დაეკარგა თავისი სახე, სულისკვეთება, არ დამუნჯებულიყო. გაიხსენა და გაუშკობესებული, ადრინდელისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული სახით ჩაიწერა ყველაფერი, რაც უფრო გამოკვეთილი და სამახსოვრო რამ შეექმნა, მათ შორის, „შობის ვარსკვლავი“, „ზამთრის ლამე“ და საქმაოდ ბევრი მათი მსგავსი ლექსი, რომლებიც მერე და მერე მივიწყების ბურუსმა შთანთქა, დაივიწყეს და მას მერე ხელთ აღარავის ჩავარდნია“.\*

როგორც ჩანს, პასტერნაკის ნარმოსახვაში „ზამთრის ლამის“ დარი ლექსი სწორედ იქ, ურალის ქედს მიღმა გადაკარგულ სოფელში, სანთურის მკრთალ შუქზე უნდა გადატანილიყო ქალალდზე. ახლა კი, უკვე შეიძლება, ის „ურალის ქარაგმა“ ავხსნათ, რომლის ამოხსნისათვის პასტერნაკის ბიოგრაფიებს დიდი ჯაფა არ დასდგომიათ – საგანგებო, ავტორისეული მინიშნებანი მკითხველს მაქსიმალურად უადვილებს „ტოპონიმიკურ ნიუანსებში“ გარკვევას: ქალაქი იურიატინო, სადაც ეგზომ საბედისნეროდ გადაიკვეთა იური ჟივაგოსა და ლარისა გიშარის ცხოვრების გზები, იოლად გამოსაცნობი პერმია, ხოლო მის სიახლოვეს განლაგებული – დაბა ვარიკინო, რომელსაც თავს შეაფარებენ ბოლშევიკ ხელისუფალთაგან ათვალ-

\* ციტატები „ექიმ ჟივაგოდან“ (პროზაულიცა და პოეტურიც) მოხმობილია წიგნიდან: ბორის პასტერნაკი, „ექიმი ჟივაგო“ (თარგმანი ნოდარ ნონიაშვილისა), თბ., გამ-ბა „ინტელექტი“, 2007 წ.

ისწუნებული იური და ლარა, რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის უკვე ნაცნობი – ვსევოლოდო-ვილვაა: იმ სტუმართმოყვარე სახლით, რომელმაც ოდესლაც შეიფარა ახალგაზრდა პასტერნაკი, იმ მაგიდით, რომელზეც იწერებოდა „მარბურგი“, მაგრამ ამჯერად „ზამთრის ლამის“ ხელნაწერი იყო გაშლილი...

ახლა, როდესაც ჩვენი „ტოპოგრაფიული ცნობისწადილი“ დაკმაყოფილდა და რამდენადმე გავშინაურდით კიდეც უკვე ნაცნობ გარემოში, უთუოდ უფრო გაბედულად მიმოვიხედავთ გარშემო და ჩავაკვირდებით ამ საკულტო ლექსის (და, იმავდროულად – რომანის) სიმბოლოებსა და პროტოტიპებს.

შეცდომა იქნებოდა, „ექიმი უივაგო“ ავტობიოგრაფიულ რომანად ჩაგვეთვალა, ამ ტერმინის კლასიკური გაგებით. ძალზე ზუსტ განსაზღვრებას მიაგნო აკადემიკოსმა დიმიტრი ლიხაჩივმა, როდესაც რომანს პასტერნაკის „სულიერი ავტობიოგრაფია“ უწოდა. მაგრამ, აი, მისი საყვედური იური უივაგოს „უნებისყოფობისა“ და „დინებას მიყოლის“ თაობაზე, ვვონებ, მთლად სამართლიანი არაა, რადგან უივაგოსეული „უნებისყოფობა“ მხატვრული მანიფესტაციაა პასტერნაკის მსოფლალქმის იმ უმთავრესი პრინციპისა, რომელიც ცხოვრების საზრისს განვითარების მინიშნებათა გამოცნობასა და ღვთაებრივი ნების უდრტვინველად აღსრულებაში ხედავს.

ერთ-ერთი ასეთი „ზეგარდმო ნიშანი“ რომანში, რაღა თქმა უნდა, საკუმლის სიახლოეს მოციმციმე სანთელია – XVII საუკუნის დიდი ფრანგი მხატვრის, უორჟ დე ლატურის მსგავსად, საკრალური და პროფანული სამყაროს მიჯნაზე ანთებული, მათი გამყოფიც და გამაერთიანებელიც. გამორჩეული რუსი პოეტისა და ესეიისტის – ოლგა სედაკოვას თქმით, ეს სანთელი ლარას სიმბოლოცაა და, იმავდროულად, პოეზიისაც. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ლარას პროტოტიპი პასტერნაკის ცხოვრებაში სწორედ 1946 წლის შემოდგომაზე გამოჩნდა და იმთავითვე მისი ლირიკის ძირ-

ითად ადრესატად იქცა, არაა გასაკვირი, რომ „ექიმ უივა-  
გოს“ სანთელი რაღაც იდუმალად იწყებს ციმციმს – ჯერ  
როგორც ფატალური სიყვარულის მანიშნებელი შუქურა,  
მერე, როგორც ამ ტრფობის მოწმე და მესაიდუმლე, დაბო-  
ლოს – „ცვილის ცრემლებით“ მისი დამტირებელი...

„ლარას“ გამოჩენის ისტორია კი თავად ბორის პას-  
ტერნაკმა აღწერა მნერალ რენატა შვეიცერისადმი მიწე-  
რილ წერილში: „მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემ-  
დეგ გავიცანი ახალგაზრდა ქალი – ოლგა ვსევოლოდოვნა  
ივინსკაია და მალევე, ჩემი გაორებითა და ცხოვრების  
ჩუმი, სევდიანი საყვედურებით დათრგუნულმა, დავთმე  
ჯერ კიდევ მყიფე სიახლოვე და გულმტკივანი დავშორდი  
მას. ცოტა ხანში იგი დააპატიმრეს და ხუთი წელი გაატარა  
ციხეში, საკონცენტრაციო ბანაკში. იგი ჩემს გამო აიყვანეს  
და რადგან, საიდუმლო აგენტთა აზრით, ჩემთან ყველაზე  
ახლოს იყო, ცდილობდნენ სასტიკი დაკითხვებითა და მუქა-  
რით ეიძულებინათ, ისეთი ჩვენებანი მიეცა, რომლებიც  
სამხილად გამოადგებოდათ ჩემი გასამართლებისას. მის  
გმირობას, შეუძრეკლობას უნდა ვუმადლოდე, რომ იმ  
წლებში ხელი არ მახლეს. ისაა ლარა ჩემი რომანისა, რომ-  
ლის წერას სწორედ იმხანად შევუდექი... – სიცოცხლის  
ხალისისა და თავდადების განსახიერება“ (თუმცა, აქვე  
უნდა ითქვას, რომ შემდგომ პასტერნაკი ხაზგასმით ლაპა-  
რაკობდა ლარას სახის „სინკრეტულობის“ თაობაზე).

ბედისწერა დიდხანს და საგულდაგულოდ ამზადებდა  
სატრფოთა შეხვედრას: ოლგა ივინსკაიას, იმხანად უურნალ  
„ნოვი მირის“ უმცროს რედაქტორს, დამწყებ ავტორებთან  
მუშაობა ევალებოდა. მაგრამ 1946 წლის ოქტომბრის ერთ  
მშვენიერ დღეს ის თვალებს არ უჯერებდა, რადგან „დამ-  
წყები ავტორი“ 56 წლის აღმოჩნდა, ზედგამოჭრილი ბორის  
პასტერნაკი იყო და თან დაუფარავი ინტერესით აკვირდე-  
ბოდა „უმცროს რედაქტორს“. ოლგა ივინსკაიას ამგვარი  
ინტერესის ამოცნობა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა,  
რადგან ამ 34 წლის, ქერა, მომხიბლავ, ხალისიან ქალს,

რუსები რომ იტყვიან, – „бурная биография“ ჰქონდა (შესატყვისი ქართული ევფემიზმია – „რთული ცხოვრება“): პირველმა ქმარმა ეჭვიანობის ნიადაგზე თავი მოიკლა, მეორე – მოუკვდა და ხელთ ორი უმწერი ბავშვი შერჩა. განსვენებულებს საეჭვიანო მიზეზები, როგორც ეტყობა, ნამდვილად არ აკლდათ, რადგან, ივინსკაიას გარდაცვალების შემდეგ, მისივე ქალიშვილი, ირინა ემელიანოვა, რუსული გულახდილობით დაწერს: „დედაჩემს ათეულობით მამაკაცი ჰყავდა კლასიკოსამდე, მაგრამ აღარცერთი – შემდეგ!“.

ოღვა ივინსკაია არ იყო იმ ტიპის ქალი, რომელიც ახალ სატრფოს „უმანკოების ზღაპრებით“ კვებავს. მაგრამ არც ბორის პასტერნაკი იყო ის მამაკაცი, რომელიც ვისიმე ცხოვრების გარეგნულ ქარგასა და შინაგან სამყაროს ერთმანეთში ურევდეს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია მისი სულიერი ორეულის, იური უივაგოს რეაქცია საყვარელი ქალის – ლარა გიშარის (დავაზუსტებ: იმ დროისათვის, უკვე – ანტიპოვას) აღსარების პასუხად: „...მგონია, ასე ძალიან არ მეყვარებოდი, – ეუბნება იგი ლარას, – არაფერს რომ არ უჩიოდე ან არ ნანობდე. არ მიყვარს ის ხალხი, ყველაფერში რომ მართლები არიან, არასოდეს დაცემულან და არც ოდესმე წაბორძიკებულან. მათი სათხოება მკვდარია და ნაკლებად ფასეული. ცხოვრების ხიბლი მათ არ უხილავთ“.

ეს მონოლოგი, ერთი მხრივ, ქალისადმი დოსტოევსკის მიმართებას გაგონებთ, მეორე მხრივ კი – ბიბლიურ მიზანსცენას – მაცხოვრითა და მარიამ მაგდალელით...

ივინსკაიას ქმრისაგან განსხვავებით, პასტერნაკის ცოლები თავს არ იკლავენ, ნევროზს სჯერდებიან: პირველი ცოლი – მხატვარი ევგენია ლურიე (1898-1965) პასტერნაკმა 1922 წელს შეირთო და ცხრა წლის შემდეგ დატოვა. მათი ვაჟი – ევგენი პასტერნაკი, პოეტის ყოვლისმომცველ 700-გვერდიან ბიოგრაფიაში, ლარას პროტოტიპებზე საუბრისას, დედამისის თემას დელიკატურად გაურბის; სამაგიეროდ, ისე, სასხვათაშორისოდ, აღნიშნავს, რომ ზინაიდა ნიკოლაევნას „უივაგოში“ ლარა გიშარისა და ავადსახსენებელი

კომაროვსკის „ინტიმური ისტორია“ აშკარად „აღიზიანებდა, რადგან პასტერნაკმა რომანტიკული ელფერი შემოაცალა მის პირველ სიყვარულს...“. როგორც ვიცით, „ზინაიდა ნიკოლაევნა“ – ზინაიდა პასტერნაკია (1897-1966), მრავალ-თათვის ცნობილი მისი პირველი ქმრის – გამოჩენილი პიანისტის, ჰენრიხ ნეიპაუზის გვარით, – იმ ჰენრის ნეიპაუზისა, რომელსაც წაჰავარა ცოლი ახლად დამეგობრებულმა ბორის პასტერნაკმა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ისინი მაინც მეგობრებად დარჩნენ: ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ პირ-შიმთქმელ ზინაიდა ნიკოლაევნას არაფერი დაუმალავს ქმრისათვის, ხოლო თავად ნეიპაუზს მეორე ოჯახი აღმოაჩნდა და, სრულიად ბუნებრივი შოკის შემდეგ, როგორდაც გადაერთო დამთრგუნველი ემოციებიდან...

თვითონ ბორის პასტერნაკი მარინა ცვეტაევასად-მი მიწერილ წერილში ასე იხსენებდა 1930 წლის იმ ზაფ-ხულს კიევის მახლობლად, რომელმაც ერთბაშად შეცვალა მისი ცხოვრების გეზი: „ზაფხული გავატარეთ გასაოცა-რი მუსიკოსის, ნეიპაუზის ოჯახთან ერთად. სულ უფრო და უფრო მივეჯაჭვე მათ. ისეთი ძალები ამოქმედდა, რო-მელთაც ვერასდროს ვენინააღმდეგებოდი: ქმრის ზე-შთაგონებული ტალანტი და ცოლის საოცარი სილამაზე, მაღალი, ინსტინქტური სულიერებით გასხივოსნებული...“.

ერთი წლის შემდეგ, პასტერნაკი თავის აღფრთოვანე-ბას ახალი სიყვარულით „მეორედ დაბადებად“ აღიქვამს. მისი იმუამინდელი შეგრძნების ეს სახელდება გამეორდება ლექსების ახალი კრებულის დასახელებაში, ხოლო ზინა-იდას გამოჩენით ინსპირირებული დრამატული ხლართი აისახება უსათაურო ლირიკულ შედევრში – „ზოგიერთების სიყვარული მძიმე ჯვარია...“.

თავის მოგონებებში, რომლების წერასაც ზინაიდა პას-ტერნაკი პოეტი-მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ შეუდგა, მას ლარას „სინკრეტულობის“ გაგონებაც კი არ უნდოდა და ეჭვმიუტანლად მიაჩდა თავისი „ექსკლუ-ზიური უფლებანი“ ექიმ უივაგოს წარმტაც, მაგრამ საბე-

დისწერო სატრაფოსთან მსგავსებისა... ეს მხოლოდღა ქალური ამბიციის გამოვლინება არ გახლდათ: ერთი პლასტი რომანისა (და, ლარა გიშარის პორტრეტისაც) მართლაც იყო ნაკარნახევი ზინაიდა ნიკოლაევნას ხასიათის თვისებებით, მისი ინტიმური დრამებით და პასტერნაკის იმდროინდელი განცდებით (პირველსა და მეორე ცოლს შორის „ანტრაქტში“ ყოფით კონფლიქტებში აბსოლუტურად უმნეო და დაუცველმა პოეტმა 1932 წელს სასონარკვეთისას თავის მონამვლაც კი სცადა).

წარმოუდგენელია, ასეთი ემოციური ტრაგმებითა და სასიყვარულო ზეატაცებით დაწყებული თანაცხოვრება არ ასახულიყო მის სულიერ ავტობიოგრაფიაზე.

მაგრამ თუ „ჩვენს“ „ზამთრის ღამეს“ დავუბრუნდებით, თავისი მოციმციმე სანთლითა და განათებული სარკმლით, ისევ და ისევ ოლგა ივინსკაიას უნდა მოვუსმინოთ. თავის მოგონებებში იგი აღნერს, პასტერნაკთან რომანის დასაწყისში როგორ ეძებდნენ ისინი პოეტის მეგობარი ქალის – პიანისტ მარია იუდინას სახლს, როგორ დაიბნენ დათოვლილ ქუჩებში, დაბოლოს, სანთლისმაგვარი ნათურით განათებული სარკმლით როგორ მიაგნეს მასპინძელა: იუდინა უკრავდა, პასტერნაკი „უივაგოს“ ნაწყვეტებს კითხულობდა... წამოსვლისას მას ივინსკაიასათვის უთქვამს: „ერთი ისეთი ლექსი დავწერე, რომელიც სწორედ თქვენს უურნალს გამოადგება. „ზამთრის ღამე“ ერქმევა...“

მეორე დღეს მან რედაქციაში მომიტანა ლექსი:

თოვდა და მთელი დედამინა  
თეთრ ზღაპარს ენდო.  
სანთელი ენთო მაგიდაზე  
სანთელი ენთო...“

(ოლგა ივინსკაია, „წლები ბორის პასტერნაკთან“)

„ექიმ უივაგოს“ კონტრაპუნქტში განათებული სარკმელი და ჩამოღვენთილი სანთელი გამჭოლ, სევდიან, გულში

ჩამწვდომ მუსიკალურ თემად ჟღერს: ამ სანთლის შუქზე ერთ შობის ლამეს გადაწყდება ლარა გიშარისა და პავლე ანტიპოვის შეულლება და სწორედ ამ შუქს შეავლებს თვალს იური ჟივაგო, რომელიც მარხილით მიემართება საშობაო დღესასწაულზე: „კამერპერის შესახვევიც ჩაიქროლეს. იურას ყურადღება ერთ-ერთი ფანჯრის ყინულის ჯავშანში შავად შემდნარმა ჭრილმა მიიპყრო. ამ ჭრილში სანთლის შუქი ციაგებდა და გარედან ისე მოჩანდა, თითქოს ქუჩას უთვალთვალებს, ვიღაცას ელისო.

„სანთელი ენთო მაგიდაზე, სანთელი ენთო...“ – რაღაც ბუნდოვანის, ჩამოუყალიბებლის დასაწყისს თავისთვის ბუტბუტებდა იურა იმ იმედით, რომ გაგრძელება ძალდაუტანებლად, თავისით მოვიდოდა. ის კი არა და არ მოდიოდა“.

ამ სანთელის შუქზე ვხედავთ ჩვენ მძინარე ლარასა და მისი პატარა გოგონას ცქერით მოჯადოებულ ექიმს და ვისმენთ მის მონოლოგს, რომელშიც ნათქვამია ყველაფერი, რაც კი უნდოდა ეთქვა ლოცვაალვლენილ, ექიმად გარდასახულ ბორის პასტერნაკს – თავის თავზეც, თავის სიყვარულზეც, იმ სამყაროზეც, რომლის ღვთაებრივი ჰარმონიის განუყოფელი ნაწილიც იყო მისი განვლილი ცხოვრებაც და ამჟამინდელი სიყვარულიც:

„ლმერთო! ლმერთო!“ – მზად იყო ასე ეჩურჩულა. – „ეს ყველაფერი ნუთუ ჩემია! მაგრამ ამდენი რად მომიძღვენი? როგორ მიმიშვი შენს სიახლოვეს, ან ვით მიბოძე ნება, უფალო, რომ მეყიალა შენს უძვირფასეს დედამიწაზე, ამ ვარსკელავებით მოჩარდახული ზეცის თავანქვეშ, რომ დამეჩოქა ამ განუსჯელი და უდრტვინველი, ბედდანავსული მზეთუნახავი ქალის ნინაშე“.

ისიც გვახსოვს, როგორ დაინთება კვლავ ეს სანთელი კამერპერის შესახვევის იმავ ოთახში, სადაც ოდესლაც ლარას პირველი ქმარი ცხოვრობდა, მაგრამ ბოლოხანს იური ჟივაგომ დაიქირავა და იქ აღესრულა კიდეც. განგებას სურდა, შორეული აღმოსავლეთიდან დაბრუნებულ ლარას მაინცადამაინც აქ, ამ სანთლის ქვეშ დასვენებული

ენახა თავისი ერთგული მეტრუე და მწარედ, გულამოს-კვნით დაეტირა მათი შეუმდგარი თანაცხოვრება...

ცნობილია, რომ „შივაგოს“ ჭირვეულ მკითხველთაგან – ზოგიერთი ავტორს საყვედურობდნენ – არადამაჯერე-ბელია ამდენი თანხვედრა ერთი სიუჟეტის მანძილზეო.... არ ვიცი, რას პასუხობდა მათ ბორის პასტერნაკი, მაგრამ „ცხოვრების ფანტაზია“ უფრო ამოუწურავი რომაა, ვინემ ნებისმიერი მწერლის წარმოსახვა, ამის დასტური ისევ და ისევ „შივაგოს“ ავტორის „ბოლო სიყვარულის“, ანუ ოლგა ივინსკაიას („ლელიჩკას“, როგორც მოფერებით მიმართავ-და მას პოეტი) დაუჯერებელი თანხვედრებით და გამაოგნე-ბელი მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრება იყო....

რას წარმოიდგენდა ბორის პასტერნაკი, რომ იმ წუ-თებში, როდესაც იგი ნინო ტაბიძის (ტიციანის ქვრივის) ნაჩუქარ „გერბიან ქალალდზე“ ოლგა ივინსკაიასადმი მიძ-ლვნილ მორიგ ლექსს წერდა „შივაგოს რვეულში“ –

შინაურები გავხიზნე შორეთს,  
კარგა ხანია, არვინ მხვდება შინ.  
და მარტობის სიმღერა მდორედ  
შემოდის გულშიც და ბუნებაშიც...  
(„შემოდგომა“, 1949)

– რომ ის დიდი ხნის განმავლობაში ველარ შეძლებს, პატარა ტბორის გადაღმა დასახლებული სატრფოსაკენ გაეშუროს, ბედსშერიგებული ზინაიდა ნიკოლაევნასა და ცნობისმოყვარე პერედელკინოელი მეზობლების გამჭო-ლი მზერისქვეშ, რადგან მისი ძვირფასი „ლელიჩკა“ უკვე „ლუბიანკაზეა“, უშიშროების იზოლატორში, პირველ და-კითხვაზე, ბრალდებით: „შპიონაჟში ეჭვმიტანილ პირებთან სიახლოვე“. „შპიონაჟში ეჭვმიტანილი“, რაღა თქმა უნდა, თავად პასტერნაკი იყო, მაგრამ „ქარაფშუტა“ ივინსკაიას უტეხი ხასიათი აღმოაჩნდა და ვერანაირი სამხილი ვერ დააცდენინეს.

ისე, „საერთო ანგარიში“ მაინც ჩეკისტების სასარგებლოდ იყო: ივინსკაკია „გულაგში“ აღმოჩნდა (მას მხოლოდ 1953 წელს ათავისუფლებენ ამნისტით); პასტერნაკი – „ბოტკინის საავადმყოფოს“ კარდიოლოგიურ განყოფილებაში (ჯერ მისი უკვე გამოცემული „რჩეულის“ 25. 000 ეგზემპლარის სტამბაშივე დაჭრამ მოცელა, მერე – ივინსკაიას დაპატიმრებამ...).

ზინაიდა ნიკოლაევნა სფინქსის სიმშვიდით ხვდებოდა მთელ ამ ქარტეხილს. თუ სატრფომ პასტერნაკი დაჭერისაგან იხსნა, ცოლმა სიკვდილს გამოსტაცა. მისი თავდადებული მოვლა-პატრონბა რომ არა, პასტერნაკი 1952 წელს ნამდვილად გადაჰყვებოდა იმ უმძიმეს ინფარქტს. და საერთოდაც – ზინაიდა პასტერნაკს თავის დანიშნულებად მიაჩნდა, პოეტი მეუღლე მაქსიმალურად განეტვირთა ყოფითი პრობლემებისაგან. თანაცხოვრების ოცდაათი წლის განმავლობაში ეს თვისება, რომლითაც პასტერნაკი თავდაპირველად ესოდენ აღტაცებული იყო (მით უმეტეს, მისი პირველი ცოლის აბსოლუტური არაპრაქტიკულობის ფონზე), ნელი-ნელ ზინაიდა ნიკოლაევნას წინააღმდეგ შემობრუნდა: პასტერნაკის ომისშემდგომ წერილებში აქა-იქ შენიშნავთ გაღიზიანებას მეუღლის „პროზაული“, „ობივატელური“ ინტერესებით და ა.შ.

„პოეტური“ თანამგზავრის ვაკანსია ოლგა ივინსკაიაშ შეავსო: იგი თვითონაც წერდა ლექსებს (სხვათა შორის, ძალიან გულწრფელს და სასიამოვნოდ საკითხავს), თარგმნიდა, მაგრამ, რაც მთავარია – ზეპირად იცოდა მთელი პასტერნაკი და ეთაყვანებოდა თავის კერპს.

ასე რომ, განგებას არაფერი შეშლია, როცა 1946 წლის ოქტომბრის იმ ტკბილადმოსაგონარ დღეს თვალებში სხივჩამდგარი ოლგა (ანუ ლარა) შეახვედრა „ნოვი მირის“ რედაქციაში შებოდიალებულ ექიმ უივაგოს, რომელიც ასე უცნაურად ჰგავდა უურნალის უმცროსი რედაქტორის უსაყვარლეს პოეტს...

ერთადერთი, რასაც ოლგა-ლარა საყვედურობდა ბედს, ის იყო, რომ პასტერნაკების ოჯახმა ნება არ დართო, გამოსთხოვებოდა მომაკვდავ ბორის-იურის და პერედელ-კინოში 1960 წლის მაისის ბოლო ღამეს პასტერნაკის სას-თუმალთან ანთებულ სანთელს იგი შორიდან უცქერდა:

სანთელი ენორ მაგიდაზე,  
სანთელი ენორ...



## „ნატვრის ხის“ ჩრდილება

თითქმის სამოცი წელია, რაც „ნაკადულში“ 1962 წელს გამოცემული გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ ჩემი სამაგიდო წიგნია: თავდაპირველად უთუოდ ჩემი მშობლების მეგობრისა და ჩემი ნათლის ძვირფასი საჩუქრით მოგვრილი აღტაცება გადმომედო (წარწერა ლაკონიური, მაგრამ მრავლისმეტყველი იყო: „პირველი ეგზემპლარი – ანიკოს და გიორგის. ძმური სიყვარულით. გოგლასაგან. 22. III – 62“); აი, მერე კი დაიწყო ტკბობა ამ ჯადოსნური ტექსტით და დღემდე უწყვეტი პროცესი აქ „გადამალული“ მარგალიტების ძებნისა...

ასე გავაცნობიერე გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზის ამ შედევრის ნამდვილი ფასი – როგორც ქართული/კახური ხასიათის, ადათის, ფოლკლორის, იუმორის, სახელთა და მეტსახელთა უმდიდრესი სიტყვაკაზმული ენციკლოპედიისა.

გასული საუკუნის სამოციანი წლების დამდეგს, როდესაც „ნატვრის ხის“ ნოველების გამოქვეყნება დაიწყო, ქართველმა მკითხველმა თავიდან აღმოაჩინა პატარა, მამით დაობლებული ბიჭო-გოგიას თვალით დანახული XX საუკუნის დასაწყისის გარეკახეთი. „ნატვრის ხემ“ განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩინა, რამდენი რამ გამოქერნა გიორგი ლეონიძეში სწორედ იმ წლებმა, მისმა პატარძეულმა, ახალსოფელმა, სადაც იგი მამიდამ წაიყვანა სასწავლებლად, იმ ადამიანებმა, იმ ურთიერთობებმა – იმ სისათუთეთამაც და იმ სუსხმაც, რასაც აგრძნობინებს ხოლმეცხოვრება მამით დაობლებულ პატარა ბიჭს.

გიორგი ლეონიძის ბავშვობის წლებზე, უმჯობესია, მის-  
სავე მონათხრობს მოვუსმინოთ: „დავიბადე გარე-კახეთში  
(დაზუსტებული მონაცემებით, გიორგი ლეონიძე 1899 წლის  
27 დეკემბერს დაიბადა, – ზ.ა.), ჩემი სამშობლო სოფელი  
პატარძეული, მართლაც, ივრის ხეობის თვალია: მაღალი  
მდებარეობა, საღი ჰავა, მშვენიერი წყაროები, განთქმულია  
მისი გემრიელი პური.

...ორი სიტყვა ჩემი გვარისათვის: ჩვენ, ლეონიძეები, მო-  
სულები ვართ პატარძეულში და არა მკიდრნი. ჩვენ, რო-  
გორც ყველა ლეონიძე, ვართ შავშეთიდან, განთქმულ ტბე-  
თის ტაძართან ახლოს, 5-6 კილომეტრის მანძილზე.

მამაჩემი ნიკოლოზ სიმონის ძე ლეონიძე (1864-1901)  
მე არ მახსოვს, რადგან წლინახევრის დავობლებულვარ.  
მე დედაჩემის, სოფიო ნიკოლოზის ასულ გულისაშვილის  
(1864-1936), კალთაში აღვიზარდე. ...მამაჩემი დიდი პოეტუ-  
რი ბუნების მქონე ადამიანი ყოფილა და მწერლობის დიდი  
მოტრფიალე. იგი სწავლობდა გორის საოსტატო სემინარ-  
იაში ვაჟასთან, ბაჩანასთან ერთად. სოფრომ მგალობლიშ-  
ვილი და შიო მღვიმელი თავის მოგონებებში ახსენებენ მას,  
როგორც ვაჟას დიდ მეგობარს – ერთად კითხულობდნენ,  
ერთად თევზაობდნენ, ერთად კრივობდნენ.

....მამაჩემი „აკაკის“ წრის „ნევრი ნევრი ყოფილა ვორ-  
ში. 1886-1887 წლებში დაასრულა ვორის სამასწავლებ-  
ლო სემინარია და ხალხოსანთა ასპარეზზე დაიწყო მოღ-  
ვანეობა. ის ჯერ მთიულეთში მასწავლებლობდა (სოფელი  
ლუდა) მერე – ქვემო ჭალაში (ქართლი), შემდეგ – თავის  
პატარძეულში. გაზეთი „ივერია“ მას აღნიშნავს, როგორც  
საუკეთესო მამულიშვილ მასწავლებელს, რომელიც ხში-  
რად თავის ხარჯზე აჭმევდა მონაფეობას, მონანილეობდა  
წარმოდგენებში სოფლად – იგივე ივერია მას „ჩინებულ“  
ამსრულებელს ეძახის. მაგრამ მთავარი მისი სიყვარული  
იყო ქართული მწერლობა. ნიკო ლეონიძემ თვითონაც სცა-  
და კალამი ბელეტრისტიკაში; როგორც უურნალ „თეატრის“  
ფოსტა გადმოგვცემს, მასზე იმედებს ამყარებდნენ... ნიკო

ლეონიძე ჯერ ისევ ახალგაზრდა, 39 წლისა, გარდაიცვალა  
პატარძეულში, სადაც მარხია...

ოჯახის გაძლოლა დედამ ითავა და შავკაბოსანმა იმდე-  
ნი მოიმეცადინა, რომ ხუთივე შვილი აღვგზარდა (დედაჩე-  
მზე მაქს დანერილი – „პოეტის დედა“, „პატარა ქვაო პა-  
ტარძეულში“, „ფორთოხალა“).

დედაჩემის კეთილი ხასიათი დღესაც განთქმულია  
მთელს გარე-კახეთში და ყოველთვის მაგალითად მოჰყავთ.  
საოცრაო პურადი დიასახლისი იყო: პირველი ლექსი, რაც  
მან დამასწავლა, იყო:

ნეტავი ჩემი სასხლე მაღლა მთასზედა ამეგო,  
გამვლელ და გამომვლელისთვის  
ყოველდღე კარი გამეღო,  
რაც მეშოვა და მეპოვა, სულ ღარიბებზე გადმეგო.  
საოცრად უყვარდა ბუნება და ბევრი რამ აუხსნია ჩემთ-  
ვის ბუნების ცხოვრებიდან.

...ნინონმინდის დეკანზის ასული – დედაჩემი – შინ-  
გაზრდილი ქალი იყო. სკოლაში არ მიეცათ, მაგრამ საიდან  
პერნება ამდენი ცოდნა, მავალითად, მშობლიურ ლიტერა-  
ტურისა, დღესაც არ ვიცი. პირველად მან ჩამინერვა სიყვა-  
რული ჩვენი მწერლობისა და ჩვენი ისტორიისა. როდესაც  
ივი და მისი და მაიკო მოჰყვებოდნენ ერეკლეს ამბებს,  
მარიამ დედოფლის და ბაგრატიონების გადასახლებას  
რუსეთში, მე დიდხანს მეგონა, რომ ისინი ჩვენი ნათესავები  
იყვნენ. ისე მღელვარებით გადმოგვცემდნენ მათს ამბებს.  
არც მამიდები იყვნენ დაშორებულნი მწერლობის ინტერე-  
სებს: უფროსი, მარიამი, ილია ჭავჭავაძის ოჯახში დადიო-  
და ხშირად, როვორც ოლდა ჭავჭავაძის მამის, თადეოზის,  
ნათლული; უმცროსი, ტასო, გატაცებული იყო დიდტანიანი  
მოთხოვნების ნერით. საერთოდ, ჩვენს ოჯახში ლიტერა-  
ტურის სიყვარულის ტრადიციები საქმაოდ იყო განმტკიცე-  
ბული (“ავტობიოგრაფიიდან”).

გიორგი ლეონიძის ლექსებიდან და კიდევ უფრო მისი  
„ნატვრის ხიდან“ კარგად ჩანს, რა იშვიათი უცთომლობით

გრძნობდა იგი კახური სოფლის კოლორიტს – პეიზაჟის, ხასიათების, ურთიერთობების განუმეორებელ დეტალებში გაბნეულს.

არის ნაწარმოებები, რომელთა სიუჟეტური ქარგა უკვე თავისთავად მოიცავს რაღაც ინტრიგას: სიტუაციები მოულოდნელ სიურპრიზებს გვპირდებიან, პერსონაჟები კი – უეცარ ფერისცვალებას. ამ მოლოდინით ატაცებულნი, ჩვენც წრფელი ინტერესით მივყვებით მონათხრობს; შემდეგ, როდესაც ჩვენი ცნობისწადილი უკვე დაკმაყოფილებულია, ვხურავთ წიგნს და, როგორც წესი, აღარც ვუბრუნდებით მას...

„ნატვრის ხეში“ ყველაფერი პირიქითაა: ხასიათები უკვე გამოძერნილია, ურთიერთობანი – საუკუნეებით დადგენილი, კონფლიქტები – ისევ და ისევ ამ ტრადიციული გარეკახური სოფლის ჩარჩოს არგაცდენილი... მაგრამ – რა ხასიათები, რა ურთიერთობები, რა კონფლიქტები და – რა ენა და რა იუმორი!

არ შემიძლია, აქვე ერთი ერთი პატარა ილუსტრაცია არ მოვიხმო. ამასთანავე, სრულიად გამიზნულად არ ვიხსენებ „ნატვრის ხის“ ქრესტომათიულად ცნობილ პორტრეტებს (მათ პოპულარობას, გულწრფელნი თუ ვიქებით, თენიზ აბულაძის კინოფილმმაც შეუწყო ხელი). ისეთ ჩანახატს შეგახსენებთ, მრავლად რომაა გაბნეული ლეონიძის ავტობიოგრაფიულ წიგნში და „ნატვრის ხის“ გაუნელებელ ხიბლს რომ განაპირობებს.

„ღვინჯუადანაა“ ეს პორტრეტი, სტუმართა ჩამონათვალში „სასხვათაშორისოდ“ ჩახატული: „ტყავის ფეშტემალაფარებული ელამი კალატოზი ყიჭალა, სულ მთვრალი! კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეეცათო!“ და მართლაც ნავაგლახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიდოდა, ან გვერდზე გადმოიხვრეოდა.

სოფელი მაინც მადლიერი იყო ყიჭალასი: – სხვა არც მავ სიკეთეს გვიზამდაო!“.

ყიჭალას გახსენებაზე – საგანგებო გამოკვლევა შეიძლება დაიწეროს „ნატვრის ხის“ სახელთა პოეტიკაზე. მაგრამ, მოდი, ჯერ ნუ დავტოვებთ ღვინჯუას პურ-მარილიან სახლში გამართულ ნათლობას და მისი სტუმრების ჩამოთვლას მიყვეთ. ყიჭალა უკვე ვახსენეთ. ახლა დანარჩენები?

თავად გოგლა (რაღაც „თავისით ჩაჯდა“ აქ გიორგი ლეონიძის მოფერებითი სახელი და აღარ გადავასწორებ) ასე იწყებს თავის „ხომალდების კატალოგს“:

„ვინდა არ იყო წვეული? ვინ არ გინდა, ისიც სულ გახახელებული ხალხი, ნათლობის სახელი თითონ რომ აღარ ახსოვდათ!“.

აი, მერე იწყება ჩამოთვლა, თუ უფრო ზუსტი ვიქნები – ჩამოთვლა-დახასიათება. და კიდევ ერთი დაზუსტება, სწორედ სახელთა პოეტიკასთან დაკავშირებით: ის, ავტორისეული, სხარტი, სახასიათო მონასმი, სულ ორიოდე შტრიხით რომ წარმოგვისახავს „სუფრის წევრის“ პორტრეტს, უმეტეს შემთხვევაში, ასრულებს ან აგრძელებს „პირველად დახასიათებას“, რაც უკვე აკუმულირებულია მეტსახელის მეტაფორაში.

აბა, დააკვირდით: ჩამონათვალი ყველაზე პატივსაცემი სახელებით იწყება: დეკაუი, ფოლადგულა, ნათლია მგლეხარი... შემდგომ ამისა, ერთგვარი „სიჭრელეა“ (იმ სოციუმისავე კრიტერიუმებით, ცხადია) – „მუშტრის ავთვალდაკრული მენვრილმანე ჩანჩჩუბა; სოფლის დალაქი, თავბერა, მიკვირია კაცი...; თავანკარა კაცი, – გუთნიდედა თარიმანი; ტროყია – მეტყეურე, – ანუ ტყის მცველი, გაურანდავი კაცი, თვალხუჭია...; მეშუშე კლიკო, – შემპარავი, ავის მდომი...; ენამძინარი, ღეჭია მეველე – ყრუჩა...; თოხიტარა – ნალევა კაცი, უდღეურა, უფრთიანო, უვარსკვლავო!; ლობემძვრალა, ასკინკილა, ნიპრუა, – ნაცარნაყრილი, გაბათილებული ცალკე სიღარიბისა, ცალკე აშარი ცოლისაგან; „მეღორ-ხბოვე – ცხვირგატეხილი ბაჭყურა; უქო, უტყვი კოსინე – ძეძვის მჭრელი... და განა ვინგინდავინ ან

ყველავინმე? – განაგრძობს ავტორი, – არა, სულ ნარჩევი, დარბაისელი ხალხი! – რუმბია, ყლარტია, ბოტი, ბანჯურა, ლაჩინა, ხლართია, ზაქუტა, ოდოჭა, ფუმფლა, ყლინწო, ქვიშრაფა, ღინტალა, ბატატა, ხინვა, ყბალია, ტარაკუჭა, ლოპა, ნვერიკაზმია, ლიტრიძირი!“.

მეტსახელთა ამ მარგალიტებიდან ერთიც რომ არ იყოს საკუთრივ ლეონიძისეული, ქართველი მკითხველი მაინც სამარადუამოდ მისი მოვალე იქნებოდა ამ იშვიათი განძის შემონახვისათვის.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვით ტკბობა, გნებავთ – თრობა, გიორგი ლეონიძეს მხოლოდ როგორც მხატვარს როდი ახასიათებდა; ეს იყო მთელი მისი ცხოვრების გატაცებისა და ინტერესის საგანი, და ამის საუკეთესო დასტური გახლავთ მისივე ძიებანი ონომასატიკის, ტოპონიმიკისა და, საზოგადოდ, ლექსიკოლოგის სფეროში „ნამცვრევის“ პოეტური სახელით გაერთიანებული (იხ. გიორგი ლეონიძე „ნამცვრევი“, თბ, 2000 წ.).

ნიშანდობლივია ამ წერილთაგან ერთ-ერთის, „ქართული სახელების“ დასაწყისი: „უპირველესად, რამ გამაბედინა, რამ მაიძულა მეზრუნა ამ საქმისათვის, – ე.ი. მეჩხრიკნა, მეძებნა, მეთვალიერებინა, ამესახა, ამეკრიფა ის „ქართული სახელები“, ქართული „სახელწოდებანი“, რომლებიც შექმნა, ნარმოაჩინა ჩვენმა სინამდვილემ, ჩვენმა ისტორიამ, ჩვენმა ცხოვრებამ, სახელები, რომელთაც ატარებდნენ ჩვენი წინაპრები და რომელნიც, დღეს შეიძლება ატაროს ქართველმა, ნაცვლად იმ უმართებულო, უშვერი, უჯერო და საჩიონირ სახელებისა, რომელნიც ასე უზრუნველად და უცნაურად ვრცელდება ჩვენში“ („ნამცვრევი“).

ალბათ, ამიტომაა, რომ სულხან-საბასადმი მიძღვნილი ლეონიძისეული ლექსის ერთი სტროფი ყოველთვის გვიტოვებს მეორე ადრესატის შეგრძნებას და, ვგონებ, მე არა ვარ ის ერთადერთი მკითხველი, ვინც საბას დიდებული ფიგურის ზურგს უკან თავად ავტორს ხედავს:

.....

და როს ღრუბელი გულს გიბნელებდა,  
სამშობლოს ცაზე გამოხლართული,  
შენ სამკურნალო ბალახებივით  
მოგიკრეფია სიტყვა ქართული...

„ნატვრის ხის“ პორტრეტების გალერეა ადამანური ხა-  
სიათების სრულ დიაპაზონს მოიცავს – შესაძლოა, ამ იდეას  
არც გულისხმობდა ავტობიოგრაფიული ნოველების თავ-  
დაპირველი ჩანაფიქრი, მაგრამ ხასიათების ამ მრავალ-  
ფეროვნებამ და სიმდიდრემ ერთი გარეკახური სოფელი  
„მთელი დუნის“ პატარა მოდელად წარმოსახა – თავისი  
ბრძენებითა და შერეკილებით, ტრადიციის ბურჯებითა და  
ანარქისტებით, ცას მიჩერებული იდეალისტებითა და მიწას  
ჩაბლაუჭებული რეალისტებით...

თუმცა ეს მხოლოდ ერთი ხედია „ნატვრის ხის“ კენწე-  
როდან გაშლილი თვალსაწიერისა და, ვგონებ, არც თუ  
მთავარი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა რომ ლეონიძი-  
სეული სოფელი მაინც თვითკმარი ცხოვრებით ცხოვრობს,  
თავისი ფასეულობებით, თავისი ადათით, თავისი დღე-  
სასწაულებითა და დრამებით... ერთნი წელმაგარნი არიან,  
მეორენი შეჭირვებული, მაგრამ არცერთ მათგანს სხვაგან  
ცხოვრება არ წარმოუდგენია – სამყარო მათთვის ამ სოფ-  
ლის შემოგარენითაა შემოსაზღვრული...

ერთი ნოველა „ნატვრის ხეში“ მოგვითხრობს ამ საუკუ-  
ნეებით შექმნილი ერთობლიობიდან ამოვარდნილი „უძლები  
შვილის“ ისტორიას: „ორმოც წელიწადზე მეტი იყო სოფლი-  
დან თბილისში მეეტლედ გაქცეული იაგორა და ერთხელაც  
არ გახსენებია სოფელი“. ასე ინყება „მეეტლე იაგორა“ –  
ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი ამბავი „ნატვრის ხეში“ მონა-  
თხრობთაგან.

გაციებულ მამისეულ კერას დაუბრუნდა ქალაქის  
„უცხო მშვენებებს“ დახარბებული „უძლები შვილი“. მაგ-

რამ, ვაი რომ, გვიანი აღმოჩნდა ეს დაბრუნება – იმიტომაც, რომ გლეხური გარჯის გემოც დაკარგა და უნარიც, მაგრამ კიდევ უფრო იმიტომ, რომ რაღაც უცხო სენი, რაღაც ცთუნება ერთთავად ღრღნის მის სულს, არ ასვენებს, ძილს უფრთხობს, აფორიაქებს, ბოლოს კი – სიცოცხლეს გამოასალმებს: „ – ახ, ვერა ვძლევ უქალაქოდ, იქაურ სინათლეს ვენაცვალე! კაციც ის არის, ვინც ქვაფენილი გამოიგონა! ვერა, ვერ ვიტან აქაურ ტალახს, აქაურ სიბნელეს! ქათმებთან ერთად როგორ დავიძინო? მარტო ვარ... მომწყინდა... შინ რა მინდა... თუ არა და ციხეში წავალ, იქ ხალხში მაინც ვილაპარაკება...“ („მეეტლე იაგორა“).

ჩვენი ციხეები დღემდე სავსეა ასეთი „იაგორებით“. თუ აქ ვიტყვით, რომ „ნატვრის ხის“ ჩრდილქვეშ მოთხრობილმა პატარა ამბავმა ჩვენი დროის ერთი ყველაზე დიდი სატკივარი ასახა, ალბათ, ზეაწეულად გაიუღერებს. მაგრამ ეს მართლა ასეა!

ამ თანაგანცდაშიც, „ქართლის ცხოვრების“ თვალებგაფართოებულ მკითხველშიც (ლეონიძისეული ლექსებიდან რომ გვახსოვს) ვხედავთ სწორედ იმ „სულის მარგებელი საღამოებით“ ნაზარდ ყმაწვილს, რომელსაც, დედის მონათხობით გულდათუთქულს, რუსეთს ადგილმიჩნილი ბაგრატიონები სისხლით ნათესავები ჰეგონია...

სამშობლოს ისტორიული ბედუკულმართობის მძაფრი განცდა გიორგი ლეონიძის პოეტურ სტრიქონებს თვითმხილველის დამაჯერებლობას ანიჭებდა. როდესაც მის პროზაზე ვლაპარაკობთ, აქ ისევ და ისევ „ნატვრის ხის“ ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი პერსონაჟი, სოფლის ბავშვების მოძღვარი, ჩორები გვახსენდება: „სამშობლოს ბედით მუდამ მჭმუნვარე, ჭირნანახი, სევდით გულდაღამებული, მხოლოდ წარსულის ტრფიალი...“; ის ჩორები – „წარსულით რომ სუნთქავდა, ქართლის ჭირი რომ ღრღნიდა, ვითარც მოურჩენელი სენი“, და რომელიც „თვალნათლივ ხედავდა საქართველოს ჭრილობებს“ („ჩორები“).

აი, კიდევ ერთი თემა ლეონიძის შემოქმედების მომავალ მკვლევართათვის – ავტორისა და მისი პერსონაჟების სულიერი ნათესაობის კვლევა...

საგანგებოდ დავიწყე „ნატვრის ხისადმი“ მიძღვნილი ესსე ჩემი სამაგიდო, უკვე ყდაგაცრეცილი წიგნით, რომელ-შიც, ყოველი ახალი მიბრუნებისას, რაღაც ახალ, სათუთ და მტკივან დაკვირვებას აღმოვაჩენ ხოლმე. ასეთ დროს ჩემს თავს ვეკითხები – ვინ უფრო მაღლვებს – პოეტი-ნათლია თუ ეს სულისშემძვრელი მთხოვბელი?!



## სიტყვასთან მიახლების ტკბობა

(ქეთევან ელაშვილი – „სიტყვით თრობა“)

რამდენ რამეს ამბობს სათაური წიგნზე და წიგნი კი – ავტორზე. აქაც ასეა: „სიტყვით თრობა“, ალბათ, ერთა-დერთი სათაურია, რომელიც ქეთევან ელაშვილის ლიტერატურული ესსეებისა და წერილების კრებულს მიესადა-გებოდა. ამგვარი წიგნის მკითხველისათვის ისიც ცხადია, რომ „თრობა“ აქ თავისი არქეტიპული პლასტით წარმოჩნდა – ვითარც სინონიმი საკრალურ სივრცეში შეღწევისა და იქ ოდენ განდობილთათვის განკუთვნილ საიდუმლოთა წვდომის.

სწორედ ამგვარი, ლამის მორწმუნეობრივი მოწინებითა და სიფაქიზით მიეახლა (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ) ქეთი ელაშვილი ქართული მწერლობის მისთვის საინტერესო სახელებს, ნაწარმოებებსა და პრობლემებს (თუ ერთი წა-მით „სათაურთა პოეტიკიდან“ „სახელთა პოეტიკაზე“ გადა-ვინაცვლებთ, ვიტყვი, რომ „ქეთევან ელაშვილი“ კი ანერია ამ წიგნს, მაგრამ მის უშუალო და ემოციურ ინტონაციაში სწორედ ქეთი ელაშვილს ვცნობთ).

ახლა – იმ სახელთა, ნაწარმოებთა და პრობლემათა შესახებ, რომელნიც ამ წიგნში „დამეზობლდნენ“ და რო-მელთა ერთობლიობაც მრავლისმეტყველი იქნებოდა არა მხოლოდ ამ კონკრეტული ავტორის, არამედ, საზოგა-დოდ, ამჟამად ყველაზე აქტიური ლიტერატურული თაო-ბის ინტერესთა არეალის გასათვალისწინებლად, სრულიად არატიპურ სურათთან რომ არ გვქონდეს საქმე.

მაგრამ, მოდი, ჯერ თავად ამ „სახელთა ნუსხას“ ჩავხედოთ, „არატიპურ სურათს“ კი შემდგომ მიღუბრუნდეთ.

„სიტყვით თრობა“ ორ ნაწილად იყოფა: პირველი ავტორის ესახესიტიკას აერთიანებს „ემოციური დაფიქრების“ სათაურქვეშ; მეორეში („სახის მწერლობა“), უპირატესად, კვლევითი ხასიათის წერილებია ქართული მწერლობის სიმბოლოლოგიურ ასპექტებზე, ეთიკურ პრობლემატიკაზე, სახელდებათა პოეტიკაზე სასულიერო თუ ლიტერატურულ ძეგლებში.

ქეთი ელაშვილი ძველი ქართული მწერლობის მკვლევარია, და ვინც კი ადევნებდა თვალს მის პუბლიკაციებს ბოლო ათი წლის განმავლობაში, უთუოდ დაუმატებს – ჩავვირვებული და ფაქიზი მკვლევარი. როგორც ქეთი ელაშვილის თანაავტორმა, არ შემიძლია, აქვე არ დავუმატო, რომ ქრისტიანული სახისმეტყველების მისი სიღრმისეული ცოდნა (და ამასთანავე – შეგრძნება) საფუძვლად დაედო „სიმბოლოთა ენციკლოპედიის“ ორტომეულზე ჩვენს მუშაობას.

უთუოდ საპატიებელი „ტენდენციურობის“ გამო, თავდაპირველად „სიტყვით თრობის“ სწორედ სიმბოლოლოგიური ნაწილი მინდა წარმოგიდგინოთ, თუმცა, რიგითობის თვალსაზრისით, ეს წერილები წიგნის მეორე ნაწილში – „სახის მწერლობაში“ განთავსდა: პირველი წერილი ამ მწკრივში გახლავთ „სიმბოლოს საკრალური ასპექტი და მისი „რელიგიური ბიოგრაფია“, რომლის ბოლო ფრაზაც ცხადყოფს ამ ძალზე ლაკონიური, მაგრამ ამდენადვე ტევადი და საინტერესო გამოკვლევის პათოსს: „...ცხადია, რომ სიმბოლო, როგორც კულტურის უნივერსალური ფენომენი, სრულიად უნიკალურ ინფორმაციას გვაწვდის ერის „კულტურული ბიოგრაფიის შესახებ“.

„ნისლთამეტყველებაში“ ვაჟა-ფშაველასთან“ თვით ეს სათაურში გატანილი კომპოზიტიც კი ერთგვარი მინიშნებაა, როგორ ღრმა და საინტერესო თემებს აგნებს ქეთი ელაშვილი სიმბოლოთა სამყაროსა და ქართული მწერლობის თვითმყოფადი პლასტების გადაკვეთაზე და როგორ ახერ-

ხებს, თავისი „სიმბოლური თვალსაწიერიდან“ განსხვავებული კუთხით დაგვანახოს ჩვენი მწერლობის კლასიკური კოლიზიები და პერსონაჟები. სწორედ ასეთია მისი „ორი დღის ბიბლიური სიმბოლიკა“, რომელსაც საფუძვლად დაედო იღიას „სარჩობელაზედ“; ასეთია სიმბოლოლოგის თვალით დანახული დვთისმშობლისა და წმინდა შუშანიკის სახე ადრეული პერიოდის ქართულ ჰაგიოგრაფიაში; ფერთა სიმბოლიკა ამავე ძეგლებში ან ხელახლა გადაკითხული სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“, რომლის უნიკალური ხასიათიც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა სიმბოლოლოგიურმა პლასტმა.

„სახის მწერლობაში“ შესული წერილების სათაურთა ჩამოთვლაც კი გაფიქრებინებთ, რომ მათი ავტორი ისეთი ინტუიციით აგნებს სხვათათვის „დაგმანულ“ თემებს, როგორც წყლის მაძიებელი გაწვდილ ცერა თითზე გადებული ლერნის უხილავი მოძრაობით – მიწისქვეშა ნაკადს...

ნიმუშად ასეთი მიგნებისა შემიძლია დაგისახელოთ ნატიფი „ლიტერატურული ტექნიკით“ შესრულებული გამოკვლევა – „მარჯვე დროის“ (ჟამი მარჯუნ) ფენომენი“, რომლიდანაც რამდენიმე ნაწყვეტს გაგაცნობთ: „ქართულ ჰაგიოგრაფიაში, კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ გიორგი მერჩულეს წმინდანის მიერ „ზედროის“ შეცნობისათვის შემოაქვს საგანგებო სახელდება-ალნიშვნა „მარჯუნ ჟამი“ – „მარჯვე დრო“. ამ „მარჯვე დროის“ შეცნობის წყალობითაა, რომ წმინდა შუშანიკი ვარსქენის დაპრუნებამდე ტოვებს საპიტიახშოს კარს, ოღონდ ის ამას სჩადის „ვითარცა წინასწარმეტყუელი“... ანდა, თუნდაც არაბი ჭაბუკი აბო („აბოს მარტვილობა“), რომელიც სულიერი მეტა-მორფოზების გზაზე ყოველთვის ზუსტად ჭვრეტდა კონკრეტულ დროს – როდის აღარ უნდა დაეფარა „ჭეშმარიტი ნათელი“ და როდის უნდა გადაქცეულიყო „სულითა თვისითა მოგზაური“...

ქეთი ელაშვილის წიგნში კიდევ არაერთი ზუსტად მიგნებული და მკაფიოდ წარმოჩენილი თემაა: „ხორციელი

სიკეთის“ ფენომენი ქართულ სასულიერო ძეგლებში“; „დროულობა“, როგორც ზნეობრივი კატეგორია ანუ „ლიტერატურული ნაცნობობა“ ილიასეულ სივრცეში“; „სრულ-ქმნილების მხატვრული ტრანსფორმაცია“ (აქ ავტორი ვაჟას „სიმარტივის ნატიფობის“ ფენომენს იკვლევს); დიდი ინტერესით იკითხება იყობ ცურტაველისადმი მიძღვნილი წერილი, ხოლო გამოკვლევა „დიდი ნერსე ერისმთავარი“ იმდენად ორიგინალურია, რომ, ვგონებ, მომავალში ნერსე ერისთავის პიროვნებით დაინტერესებული მკვლევრები გვერდს ვერ აუვლიან ამ ნაშრომს.

„სახის მწერლობის“ ლიტერატურულ ინტერესთა კიდევ ერთი გამორჩეული თემაა სახელდებანი: აქაა „ორმაგი სახელდების ფუნქცია ადრეული პერიოდის ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში“ და „წმინდა მამათა სახელდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით“.

როდესაც ავტორის ლიტერატურულ კვლევათა „ნატიფ ტექნიკაზე“ ვლაპარაკობ, ძალაუნებურად მახსენდება ხოლმე, რომ ქეთი ელაშვილმა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შესვლამდე ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ეგების იქ შეძენილმა ცნობისწადილმა და დახვეწილი ექსპერიმენტის სკოლამ იჩინა თავი მის შემდგომ პროფესიაში...

იშვიათ თემათა მიგნება – ერთი მთავარი და განმასხვავებელი ნიშანი ამ წიგნისა, ცხადია, მის პირველ ნაწილშივე წარმოჩნდა (ეს მე დავარღვივ თხრობის მიმდევრობა), იმ ნაწილში, რომელიც ლაკონიური ესსეებისაგან შედგება და „ემოციურ დაფიქრებად“ არის სახელდებული. თუ ზემოხსენებულ გამოკვლევათა უმეტესობა ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო გამოცემებში ქვეყნდებოდა, ქეთი ელაშვილის ესსეები უურნალ „ომეგასა“ და „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებიდან გვახსოვს. გვახსოვს ლიტერატურული თხრობის მისეული მანერაც – ძალიან გულწრფელი და უშუალო, ინტონაციის უმნიშვნელო ცვალებადობით ავტორის ემოციურ მიმართებათა ზუსტი მანიშნებელი...

მკითხველს თავად შეუძლია იგრძნოს ამ ესსეების ხილიც და ინტერესთა დიაპაზონიც, რომელიც რამდენიმე საუკუნეს სწვდება: თვითონ განსაჯეთ – ავტორი შეგვახსენებს სულხან-საბას „სამოთხის კარს“ („ერთი მივიწყებული ძეგლი“); ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურეს“ („სპეტაკ შრომანში ჩაძირული პოეტის სული“); ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველებას“.

„მიგნებულ“ თემათაგან გამოირჩევა „დაკარგული დროის ფენომენი“ (რომელიც „ზედროულობის“ ფენომენზე მოგვითხრობს) და ერთგვარი ციკლი ესსეებისა, რომელთა ტონალობაც განისაზღვრა წერილით „ეროტიზმის დიაპაზონი ქართულ სიტყვაში“. ამ თემის ვარიაციები გაუღერდა კონსტანტინე გამსახურდიას რომანებისა და მიხეილ ჯავახიშვილის „ოქროს კბილის“ ფონზე. სხვათა შორის, მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვა“ და „ეკა“ ავტორის კიდევ ორ ძალიან საინტერესო ფსიქოლოგიურ ესსეს დაედო საფუძვლად.

როდესაც „საუკუნოვანი დიაპაზონი“ ვახსენე, ვგულისხმობდი ქეთი ელაშვილის იმ ესსეებს, რომლებიც ორგანულად აგრძელებს მის ემოციურ თხრობას ქართული „ლიტერატურული ლანდშაფტის“ საუკუნოვან ფრაგმენტებზე... ლიტერატურული კლასიკა აპრობირებული რამაა, არანაირი რისკი სახელების შერჩევაში არ არსებობს. აი, თანამედროვეთა მიმართ გამოჩენილი ინტერესი კი, რაღა თქმა უნდა, ბევრისმთქმელია... საბედნიეროდ, ქეთი ელაშვილმა ორი საუკუნის მიჯნაზე მრავალი მიზეზით უმოწყალოდ აღრეულ ლიტერატურულ საზომებს ისევ და ისევ ის, თავისი ჯადოსნური „ვაზის ლერწი“ ამჯობინა ანუ უტყუარ ინტუიციას მიენდო: ანა კალანდაძე, გურამ ასათიანი, ნუგზარ შატაძე, ნაირა გელაშვილი, მაკა ჯოხაძე, ირაკლი ლომოური – აი, მისი ესსების ადრესატები...

ვფიქრობ, ამ უანრმა (რომელსაც ქეთი ელაშვილმა „ემოციური დაფიქრება“ დაარქვა) მასთან რაღაც ახალი თვისებები შეიძინა. არ ვიცი, „განმეორებადია“ ეს სტილი,

თუ იმდენად ინდივიდუალური, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ავტორის საკუთრებად უნდა დარჩეს. ერთი პირობა, მინდოდა განმემარტა, რას ვგულისხმობდი ამ „ახალ თვისებებში“, მაგრამ მერე, „სიტყვით თრობის“ გადაკითხვისას, აღმოვაჩინე, რომ ქეთი ელაშვილს მშვენივრად ჩამოუყალიბებია თავისი ესსეისტიკის „კრედო“: „ემოციური დაფიქრების გარეშე ნარმოუდგენელი სიტყვიერი თრობა ისე შეუმჩნევლად იჭრება, ფეხს იკიდებს ჩვენში, რომ, შენდა უნებურად, აღმოჩნდები გამომწყვდეული „ლიტერატურულ მარყუჟში“ – საოცარსა და იდუმალში, ტკივილის მომგვრელსა და იმავდროულად ნეტარში და, ისევ და ისევ, სიტყვას ჩაბლაუჭებული მოძებნი გამოსავალს – მიადგები იმ უნაპირო ნაპირს, რომლის გარეშეც არ არსებობს „სიტყვის ხატი“ – ის დაუცველი, ფეხდაუდგმელი სივრცე, სადაც, ხშირ შემთხვევაში, ავტორსაც კი ეჩიოთირება დიდხანს შეყოვნება და ამიტომაც დაწერს თუ არა, გაუნაპირდება....“. ვეღარაფერს დავუმატებ ამ სიტყვებს.

P.S. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2019 წელს „სიტყვით თრობის“ თემები და ვარიაციები განავრცო ქეთი ელაშვილის ახალმა, არანაკლებ საინტერსო ესსეისტურმა კრებულმა – „სიტყვის ბედისწერა“.

## გამოთხოვება ვასტანგ როდონიასთან

2012 წლის 1 დეკემბრის მზიან დღეს სიონის ტაძარში შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება ეთხოვებოდა ვახტანგ როდონაიას – ადამიანს, რომლის ნახევარ-საუკუნოვანმა მსახურებამ თავისი კვალი დააჩნია ქართულ სიტყვიერებას, ხოლო ინტელექტუალურ და რაინდულ თვისებათა იშვიათმა ნაზავმა – მთელ მის იერს, შინაგანსა თუ გარეგნულს; იმ იერს, რომლის გაუნელებელი ხიბლიც პატარა დღესასწაულად აქცევდა მის გაცნობას, ხოლო ინტელექტუალურ ბედნიერებად – მასთან მეგობრობას...

ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელთათვის „ვატა“ როდონაია იყო პირუთვნელი მსაჯული მათი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებისა. რა მკაფრიც უნდა ყოფილიყო მისი განსჯა, ვერცერთი განხიბლული ახალბედა ვერ ეურჩებოდა მის „განაჩენს“. უთუოდ გრძნობდა, როგორი აბსოლუტური ლიტერატურული სმენა, როგორი უშურველობა, როგორი პასუხისმგებლობა და ზნეობრივი მუხტი ასაზრდოებდა ამგვარ გულწრფელობას. ეს საშური თვისებები ვატას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და მრავალი თანამოაზრე და მადლიერი თაყვანისმცემელი შესძინა; აქა-იქ, შესაძლოა, მტერიც. მაგრამ, მისდა საქებრად, ვატა არასდროს ეძებდა საყოველთაო აღიარებას – იგი განასახიერებდა იმ იშვიათ ტიპს ადამიანისა, რომელიც შეგნებულად გაურბის გაჩირალდნებულ ავანსცენას და განაპირების მყუდრო ჩრდილქვეშ, წლობით თავმოდრეებითა და რუდუნებით აკეთებს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს...

დღევანდელი გადასახედიდან ეს „მთავარი საქმე“ განმანათლებლობა იყო. ოღონდ ამ სიტყვის უფრო ძველბერ-

ძნული გაგებით: როდესაც უნივერსალურად განსწავლული ადამიანისთვის მისი ცოდნის, ეთიკური თუ ესთეტიკური მსოფლალქმის გაზიარება ერთგულ შეგირდთა (სტუდენტთა) აუდიტორიისათვის თუ შემთხვევით მსმენელთათვის იმდენად ღირებულია, ისეთ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ამ უკიდეგანო ერუდიციისა და სიღრმისეულ წვდომათა ქაღალდზე გადატანისათვის ზოგჯერ აღარც დრო რჩება და აღარც ძალა.... ამით აიხსნება ვახტანგის ესსეისტური მემკვიდრეობის მოკრძალებული მოცულობა, თუ იმ პერფექციონიზმით, რომლითაც ზოგჯერ „ავადდებიან“ სრულყოფილების იდეალით შეჰქმედი შემოქმედნი, ძნელი სათქმელია...

ვახტანგს „რაოდენობის ხარისხში გადასვლისა“ არ სჯეროდა, და უმკაცრესი რედაქტორის თვალით გარანდა ის ლიტერატურულ-ისტორიული წერილები, რომლებიც ღირსად ჩათვალა ქართულ პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად. თუკი ეს პუბლიკაციები წიგნად გარდაისახება, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მკითხველი XX ს. მინურულისა და XXI ს. დასახურისის ქართული ესსეისტიკის დახვენილ ნიმუშებს იხილავს. ამ მომავალი კრებულის ერთგვარ „ლერძად“ აღიქმება სტატია – „თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა“, რომელიც დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც პირველი გამოქვეყნებისას, 1988 წელს, უურნალ „XX საუკუნეში“. განსაკუთრებით ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებდა ვახტანგს უურნალთან „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1988 წლიდან – „ბალავერი“, რომლის რედაქტორის – თამაზ კვაჭანტირაძის მოადგილეც გახლდათ). აქ გამოქვეყნდა მისი უნატიფესი ისტორიულ-ლიტერატურული ესსები: „იკორთა“; „ნინონმინდა“ (ტაძრისა და ლეონიძისეული ლექსის „პარალელური ბიოგრაფიებით“); „ბეთანია“; „რკონი“; 1988 წლით დათარიღებული „მხნედ მიითვალვიდა მახვილსა“, რომელშიც მკითხველს გამძაფრებულ ეროვნულ სატკივართა ფონზე ახლებურად წააკითხა იმანე საპანისძის უკვდავი ნაწარმოები.

ვახტანგი, ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, განურ-ჩეველი ვერ დარჩებოდა მის თვალწინ დატრიალებულ საზო-გადოებრივ ვნებათაღელვებისადმი, მაგრამ მის მეგობრებს კარგად ახსოვთ, როგორ აწონასწორებდა მისი ფილოსოფიუ-რი სიდინჯე – ერთთა მალემრწმენობას, ხოლო ირონია – მეორეთა პოლიტიკურ ამბიციებსა და კატეგორიულობას (თავად ვატა „მარადიული უპარტიო“ იყო). ასეთივე გაწონას-წორებული ჩანდა ვატა ოჯახურ წრეში, სადაც ცხოვრების ერთგული თანამგზავრი – მანანა და სამი უსათნოესი ქალ-იშვილი უმშვერებდნენ გვერდს და სადაც სულიერი თანაზია-რობისა და ურთიერთპატივისცემის სული სუფევდა.

გადიოდა წლები, ვახტანგის აუდიტორია კვლავინდებუ-რად მისი განსწავლულობით, იუმორითა და ზეპირი ნოვე-ლებით მოხიბლული მსმენელებისაგან შედგებოდა. ოღონდ, თანშეზრდილ მეგობრებს მათი შვილები ენაცვლებოდნენ, მოწაფეებს კი – სტუდენტები. თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ვახტანგი გელა კანდელაკისა და კოტე ჯანდიერის თხოვნით მიიწვიეს, დღემდე ახსოვთ მისი განუმეორებე-ლი ლექციები... გელა კანდელაკითან მეგობრობას, როგორც ჩანს, თავიდანვე ძლიერი შემოქმედებითი მუხტი ასაზრ-დოებდა, და შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რეჟისორმა თა-ვისი მომავალი კინემატოგრაფიული შედევრის – „სოფლის“ სცენარის თანაავტორობა სწორედ ვახტანგს შესთავაზა (მათი ერთობლივი სცენარითაა გადაღებული კანდელაკი-სავე ფილმი „ფიქრი“).

ასეთივე სულგანაბული მსმენელები დახვდნენ ვახ-ტანგს ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმ-ლერის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც იგი ქართული მრავალხმიანობის ამაგდარმა – ანზორ ერქომაიშვილმა მიიწვია. სახელოვანი ლოტბარი ამ დროისათვის საშვილიშ-ვილო საქმეს ახორციელებდა: მსოფლიოში გაბნეულ ქარ-თული ხალხური სიმღერების უცნობ ფონოჩანაწერებს აგროვებდა. ერთობლივი თანამშრომლობა აქაც შედგა – უნიკალური ფონოჩანაწერების ალბომს თანდართული

ტექსტის შედგენისას. ნებისმიერი მსმენელისა და მკითხველისათვის ეს ძვირფასი გამოცემა ქართული ვოკალური გენის უტყუარი დასტურია. მაგრამ, ვინც კი შესწრებია აზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას თავდადებული მუშაობის პროცესს, ყველაფერთან ერთად, ამ აღბომს მათი ღირსეული ქართველობისა და მეგობრობის სიმბოლოდაც აღიქვამს.

გასული საუკუნის დასასრულიდან ვახტანგის კიდევ ერთ ტალანტს მიეცა ასპარეზი. ეს ტალანტი, ისევ და ისევ, „განმანათლებლობის“ სფეროდან იყო, ოღონდ ამჯერად – ამ სიტყვის უფრო საგნობრივი მნიშვნელობით: მან უხელმძღვანელა იმ პროფესიონალ ფილოლოგთა ჯგუფს, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გაუნიეს ქართულ სკოლას – შექმნეს თვისობრივად ახალი, საბჭოური კლიშეებისაგან თავისუფალი, მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივ ინტერესებზე გათვლილი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ეს წიგნები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვახტანგის მეგობრები ახლა უკვე მასზე ხუმრობდნენ: „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ვატა!“ და აღარავის აკვირვებდა წიგნის მაღაზიაში გაგონილი: „ორი როდონაია მომაწოდეთ!“

თავად „როდონაია“ – ერთადერთი და უცვლელად მიმზიდველი, დადიოდა იერშეცვლილ ქალაქში, სადაც ქუჩაში სულ უფრო იშვიათად ხვდებოდნენ ძველი ნაცნობ-მეგობრები; ის მონაფეები კი, სასკოლო ზურგჩანთები სწორედ „როდონაიას წიგნებით“ რომ ჰქონდათ დამძიმებული, სახეზე ვერ ცნობდნენ თავიანთ დამკვალიანებელს და უკანმოუხედავად ჩაურბენდნენ ეშმაკურად მომღიმარ უცნობს...

ვახტანგი კვლავინდებურად ერიდებოდა ხალხმრავალ დარბაზებს, ტელევიზიის კამერებს, მისკენ მომართულ ფოტოობიექტივებს და, საფიქრებელია, რომ მისი მიზეზით შეკრებილი ერთადერთი ხალხმრავლობა, სადაც იგი მშვიდად განისვენებდა, სიონის ტაძარში მასთან უკანასკნელი გამოთხოვება იყო...

## „Պ, ԿԱԿՈՒԹԱԵՐԸ, ԲԵԹԸ ԿԱԿՈՒԹԱԵՐ...“

(Սանդրո մրցվածիկուլուս ցածընենքի)

Սանդրո մրցվածիկուլուտան 70-նկանու մեջոბրոքա մակա-  
շմուրյած է. Ես ծերուա: Մամրազ տացագածաւալս, ցանթութ,  
դեւտալս մոռուցաւ, դա մալուան ենցուա մոցոնցեծատա կալե-  
ցաւսկոպի օւստու սաեսաւատու թիրուեծուս դամեծնա, Ռոմել-  
նու քերնաւգանեն ամ პորտրետսա դա ծուղրագուաս. մանց  
ծեցեւցեծու.

ծեցրչյա մուգոյերուա, րոմ սանդրո ծեցուս նեծուրա ույու,  
դա ամաս տաւունաւ ցրմենուծա. մցոնու, դածագեծուանցու. այս:  
պետքը մուգութու գուցու գուցու գուցու գուցու... մրցվածի-  
կուլուեծուս ոչածնու որու ցայու օւժրգեծուա: Մուգուսու ցու ույու  
(գուցու գուցու պատրաստու ցածդա մեծցու), սանդրո – մոմցու-  
նու. ածսուլությունու անցուածուեծու! մշուծլուեծմա, րոցորու եմո-  
րագ եցեծա եռություն, սրուլուագ ցայուցնուեծուեծլագ, սգոյե-  
սրագ, մացրամ չուցուագ, „սառչածու գուգալունագորշու“  
ցուսունու սմուրուսնու դացու, դա ույ ամ ծուծլությունու սույշեցու  
ծացվածամու դամասեսուրցեծլու մուծանսցուենաս մուցությունց-  
ծու, տծուլուսու | սամուալու սկուլուս սանումուշու | „ա“ յլասմու  
սնուցա մոցունցուոտ. ար ցացուցուրցեծատ, րոմ պայուսաց սանու-  
մուշու մոնացու ամ յլասմու սանդրո մրցվածիկուլու ցակելատ,  
եռուլու յլասցարմու շերումեգրու ցեսութլագ այոնթրուլուեծա  
սանդրուսաւու դեւդա – դեւդա ուանա, մշուծլուեծա յոմությունու  
տացմջցումարյ(!). ամ նուցարսցագաւագուցնուլու մուրցունու  
մուշեցաւուգ, արահցուցուլուեծրուցագ կետուլու, պայուսացլուեծունու  
դա ցամցանու յալու ույու, մեսգամծու յուլամետա ոչածնուան. մու  
մուշաս անյ մուշեցու մրցվածիկուլու, դուդագ ալուարյեծլուսա

და დაფასებულ (უნდა ითქვას, სავსებით სამართლიანად) პროზაიკოსს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს (გარდა ყველაფრისა, იგი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარეც გახლდათ), თავის საქმიანობაში ჩაფლულს, სასკოლო წარმატებათა კონტროლი მთლიანად ცოლისათვის გადაებარებინა, თუმცა, როგორც ჩანს, სანდროში თავის სულიერ მემკვიდრეს ხედავდა და, უმცროსი ვაჟუშვილის მიერ სარეჟისორო კარიერის არჩევისთანავე, გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის პირველ ნაბიჯებს თეატრალურ ასპარეზზე.

ეს ნაბიჯები კი მართლაც დამაიმედებელი და გულგასახარელი იყო: იმხანად ყველაზე პრესტიული თეატრალური სკოლა – გიორგი ტოვსტონოვის სარეჟისორო სახელოსნო ლენინგრადში (დიდი მაესტროს გაკვეთილებს სანდრო შემდგომში ცალკე წიგნს მოუძღვნის); სოხუმის დრამატული თეატრის ქართული დასი და სანდროს პირველი ტრიუმფი – „შვეიცარი“, დაუკინყარი შოთა გაბელაიათი მთავარ როლში (დღემდე დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს „შვეიცარი“ უკეთესი არაფერი შექმნილა). ბატონი მიხეილი მოესწრო თეატრ-სტუდიის დაარსებასაც მეტების ტაძარში (ეს 1973 წელი იყო). დღეს ამგვარი ინიციატივა მკრეხელობად ჩაითვლებოდა, თუმცა იმხანად ამ იდეას არავინ აღუშფოთებია, საპატრიარქოს ჩათვლით. ისევ და ისევ სანდრომ ისინდისა და იმუამინდელ ხელისუფლებას გამოსთხოვა ნებართვა, ტაძრის სანაცვლოდ, იქვე მდებარე XIX საუკუნის სახლს დაპატრონებოდა – საცხოვრებლად და თეატრალური სტუდიის განსათავსებლადაც. ამგვარი თხოვნის „ავტორს“ ნებისმიერი ახლანდელი ჩინოვნიკი ფსიქიატრთან გადაამისამართებს, მაგრამ იმ დროსაც უპრეცედენტო იყო, და სწორედ აქ უნდა ვახსენო სანდროს ერთი იშვიათი (ლამის მაგიური) უნარი კრიტიკულ სიტუაციებში როლების შენაცვლებისა. შედეგად, ინიციატორი გამოდიოდა მოპირისპირე მხარე, ხოლო სანდრო მადლიერებით თანხმდებოდა ამა თუ იმ კეთილშობილურ შეთავაზებას.

ამ „მაგიის“ ყველაზე ადრინდელი მაგალითი ჩვენი სიჭაბუკის დროინდელია და არ შემიძლია, აქ არ გავიხსენო: სკოლა ახლად დამთავრებული გვაქვს და გადავწყვიტეთ, ხევსურეთი მოვინახულოთ. საბოლოო მიზანი არხოტია, თავდაპირველი „ბაზა“ კი – ბარისახოს სკოლა-ინტერნატი. „ექსპედიციას“, რაღა თქმა უნდა, სანდრო ხელმძღვანელობს. შემომთავაზა, ოჩიაურების ოჯახი მოვინახულოთ შუაფხოშიო. იქაურებმა გვითხრეს, არც ისე შორია, მაგრამ ფეხით თუ ნახვალთ, ალბათ, იქ დამის გათენება მოგიწევთ (ქალაქელებისა არ ეიმედებათ), თუ არა და, ცხენი უნდა იქირაოთ ვინმესგანო (ამ დროს – ოჩიაურებთან დამის გათევა გვეუხერხულება, ცხენის დასაქირავებელი ფული კი არ გაგვაჩნია). ნამდვილად ვერ აღვწერ, რა პათეტიკური ფრაზებით, რა ლინგვისტური აპრუნდით მოახერხა სანდრომ ახლად გაცნობილი ბარისახოელის ისე მოხიბევლა, რომ მეორე დილით ორი ცხენი მოგვგვარა: – მე, სამწუხაროდ, არა მცალია, მაგრამ წყნარი ცხენებია და, აბა, თქვენ იცითო! ცხენით შემდგომაც არაერთხელ მიმოგზაურია. მაგრამ არაფერი შეედრება იმ შიშნარევ აღტაცებას, რომლითაც ცხენზე პირველად შემჯდარი 17 წლის ქალაქელი ბიჭი მიჰყვება არაგვის ნაპირს, რათა „ოჩიაურებს ესტუმროს“. მახსოვს, ქ-ნი თინა დაგვხევდა – გაკვირვებული და გახარებული ნაცნობი ოჯახიშვილების ამ მოულოდნელი ვიზიტით. დღემდე ვუმადლი სანდროს (ისევე, როგორც „უსახელო ბარისახოელს“) იმ ბედნიერ, იმ ნეტარ დღეს...

თეატრს მივუბრუნდები. დამთავრდა სოხუმის ეტაპი და სანდრო მარჯანიშვილის თეატრში დამკვიდრდა. სხვათა შორის, აქ ერთხანს ერთად მოგვინია მუშაობა (გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოა). ლიტნაწილის გამგე არ ჰყავდათ და მიმიწვიეს. მეგობრობა – მეგობრობად, მაგრამ თანამშრომლობა ძალზე ხშირად თავისებური ტესტია და მოულოდნელ სიურპრიზებს სთავაზობს ხოლმე ადამიანებს. ალბათ, არ არსებობს დედამინაზე თეატრზე უკეთესი ასპარეზი ამგვარი ტესტების ჩასატარებლად.

ვერავითარი მონათხრობი, ან, გნებავთ, მოემისა თუ ბულგაკოვის რომანები ბოლომდე ვერ აგიხსნით, მაინც რა ხდება იქ! შენი თვალით უნდა ნახო. ის, რაც მე ვნახე, მართლაცდა, კიდევ ერთი რომანის თემა იყო, და ნამდვილად ვნანობ, პროზაიკოსი რომ არა ვარ. სიტყვა გამექცა. უბრალოდ, ის მინდა ვთქვა, რომ „თანამშრომლობის ტესტი“ სანდრომ უმწიკვლოდ გაიარა, და არა მარტო – ჩემთან. დაძაბულ ვითარებაში დასის შეკრებებზე, რეპეტიციებზეც, სამხატვრო საბჭოზეც ხშირად მქონდა საშუალება, დავკვირვებოდი საერთო სიტუაციას, და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ თეატრმა იგი იგუა და დაპირისპირებულ „პარტიკებშიც“ კი მისდამი ერთნაირ სიმპათიას ამჟღავნებდნენ.

ნამდვილად ასე იყო. მაგრამ სანდრომ ვერ იგუა თეატრი. და არა იმიტომ, რომ რაიმე პრეტენზიები ჰქონდა კოლეგებთან – არანაირი; თეატრის ხელმძღვანელები სულაც მისი უფროსი მეგობრები იყვნენ. მიზეზი სხვა იყო: მან ჩათვალა, რომ 7-წლიანი ვიცე-კაპიტონბისას „მარჯანიშვილში“ ყველაფერი შეითვისა იმისათვის, რომ ხელოვნების უკიდეგანო ოკეანეში ახლა უკვე თავისი ხომალდით გაეცურა.

ერთ მშვენიერ დილას მისი ოცნება მართლაც ახდა: „გემი“ მტკვრის პირას იდგა, „მეტეხი“ ერქვა, ხოლო 1973 წელს წამოწყებული მოგზაურობა 30 წელს გაგრძელდა: „ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო....“ – რამდენი რამ შეიძლება გაიხსენოს შენი „გემის“ და შენი მოგზაურობის თვითმხილველმა...

2004 წლიდან თეატრს „ძველი სახლი“ ეწოდა, ხოლო, საკუთრივ, ძველი სახლი, რომელშიც თეატრმა 1989 წლიდან გადმოინაცვლა, თავისი დაკიდული კიბეებითა და აივნებით, მართლაც იწვევდა გემის ალუზიას. სამსართულიანი, გნებავთ, „სამგემბანიანი“ იყო. იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ მეორე სართულის აივანი ზედ მტკვარს გადაჰყურებდა და კლდე პრაქტიკულად არ ჩანდა – ეს ალუზია

იმ ილუზიად იქცეოდა, რომ გემზე ხართ და სადღაც მიცურავთ... თუ სანდრო თხრობის ხასიათზე იყო, ეს „სადღაც“ სრულიად კონკრეტულ განზომილებას იძენდა და შეგეძლოთ, მასთან ერთად გემოგზაურათ. გეოგრაფია უფრო სახმელეთო იყო, ვინემ საზღვაო – თეატრის გასტროლებისა და სანდროსავე უცხოეთში დადგმული სპექტაკლების მარშრუტებს გასდევდა: ზაარბიუკენი, კრაკოვი, ვარშავა, კიევი, სტამბოლი და ა.შ. ერთხელაც, კიევში ჩავაკითხე და თვითმხილველი ვარ იმისა, როგორ ხიბლავდა, აერთიანებდა და ქართული კულტურის მეგობრებად გადააქცევდა ხოლმე სანდრო სრულიად სხვადასხვაგარ ადამიანებს.

მეზღვაურების დაუწერელი ტრადიციის მიხედვით, ქალს გემზე არაფერი ესაქმება და უბედურება მოაქვს. სანდროს „ეკიპაჟში“ ყველაფერი პირიქით იყო და „მეტების“ გემბანზე სანდროს მანანა, მანანა ჭელიძე მეფობდა. ის ერთგულად ედგა მხარში სანდროს, არა მხოლოდ როგორც ოჯახის დედა, არამედ – როგორც თეატრის ლიტნანილიც, მთარგმნელიც, მენეჯერიც, და არ ვიცი, კიდევ რა... ზოგჯერ დიპლომატიც, როცა სანდროს შინაურებთან ურთიერთობისას კახურ სიხისტეს ან უკმეხობას შეამჩნევდა... შინაური და გარეული კი, ერთმანეთში არეული – ამ მტკვრისპირა სახლის კედლებში საკმარისზე მეტი იყო...

ეს თეატრი, ეს უცნაური სახლი ცალკე აღწერის ლირისია, რადგან ძალიან პატარა შანსია, ადამიანმა სადმე სხვაგან რამე მაგვარი ნახოს: ქუჩიდან სახლში პირდაპირ თუ შეხვიდოდით, სცენაზე აღმოჩნდებოდით; „ფოიე“ დაბლა იყო, პირველ სართულზე – აქვე იყო ბუხარი და რამდენიმე პატარა მაგიდა „ა ლა ფურშეტისათვის“; მეორე სართული, როგორც გითხარით, სკამებით გარშემორტყმულ სცენას ეკავა; დაბოლოს, მესამე სართულს შეხიზნული ოჯახი მეზობლობდა თეატრის საგრიმიოროსთან. ეს გადანაწილება იმას სულაც არ იშნავდა, რომ მესამე სართულზე ვერ ნახავდით რეკვიზიტიდან ატანილ კონტრაბასს, ხოლო

პირველზე – პატარა მარიამის დედოფალას... ამ ბოჭემურ ქაოსს აგვირგვინებდა მანანას კატა, მორიგი, ქუჩიდან მოთრეული უპატრონო ძალლი (ზოგჯერ რამდენიმე), მისივე ერთ-ერთი ქმარსგამოქცეული დაქალი და სოფლიდან ჩამოსული ნათესავი ბიჭი...

ვერ აგიწერთ, როგორ მენატრება, როგორ მყვარებია ის სახლიცა და მისი ბინადარნიც და როგორ მივტირი ყოველივე ამას... იყო, რაღა თქმა უნდა, კიდევ „გლობუსიც“ და „რუსთაველის 19“-იც (აյ სანდროს უფროსი ვაჟიშვილი – მიშა ედგა გვერდით), მაგრამ ისინი რაღაც ვერ გავითავისე...

„მეტეხში“ დადგმული სპექტაკლების ობიექტურ შემფასებლად ნამდვილად ვერ გამოვდგები – თითოეული პრემიერა ჩემთვის ისეთივე ზეიმი იყო, როგორც მანანას ან სანდროს დაბადების დღე, და ყოველთვის მინდობით ვუსმენდი, როგორ ლაპარაკობდნენ ცნობილი თეატრმცოდნეები პრემიერის შემდეგ სანდროს რეჟისორულ მიგნებებსა და მისი პატარა დასის ავ-კარგზე... ისიც მეამაყებოდა, რომ ჩემი მეგობრის მრავალწლიანი ღვანლი სამართლიანად აღინიშნა თითქმის ყველა იმ ჯილდოთი და წოდებით, რაც კი რეჟისორს რგებია ჩვენს ქვეყანაში.

და მანც, ყველაზე შთამბეჭდავი, ანტიკურ ტრაგედია-სავით სულისშემძვრელი სპექტაკლი სანდრო მრევლიშვილ-მა სიცოცხლის ბოლო დღეს დადგა, როდესაც მისი ერთგული მუზა – მანანა, ახლობელთა თანდასწრებით, თავს დააკვდა თავისი ჩაძირული გემის ჯერ კიდევ თბილ კაპიტანს. კიდევ ამიტომაც გამახსენდა უოლტ უიტმენის უკვდავი ლექსის რეფრენი...

ავადმყოფობისას სანდრომ თავისი ყველაზე რაინდული და სათუთი თვისებები გაამჟღავნა და მეც ნაღვლიანი იუმორით მიადვილებდა „გამცილებლის მისიას“. ამიტომაც იმედი მაქვს, იმქვეყნად (თუკი რამე ამგვარი არსებობს) შეხვედრისას არ გამკიცხავს გულახდილობის გამო...





სტამბა დამანი  
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიძაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

FACEBOOK / Print House Damani